

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო  
დაწესებულება – საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government –  
Archives Administration*

ა რ ხ ე ი ბ ი  
A R C H E I O N

I

წინამდებარე ჟურნალში ქვეყნიდება საარქივო სამმართველოს, სა-  
ქართველოსა და ბულგართის სამეცნიერო დაწესებულებების თანამ-  
შრომელთა შრომები, საარქივო სამმართველოში დაცული საბუთსა-  
ცავების ისტორიის ამსახველი პირველხარისხოვანი დოკუმენტები.

In the following magazine works of achieve staff, documents protected in  
archives administration, first-rate documents describing religious life of  
Ajara citizens were published.

### **სარედაქციო საბჭო**

თამაზ ფუტკარაძე (რედაქტორ-შემდგენელი), თეონა იაშვილი,  
სანდორ ბერიძე, ნარგიზ ბასილაძე, მარიანა პისკოვა, მერაბ კეზევაძე,  
ნურიე მურატოვა

### **Editorial Board**

Tamaz Putkaradze (volume editor), Teona Iashvili, Sandro Beridze, Nargiz  
Basiladze, Mariana piskova, Merab Kezevadze, Nurie Muratova

© აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო  
დაწესებულება – საარქივო სამმართველო 2011 6  
გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011

თბილისი, 0179, ი. ვავავაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-345-5

## წინათქმა

აჭარის აგზონომიური ორგანიზაციის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს თავისი არსებობის თითქმის საუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად არ გააჩნდა პერიოდული გამოცემა. მართალია, არსებობდა უკრნალის გამოცემის სურვილი, მაგრამ ძოლით დრომდე კერძოდ ჩანაფიქრის რეალიზაცია. 2010 წლის დასაწყისში გააქტიურდა უკრნალის გამოცემის იდეა, საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭოს 2010 წლის 8 ივლისის სხდომაზე მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება. სამეცნიერო საბჭოს უნდა გადაეწყვიტა უკრნალის სახელწოდებაც. იყო რამდენიმე შემთავაზება („საარქივო მაცნე”, „არხეიონი”), მაგრამ საბოლოოდ ჩვენი კურადღება შეჩერდა დოკუმენტსაცავების ძეგლ ძერძნულ სახელწოდება „არხეიონ”-ზე, რადგან იგი სრულყოფილად გამოხატავს უკრნალის არსს, მიზანსა და დანიშნულებას. აღნიშნული სახელწოდება სხვა მხრივაც პოულობს გამართლებას. ივი ესადაგება შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონალური არქივების თანამშრომლობის პერსპექტივასაც. შესაძლოა იგი შავი ზღვის ქვეყნების რეგიონალური არქივების ასოციაციის ორგანიზაციის იქცეს. ამ მხრივ მუშაობა აქტიურ ფაზაში შევიდა. ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ბლაგოვევგრადისა (2010 წ. I ნოემბრი) და ოდენის 2010 წ. 24 დეკემბრი) სამხარეო-სახელმწიფო არქივებთან. მიმდინარეობს მუშაობა თურქეთის რეგიონალურ არქივებთან ანალოგიური ხასიათის მემორანდუმის ხელმოწერის მიზნით.

წინამდებარე უკრნალის - „არხეიონის“ პირველი ნომერი მოიცავს აჭარის და სრულიად საქართველოს საარქივო დაწესებულებების თანამშრომელთა ნაშრომებს. უკრნალში ქვეყნებები აჭარის არ საარქივო სამმართველოს, ბუღალტოს, ქუთაისის, საქართველოს ეროვნულ არქივებში დაცული დოკუმენტური წყაროები, საბუთსაცავების დაარსების ისტორიასთან დაკავშირებული წერილობითი მონაცემები, უკრნალში მკითხველი გაეცნა და დეკრეტს საარქივო საქმის რეორგანიზაციისა და საარქივო სამმართველოს დაარსების შესახებ. აქვეა წარმოდგენილი განათლების სახალხო კომისარის კოლეგიის სხდომის ოქმები, ბათუმში საარქივო აპარატის შექმნის გეგმა, უკრნალში წარმოდგენილია აგრძელებული დონისძიებების ნუსხა, რომლებიც ჩატარდა საარქივო სამმართველოში 2008-2010 წწ.

საარქივო და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებათა თანამშრომლების (თ. ვუჩკარაძე, მ. მეგრელიშვილი, შ. მახარაძე, მ. სიორიძე, თ. გოგოლიშვილი, გ. ბელოვა (ბუღალტო), ნ. მურატოვა (ბუღალტო), ე. ჩაგანავა, ხ. შერვაშიძე, რ. სურმანიძე, მ. რურუა, თ. ქათამაძე, ნ. მირიანაშვილი, თ. ჯაბადარი, ფ. ქარდავა, ქვეუვან ვუჩკარაძე, კახა ვუჩკარაძე) მიერ წარმოდგენილ ნაშრომებში დახასიათებულია საარქივო პირველწყაროების მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევა-ძიებაში, განხილულია აჭარის არ საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების საფუძველზე დამუშავებული სამეცნიერო შრომები, ბათუმის აღმენიშვილის სახელობის ტაძრის ისტორიის, საქართველოს ოკუპაციის, საგამომცემლო საქმიანობის, ბათუმში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობების, სან-რემოს კონფერენციაზე ბათუმის დაკავშირებული პროდონის 1880-1910-იანი წწ. საგანმანათლებლების ცენტრების, საქართველო-აზერბაიჯანის კონფლიქტისა და ზაფათალის პრობლემის, 1921-1924 წწ. აჯანყებებში სვანეთის მონაწილეობის,

საქართველო-უნგრეთის ურთიერთობათა ისტორიის, ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების, ბათუმისა და ართვინის ოლქების ხახლმწიფო მოწყობისა და ხავაუფო მიწების, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსადმი შარდენის დამოკიდებულების, დამსახურებული არქივისტების, საარქივო დაწესებულებათა ისტორიის უმნიშვნელოვანები ხაკითხები (ავტორთა ხტილი დაცულია).

ამდენად, უურნალი „არხეიონი“ არის საქართველოს ხევა ხაარქივო და სახწავლო-სამუზენიერო დაწესებულებებთან აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებება – საარქივო სამმართველოს შემოქმედებითი და მეცნიერული თანამშრომლობის შედეგი. მსგავსი სამუშაოების ერთობლივი შეხრულება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს აღნიშნულ სამუზენიერო დაწესებულებათა შემდგომ დაახლოებას. უფრო მეტიც, მიზნად ვისახავთ თანამშრომლობის გაღრმავებას შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონალურ არქივებთან.

უურნალის გამოცემა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. თავისთავად შრომატევად სამუშაოს ართულებდა ისიც, რომ დოკუმენტების ნაწილი შედგენილია უცხო (რუსულ) ენაზე. მათი ნაწილი ცუდად იკითხება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ წინამდებარე უურნალი არის ხაარქივო სამმართველოს პირველი პერიოდული გამოცემა, წერილობითი დოკუმენტებისა და სამუზენიერო შრომების ერთიანი ფორმით შედგენისა და ხაზღადოების წინაშე წარმოჩნის პირველი ცდა.

უურნალის გამოქვეყნება საარქივო სამმართველოს თანამშრომლების: ნატო ქიქავას, ქეთევან ხალვაშის, მადონა ცხადაძის, ელგუჯა ჩაგანავას, დოდო შუშანიძის, თენგიზ სალუქვაძის, ქეთევან იაკობაძის, ფრიდონ ქარდავას, ზეინაბ ასანიძის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. სარედაქციო საბჭო მადლობას უხდის ელგუჯა ჩაგანავას, სევილი კაკაბაძეს, მაია რურუას, ნატო ქიქავას, რომლებმაც იკისრებ დოკუმენტების თარგმნის მოელი სიმძიმე. სარედაქციო საბჭო მადლობას უხდის აგრეთვე ქეთევან იაკობაძეს, თენგიზ იორგაძეს, ნატო ქიქავას, ზეინაბ ასანიძეს და ქეთევან ხალვაშს ხევადასხვა ტექნიკური საკითხების მოგვარებასა და კომპიუტერული უზრუნველყოფის საქმეში გაწეული დახმარებისათვის.

წინამდებარე კრებული არაა დაზღვეული ხარვეზებისაგან, ნებისმიერ საფუძვლიან შენიშვნასა და მოსაზრებას სარედაქციო საბჭო გაითვალისწინებს უურნალის მორიგი ნომრის გამოქვეყნებისას.

თამაზ ვუტკარაძე

ჩვენ, თბილისში მომუშავე არქივისტები, მუდამ დიდი ინტერესით ვა-  
დევნებოთ თვალს ბათუმელი კოლეგების საქმიანობას და გვახარებს თქვენი  
ყოველი წარმატება.

უსაზღვრო სიხარული მოგვანიჭა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ აჭა-  
რის აგზონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება სა-  
არქივო სამმართველო იწყებს სამეცნიერო ხასიათის „არხეიონის“  
გამოცემას. სიმართლე გითხრათ, არქივს გამოცემა აქამდეც უნდა პქონოდა.  
ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ურნალი ხელს შეუწყობს საარქივო საქ-  
მის შემდგომ განვითარებას, საქართველოს საარქივო დაწესებულებების ურ-  
თიერთ თანამშრომლობას, განამტკიცებს არქივისტთა კავშირს ცხოვრებასთან,  
ხალხთან.

იმედი გვაქვს, რომ „არხეიონი“ თავის უმთავრეს ამოცანად დაისახავს  
ხელი შეუწყოს მეცნიერებას, მკლევარებს - უფრო ფართოდ, პროფესიონა-  
ლურად წარმოაჩინოს ჩვენი ქვეყნის წარსული და თანამედროვეობა.

სულითა და გულით მივესალმები ურნალ „არხეიონის“ დაბადებას და  
გუსურვებ გამოცდილ მუშაკებს, საარქივო სამმართველოს ყველა თანამშრო-  
მელს წარმატებებს სამეცნიერო მუშაობის რთულ გზაზე.

თეონა იაშვილი,  
ეროვნული არქივის გენერალური  
დირექტორი

აღტაცებით და სიხარულით ვეგებები ურნალ „არხეიონის“ გამოს-  
ვლას. ამგვარი ურნალი აჭარაში არქივისტების დიდი ხნის ოცნება იყო. ეს  
ოცნებაც ასრულდა. ურნალს ბევრი ექნება გასაკეთებელი სამხრეთ-დასავ-  
ლეთ საქართველოს მრავალსაუგუნვანი ისტორიის შესწავლისა და  
წარმოჩენის რთულ გზაზე, ლირსეული მუშაკებიც პყავს - საარქივო სამმარ-  
თველოს თანამშრომელთა სახით. გისურვებოთ წარმატებებს.

მიხეილ მახარაძე,  
აჭარის არ უმაღლესი საბჭოს  
თავმჯდომარე

სულითა და გულით მივესალმები აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო  
დაწესებულება საარქივო სამმართველოს ურნალ „არხეიონის“ დაბადებას.  
ეს დიდი მოვლენაა არქივისტების და სრულიად საქართველოს კულტურულ  
ცხოვრებაში. ვუსურვებ ახალ ურნალს, ლირსეული წვლილი შეიტანოს ჩვე-  
ნი ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანების საკითხების გაშუქებაში.

მაღაზ სიორიძე,  
პროფესორი

ჩემი სალამი და ლოცვა ჟურნალ „არხეიონს“. მორგებული სახელიც შეგირჩევიათ. ჟურნალის სახელწოდება სრულყოფილად გამოხატავს მის აზრს, ფუნქციასა და დანიშნულებას. ეს ჟურნალი ჩვენთან ერთად გაიზღდება, ჩვენთან ერთად იცოცხლებს. მოვალეობით, მოვუაროთ, ვამდიდროთ და ვალამაზოდ ჩვენი ჟურნალი, ქართველი არქივისტების ორგანო - „არხეიონი“

*მერაბ კეთევაძე,  
ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო  
არქივის დირექტორი*

ჩვენი ეროვნული კულტურის აქვანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო იყო. ისტორიული ბედუკუდმართობის გამო ეს მხარე საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილი იყო სამშობლოს. მე-19 საუკუნის შეორე ნახევარში ერის მთლიანობა ადგგა და რეგიონი ადორინების გზას დაადგა.

მისასალმებელია, რომ აჭარაში არსებული საარქივო დაწესებულება, რომელიც ინახავს ერის წარსულსა და მეხსიერებას, აფუმნებს ჟურნალს, რომელშიც აისახება ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები. დარწმუნებული ვარ, რომ ჟურნალში დაიბეჭდება მკითხველისათვის ადრე მიუწვდომელი დოკუმენტური წყაროებიც.

გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს ეროვნული მეცნიერების საკუთლდღეოდ.

*როლანდ თოლიშიშვილი,  
თხუ-ს პროფესორი*

ბლაგოევგრადის სამხარეო არქივის ყველა მუშაკი, მთელი საზოგადოება მოხარულია, რომ ბათუმში გამოსკლას იწყებს სამეცნიერო ჟურნალი „არხეიონი“.

პირადად მე დიდად მახარებს ეს მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოვლენა. სულით და გულით ვუსურვებ ახალ ჟურნალს დირსებულად განაგრძოს ეროვნული მეცნიერების საუკეთესო ტრადიციები და თავისი წვლილი შეიტანოს საარქივო საქმის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებაში, საქართველოსა და ბულგარეთის საარქივო დაწესებულებების შემდგომ დაახლოებაში.

*მარიანა პისკოვა,  
ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) ნეოფიტ-  
რილების უნივერსიტეტის პროფესორი*

მივესალმები ახალი ქართული სამეცნიერო ჟურნალის „არხეიონის“ გამოსვლას. ვუსურვებ ყოფილიყოს ეროვნული მეცნიერების დიდი ტრადი-ციების ღირსეული გამგრძელებელი. მეცნიერული ობიექტურობოთ აქამოს საქართველო-უკრაინის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ყოფილიყოს ისეთი მრავალფეროვანი, როგორიცაა ეს შესანიშნავი კუთხე, სადაც ეს ჟურნალი გამოდის.

ივანე ნიტოჩკო,  
ოდესის სამხარეო სახელმწიფო  
არქივის დირექტორი

ახალი ჟურნალის დაარსება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრებაში. ეს ფაქტი ადასტურებს ქართული პულტურის უძველესი კერის – აჭარის დიდ კულტურულ აღორმინებაზე. ამიერიდან ბათუმელ მეცნიერებს, არქივისტებს ექნებათ საკუთარი სამეცნიერო გამოცემა, რომელიც ხელს შეუწყობს სამამულო მეცნიერების განვითარებას, ახალი, ნიჭიერი მეცნიერების გამოვლენას და დავაუკაცებას. მის ფურცლებზე ყველა მეცნიერი სიამოვნებით დაბეჭდავს თავის საუკუთესო ნაშრომებს.

სულხან კუპრაშვილი,  
ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი, დეპარტამენტის უფროსი

## თამაზ ფუტკარაძე

### საპრეზიდო დოკუმენტური პირველი ფარობი მაცლებართა სამეცნიერო შრომები

ქვეყნის წარსულის, მის მიერ განვლილი გზის, სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია წერილობით წყაროების გარეშე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია საარქივო დოკუმენტების მნიშვნელობა. ჩვენმა წინაპრებმა აღრიდანვე იზრუნეს, რომ ქვეყნის ისტორია ადგებეჭდათ როგორც ქვის ფილებზე, ისე ქადაღდის ფოლიანგებზე, რათა მომავალი თაობებისთვის დაეტოვებინათ მათ დროს მომხდარი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ამსახველი დოკუმენტები. ჩვენი სახელმწიფოებრიობის ათასწლოვანი ისტორიის, მისი უმდიდრესი მატერიალური, სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ასეულათასობით წერილობითი დოკუმენტი თავმოყრილია საქართველოს არქივებში, მუზეუმებსა და წიგნთსაცავებში. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია აჭარის არცენტრალურ და მის ტერიტორიულ ორგანოებში – რაიონულ არქივებში დაცული დოკუმენტების მნიშვნელობა. აღნიშნულ საარქივო დაწესებულებებში დაცული დოკუმენტების გამოვლენისა და შესწავლის შედეგად დაიწერა არაერთი საკანდიტატო თუ სადოქტორო დისერტაცია, გამოქვეყნდა უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ნაწილობრივ წარმოდგენილია საარქივო საქმის ცნობილი სპეციალისტის, საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, სახელმწიფო აღრიცხვისა და სამეცნიერო – საცნობარო აპარატის განყოფილების გამგის ნუნუ სკამკოჩიშვილის ნაშრომში „არქივის პირველი წყაროები მკვლევართა სამეცნიერო შრომებში“ (ხელნაბეჭდი).

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია 1878 წლის შემდგომი პერიოდის ისტორია, მანამდე არსებული დოკუმენტების ნაწილი ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო აღმოჩნდა თურქეთის არქივებში. ამ მიზეზით იყო განპირობებული ოსმალობამდელი წყაროების სიმწირე, რამაც შეუძლებელი გახადა საქართველოს ამ უძველესი რეგიონის ისტორიის შესახებ სრულყოფილი ნაშრომის შექმნა, თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში რეგიონის სამეცნიერო დაწესებილებებში გაძლიერდა ინტერესი აჭარის ისტორიის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, რამაც დაბადა „აჭარის ისტორიის ნარკვევების“ შექმნის იდეა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიური მუზეუმის, ნ. ბერძნიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ისტორიკოსთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად დაიწერა ოთხტომეული, რომლის სამი ტომი უმაღვა გამოქვეყნებულია. მალე დღის სინათლეს იხილავს მეოთხე ტომი. „აჭარის ისტორიის ნარკვევები“-ს მესამე და მეოთხე ტომებში უხვადაა წარმოდგენილი როგორც ეროვნული, ისე აჭარის არ არქივში დაცული წერილობითი დოკუმენტები. ამ იდეის რეალიზაციაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს აწგანსევენებულმა პროფესორებმა – დავით ხახუტაიშვილმა, (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი), აბ. სურგულაძემ (მ/დოქტორი, პროფესორი), ასევე პროფესორებმა ა. კახიძემ, მ. სიორიძემ, ო. თურმანიძემ, ნ. კახიძემ და სხვებმა. ცხადია ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული

ლი მნიშვნლობა ენიჭება ოსმალობამდელ წყაროებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია ანკარის, სტამბოლის, ტრაპიზონის არქივებში. საქართველოს შესახებ უამრავი ოსმალური დოკუმენტი აღმოჩნდა სოფიაში, კირილება და მეთოდებს სახელობის ბიბლიოთების აღმოსავლურ განყოფილებაში. აქვე მიკვლეულია XVI-XIX სს. აჭარის ისტორიის ამსახველი პირველწყაროები (ახვლებიანი ხ., 1956:32), რომელთა ქსეროასლები მაღალი ბინას დაიდებს აჭარის არ საარქივო სამმართველოში.

ოსმალური მმართველობის დროს იქმნებოდა მრავალი ტიპის დოკუმენტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ. დგებოდა ხალხის აღწერებისა და სხვადასხვა სახის ოსმალური სარეესტრო წიგნი, დავთარი, ფირმანი, ბერათი, არზუპალი, ჰუქმი და სხვა ხასიათის მასალა. ამ დოკუმენტების გადმოტანა მეტად საშური საქმეა. ბულგარეთის საარქივო და სამეცნიერო დაწესებულებებთან არსებული სერიოზული ურთიერთობები იძლევა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას.

თავისი არსებობის მანილზე აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ასობით მკვლევარი, ასპირანტი, სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი მიუღია, რომელთა მუხლჩაუხერელი შრომით ბევრი მტგერწაყრილი დოკუმენტი გამოვლინდა და მოექცა სამეცნიერო ბრუნვაში. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ისეთი მდიდარი ბიოგრაფიის მქონე მკვლევართა დვაწლი, როგორებიც არიან: ხარიტონ ახვლებიანი, პარმენ ცეკვიტარია, აბელ სურგულაძე, პარმენ პატარაია, ვლადიმერ ქემხაძე, ოთარ თურმანიძე, ნოდარ ცეცხლაძე, სერგო დუმბაძე, შოთა ჯაფარიძე, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ალექსანდრე ბაუეაძე, მურად ჩავლეიშვილი, ვლადიმერ სიჭინავა, რამაზ სურმანიძე, ეთერ ცივაძე, მერი გოცირიძე, მარიკა ქურიძე, მალხაზ სიორიძე, მერაბ მეგრულიშვილი, ნუგზარ ჩხაიძე, ლევან პალანდარიშვილი, გრიგოლ ბაბილონე, სულიკო არაქელოვი, შოთა ქურიძე, უჩა ოქროპირიძე, ოთარ გოგოლიშვილი, სერგო გერსამია, ნაზი ნოდაიდელი, გრიგოლ ჩაგანავა, სერგო ტაბადუა, თეიმურაზ კომახიძე, ნანი გუგუნავა, ნუგზარ ზოსიძე, რევაზ უზუნაძე, შოთა ცეცხლაძე, შოთა თოდაძე, ვახტანგ მაკარაძე, შალვა ვარშანიძე, იოსებ ბეჭირიშვილი, ირაკლი ბარამიძე, ფრიდონ სიხარულიძე, ჯემალ კარალიძე, ჯემალ მიქელაძე, იოსებ სანიკიძე, ხათუნა მანაგაძე, ინგა დიასამიძე, მერი დიასამიძე, ზაურ გოგიტიძე, ომარ მეგრელიშვილი, ვლადიმირ მამულაძე, ნატო ცეცხლაძე, ირინა მაზილკინა, თემურ უსტიაშვილი, ნინო შუშანიძე, გიორგი მახარაშვილი, მერაბ ფუტკარაძე, ნოდარ ბასილაძე, ლაშა ასლანიშვილი, ოლეგ ტეიფი, დავით ტუდუში, ირაკლი მანველიძე, გურამ ჩაგანავა, ალექსანდრე ჯაფელი, ანზორ ციცხვაია, მათეას ჰელიმანისი (პოლანდია), მამია ბერძენიშვილი, არჩილ ვარშალომიძე, ლამარა ბოლქვაძე, ერმილე მესხია, სიმონ გოგიტიძე, პირიმზე რურუა, თამაზ ბერაძე, ინეზა ზოიძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ნოდარ კახიძე, ალქსანდრე დაუშვილი, მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა, ანასტასია პაშოვა, მილენა ანგელოვა, ქრისტინა პოპოვა (ბულგარეთი) და სხვები. დასახელებულმა და სხვა მკვლევარებმა, წლების მანილზე თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოიძიეს და გამოავლინეს ათასობით საარქივო დოკუმენტი, რომელთა საფუძვლზე შეიქმნა საყურადღებო სამეცნიერო გამოკვლევები. ყველა მათგანის ჩამოთვლა ვერ მოხერხდება, მით უმეტეს გერ მოხერხდება თითოეული მათგანის ნაშრომებისა და მასში გამოყენებული საარქივო წყაროების მიმოხილვა. ჩვენ ზოგიერთი მათგანის სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე შევეცდებით წარმოვაჩი-

ნოთ საარქივო წყაროების როლი და მნიშვნელობა ქვენისა და ჩვენი მხარის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

ხარისხი ახვლედიანი იმ მკვლევართა შორისაა, რომლებმაც მთელი თვისი შეგნებული ცხოვრება შრომასა და გარჯაში გაატარეს. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის დირექტორად. მისი ინიციატივითა და მონდომებით მუზეუმი გამდიდრდა არაერთი ექსპონატით, ხელნაწერთა ფონდი კი შეივსო ახალი დოკუმენტებით. მისი კვლევის სფერო აჭარის ისტორიის უმნიშვნელოვანებს საკითხებს შეეხებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ღირსეული ადგილი დაიმკიდრა ხარისხი ახვლედიანის მონოგრაფიამ „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“, რომელიც გამოიცა 1944 წელს. ნაშრომში მთავარ საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით გაანალიზებულია აჭარის ისტორიის უმნიშვნელოვანების საკითხები. ფაქტობრივად ეს იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, საკუთრივ აჭარის ისტორიის პირველი მეცნიერული გამოკვლევა. მოგვიანებით, 1956 წ. ხ. ახვლედიანმა გამოსცა ასევე მეტად საყურადღებო ნაშრომი „სახალხო-განმათვისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“, რომელ შიც დასაბუთებულია სახალხო აჯანყების ეროვნულ-განმათვისუფლებელი მოტივები. მდიდარი მონაცემების საფუძველზე ავტორი ასაბუთებს მთიან რეგიონებში ოსმალთა ბატონობის ნომინალურ ხასიათს. ამ მიზნით იშველიებს ერთ-ერთი მთიელის მეტად საგულისხმო გამონათქვამს: „რასა იქს კაცი თვარა, ამ აბდალ თათრებს თავს რავა გავაჟლებინებთ, აქ არიან დიდგულაი, დედაგაქუცულები, თვარა აჭარაში, მთაში რავა მოგვეკარებაო“. მისივე ნაშრომი „სამჭოთ ხელისუფლების დამყარება აჭარაში“ (1917-1921) მთლიანად საარქივო მასალებზე დაყრდნობითაა შექმნილი (ფონდი ი-81, ი-82, რ-1), რაც კიდევ უფრო ზრდის ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას (ახვლედიანი ხ., 1956:32). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორის ზოგიერთი მოსახრება შორსაა ჰეშმარიტებისაგან. მაგალითად: აჭარაში მეჯლისის შექმნისა და მისი საქმიანობის ძირითად მიზნად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ავტორისეული ინტერპრეტაცია აშკარად ეწინააღმდეგება რეალობას. საარქივო მონაცემებიდან ნათლად ჩანს მეჯლისის ერთ-ერთი მიზანი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აჭარის დაბრუნება.

თავისი შეგნებული ცხოვრების ნახევარზე მეტი არქივებში გაატარა და უამრავი ახალი დოკუმენტი გახადა საზოგადოებისათვის ცხობილი გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა, შოთა რეზოთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა პარმენ ცქვიტარიამ. მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ძირითადად აჭარის ცენტრალურ არქივში მოძიებული და გამოვლენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიქმნა. პ. ცქვიტარიას გამოკვლევების ერთი ნაწილი 1905-1917 წლების რევოლუციის თემას ეხება. მათში გაანალიზებულია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აჭარაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რევოლუციური სიტუაციის წინაპირობები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მონოგრაფია „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914)“, რომელშიც ორიგინალურადაა გააზრებული აღნიშნული ისტორიული მოვლენა (ფონდი ი-82, ი-81, რ-1, რ-4). მართალია, ნაშრომს უტყობა საბჭოური იდეოლოგიური წევების კვალი, მაგრამ მასში მოტანილი და გაანალიზებულია ბევრი ისეთი საყურადღებო დოკუმენტი, რომლებიც საინტერესოდ წარმოა-

ჩენენ იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას. პ. ცქვიტარიას ნაშრომებში უფრო ობიექტურადა გაშუქებული ეკონომიკური პროცესები. მისი ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულ დოკუმენტებს ეფუძნება. იგივე შეიძლება ითქვას მის გამოკვლევაზე - „აჭარის კომუნისტური მოძრაობის ისტორიიდან“. ნაშრომში გატარებული იდეალი შესაძლოა ვინაის თანამედროვეობისათვის შეუსაბამოდ მოქმედოს, მაგრამ ჩვენი ისტორიისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც წარმატებებისა და წინსვლის, ისე წარუმატებლობის, შეცდომებისა და დალატის ისტორიის წარმოჩენაც. კომუნისტური რეჟიმი 70 წლის განმავლობაში სათავეში ედგა საბჭოთა იმპერიას და მისი იდეოლოგიური გაგლენისგან გათავისუფლება არ იყო აღვილი. ალბათ ეს იყო ნაშრომში გატარებული ზოგიერთი მცდარი შეხედულების ძირითადი მიზეზი. კერძოდ, ავტორი არალეგალურ დისკუსიებში გამარჯვებულად ყოველთვის მიიჩნევდა ბოლშევიკებს, მაშინ როცა საარქივო მონაცემები საპირისპირო მოსაზრების დასაბუთების შესაძლებობას იძლევა. ასევე მიუღებელია პ. ჩხეიძისა და ი. რამიშვილის მიმართ ავტორის უარყოფითი პიზიცია მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ბოლშევიკებისაგან განსხვავებული პოზიცია ეკავათ. მიუხედავად ამისა, პროფესორ პ. ცქვიტარიას ამ ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

ქალაქების ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის ექცევდა განსაკუთრებული ყურადღება. ეს არცა გასაკვირი. ქალაქები წარმოადგენენ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს.

ბათუმის, როგორც საზღვაო კარიბჭის მდიდარი და საინტერესო ისტორიის მეცნიერული შესწავლა დაისახა მიზნად ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, დოცენტმა ვლადიმერ სიჭინავამ. ამ საკითხებზე (ისევე როგორც სხვა პრობლემებზე) მუშაობისას ავტორი წააწყდა სერიოზულ დაბრკოლებას, რაც ოსმალების მიერ 1878 წელს ბათუმიდან დოკუმენტების გატანასთან იყო დაკავშირებული. ამ სირთულეების მიუხედავად ვლ. სიჭინავამ შეძლო დასახული მიზნის განხორციელება და ხაგრძლივი, დაუდალავი მეცნიერული შრომის შედეგად 1958 წელს გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია (სიჭინავა ვ. 1958). ქალაქის ისტორიის წარმოჩენის პარალელურად ავტორი ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებსაც. ნაშრომში საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული ბათუმისათვის მეზობელი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძოლის, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების, რუსული მართვა-გამგეობის დამყარების, ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის, პორტო-ფრანკოს, მუჰაჯირობის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის რიცხოვნობის, ეროვნული და რელიგიური შემადგენლობის საკითხებზე. დასახული მიზნის განხორციელებისათვის ავტორს უხვად აქვს გამოყენებული ლენინგრადის (ეხლანდელი პეტერბურგის), საქართველოს ეროვნული, აჭარის ცენტრალური არქივის მონაცემები (ფ. 6, ფ. 7, ფ. 13, ფ. 64, ფ. 13, ფ. 1, ფ. 3 და ა.შ.). შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ბათუმის შესახებ ამ პირველი ფუნდამენტალური გამოკვლევით ვლ. სიჭინავამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლის საქმეში. მონიგრაფიაში წარმოჩენილია ბათუმის მნიშვნელობა როგორც თურქეთის, ისე რუსეთისა და სხვა ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქალაქის გამოყენება იმპერიის კოლონიური

მიზნების განხორციელებისათვის. აქ იმპერიისათვის „საიმედო“ ელემენტების ჩამოსახლება იყო გათვალისწინებული. ამას გარდა ბათუმი პორტოფრანკოს პირობებში იყო და ბაზარი დასავლეთის ქვეყნებისათვის. ქალაქში შემოსული იაფი საქონელი იმპერიის ბაზრებისაკენ მიემართებოდა, რაც აბრკოლებდა რუსეთის მრეწველობის განვითარებას. ამიტომაც რუსეთმა 1886 წელს ცალმხრივად გააუქმა პორტოფრანკოს რეჟიმი. მონოგრაფიაში აგტორი ამ საკითხების გაშუქებისას უხვად იყენებს საარქივო დოკუმენტებს.

1960 წელს მკითხველ საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა სერგო გერსამიას გამოკვლევას, რომელშიც წარმოჩენილია დიდი ქართველი მამულიშვილის მემედ აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა (გერსამია ს., 1960). ავტორს წიგნზე მუშაობისას გამოყენებული აქტს უამრავი დოკუმენტი, მათ შორის ჩვენს არქივში, ასევე, თვად მემედ აბაშიძის საოჯახო არქივში დაცული წერილობითი წყაროები, რომელთა საფუძვლზე წარმოჩენილია ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა მემედ აბაშიძემ ქრისტიან და მუსლიმან ქართვლობა შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამრთელებისათვის, ეროვნული სიამაყისა და თვითშეგნების ამაღლების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დოკუმენტი გამოყენებულია არა უშუალოდ საარქივო ფონდებიდან, არა მედ პ. ცქინიტარიას მიერ მოპოვებული დოკუმენტებიდან (თურმანიძე ო., 2005).

ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევა პროფესორი ოთარ თურმანიძე, ასაკის მიუხედავად იგი დღესაც მუხლჩაუხელად აგრძელებს მუშაობას. საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ო. თურმანიძემ გამოაქვეყნა არა ერთი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ომის შემდგომ პერიოდში აჭარის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა - აჭარის ასსრ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში“ (ბათუმი, 1986). ნაშრომში დახასიათებულია აჭარის არ პოლიტიკური სისტემა, მოსახლეობის სოციალური და კლასობრივი სტრუქტურა, მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები, მასების ინიციატივისა და შემოქმედების მეცნიერული სურათი.

აქტუალობით, სამეცნიერო ბრუნვაში ახალი მასალების შემოტანით, ობიექტურობით და მოვლენათა სწორი შეფასებით (მიუხდავად იმისა, რომ ავტორი იძელებული იყო ხარკი გადაეხადა ცენზურისათვის) გამოირჩევა ო. თურმანიძის ნაშრომი „გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“ (თურმანიძე ო., 1979). ამ საკითხზე მუშაობისას ავტორს უხვად უსარგებლია ი-15, ი-16, ი-22, ი-48 და სხვა ფონდებში დაცული დოკუმენტური მასალებით. მეცნიერული კეთილსინდისიერების, აკადემიურობის, საარქივო დოკუმენტების, მდიდარი სამეცნიერო-ლიტერატურული მონაცემების შეჯერების საფუძველზეა დაწერილი მისი ბოლო მონოგრაფიაც, რომელიც 2005 წელს გამოსცა გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტისა“ (თურმანიძე ო., 2005).

ფასდაუდებელია არქივის თანამშრომელთა – ნ. ნოღაიდელის, ს. ტაბადუას, შ. თოდაძისა და დ. ჭელიძის ლვაწლი ჩვენს არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენებისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. სწორედ მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1975 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტები-

სა და მასალების კრებული „აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცები-სა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში“, რომელიც მოიცავს პე-რიოდს 1921 წლის მარტიდან 1925 წლამდე. კრებულში თავმოყრილია 256 დოკუმენტი თრიგინალის, ასლისა თუ პერიოდიკის სახით. დოკუმენტური მასალები წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. კრებულის სრულყოფის მიზნით შემდგენელებს შეუტანიათ ზოგიერთი ადრე გამოქვეყ-ნებული დოკუმენტი, თუმცა მათი უმრავლესობა პირველად მოექცა სამეცნი-ერო ბრუნვაში. დოკუმენტს წინ უძღვის ანოტირებული სათაური და დარ-თული აქეს ლეგანდა, რომლშიც გაშიფრულია სახელმწიფო არქივის სა-ხელწოდება, ფონდის, საქმისა და ფურცლის ნომერი.

კრებულში წარმოდგენილი დოკუმენტები ეხება სახელმწიფო ხელი-სუფლების განმტკიცების, სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოფლის მეურ-ნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, კულტურული მშენებლობის, განათლების, პრესის, ლიტერატურის, ხელოვნების, ჯანმრთელობისა და საგურორობო საქ-მის განვითარების საკითხებს.

აჭარის ცენტრალური არქივის თანამშრომელთა მიერ 1961 წელს გა-მოქვეყნდა დოკუმენტების კრებული „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გა-მარჯვებისათვის აჭარაში“ (რუსულ ენაზე). მართალია მასში დოკუმენტები და საარქივო წეაროები წარმოდგენილია საბჭოთა პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად (ეს ბუნებრივიცა), მაგრამ ამ მასალებითაც კრებული ანგა-რიშგასაწევი პირველწელი XX ს. პირველი ოცწლეულის ისტორიით დაინ-ტერესებულ მკვლევართათვის.

აჭარის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირი-თად მომენტებზე მოგვითხოვთ დოკუმენტებისა და მასალების კრებული, რომელიც შეადგინეს არქივის თანამშრომლებმა: ნ. ნოღაიდელმა, ს. ტაბადუ-ამ, გ. ჩაგანაგამ. კრებულში ცალ-ცალკე წარმოდგენილი 1926-1932 წლებში აჭარაში ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მებადეობის, მეფუტკრეობის, სატექო მეურნეობის, მეაბრე-შუმეობის და სხვა დარგების განვითარების, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმების ამსახველი საარქივო დოკუმენტები (ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, 1980).

სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებაზე მოგვითხოვთ აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული პირველწელი - ვაჟთა და ქალ-თა გიმნაზიების, სახელოსნო სასწავლებლებისა და სხვათა ფონდები. სწო-რედ ამ ფონდებს ეფუძნება ეთერ ცივაძის ნაშრომი „ზოგადსაგანმანათლებ-ლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში“. ნაშრომში წარმოდ-გენილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარების ცალკეული სა-კითხები. მდიდარი ლიტერატურული და საარქივო პირველწელი გამო-ყენების, მასალების გამოვლენისა და გაანალიზების, მოწინავე პედაგოგთა გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ავტორი აჩვენებს რეგიონში სა-ხალხო განათლების დამკვიდრების, სასკოლო ქსელისა და მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდის, წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების როცელ და საინტერესო ისტორიას (ცივაძე გ. 1970). გ. ცივაძის ნაშრომი სა-ინტერესო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ოგანიზაციისითაც. წარ-სულის გამოცდილების ცოდნა აუცილებელია მომავლის სწორად განჭვრე-ბისათვის. ნაშრომი საინტერესო იმ მხრივაც, რომ აგზორს ცალკეულ მოვ-

დენებთან და ფაქტებთან მიმართებაში გამოყენებული აქვს საარქივო პირ-ველწყაროები, რაც ზრდის ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას (სკამკოჩა-იშვილი ხ., ხელნაწერი: 7-8).

საარქივო პირველწყაროების (ფ.რ-972, რ-986, რ-880) გამოვლენა-გაანალიზების საფუძველზე მხატვრული სიტყვის განვითარების საკითხები განხილულია ჟურნალისტისა და პუბლიცისტის შოთა ქურიძის პუბლიკციაში (ქურიძე შ., 1970). ავტორი ცალკეული პერიოდების მიხედვით საინტერესოდ წარმოაჩენს აჭარაში ლიტერატურული კადრების აღზრდისა და ფორმირების საკითხებს. ნაშრომში წარმოდგენილი მისეული პერიოდიზაცია ეფუძნება როგორც საარქივო და ლიტერატურული პირველწყაროებს, ისე ავტორის კვალიფიციურ არგუმენტებს. მკვლევარი კარგად ერკვევა დოკუმენტურ პირველწყაროებში, შესანიშნავად ახერხებს საარქივო მასალების გამოყენებასა და კლასიფიკაციას. ეს განსაკუთრებით ვლინდება წიგნის მეორე ნაწილში - „წინაპართა გახსნება“, სადაც მიმოიხილავს პ. ლორიას, მ. ვარშანიძის და სხვათა შემოქმედებას (ფ. რ-61, რ-1010).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ, არქივების გახსნაში მკვლევარებს მისცა შესაძლებლობა სამცნიერო მიმოქცვაში შემოვტანათ ადრე ტაბუდადებული მასალები. ყოველივე ამან განაპირობა ისტორიის არაერთ პრობლემატურ საკითხზე შეხედულებათა კარდინალური შეცვლა. დაიწყო ფაქტებისა და ისტორიული მოვლენების, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ცალკეულ პიროვნებათა საქმიანობის ეროვნული პოზიციებიდან შესწავლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პროფესორ აბელ სურგულაძის შემოქმედება. მის გამოკვლევებში მეცნიერულადაა გამუქებული მეორე მსოფლიო ომის, წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველთა მონაწილეობის, ცალკეული პიროვნებების (დაზი ფაშა თავდგირიძე, ყადირ შერვაშიძე, ჰადიარ და მემედ აბაშიძეები, სელიმ ხიმშიაშვილი) დამატებით და დამსახურების უმნიშვნელოვანების საკითხები. საარქივო პირველწყაროების გამოყენების თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს აბელ და კახაბერ სურგულაძეების წიგნი „ქართული ლეგიონი თურქეთში“. საქართველოს ეროვნულ და აჭარის არ არქივებში დაცული მასალების, ასევე მდიდარი ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე ნაშრომში წარმოჩნილია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (1914-1918) მიერ თურქეთში ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონის ისტორია, რომელიც მანამდე თითქმის უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის. უხვადაა საარქივო მონაცემები გამოყენებული აგრეთვე აბ. სურგულაძის სხვა ნაშრომებში. მხედველობაში გვაქვს მისი სტატია „ბათუმის ისტორიისათვის“ (სურგულაძე აბ., 1965) და წიგნი „პორტო-ფრანკო ბათუმში“ რომელიც 1996 წელს გამოიცა პროფესორ მ. სიორიძესთან თანაავტორობით (სურგულაძე აბ., სიორიძე მ., 1996). ეს წიგნი დაიწერა იმ დროს, როცა ძალზე აქტუალური იყო ბათუმში თავისფალი ეკონომიკური ზონის (თეზ-ი) საკითხი. სამწუხაროდ მაშინ მოხდა საკითხის პოლიტიზირება. ავტორები მდიდარი სამეცნიერო და საარქივო მონაცემების საფუძველზე აშუქებენ რუსეთისა და სხვა შეზობელი ქვეყნების დაინტერესებას ბათუმის ნავსადგურით, პორტო - ფრანკოს რეჟიმის არსის, ბათუმისათვის ბრძოლის, ქართული საზოგადოებრივი აზრის საკითხებს, რომლებიც ეფუძნება მე-12,14,16, ფონდებში დაცულ საარქივო მონაცემებს.

ბოლო პერიოდში გაჩნდა მეცნიერული ინტერესი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ჩამოყალიბებისა და საქმიანობის შესწავლისათვის. პროფ. მალხაზ სიორიძემ ამ პრობლემატიკას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორიც მონოგრაფიაც (სიორიძე მ., 1998). მისი ინტერესების სფერო შეეხო ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა: 1918 წლის მარტის მოვლენები ბათუმში, გერმანია-ოსმალეთის წინააღმდეგობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1918 წელს, ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში, ბათუმის საბაჟო და ა.შ. ცალკე მონოგრაფია ეფუძნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს 1914-1918 წლებში (სიორიძე მ., 2002). მასში კომპლექსურადაა შესწავლილი ისტორიული საქართველოს ცალკეული კუთხეების სოციალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, გაანალიზებულია ომადელი და ომისძროონინდელი პერიოდის საქალაქო ცხოვრება, ჭოროხის აუზის სამთო-მეტალურგიული მრეწველობა, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგები. ახლი საარქივო მასალების (ფონდები: 1, 3, 6, 7, 16, 67) საფუძველზე წარმოჩნდია ის ცვლილებები და თავისებურებები, რაც გამოიწვია ამ მხარის ომის არენად გადაქცევამ. აღნიშნული საკითხების შესწავლა მეტად აქტუალურია, რადგან „თურქეთის საქართველოს“ 1914-1918 წლების პოლიტიკური ისტორიის საკითხები მანამდე პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო. ამასთან აღნიშნული ტერიტორიული სივრცე თავისთავად აპირობებს საკითხის შესწავლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს. ნაშრომში საქართველოს არქივებში დაცული მონაცემების საფუძველზე გარკვეულია მეომარ სახლმწიფოთა გეგმებში „სამუსლიმანო საქართველოს“ აღვილი და როლი, ემიგრანტული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და მისი ლეგიონის საქმიანობა, უსამართლოდ რეპრესირებული მაჰმადიანი თანამომებისადმი ქართული საზოგადოების თანადგომა, გაანალიზებულია 1918 წ. ოსმალური ოქუპაციის მანამდე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფაქტები, რაც ბუნებრივია შეუძლებელი იყო ჩვენს არქივში დაცული დოკუმენტების გამოვლენისა და მეცნიერული ანალიზის გარეშე.

საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ მკვლევარებს მიეცათ შესაძლებლობა გამოევლინათ და სამხეოზე გამოეტანათ ადრე ტაბუდადებული საარქივო დოკუმენტები. უპირატესად იგი საბჭოთა პერიოდის რეპრესიებს გულისხმობს. XX ს. 30-40 - იანი და 50 - იანი წლების რეპრესიებს აჭარაში ეძღვნება ლილი ჩიქოვანისა და ნოდარ ცეცხლაძის ნაშრომი „რეაბილიტაცია“. ლილი ჩიქოვანმა უშუალოდ იწვნია იმ ავადმოსაგონარი წლების სისასტიკე, ხოლო ნ. ცეცხლაძის პუბლიკაციაში, რომლის ნაწილი გამოქვეწნდა უურნალ „ჭოროხისა“ და გაზ. „სოვეტსკაია ადგარიაში“, საარქივო დოკუმენტური მასალების საფუძველზე მოთხოვობილია ბათუმსა და აჭარის სოფლებში 1937-1938 წლებში დატრიალებული ტრაგედია. წიგნის დირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი საარქივო მონაცემებს ეფუძნება. ამასთან სამართლიანობის აღდგენას, პატიოსანი ადამიანების სახელის დაბრუნებას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დადუბულთა სსოფნის უკვდავეოფის, არამედ ნათესავების, ახლობლების, მთელი საზოგადოებისა და ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის (ჩიქოვანი ლ., ცეცხლაძე ნ., 1990).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული მოძრაობის საკითხებს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა პროფესორმა ოთარ

გოგოლიშვილმა (გოგოლიშვილი ო., 1998; 1999; 2003; 2005). ავტორი ამ ნაშრომებში ეფუძნება უაღრესად მდიდარ საარქივო მონაცემებს. მან უამრავი საარქივო დოკუმენტი მოიძია და გამოავლინა რუსეთისა და საქართველოს არქივებში. ნაშრომში „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-და-სავლეთ საქართველოში“ გამოყენებული აქვს 150-ზე მეტი საარქივო დოკუმენტი (ფონდები: 1, 6, 7,67 და ა.შ.) რომელთა საფუძველზე შესწავლილია სოციალური და ეროვნული მოძრაობის განვითარებაში ბათუმის ოლქის ახალი სტატუსის მნიშვნელობა, მთავრობის მიერ არასაიმედოდ მიჩნეულ პირთა გასახლებისა და ამ მიდამოებში უცხოელთა ჩამოსახლების რეალური მიზეზები, მხილებულია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მზაკვრული არსი, სოციალური და ეროვნული მოძრაობის ძირითადი მიმართულებები XX ს დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დროს და 1918-1920 წლებში. მის შრომებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გლეხთა მოძრაობის საკითხებმა. საარქივო პირველწაროების გამოყენებით ავტორმა გააანალიზა აგრეთვე XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე იმპერიის შემადგენლობაში ავტორმიის მოპოვებისათვის ბრძოლ საკითხი და იგი მიიჩნია ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ პირველ ნაბიჯად. თავის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომში ავტორმა საზოგადოებისათვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი უამრავი საარქივო დოკუმენტი შემოიტანა მეცნიერულ მიმოქცევაში, რაც მისი გამოკვლევების დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

უამრავი საარქივო დოკუმენტი გამოავლინა და სამეცნიერო ბრუნვაში მოაქცია პროფესორმა ს. დუმბაძემ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტის პროფესორი 40 წელზე მეტია მუშაობს საქართველოს არქივებსა და წიგნთსაცავებში. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც წარმოჩენილია მაღალმთიანი აჭარის ისტორიის, მეორე მსოფლიო ომისა და ამ ომში აჭარის მოსახლეობის მონაწილეობის, „საბჭოთა ავლანელების“, გამოჩენილ მამულიშვილთა დვაწლის ამსახველი სტატიები, ნაშრომები, მონოგრაფიები (დუმბაძე ს., 2006; 2007; 2008). ყველა ეს ნაშრომი საარქივო მონაცემების (ფ.რ-584, რ-4, რ-307/ს, რ-1027, რ-911, რ-1013, 1121 და ა.შ.) ოსტატურად და კვალიფიციურად გამოყენების ნათელი მაგალითია. მისი შრომების ერთი ნაწილი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიას ეხება. საყურადღებოა, რომ აღნიშნული პრობლემის კვლევით პირველად დაინტერესდა კლადიმერ ქემბაძე, რომელმაც პედინსტიტუტის 25 წლისთავთან დაკავშირებით, 1960 წელს გამოაქვენა ნაშრომი „რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 25 წლისთავი“. მოგვიანებით, 1980 წელს დოც. პ. პატარაიამ ამავე საკითხს მიუმღვნა საყურადღებო მონოგრაფია „ბათუმის პდაგოგიური ინსტიტუტი“. პრაქტიკულად ეს იყო პირველი მეცნიერული ბიოგრაფია უმაღლესი განათლების პირველი კერისა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 1986 წელს კვლავ გამოქვეყნდა ახალი მონოგრაფია „უმაღლესი განათლების პირველი კერა აჭარაში“ (ავტორები-პროფესორები: დ. ბალაძე და შ. ჯაფარიძე). ს. დუმბაძის მონოგრაფია „წარუშლელი ფურცელი“ ამავე საკითხს ეძღვნება. ნაშრომში მდიდარი საარქივო მონაცემების საფუძველზე წარმოჩენილია სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნა და მისი პირველი ნაბიჯები, ინსტიტუტი მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში, ფაკულტეტები და კათედრები, სასწავლო აღმზრდელობითი და სამცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი საკითხები.

მოგვიანებით, ბათუმის უნივერსიტეტის ისტორიას მიემდვნა კიდევ ორი მონოგრაფია (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2001 და 2010).

ენერგიულად და ნაყოფიერად მუშაობს ნიჭიერი მკვლევარი რევაზ უზუნაძე. შესაბამისად პროდუქტიულია მისი სამეცნიერო საქმიანობაც. რ. უზუნაძის მიერ შესწავლილი პრობლემატური საკითხები მაღალაკადემიურობისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების ნათელი მაგალითია. მის გამოკვლეულში მოთხოვნილია დღემდე ბურუსით მოცული ოსმანთა ბაგონობის დროინდელი ბათუმის ისტორიის ცალკეული მოქმედები, გაანალიზებულია ბათუმის საქალაქო დასახლების ფორმირების, ზღვაოსნობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების ძირითადი საკითხები, რომლებშიც მრავლადაა გამოყენებული ჩვენი არქივის ფონდებში (ფონდი-6) დაცული დოკუმენტები.

რ. უზუნაძემ თავისი მეცნიერული შემოქმედების დიდი ნაწილი მიუდვნა ზღვაოსნობის ისტორიის შესწავლას. მონოგრაფიაში “ზღვაოსნობა ბათუმის ოლქში” გამოვლენილი და გაანალიზებულია ნაოსნობის განვითარების, მისგან გამომდინარე სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების ამსახველი დოკუმენტები. ნაშრომი ემყარება საქართველოს ეროვნულ და ჰქარის არ არქივებში, ასევე სამუზეუმო გაერთიანების არქივებსა და ფონდებში დაცულ ასეულობით დოკუმენტს, მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20-ე საუკუნის 20-იანი წლების პერიოდის მასალებს, მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას. ავტორმა მოიძია და გამოავლინა საისტორიო საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი საარქივო მონაცემები.

სამხედრო-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს და ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს მიემდვნა ახალგაზრდა ისტორიკოსის ერმილე მესხიას მაღალმეცნიერული დირექტორებულების არაერთი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიებიც (მესხია ე., 1997; 1999; 2004). მისი გამოკვლევების ძირითადი წეროა ჩვენს არქივში დაუნჯებული საარქივო დოკუმენტები, კერძოდ ი-1, ი-6, ი-7, ი-57, რ-61, ი-67, 77, 312 ფონდებში დაცული მასალები. აღნიშნულმა დოკუმენტურმა წყაროებმა ავტორს შესაძლებლობა მისცა ობიექტურად გაეანალიზებინა საკვლევი პერიოდის პოლიტიკური პროცესები და გაეკეთებინა ორიგინალური დასკვნები. სწორედ ამიზომ დაიმსახურა ე. მესხიას ნაშრომებმა მაღალი შეფასებები ქართულ საისტორიო საზოგადოებაში.

საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიის, ქართულ-ოსმალური ურთიერთობების პრობლემური საკითხები ახლებურადაა შესწავლილი ახალგაზრდა და ნიჭიერი ისტორიკოსის ორაკლი ბარამიძის შრომებში (ბარამიძე ი., 1991; 2005). ავტორი ობიექტურად აშუქებს სამხედრო-დასავლეთ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სოციალურ – პოლიტიკურ პრობლემებს, დღემდე უცნობ მასალებზე დაყრდნობით იკვლევს რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს XIX ს. I მესამედში. კვლევისას იგი ემყარება როგორც ჩვენს არქივში დაცულ დოკუმენტებს, ისე სტამბოლის ოსმალურ არქივში დაცულ ქართველ მთავარ-დიდებულთა და სხვა დიდმოხელეთა წერილებს, რომლებიც საინტერსო და საყურადღებო პირვლწყაროა აღნიშნული პერიოდის ქართულ-რუსულ –ოსმალური ურთიერთობების ისტორიისათვის.

1963 წელს გამოვიდა ცნობილი მკვლევარის, მეცნიერებათა დოქტორის რამაზ სურმანიძის პირველი წიგნი. დღეისათვის იგი 50-მდე წიგნის და ასე-

ულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. კვლევის პროცესში რ. სურმანიძე ემყარება მდიდარ ლიტერატურულ მონაცემებს, მუზეუმების ხელნაწერთა ფონდებს, ხალხურ გადმოცემებს, მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობდა საარქივო მონაცემებით გაემყარებინა საკუთარი მოსაზრებები. მკვლევარის მეცნიერული აღდოს დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მის მიერ გამოთქმული ვარაუდი არაერთხელ დადასტურებულა აჭარის სახელმწიფო არქივში მოკვლეული დოკუმენტებით. რ. სურმანიძის ხელში გაიარა 2000-ზე მეტმა საარქივო დოკუმენტმა, მათგან ძირითადი მასალები მოიძია აჭარის სახელმწიფო არქივში. ეს მონაცემები აისახა ზოგადთეორიული ხასიათის ნაშრომებსა თუ დამსახურებულ პიროვნებათა - ყადირ შერვაშიძის, ნიკოლოზ დერჯავინის, მუთებერ ვარშანიძის, მურად გუნთაიშვილის, ემრულა მალაფაძის, ესმა ხიმშიაშვილ-ჯაიანის, შუქრი ვარშანიძის, აბდულ მიქელაძის, ნური ხიმშიაშვილის, ილიას ხილაძის, კოწია ერისთავის, მარკოზ აჭარელის, რეჯებ მჟავანაძის, ვახტანგ მჭედლიშვილის და სხვა ლვაწლმოსილ ადამიანთა შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

აჭარის სახელმწიფო არქივში დაცულმა დოკუმენტებმა (ფონდი 78) ავტორს საშუალება მისცა დაედგინა ბათუმის ოლქის 300-ზე მეტი მოქალაქის გვარი, წარმომავლობა, წოდებები, იერარქიული ადზევება თუ დაცემა, რაც აგრესორების მიერ ჩვენი რეგიონის დაცურობასთან იყო დაკავშირებული.

მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ ნ. ზოსიძის ნაშრომმა „პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში“. ავტორმა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მიიღო საარქივო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება. დასახელებულ ნაშრომში განხილულია როლი პოლიტიკური სიტუაცია ბათუმის ოლქში 1918-1920 წლებში. საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ახსნილია ოსმალების, შემდეგ ინგლისელების ექსანტისა და დენიკინელთა საქმიანობის ძირითადი მიზნები. ნაშრომში წინა პლაზაზეა წამოწეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები, ქართული ორიენტაციის პოლიტიკური მიმდინარეობების, მეტადრე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დონისძიებები აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის (ზოსიძე ნ., 1995).

ნაშრომის მეცნიერული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მთლიანად აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულ ფონდებშია მოძიებული. ამ მასალების გამოყენების საფუძველზე ავტორს სხვა სამეცნიერო სტატიურიც აქვს გამოქვეყნებული.

მაღალმოთიანი აჭარის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, განათლების სისტემის საკითხებს ეძღვნება ვახტანგ მაკარაძის წიგნი „გამონათლევის გამონათება.“ შრომისმოყვარეობით, ენთუზიაზმით და მეცნიერული პასუხისმგბლობის გრძნობით გამორჩეული ავტორი თავის წიგნში აღნუსხავს მარეთის ხეობის ისტორიის ფურცლებს, მკითხველს აცნობს მის დაბირინთებს ერთი კეთილმობილური იდეით - არ იქნას დავიწყებული წარსული, დაფასდეს წინაპართა დვაწლი. ვ. მაკარაძე დიდხანს მუშაობდა აჭარის ცენტრალურ არქივში, რამაც შესაძლებლობა მისცა გამოევლინა და მკითხველი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა იმ ასეულობით პედაგოგის დვაწლი და დამსახურება, რომლებიც აჭარაში მოავლინეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და

მოსახლეობის სწავლა-განათლებას მოახმარეს თავიანთი შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი (მაკარაძე ვ., 2006). პრაქტიკულად ეს იყო „კულტურული და გოგიური ლაშქრობა“, რამაც მოგვიანებით შესაძლებელი გახადა ადგილობრივი კადრების მომზადება. წიგნში საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია შუახევის რაიონის თითოეულ სოფელში მოვლენილი მასწავლებლის გვარი, სახელი, სხვა მონაცემები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მონოგრაფია მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს განათლების სისტემის ისტორიით დაინერესებულ მკვლევარებს.

თემსაბჭოების, კოლეჯურნეობების, არტელების ჩამოყალიბების საკითხებს მარეთის ხეობაში (შუბნის მაგალითზე) ეძღვნება შოთა ცეცხლაძის წიგნი „შუბანი და შუბნელები“. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა არქივი განყოფილების გამგის თანამდებობაზე, პარალელურად კრებდა მასალებს აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. მან თავი მოუყარა უამრავ ფაქტოლოგიურ მასალას, საარქივო დოკუმენტს, ცნობებს, რომლთა შეჯერებისა და ანალიზის საფუძვლზე დაიწერა მისი ეს გამოკვლევაც. მასგე ეკუთვნის ნაშრომი აჭარის ქალაქებისა და დაბების ქუჩების სახელეწოდებების შესახებ (ცეცხლაძე შ., 2008), რომელიც მ. ჭელიძის რედაქტორობით გამოიცა 2008 წელს.

აქტიურ სამეცნიერო მოვალეობას ეწევა პროფესორი თ. კომახიძე. ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მისი ავტორობით გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია, რომელშიც წარმოდგენილია არა მარტო რეგიონის, არამედ დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა თუ სკვერების, სახალხო მურნეობის ცალკეული დარგების ისტორია, გამოჩენილ აღამიანთა (ზ. ჭიჭინაძე, ივანე ანდრონიკაშვილი და ა.შ.) ღვაწლი და დამსახურება.

მდიდარ საარქივო მონაცემებს ემყარება აგრეთვე ს. ტაბაღუას, ჯ. კარალიძის, მ. მეგრელიშვილის, ნ. ვარშანიძის, ჯ. ვარდმანიძის, ც. ქათამაძის, ი. მანველიძის, ი. ბექირიშვილის, შ. ვარშანიძის და სხვათ ნაშრომები. ს. ტაბაღუამ თავის გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, ქართული ლეგიონის საქმიანობას და მისი ჭეშმარიტი მიზნების წარმოჩენას, სააშკარაოზე გამოიტანა მანამდე უცნობი ფაქტები და მოვლენები.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ბევრი ცნობილი და გამოჩენილი პიროვნება ეძიებდა დოკუმენტებს, საარქივო პირველწეროებით ამდიდრებდა ქართულ ისტორიოგრაფიას. ცხადია ვერ მოხერხდება ყველა მათგანის შრომების განხილვა. ჩვენი მიზანი იყო წარმოგვეზინა სამეცნიერო გამოკვლევებში საარქივო პირველწეროების გამოყენების როლი და მნიშვნელობა. ბოდიშს ვუხდით ყველა მკვლევარს, პროფესიონალ მეცნიერსა თუ სამეცნიერო ხარისხის მაძიებელს, რომელთა სახელები ვერ მოხვდა წარმოდგენილ პუბლიკაციაში. გვჯერა, რომ ისინი დიდსულოვნად გვაპატიებენ და კვლავაც საქმის სიყვარულით გაგრძელებენ მუშაობას ახალი საარქივო დოკუმენტების გამოვლენისა და გამოყენების თვალსაზრისით.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ს. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ – დასავლეთ საქართველოში, ბათ, 1956;
2. ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX ს. 70-80 იანი წლები), ბათ, 1991;
3. ი. ბარამიძე, ქართულ ოსმალური ურთიერთობები XIX ს. I მესამედში, ბათ, 2005;
4. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფილის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1926-1932წწ. ბათ, 1980;
5. ს. გერსამია, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1960;
6. ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ბათუმის ოლქში 1910-1918, ბათ, 1999;
7. ო. გოგოლიშვილი ბათუმის ოლქი 1908-1914 წლებში, ბათ, 1998;
8. ო. გოგოლიშვილი სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წწ. ბათ, 2005;
9. ო. გოგოლიშვილი სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა გურიასა და ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, ბათ, 2003;
10. ს. დუმბაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ბათ, 2006, „საბედისწერო მგზავრობა“ თბ. 2007; „სახელოვანი ხიხანელი“, თბ. 2008;
11. ს. ზოსიძე, „პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წწ., ბათ, 1995;
12. ო. თურმანიძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომის შემდგომ პერიოდში (1946-1980წწ.), ბათ, 2005;
13. გ. მაკარაძე, გამონათლევის გამონათება, ბათ, 2006;
14. ე. მესხია, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან“, ბათ, 1997;
15. ე. მესხია, საქართველოს ერთიანობის მედროშე“, ბათ, 1999; „საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში“, ბათ, 2004;
16. გ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958;
17. მ. სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ბათ, 1998;
18. მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წწ. ბათ, 2002;
19. 6. სკამპოჩაიშვილი, ხელნაბეჭდი;
20. აბ. სურგულაძე, ბათუმის ისტორიისათვის, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ. 1965;
21. აბ. სურგულაძე, მალხაზ სიორიძე, პორტოფრანკო ბათუმში, ბათ, 1996;
22. ე. ცივაძე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბათ, 1970;
23. შ. ქურიძე, მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათუმი 1970;
24. ლ. ჩიქოვანი, ნ. ცეცხლაძე. რეაბილიტაცია, ბათ, 1990;

25. შ. ცეცხლაძე, აჭარის არ ქალაქების და დაბების ქუჩათა ძველი და ახალი სახელწოდებები, ბათ. 2008.

*Tamaz Putkaradze*

*Primary Source in Archival Research Science Works*  
**Summary**

Country's past and its history can't be study without written sources. By this view, special is the meaning of archival documents. In article is discussed depicting scientific works of South-West Georgia History, which is based on protected documents in Archives Administration.

## მერაბ მეგრელიშვილი

### ბათუმის აღმაშენდოების ნივთების სახელმის ტაძრის ისტორიიდან

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე დაისვა კითხვა: იყო თუ არა დასანგრევი ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი. მიმაჩნია, რომ ტაძართან დაკავშირებით ყოველგვარი შეკითხვის დასმა ასეთი ფორმით არასწორია. ქალაქის ცენტრში, ზღვის სივრცით გარემოში არსებული ტაძარი გამოირჩეოდა არქიტექტურული სილამაზით. ამის შესახებ ბევრი დაიწერა. ხელოვნებათმცოდნებმა მაღალი შეფასება მისცეს ყოფილ ტაძარს, რასაც გვიდასტურებს დღემდე შემორჩენილი ტაძრის ფოტოსურათები. მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ტაძრის სახელით ბათუმში რუსიფიკატორული პოლიტიკა წარმოებდა.

1908 წლის 17 მარტს გამართულ ბათუმის სათათბიროს სხდომაზე დეპუტატმა ო. ცენდეკოვმა (სასულიერო სფეროდან) დასვა საკითხი ალექსანდრე ნეველის სახელობის „სობორო“-ს ეპარქიისათვის გადაცემის შესახებ. ამის წინააღმდეგ გამოვიდა საზოგადოების ერთი ნაწილი და მოითხოვა ტაძრის გადაცემა სამხედრო უწყებისთვის.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, „სობორო“ შენდებოდა არა სამხედრო, არამედ სამოქალაქო პირთა მიერ. ბათუმის ტაძრისგან განსხვავებით თბილისის სამხედრო ტაძარი შეიძლება ყოფილიყო სამხედრო უწყების კუთვნილება, რადგან იგი აშენდა სამხედრო უწყების თანხებით.

ზემოთადნიშნულ სხდომაზე დეპუტატმა ლ. ქიქოძემ სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ტაძარი აშენდა ქალაქის ცენტრში მრევლისთვის და უსაფუძვლოა მოქალაქებისგან იქ შესვლისთვის ქალაქის კომენდანტის ნებართვის აუცილებლობა. სხდომაზე კრანიცკიმ ყველა კითხვას გასცა პასუხი. მან განაცხადა, რომ სამხედრო ტაძარი აშენდა ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შეერთების აღსანიშნავად (აცსა, ფონდი ი-7, ანაწ. 1 ს, 476 ფ. 10) სინამდვილეში ტაძრის მშენებლობა უკავშირდება 1888 წელს რუსეთის მეფის ალექსანდრე III-ის ვიზიტს ბათუმში. მისი უდიდებულესობის, რუსეთის იმპერატორის ბათუმში დასვედრისა და მიღების კომიტეტის თავმჯდომარე სტატს სოვეტნიკი გავრონსკი 1888 წლის 16 სექტემბერს იუწყებოდა, რომ კავკასიის მხარეში იმპერატორის სამოგზაურო მარშრუტის საფუძველზე მისი უდიდებულესობა დაესწრებოდა ფოსტა-ტელეგრაფის შენბის წინ არსებულ მოედანზე ახალი ტაძრის საძირკველის ჩაურას („რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“, დოკუმენტების კრებული, 2010: 7)

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის მრჩეველს გავრონსკის აძლევს ბრძანებას, რომ ბათუმში რუსეთის იმპერატორის მაღალ დონეზე მიღება-შეხვედრის მიზნით შედგეს ბათუმის საპატიო მოქალაქეებისა და უმაღლესი სამოქალაქო წოდების მქონე ადამიანების სია. ბათუმის საპატიო მოქალაქეებს შორის იყვნენ: ისმაილ ბეგ აბაშიძე, იბრაიმ ბეგ აბაშიძე, დიმიტრი გურგენიძე, ილია გვარამაძე, პავლე ჭყონია, ლეონიდე გრიგოლია, ლეონიდე ქიქოძე, ივანე ავალიანი, ყარამან მელაძე, სიმონ ყიფიანი, პეტრე ლლონგი, ნიკოლოზ ჩახუა (აცსა, ფონდი ი-6, ანაწ. 1, ს. 9 ფ. 230).

რუსეთის იმპერატორის ბათუმში ჩამოსვლასთან დაკავშირებით თვითმმართველობამ არქიტექტორ ცეზარევიჩის ხელმძღვანელობით შეადგინა ქალაქის გალამაზებისათვის საჭირო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ზღვისპირა პარკში შესასვლელი კარიბჭის, “ბესეტკისა” და მესრული დობის მშენებლობას (აცსა, ფონდი ი-9 ნაწ. 1 ს. 17 ფ. 39).

ამავე დროს მოწესრიგდა და გალამაზდა ქუჩები, ბაღები, სკერები, განსაკუთრებით ის გზები, სადაც უნდა გაევლო მის აღმატებულებას. თვითმმართველობის სხდომაზე განიხილებოდა საკითხი რუსული წესისა-მებრ იმპერატორის დახვედრისათვის საჭირო პურისა და მარილისთვის განკუთვნილი სპეციალური ჭურჭლის დამზადების შესახებ. სპეციალურად დამზადდა იმპერატორის მეუღლისთვის განკუთვნილი ყვავილების ლარნაკი. იმპერატორის ჩამოსვლის დღეს ქუჩაზე გამავალი ყველა ფანჯარა უნდა ყოფილიყო განათებული.

მთავარი კითხვა მაინც იმაში მდგომარეობს, თუ ტაძრის სახელით რა საქმიანობას ეწეოდნენ რუსი მოხელეები. დასმულ კითხვას სავსებით სამართლიანად პასუხობს აჭარის სახელმწიფო ორქიის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ გამოცემულ დოკუმენტების კრებულში - „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“- დაბეჭდილი 1914 წელს სამხედრო-სასულიერო პირთა ყრილობაზე დამტკიცებული სამოქმედო პროგრამა. მოცემული პროგრამის საფუძველზე შედგენილი იყო ინსტრუქცია, რომლითაც კონტროლდებოდა მდვდელმსახურის ყოველი ნაბიჯი. ღვთისმსახურებას სამხედრო ტაძარში განსაკუთრებული ემოციური ზეგავლენა უნდა მოეხდინა მრევლზე, მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოძღვრების სწავლებას, საეკლესიო ქადაგებას სამხედრო ყაზარმაში. პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და რუსული სამხედრო მუნიციპალიტეტის თვალსაზრისით რელიგიური ნიშნით უნდა წარმართულიყო რუსეთის ისტორიის სწავლება. სამხედრო მესვეურთა მიერ მთელი რიგი ღონისძიებები იყო დასახული მდვდელმსახურთა გასაერთიანებლად სამხედრო ხელმძღვანელობასა და ოფიცერთა შემადგენლობასთან, რათა ერთობლივი მუშაობით აემაღლებინათ სამხედრო მოსამსახურეთა განათლება, რწმენა და ერთგულება რუსეთის მეფისა და სამშობლოსადმი. დრო და დრო იხვეწებოდა მოსახლეობაზე ზემოქმედების ფორმები და საშუალებები. ყოველდღიურად რუსი ოფიცრებისთვის იმართუბოდა საღვთისმეტყველო კითხვა. ყოველივე ამას კი ემსახურებოდა ტაძართან არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ამრიგად, აჭარის სახელმწიფო ორქივში დაცული დოკუმენტური მასალებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძართან არსებული სხვადასხვა სახის დაწესებულებები აშკარად ემსახურებოდნენ ცარიზმის იმპერიულ ინტერესებს.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აცსა ფონდი ი-7 ანაწ. 1 ბ. 476;
2. აცსა ფონდი ი-6 ანაწ. 1 ბ. 9, ს. 17;
3. „რელიგიური დაწესებულებები აჭარაში” (დოკუმენტების კრებული)  
ბათუმი 2010.

***M. Megrelishvili***

### ***From the history of Batumi Aleksandre Nevel Temple***

#### **Summary**

Batum Aleksandre Nevel Temple was performing important architectural memorial.  
In article are discussed issues of denoted memorial's functions and building history.

## ფრიდონ ქარდაგა

### საქართველოს ოპუბაციის საკითხისათვის

საქართველოში არალეგარულად გავრცელდა კოლაუ ნადირაძის ცნიბილი ლექსი, წინასწარმეტებელის გოდებასავით რომ მოედო თბილის: ”თოვდა და თბილის ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი”... თოქოსდა პირუთვნელად შეეგრძნო პოეტს სიტუაციის ის სიმძაფრე, პოლიტიკოსებიც რომ ვერ აღიქვამდნენ ჯეროვნად. 16 თებერვალს დაწყებულ რუსეთის ინტერვენციის 21-ში ძლივს რომ უწოდეს ნამდვილი სახელი: ”ირკვევა რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხნიდან პქონია განზრახვა საქართველოში გადატრიალება მოეხდინა და საბჭოთა ხელისუფლება გამოიცხადებინა” - აცხადებდა ნოე ეორდანია 21-ში. ამ დროს კი ნამდვილად გვიანი იყო, შეულავერის საოკუპაციო მთავრობა უკვე ჩასახულიყო, მე-11 არმია თბილის უახლოვდებოდა, აფხაზეთში რუსები დაქროდნენ, თურქებს ახალციხი დაეპყროთ და 23-ე დივიზია მამისონის მოსდგომოდა. თოვდა, ყინავდა, ბურუსი იდგა, მაგრამ რუსს რა გააჩერებდა თუ კი მცირედი შანსი მაინც იყო საქართველოს დაპყრობის? გთავაზობთ ნაწყვეტებს საქართველოს ოკუპაციის მონაწილე ორი ადამიანის მემუარებიდან. ერთი ასახავს რუსების თავდასხმას მამისონის მხრიდან მეორე კი აფხაზეთიდან, ადლერიდან დაწყებულ ოკუპაციას. :

“33 დივიზიის 98 მსროლელი ბრიგადის 292-ე პოლკის მეთაურის ივანე ნიკიტას ძე ზოლოტოვის მოგონებები:

“... 1921 წლის თებერვალი... ქარაშოტიანი, თოვლიანი, ყინულიანი თებერვალი.

წითელი არმია შეუკავებლად იჭრება წინ, აცამტვერებს რა ყველაფერს გზაზე, მტკიცედ ამაგრებს ოქტომბრის მონაპოვარს.

აჯანყებულებს უჭირდათ, საქართველოს მენშევიკური მთავრობა უკათეს პირობებში იყო.

წითელი არმიის ერთ-ერთი პოლკი, რომელმაც პირველმა მიაშურა აჯანყებულებს დასახმარებლად იყო 292 წითელი პოლკი, რომელსაც მე გმეთაურობდი.

თერგის წითელი არმიის 98 მსროლელი ბრიგადის 292 პოლკს, ბრძანებით, წილად ხვდა ურთულესი სამხედრო ამოცანა: გადაელახა მამისონის უდელტეხილი თებერვლის თვეში, ქარიშხლის, ზეგავისა და ყინვის პერიოდში.

აღგილობრივი მცხოვრებლების მიერ დიდი ხანია შესწავლილი და დამტკიცებულია, რომ მამისონის უდელტეხილი ამ პერიოდში გადაულახავია.

ჩვენთვის მაშინ, ადგილობრივთა მთელი გამოცდილება, მთელი მათი მტკიცება არაფერს არ წარმოადგენდა. ტვინის ცენტრში ჩვენ გვეხმდა საომარი ბრძანება: დაუყოვნებლივ გაგვიწვდინა ხელი აჯანყებულ ქართველ მუშებისა და გლეხებისათვის.

1921 წლის 19 თებერვალს, 98-ე ბრიგადა ამ სამხედრო დავალების შესასრულებლად დაიძრა მინერალური წყლებისკენ.

მაშ, ასე ჩვენ მივდივართ.

20 თებერვალი. პოლკი უკვე სადგურ დარიკოხთანაა.

22-24 თებერვალი. პოლკი უკვე სადგურ ალაგირსკისთანაა.

25 თებერვალი. პოლკმა უკვე მიაღწია სოფელ ტიბისს, საიდანაც იწყება მზადება მამისონის ულელტეხილის გადასალახავად...

27 თებერვალს 3 საათზე პოლკმა გაიარა ლიპი, კამანჩეუ მამისონის მიმართულებით.

ამინდი იყო თოვლიანი.

ჩვენ გავიარეთ ვიწრო ხეობა მდინარე არდონის მიმართულებით, ჩრდილოეთ ოსეთის სოფელებსა და ხუტორებში, მიგაღწიეთ წმინდა ნიკოლოზის ხუტორს. იქ დავბანაკდით დამის გასათევად, ლია ცის ქვეშ. შენობები არ იყო, ხოლო კარვები არ გვქონდა.  $40^{\circ}$  –იან ყინულზე ჩაით ვთბებოდით. ასე მივაღწიეთ ტიბისს.

სამი დღე ვებრძოდით თოვლსა და ზვაგს, ვწმენდით გზას და ასე მივწევდით.

განსაკუთრებით ძნელი იყო ბუნებრივი მთების გარჩევა, თოვლისგან შექმნილი მთებისგან. თუ შეგეშლებოდა, დროებითი მთა ჩაინგრეოდა და ჩაგიტანდა უფრსკულში.

27 თებერვალს ჩვენ მივაღწიეთ საშიშ გოლიათს მამისონის ულელტეხილს, ოსეთისა და საქართველოს საზღვარს. ქარბუქი არ წყდებოდა.

პოლკს დაღუპვა ემუქრებოდა. გამოსავალი ერთი იყო: ან დაღუპვა აქ, ქედის მწვერვალზე ან, დაშვება ქვემოთ, უფრსკულსა და წკვარამში.

და მაშინ მე გადაეჭვიტე: თავქვე დაშვება სიბნელეში და უფრსკულში. დასახულ მიზანთან როგორდაც ახლოს ვიქნებოდით მაინც. საკითხი გადაწყვეტილია-ბრძანება გაცემული: ავილოთ შაშხანები, გადაგაჯდეთ და დავეშვათ ქვემოთ. პირველად შაშხანა მე ავიდე. ჩემმა მაგალითმა იმოქმედა მეომრებზე და კომშემადგენლობაზე. და აი შაშხანებზე გადამჯდარი პოლკი მიექანება ქვემოთ: წკვარამშა და უფრსკულში."

ამ მემუარებიდან ირკვევა, რომ ჰქონდა რაღაც გამართლება კვენეტაძის გეგმას. იგი ფიქრობდა, რომ თუ თბილისს არ დატოვებდნენ, ალყაში მოექცეოდნენ, თუმცა მეორე მხრივ, ეტყობა ვებერთელა იმპერიის ყოფილმა გენერალმა ვერ გაითვალისწინა მაშტაბებით: თუ როგორ იმოქმედებდა ქართველ მებრძოლზე თბილისის დაკარგვა, რომ ეს არ იქნებოდა ქართველებისთვის მხოლოდ ჯარის დისლოკაციის ადგილის შეცვლა. თუმცა, ალბათ ამ გადასახედიდან ადვილია იმის კიუინი, რატომ ვერ შეინარჩუნე თბილისი. რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფო ერთდროულად გვებრძოდა და მთელი მსოფლიოს დიპლომატია-



ქართველი ოფიცრობა

სა და ხელისუფლებას დე-ფაქტოცა და დე-იურეც საქართველო დათმობილი ჰქონდათ საბჭოთა ტირანიისთვის.

რაც შეეხება მეორე მოგონებებს, ის ეკუთვნის პოლკოვნიკ ლევ ფიორორის ძე დემინს. მემუარები დათარიღებულია 1966 წლით და ეწოდება “1921 წლის ომი საქართველოსთან.”:

“1921 წლის ოქტომბერში 31-ე მსროლებლი დივიზიის, 271-ე მსროლებლი პოლკი განთავსებული იყო ადლერში, შავი ზღვის სიახლოეს. სამოქალაქო ომი დამთავრებული იყო... მაგრამ ჩვენ მზადყოფნაში უნდა ვყოფილიყავთ: აქვე იყო საზღვარი საქართველოსთან - რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები და მათი მსარდამჭერი ინტერვენტები საფრანგეთიდან და ინგლისიდან. შესაძლებელია ყოველნაირი მოულოდნელობანი.... მე და ჩემი მეგობრები ვიყავით ახალგაზრდები, ჩვენ არ გაგალელებდა სიმნელეები, შიმშილობა, ცუდი აღჭურვილობა...”

ულუფა მაშინ იყო ძალიან “თხელი” : დღეში ფუნტი პური, ცოტა ხორბალი ან ოსპი, იშვიათად ხორცი, უფრო იშვიათად შაქარი და წერო. ჩვენ არასოდეს არ ვძლებოდით. გვეცვა საზაფხულო ფორმა, შინელის ნაცვლად ზოგს ჯუბა, ზოგს შინელის მაუდის ქურთუები.

ჩექმები კი მიუღწეველ ოცნებას წარმოადგენდა.

იანვრის დასაწყისში, ჩვენი პოლკის მესამე ბატალიონი ადლერიდან სოფელ ველიამინოვკაში გადაიყვანეს, მდინარე მიბადან აღმოსავლეთით, 30 კილომეტრში, რომელიც წარმოადგენდა საქართველოსთან საზღვარს. ასე გაიარა კიდევ ერთმა თვემ. და აი 12 თბერვალს, ყველა წითელარმიელს მიეცა ბრძანება დაბრუნებოდა მწყობრს.... 13 თბერვალს ველიამინოვკაში მოელმა პოლკმა მოიყარა თავი. ჩვენ გვეუბნებოდნენ რომ საქართველოში მდგომარეობა არ იყო მშვიდი, თუმცა თუ რა ხდებოდა იქ არავინ იცოდა.

ჩვენ ვიდექით საქართველოს საზღვართან რომლის ხელისუფლების სათავეშიც იდგნენ მენშევიკები ნოე ქორდანიას მეთაურობით. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ეს ნოე ქორდანია არის მუშების მტერი; რომ საქართველო თითქოსდა დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არის სრული ფიქცია და რომ ქართველ ხალხს არ უნდა დამოუკიდებლობა და ჯიუტად მიიწვეს მომე რუსი ხალხისკენ. თუმცა ჩვენს მთავრობას დიპლო-მატიური კავშირი ჰქონდა მასთან და ტიფლისში ჩვენ პოლიტიკურ წარმომადგენელი იყო კიროვი, რომ რუსი ხალხი ყოველთვის ეხმარებოდა ქართველ ხალხს.

მენშევიკ ჯალათებს ეხმარებოდნენ ინგლისელები და ფრანგები. ბათუმში ჩამოსხდა ფრანგული არმიის დესანტი ( ნეტა ყოფილიყო ფ.ქ.). ბათუმის, სოხუმის, ფოთის და გაგრის რეიდზე იდგა ფრანგული და ინგლისური ფლოტი. აჯანყებას მძიმე წუთები უდგა.

... ჩვენ ახლა გამოვალთ და წავალთ ქართულ მიწაზე. მტერი გაგვი-წევს წინააღმდეგობას, მაგრამ ჩვენ მას დავამსხვრევთ და გავანადგურებოთ... მოგვიწოდებდა მეთაური...

სოფელი ველიამინოვკა მდინარის გასწვრივ მდებარეობდა და ამიტომ მისი გადალახვა გვიწევდა რათა საქართველოს ტერიტორიაზე შევსულიყავით. ამ ადგილზე საზღვარი საქართველოს მხრიდან თითქმის არ იყო დაცული. ქართული არმიის ძირითადი ძალები თავმოყრილი იყო პილენებოვს რაიონში, რომელიც წარმოადგენდა ბეტონის ნაგებობებით გამაგრებულ კვანძს, ძლიერი არტილერიით. ამ მიმართულებით ადლერის მხრიდან შავი

ზღვის შოსეს გაყოლებაზე უნდა ემოქმედა 272-ე და 273-ე მსროლელთა პოლკს დამატებითი ნაწილებითურთ. მათ ამოცანას წარმოადგენდა გამაგრებული ხაზის გარღვევა პილენეოვოსთან და ჩქარი სელა გაგრისკენ.

ჩვენი პოლკი მიემართებოდა მოწინააღმდეგის მთავარი ძალების შემოფლით გაგრის შესასვლელისკენ, დავალებით მოგვეჭრა მისოვის უკანდასახევი გზა, სხვა პოლკებთან და დივიზიებთან ერთად გაგვენადგურებინა პილენოვოს დაჯგუფება და შემდეგ ფორსირებული მარშით გვემოძრავა სოხუმისა და ფოთისკენ.

.... ჩვენ დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი ათი შეიარაღებულ ადამიანი.. ოოგორდაც ჩვენთვის უცნობი სამხედრო ფორმით. ესენი იყვნენ ქართველი ჯარისკაცები. რას იზამ, ვერ იტყვი რომ ეს ჯარისკაცები ცუდად გამოიყურებოდნენ. განსხვავებით ჩვენი ჭრელი ტანსაცმლისაგან ქართველი ჯარისკაცების ფორმა ერთნაირი იყო: აქლემის ტყავის ჟღალი ქურთუკები ბრწყინვალე დილებითა და მიწისფერი სამხრეებით; ინგლისური მაუდის მიწისფერი შარვალი და ტოლალები, ყვითელი წალები, ყვითელი ნაძიის მრგვალი კოკორდიანი ქუდი.

.... და აი, ჩვენს წინ იშლება სანაპიროს პანორამა. ჩვენგან მცირედით მარჯვნივ მთებიდან ჩანს ქალაქი, გაჭიმული სანაპიროს ვიწრო ზოლში. ყველაფერი ხელისგულივით ჩანს: სახლები, სასახლეები, ქუჩები, გამზირები. შორს რეიდზე ორთქმავლები იბოლქვებიან. მათი შემხედვარე მიხვდები, რომ ესენი სამხედრო ხომალდებია. შავ ზღვაში ჩვენი ფლოტი არაა. ქართველებს ფლოტი არ ყავთ, ეს იგი ეს გემები ინტერვენტების- ინგლისელებისა და ფრანგებისაა. ( კაცი სხვა ქვეყანას იპყრობს და ინტერვენტს სხვას უძახის?! არა მართლაც არაფერი შეცვლილა ასი წლის მანძილზე არც რუსეთის ხელისუფლების ცნობიერებაში და არც....)

დასახლების ცენტრში ჩვენ დავინახეთ ავტომობილი, რომელთანაც იდგა რომელიდაც მეთაური, თასმაზე მიმაგრებული ჭოგრიტით. ხელი ასწია, დასავლეთისკენ გაიშვირა და იყვირა:

—ჩქარა, ჩქარა ბიჭებო! გონს მოსვლა არ აცალოთ! წინ სოხუმისკენ!  
ეს იყო ჩვენი დივიზიის მეთაური პასკევიჩი.”

ვერაფერს დაამატებ, მას შემდეგ მოდიან და მოდიან სოხუმისაკენ, ფოთისკენ, თბილისისკენ, “არც არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დაგიწყნიათ”. მოკლედ ასი წლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა, ისევ ქართული ტანსაცმელი, აღჭურვილობა და პირობები უკვირთ რუსებს და ისევ ქართველ მებრძოლებს დასცინიან... თუმცა ეს სხვა თემაა. ახლა კი ისევ ძირითადს რომ დაგუბრუნდეთ, საოცრად სინქრონულად გვიტვდა რუსეთი: 23 თებერვალს ყუბანის არმიამ ჩერნიშევის მეთაურობით აიღო გაგრა, ლიხნი და გუდაუთა, ამავდროულად მოადგნენ მამისონს 23-შე დივიზიის, 98-ე ბრიგადის ჯარისკაცები. 28-ში აიღეს ონი და გაგრა ისევ თავიდან (არის ერთი საინტერესო ინფორმაცია: თითქოს ფრანგულმა გემმა დაუშინა ჭურვები გაგრას, რითაც ისარგებლეს ქართველებმა და აიღეს ქალაქი, ამიტომაც დასჭირდათ რუსებს ხელახლა გაგრის აღება. თუ გავითვალისწინებო მემუარებს, აღბათ საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე). 4 მარტს 31-ე მსროლელი ბრიგადის ნაწილებმა აიღეს სოხუმი და გამოაცხადეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. 28 მარტს რუსეთის კომბარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ასე, რომ მედვედევ-აუგინის მიერ აფხაზეთის აღიარება რუსეთისთვის არახალია, და თუ საქარველო არ

დაუშვებს შეცდომებს ამ მეორე აღიარებასაც იგივე ბედი ეწევა რაც პირველს. იმავე წლის 16 დეკემბერს საინტერესო ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ს შორის, რომლითაც აფხაზეთის სსრ შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით. ოკუპანტებს შეეშინდათ საერთაშორისო გართულებების და დაუბრუნეს აფხაზეთი საქართველოს, თუმცა მთელი საქართველო დაიპურეს და ცალკე აფხაზეთზე არ უდირდათ ტვინის ჭყლება. მითუმებეს, რომ ორი თვით ადრე 13 ოქტომბერს უკვე ერთხელ გაძარცვეს საქართველო და ყარსის ხელშეკრულებით მთელი არდაგანი დაათმობინეს. როგორც რომაელები იტყოდნენ, თუ რომაელებს ეტყოდნენ დამპურობლები : “ვაი დამარცხებულს!” ...

და რაოდენ საცნაურიც არ უნდა იყოს “დუმდა სიონი და დუმდა ხალხი,” კაცობრიობასაც დავიწყებოდა საქართველო თითქოს და ღმერთსაც.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გიორგი მაზნიაშვილი “მოგონებები”. ბათუმი 1990

### ***Fridon Kardava***

#### ***For issue of Georgia occupation Summary***

Soviet occupation issue always was in Georgian historians scientific interests sphere. In article by documental sources are discussed events of February-March 1921, by Soviet Russia occupation of Georgia and annexation important issues.

## მერაბ მეგრელიშვილი, შოთა მახარაძე

### 1874-1911 წლებში გათუმისა და ართვინის ოლქის სახელმწიფო მმართველობითი მოწყობის და ბათუმის საგაზუშო მიზანის შესახებ

1878 წლის 15 ივნისის რუსეთსა და თურქეთს შორის რატიფიცირებული ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლით ოსმალეთმა რუსეთის იმპერიას დაუთმო ბათუმის ტერიტორია.

1878 წელს ბათუმში შემოვლისას რუსებს დახვდათ დღევანდელ თავისუფლების მოედანზე მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში არსებული აზიზიეს მეჩეთი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია და გურიელის სასახლე.

1878 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის ბრძანება ბათუმისა და ართვინის ოლქების დროებით გამგებლობის შესახებ.

ბათუმის ოლქი შეიქმნა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობიდან.

ბათუმის ოლქი სამხედრო და ადმინისტრაციულ დარგში დაუქვემდებარეს კავკასიის არმიის სარდლობას, ხოლო ადგილზე მართვა-გამგეობას ახორციელებდა ქალაქ ბათუმის სამხედრო გუბერნატორი. მისი მოადგილე განაგებდა საოლქო სასამართლოს.

ბათუმი საპორტო ქალაქად გამოაცხადდა. ქალაქ ბათუმის მართვა-გამგეობა თავდაპირველად რუსეთის საპორტო ქალაქ პეტროვსკის მმართველობის წესებისამებრ მოაწყვეს. ბათუმის ოლქი დაყვეს სამ მხარედ, ხოლო თითოეული მხარე კი სამ კუთხედ, კერძოდ: 1. ბათუმის ოლქი – კინტრიში, ბათუმი, გონიო. 2. ართვინის ოლქი – ართვინი, არტანუჯი, შავშეთიმერხევი. 3. აჭარის ოლქი – ზემო აჭარა, ქვემო აჭარა და მაჭახელი.

რუსეთის ხელისუფლების მთავარ მიზანს ბათუმის ოლქში წარმოადგენდა სიმშვიდის შენარჩუნება და მისი გადაქცევა რუსეთის იმპერიის ნაწილად. რუსეთის იმპერიის მიერ მიღებული საერთო კანონების საფუძველზე ადგილობრივი მცხოვრები ისჯებოდნენ რუსეთის სახელმწიფოს დალატისათვის, სამხედრო აჯანყებისათვის. მათვის არასასურველ პირებს ოლქიდან ასახლებდნენ. უამრავი პატრიოტი აიძულეს დაეტოვებინათ სამშობლო. ყოველ ოლქში განათავსეს ერთი ფეხოსანი და ერთი ცხენოსანი ასეველი.

რუსეთის მოსახლეობას მისცეს ბათუმისა და ქარსის ოლქების თავისუფალ მიწებზე დასახლების უფლება.

1878 წლის 11 დეკემბრის კავკასიის ოლქის უფროსის მოადგილის გენერალ – აღიუგანტ სვიტოპოლსკ მირსკის ბრძანების საფუძველზე მიიღეს ბათუმისა და ყარსის ოლქებში სასამართლოს მოწყობის დროებითი წესები, რომელიც შესაბამისობაში იყო სასამართლო უწყების შესახებ რუსეთში 1864 წლის 20 ნოემბერს მიღებულ კანონთან. ბათუმის ოლქი დაუქვემდებარეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს, ხოლო ყარსის კი ერევნის საოლქო სასამართლოს. რუსების მიერ მიღებული კანონის საფუძველზე განსაკუთრებული სასჯელი იყო დაწესებული ჩადენილ დანაშაულზე რწმენისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ. (აჭარის არ არქივი, ფონდი ი-81, ანაწერი 1, საქმე 1, გვ. 129)

1900 წლის 3 სექტემბრს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა აუცილებელ და რუსეთისათვის სასამართლო საქმედ მიიჩნია ბათუმისა და ართვი-

ნის ოლქების გამოყოფა ქუთაისის გუბერნიიდან. სამხედრო გუბერნატორი საჭიროდ არ თვლიდა სოხუმის ოლქის მიერთებას შავიზღვისპირეთის გუბერნიასთან. რუსეთი ხელს უწყობდა აფხაზეთის გამოყოფას დანარჩენი საქართვლოსგან და ამით აფხაზებში აძლიერებდა სეპარატისტულ განწყობას. რუსები ამას ხსნიდნენ აფხაზი მოსახლეობის რუსეთისადმი კეთილი განწყობის, აფხაზების განსხვავებული ცხოვრების წესის, ისტორიული წარსულის, მიწათმოწყობის და ოლქის მმართვის ზოგადი პრინციპების შეუთავსებლობით საერთო წესებთან. აქედან გამომდინარე რუსები მოითხოვდნენ სოხუმის ოლქის განსაკუთრებულ მოწყობას.

რუსები ბათუმის და ართვინის ოლქის სახელმწიფო მმართველობითი მოწყობის ფორმებს უსადაგებდნენ ურალის გუბერნიის მმართველობით ფორმებს, ხოლო ბათუმში განსახორციელებელი მიწათმოწყობის რუსული კანონი აღებული ჰქონდათ რუსეთში ჯერ კიდევ 1864 წელს მიწის რეფორმების დროს მიღებულ კანონთან.

რუსეთსა და თურქეთს შორის დადგებული კონსტანტინეპოლის ტრაქტატის მიხედვით თურქეთმა ბათუმის ოლქის მიწები გადასცა რუსეთს. რუსეთის ხელისუფლებამ ბათუმში არსებული მიწები რუსეთის სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა.

რუსეთის იმპერიასთან ბათუმის ოლქის მიერთების შემდეგ, 1879 წლის 11 ივნისს პოლკოვნიკმა ფრეიერმა კავკასიის არმიის ხელმძღვანელს წარუდგინა მოხსენება „ბათუმში მიწათსაკუთრების შესახებ“, სადაც მოითხოვდა სავაუუფო მიწების ქალაქის თვითმმართველობისათვის გადაცემას. გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლსკ მირსკის თანხმობის შედეგად სავაუუფო მიწები გადავიდა ქალაქის საკუთრებაში. აზიზიესა და ერგეს მეჩეთების სავაუუფო მიწები გასახელმწიფოვდა და შეუერთეს ქალაქს. რუსეთის ჯარის მიერ ბათუმის დაკავების შემდეგ, თავდაპირველად აზიზიეს მეჩეთის სავაუუფო ქონება გადაეცა პოლიციურ სამმართველოს და ამას ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ ეს მეჩეთი გამოყენებული იყო სამხედრო დანიშნულებისათვის. რუსების მიერ აზიზიეს მეჩეთის უძრავი ქონება შეფასდა 3-4 მილიონი რუსული რუბლით. რუსების მიერ ნაადრევად მიღებული გადაწყვეტილება არ გამართლდა, რადგან სავაუუფო სამართლი რელიგიური ნიშნის მიხედვით აკანონებდა საკუთებას კერძო და საზოგადო სარგებელში. ამიტომაც იკრძალებოდა მისი გაყიდვა და გადაცემა სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. (Бар. Торнау «Особенности мусульманского права», 1880 г. проф. И. Нофали «курс мусульманского права» 1886 г.) ასე რომ რუსეთის სახელმწიფოს მიერ ახალი კანონის მიღებამდე სავაუუფო მიწების მიმართ გამოცხადებული გადაწყვეტილებები ცხადდებოდა უკანონოდ და იგი გადაეცა მათ მიერ არჩეულ მუსულმანურ კომისიას, მაგრამ ამ კომისიამაც დიდხანს ვერ იარსება. სავაუუფო მიწებთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ შემდეგი სახის გადაწყვეტილება მიიღო: Вакуфные имения в Карской и бывшей Батумской областях подчинить правилам, установленным нашим законодательством для Вакуфных имений у закавказских суннитов (продолж. 1876 г. Т. XI, Ч. 1, Уст. Иностр. исповед. прилож. к ст. 1143, примеч. 104-113) (აჭარის ა.რ. სახელმწიფო არქივი ფონდი ი-81, საქმე 1, რწ.1, გვ.79.)

ისინი ცდილობდნენ აგიტაცია-პროპაგანდის გზით ადგილობრივ მოსახლეობაში მიწაზე კერძო საკუთების უფლებების შეკვეცას. რუსეთის ხე-

ლისუფლება მოუწოდებდა მმარტველ ძალებს, რომ სოფლის მოსახლეობაში მიწის მესაკუთრეთა მიმართ შეექმნათ არასასურველი, მტრული განწყობა.

რუსები ადგილობრივი მოსახლეობიდან კატეგორიულად მოითხოვდნენ მხარდაჭერას და აცხადებდნენ, რომ ისინი არ ცნობდნენ სავაჭუფო საკუთრებას, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, ქალაქება თუ სოფელში, რადგან მათი ახრით ვაყუფი ქმნიდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად აცხადებდა რომ: „мусульманское духовенство есть безспорно самый опасный враг наш в деле упрочения нашей власти в присоединенном крае.» поэтому необходимо принять все меры к понижению его влияния на местное население, что и должно заключится прежде всего в недопущение его к землевладению в крае“ (აჭარის არ. სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-81, აღწერა 1, საქმე 1, გვ. 114) მათ ეს იმიტომაც აშინებდათ, რომ აჭარელი ბეგები არ ემორჩილებოდნენ არცერთ დამპურობს, არც თურქს და არც რუსს. საქართველოს დასაპურობად მოსული მტერი მიწაზე არსებულ კანონებს აუქმებდა და დასაკუთრების მისეულ კანონებს აწესებდა.

ახალშემოერთებულ ქვეყანაში რუსეთის ხელისუფლებამ კატეგორიული გადაწყვეტილება მიიღო: „С недвижимым имуществом в присоединенном крае должно быть поконченно раз навсегда“ (აჭარის არ. სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-81, აღწ. 1, საქმე 1, გვ. 104)

მიწის შესახებ მიღებული ახალი რუსული კანონი არ ცნობდა სავაჭუფო საკუთრებას, ხოლო მიწათსარგებლობის დადგენილი წესი არ იძლეოდა მისი გადაცემის უფლებას იურიდიული პირების ხელში. კანონი მმართველ ძალებს უფლებას აძლევდა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტათ ამა თუ იმ პირის ხელში მიწის გადაცემის საკითხი.

რუსეთის ხელისუფლება აჯილდოებდა იმ პირებს, ვინც საკუთარი ნებით უთმობდა მათ მიწებს. სავაჭუფო მიწები წლების განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში, იცვლიდა 3-4 მესაკუთრეს, ბევრი ჰყიდვა მიწას და მიდიოდა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი თავის 1895 წლის 6 სექტემბრის მიმართვაში მოითხოვდა სავაჭუფო საკუთრების გაუქმებას და ამ მოთხოვნის მთავარ მიზეზად ასახელებდა სავაჭუფო საკუთრებითი სამართლის შეუთავსებლობას ევროპულ საკუთრებით სამართლთან.

ამრიგად, აღნიშვნულ პერიოდში რუსეთის ხელისუფლებას აჭარის შემოერთებისა და მასზე ძალაუფლების განმტკიცების საქმეში მირითად ხელისშემსლელ ძალად მიაჩნდა მუსულმანური სამდვერელოება. ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის მსახურთა გავლენის შესუსტების მიზნით ისინი რეგიონში არსებულ მიწათსარგებლობის კანონებს ცვლიდნენ საკუთარი კანონებით და ამით ხელს უწყობდნენ ქვეყანაში რუსეთის იმპერიის ძალაუფლების გავრცელებას.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.

1. აჭარის არ სახელმწიფო არქივი. ფონდი ი-81, აღწ. 1, საქმე 1, 25, 30, 31, 42; ფონდი ი-6, აღწ. 1, საქ. 590

2. ავალიანი ა. „მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში“. სბათუმი 1960.

3. ბარამიძე ი. საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დაავლეთ საქართველოში (XIX ს. 70-80-იანი წლები) ბათუმი 1999 წ.

## თთარ გოგოლიშვილი

### საბამომცემლო საქმის ბანვითარება ბათუმში XIX- XX საუკუნეების მიჯნაზე

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ფეხი მოიკიდა სასტამბო საქმემ, რა-საც ხელი შეუწყო კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ, ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებამ, ვაჭრობა-აღებმიცემობამ და კულტურულ-მა ვითარებამ.

პირველი ქართული სტამბა ბათუმში 1879 წელს დაარსა ალექსან-დრე მახარაძემ, სადაც დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. იქვე არალეგა-ლურ გაზეთებთან ერთად იბეჭდებოდა ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ალ-ყაზბეგის და სხვათა ნაწარმოებები.

თანდათან გაჩნდა ნ. კურსკის, გ. თავართქილაძის, ნ. ხვინგიას და სხვა სტამბებიც.

ბათუმი მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის კოლონიური პო-ლიტიკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ პირველი გაზეთი, რომელიც ბათუმში გამოვიდა რუსული იყო, იმის მიუხედავად, რომ მისი რედაქტორ-გამომცემელი ქართველი გახლდათ. პირველი გაზეთი ბა-თუმში გამოვიდა 1882 წელს „ლისტოკ ბატუმის“ სახელწოდებით. გამოდიო-და კვირაში ორჯერ 1500 ეგზემპლარი. წლიურად მისი დირებულება შეად-გენდა 2 მანეთს. რედაქტორი და გამომცემელი იყო თავადი ვაჩნაძე. 90-იან წლებში ამ გაზეთს „ბატუმსკი ლისტოკი“ ერქვა. მასში ძირითადად ქვეყ-ნდებოდა ხელისუფლების ბრძანებები, ფირმებისა და საზოგადოებების რეკ-ლამები და სხვა. დასაწყისში გაზეთი თაბახის ფურცლის ზომისა იყო, შემ-დეგ მისი ფორმატი ცოტათი გაიზარდა. ასევე ალ. მახარაძის სტამბაში იბეჭდებოდა მცირე ტირაჟის რუსული გაზეთი „ობიავლენიე“ (კავკასიის კალენდარი: 1883). 1895 წლიდან ბათუმში გამოდიოდა ყოველთვიური პოლი-ტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული გაზეთი „ჩერნომორსკი ვეს-ტნიკი“. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო გ. პალმი. გაზეთი იბეჭდებოდა გურსკაიას ტიპოგრაფიაში, ხოლო რედაქცია მოთავსებული იყო ოგლობენის (ახლანდებული მერაბ კოსტავას) ქუჩაზე, თაიროვის სახლში.

გაზეთი იდებდა კორესპონდენციებს ქუთაისიდან, ფოთიდან, სოხუმიდან, თბილისიდან. იბეჭდებოდა კონომიკური და პოლიტიკური პუბლიცისტები, საერთაშორისო ამბები, განსაკუთრებული ადგილი ეპავა რუსული და თარგმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების ბეჭდვას.

„ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორი პალმი უაღრესად რეაქციონერი პიროვნება იყო. მას სტულდა ქართველები და ვერ ურიგდებოდა იმ მდგომა-რებას, რომ ქალაქის მმართველობის სათავეში იდგა ქართველი – ლუკა ასათიანი, ხოლო გამგეობაში მუშაობდნენ ივ. მესხი, გრ. ვოლსკი. პალმა ლუკა ასათიანს „ლუკერია“ დაარქვა და გაზეთის ფურცლებზე ყოველნაი-რად დასცინოდა. დამაბულობისა და უსაფუძვლო ლანძღვა-გინების შენელე-ბის მიზნით პალმი აირჩიეს ქალაქის თვითმმართველობის საბჭოს წევრად. ამის მიუხედავად, მაინც განაგრძობდა თავაშვებული წერილების გამოქვე-ნებას, რის გამოც ქალაქის თვითმმართველობის საბჭოს ოფიციალურ სხდომაზე გაიცხვა გამოეცხადა. პალმი გახლდათ სწორედ ის პიროვნე-ბა, რომელიც ქართველების ლანძღვისათვის დავით კლდიაშვილმა დუქლში

გაიწვია და კიდეც ბოდიში მოახდევინა. 1905 წლიდან გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო ალ. ნიკიტინი. გაზეთი იბეჭდებოდა ი. მივკინის ორთქლის სტამბაში. მისი ღირებულება იყო 5 კაპიკი.

1905-1907 წლებში ბათუმში მიმდინარე პოლიტიკური გამოსვლების გამო, ადგილობრივი ხელისუფლება სისტემატურად ხურავდა სხვადასხვა გაზეთებს. დახურეს გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“, ხოლო რედაქტორი ა. ნიკიტინი ბათუმიდან გაასახლეს. სხვადასხვა დროს ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ: დ. დავითოვი, ნ. მკურნალიძე, ს. მიხაილოვი.

თუ როგორ ხვდებოდა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ გამოხდომებს ბათუმის ინტელიგენცია, კარგად ჩანს ტ. ინასარიძის მოგონებიდან, რომელიც მაშინ ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფში მუშაობდა და აქტიურ საზოგადოებრივ მოდგაწეობასაც ეწეოდა: „ერთმა ჯგუფმა ბათუმის ქართველი ინტელიგენციისამ სა. ჭელიძის მეთაურობით (რომელსაც წიგნის მაღაზია ჰქონდა ბათუმში) სცადა გამოეცათ ბათუმში ქართული გაზეთი და მით ოპოზიციაში ჩადგომოდნენ პალმის გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკს“. ასე გამოსცეს ქართული გაზეთი, რომელსაც დიდი დღე არ ჰქონია, ვინაიდან მაშინდელი ქართველობა უფრო რუსულ გაზეთს კითხულობდა, იმის მიუხედავად, რომ იმ გაზეთში ქართველობის ლანძღვა-გინება მოთავსებული იყო ხოლმე...ასე იცის რუსიფიკაციამ და „ბორუსკი“-ობამ. ქართული გაზეთი „ბათუმის გაზეთი“ სულ 7-8 თვეზე მოისპო და ბურთი და მოედანი დარჩა კვლავ რუსულ გაზეთს“ (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 756). ამის შემდეგ 1911 წლამდე, ბათუმში რუსული გაზეთები დომინირებდნენ.

1905 წლიდან, ჯარისკაცებში სააგიტაციო მუშაობისათვის, რსდმპ ბათუმის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაცია, არალეგალურად უშვებდა გაზეთს „Друг солдата“. სამწლიანი არსებობის მანძილზე გამოცემული იქნა 23 ნომერი. გაზეთი თავის ფურცლებზე ფართოდ აშუქებდა ჯარისკაცთა ცხოვრების ყოველ მხარეს. იგი ვრცელდებოდა მიხაილოვის ციხე-სიმაგრის ჯარისკაცებში, ყარსის სამხედრო პოსტიალში, არდაგანის პოლკში და სხვა. გაზეთის რედაქტორი იყო როტშილდის ქარხნის ზეინკალი მ. ფედოროვი, ხოლო გამომცემლები ამბერკი ბუიდლიშვილი და ნიკოლოზ ლოზინი. მ. ფედოროვს 1905 წლის რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის კატორდა მიესაჯა. გაზეთი დაიხურა 1908 წელს.

რადიკალური მიმართულების, ესერული გადახრის გაზეთი იყო „ბატუმსკი გოლოსი“. გაზეთს ხელმძღვანელობდნენ ალ. ნიკიტინი, ს. მდივანი, პ. საბაშვილი, ვ. წერეთელი. გაზეთი „ზარია“ კი სოციალ-დემოკრატების ორგანო იყო. ამ გაზეთს ხელმძღვანელობდნენ ვარდენ ჩხაიძე და ბიქტორ თევზაია (აჭარის ცენტრალური არქივი, ფ. 1. აღწ. 1, საქ. 102, ფურც. 24). ორივე გაზეთი გამოიცა 1905 წელს. დროგამოშვებით მათ სახელი ეცვლა, გინაიდან ადგილობრივი ხელისუფლების დევნას განიცდიდნენ. იყო შემთხვევები, როცა აღნიშნული გაზეთები ფორმატით პროკლამაციებს ჰგავდა.

1907 წელს ბათუმში ქართულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „შიკრიკი“, რომელსაც დიდხანს არ უარსებია.

1908 წელს გაზეთი „ბატუმსკი ვესტი“ გამოვიდა. იგი ყოველდღიური პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ლიტერატურული ორგანო იყო. იგი იბეჭდებოდა შმაევსკის სტამბაში, რომელიც მდებარეობდა მიხაილოვის ქუ-

ჩა № 1-ში (ახლანდელი 9 აპრილის ქუჩა). რედაქტორ-გამომცემელი იყო ევგენი გერმანი. გაზეთი იბეჭდებოდა ფერად ქაღალდზე (ცისფერი, ვარდისფერი, წითელი, ლურჯი), გამოყენებული იყო ფერადი შრიფტი, რაც გაზეთს განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა. პირველი მსოფლიო ომის დროს ეს გაზეთი დიდ როლს ასრულებდა ომში დაღუპულთა ოჯახებისა და დასახირებულების დასახმარებლად. გაზეთმა ვრცელი ადგილი დაუთმო 1914 წლის ნოემბერში რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II-ის კავკასიაში და გასაკუთრებით თბილისში ყოფნას. ამ გაზეთმა იარსება 1917 წლამდე.

1908 წლის კავკასიის კალენდარის მიხედვით, დასახელებული გაზეთების გარდა ბათუმში გამოდიოდა: „სტრელა”, „ჩერნომორსკი გოლოს”, „პლამია”, „კომერჩესკაია ი სპრავჩნაია გაზეტა”, „ჩერნომორსკაია ნოვოსტი”, „ჩერნომორსკო ეხო”, „ჩერნომორ”, „ჩერნომორსკი ლისტოკ ობიავლენი” და გაზეთი თურქულ ენაზე „შურაი მილეთი” (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, 1960).

გაზეთი „ბატუმსკაია ნოვოსტი” გამოვიდა 1909 წელს. მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ვ. ბერეჟიანი. იგი იბეჭდებოდა შანგოს სტამბაში, ხოლო რედაქცია იმუოფებოდა მიხაილოვის ქუჩაზე პოლიანკის პასაუში. გაზეთში მოთავსებული იყო კავკასიის და რუსეთის ამბები, ქრონიკა, რეკლამები და ფელეტონები.

არა მარტო ბათუმის, არამედ სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობა მოუთმებლად ელოდა ბათუმში ქართული გაზეთის გამოსვლას, რომელსაც თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა ქართველ მუსლიმანთა გათვიცნობიერების საქმეში.

თუ რა სიტუაცია იყო ამ მხრივ, კარგად ჩანს აპოლონ წულაძის წერილიდან: „ქართული გაზეთების რედაქციებმა იწყეს აჭარაში გაზეთების გზავნა (უფასოდ). ეს აჭარლებს დიდად ესიამოვნათ. ქართული გაზეთებით აჭარლები გებულობდნენ თუ რა ხდებოდა დუნიაზე და მასთან გაზეთები ატყობინებდნენ მათ, თუ როგორ ზრუნავს მათ შესახებ მეზობელი ქართველი ქრისტიანები...როგორც კი დაინახავენ, რომ გაჩნდა ვინმე გაზეთით ხელში ბაზარში, გარს შემოერტყმიან მოსასმენათ, მაგრამ იქვე გაჩნდება ადმინისტრაციაც თავისი ძლიერებით და იძულებული არიან დაიშალონ, ასე რომ ჟურნალ-გაზეთების კითხვაც კი არალეგალურად ითვლება” (წულაძე ა., თბ., 1915).

1911 წლის 15 ივნისიდან ბათუმში გამოსვლას იწყებს ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ბათუმის გაზეთი.” მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ნ. ხომერიკი. იგი იბეჭდებოდა მახარაძის სტამბაში, რომელიც მაშინ იმყოფებოდა ერისთავის ქუჩა № 10-ში (ახლანდელი გენერალ გ. მაზნიაშვილის ქუჩა) ვაგანიანცის სახლში. გაზეთი დირდა 3 კაპიკი. გაზეთი მეორე ხომერში წერდა: „დაარსდა „ბათუმის გაზეთი”, დაიწყო ადგილობრივი ინტელიგენციისათვის მეტად პასუხსაგები საქმე. გაზეთის გამოცემა შეადგენს აუცილებელ საზოგადოებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას...პრესა იმის მაგიერ, რომ იგი იყოს მოსარჩელე სიმართლისა, მობაირახერე საკაცობრიო იდეალებისა, საიჯარო და სავაჭრო საქმედ ქცეულა. ბათუმის გაზეთი” ამ მხრივ განსაკუთრებულ პირობებში იწყებს გამოსვლას საზოგადოებრივ ასპარეზზედ. მკითხველთა ფართო სამსახური, საზო-

გადო მოვლენათა მიუდგომელი დაფასება... აი მიზანი, რომელიც დაუსახავს „ბათუმის გაზეთს” და რის შესრულებასაც ჩვენ მას ვუსურვებთ”.

„ბათუმის გაზეთში” იბეჭდებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის მასალები, საერთაშორისო ამბები, შექმნებოდა ეროვნული და პოლიტიკური საკითხები. გაზეთი ბეჭდავდა ლექსებს, ფელტრნებს, რეკლამებს, დეპეშებს და სხვა.

სტარიაში „ქართული გაზეთები” - გაზეთის რედაქცია გულისტკივილით აღნიშნავდა: „დღევანდელ ჩვენ დროში, გამოშვებითი გამოცემანი ძლიერ ცედ მდგომარეობაში არიან. ვერსად, მთელი კავკასიის რკინიგზის საღმურში თითქმის ვერც ერთ ქართულ გაზეთს ვერ შეხვდებით. თვით ქალაქებში იშვიათია ქართული გაზეთის დამტარებლები. როცა ჰკითხავ, ქართული გაზეთი თუ გაქცხო, არაო, მოგიგბებო. რატომ, თუ დაეკითხე, იმიტომ, რომ ქართულს მარტო ქართველი კითხულობს, რუსულს კი სუველაო. ზოგი კი უცბად მოგახლის პირში, რუსული სჯობიაო” („ბათუმის გაზეთი”, № 22, 1911).

„ბათუმის გაზეთის” რედაქტორ-გამომცემელი 1912 წლიდან იყო სპ. ჭელიძე. იგი იბეჭდებოდა ვ. ჩანტლაძისა და ნ. ხვინგიას სტამბაში, რომელიც იმყოფებოდა მარინეს პროსპექტ № 18-ში.

ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით, 1914 წლის ივნისში „ბათუმის გაზეთი” დაიხურა. უნდა ითქვას, რომ გაზეთმა მართლაც დიდი როლი შეასრულა ქართველი მუსლიმანების გათვიცნობიერების საქმეში. აპოლონ წულაძე აღნიშნავს: „უმადურობა იქნება მქებო, აქვე არ აღვნიშნოთ ქართული გაზეთების ლვაწლი. ქართული გაზეთი „დროებიდან” მოკიდებული, ყველა ცდილობდა ჩვენი ერთობის განმტკიცებას, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენს ერთობას ხელი შეუწყო „ბათუმის გაზეთმა”. ეს გაზეთი ბათუმში გამოდიოდა, თქვენთან ახლო იყო და თქვენ ცხოვრებას აკვირდებოდა. გაზეთში იბეჭდებოდა თვით ქართველი მუსლიმანების წერილები, როგორც კაცების, ასევე ქალების და ცხადია, როცა თვით ქართველმა მუსლიმანებმა იწყეს გაზეთის კითხვა და სტატიების წერა, მერე უფრო მეტად მიიქციეს ქართველი ქრისტიანების ყურადღება მათ ცხოვრებასა და საჭიროებაზე” (წულაძე ა., 1915:46).

ამის შემდეგ, ბათუმში, ქართულ ენაზე გაზეთი კარგა ხანს არ გამოსულა. 1912 წლიდან კი ბათუმში გამოდიოდა შემდეგი გაზეთები რუსულ ენაზე: „ბატუმსკი სელსკი ხოზიაისტგა”, „არგონავტი”, „ჩერნომორეცი”, „ბატუმსკაია პრავდა”, „ბატუმსკი დენ”, ბერძნულ ენაზე ორი გაზეთი „ელადა” და „ევნიკი ფონი” (კავკასიის კალენდარი, 1914).

„ბატუმსკაია პრავდა”- ყოველდღიური პოლიტიკური, ეკონომიკური და სალიტერატურო გაზეთი გამოვიდა 1912 წელს. რედაქტორ-გამომცემელი იყო ნ. ყუფარაძე. რედკოლეგიაში შედიოდნენ ნ. პლატონოვა, გ. სოლორაშვილი და სხვები. გაზეთი კორესპონდენციებს დებულობდა კიევიდან, თბილისიდან, ბაქოდან, ოდესიდან და სხვა ქალაქებიდან. იბეჭდებოდა სტამბა „პროსვეშნიეში”. დირდა 5 კაპიტი.

გაზეთი „ბატუმსკი დენ” იყო ყოველდღიური პოლიტიკურ-საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოვიდა 1912 წელს. რედაქტორ-გამომცემელი იყო გ. სოლორაშვილი. გაზეთი იბეჭდებოდა შმაეგ-სკის სტამბაში, მიხაილოვის ქუჩა № 1-ში, ხოლო რედაქცია განთავსებული

იყო მარინეს პროსპექტზე № 10-ში. შემდეგ ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემული იყო ა. სახელვასკი.

1913 წელს ბათუმის ოლქის სამსედრო გუბერნატორმა ნება დართო ბათუმში მცხოვრებ ნ. დოლიძეს ქართულ ენაზე გამოეშვა ყოველდღიური გაზეთი სახელწოდებით „ხმა“ („ბათუმის გაზეთი“, 1913, №14).

ამავე 1913 წელს ბათუმში გამოვიდა კაპიკიანი გაზეთი „ბატუმსკაია გაზეტა კაპეიკა“ რუსულ ენაზე. რედაქტორ-გამომცემული იყო უვანია გურგო. ამ გაზეთის სულ რამდენიმე ნომერი გამოვიდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ბათუმის ოლქი სამსედრო მოქმედებათა პლაცდარმი გახდა. ბათუმში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რამაც მძიმე გავლენა მოახდინა ოლქის სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. დაიხურა თითქმის ყველა გაზეთი, რომელთა გამოცემა განახლდა მხოლოდ 1917 წლიდან.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელმაწერთა ფონდი № 756, საქმე 18, გვ. 8;
2. აჭარის ცენტრალური არქივი, ფ. 1. აღწ. 1, საქ. 102, ფურც. 24;
3. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ბათ., 1960, ტ. IV;
4. „ბათუმის გაზეთი“, 1911, № 22;
5. ბათუმის გაზეთი“, 1913, №14;
6. კავკასიის კალენდარი, თბ., 1914 (რუსულ ენაზე);
7. კავკასიის კალენდარი 1883 წლისათვის, თბ., 1884 (რუსულ ენაზე);
8. წელაძე, ქადაგი სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, თბ., 1915.

*Otar Gogolishvili*

### *Development of publishing in the second half of the XIX century and in the first decade of the XX century in Batumi Summary*

In 1879, in Batumi first Georgian printing-house founded Aleksandre Makharadze, where was printed first Georgian book. Here also with illegal newspapers was printed Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Aleksandre Kazbegi and others work.

## ქეთევან იაკობაძე

### სამხრეთ-დასავლეთი საქართველო შარდუნის ნააზრები

გამოჩენილი ფრანგი მოგზაურის „მოგზაურობა საქართველოში“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს XVII საუკუნის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისა და მკითხველთა ფართო მასებისათვის. იგი უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს თავისი სისრულით. მკითხველს საშუალება ეძლევა იქონიოს სრულყოფილი წარმოდგენა მოგზაურის ნანახისა და გაგონილის შესახებ. განსხვავებით შეუასეუნების მოგზაურთა (მარკო პოლო, კონტარინი, პიეტრო დელა ვალე) მწირი მონაცემებისაგან, შარდენი არქანჯელო ლამბერტის მსგავსად იძლევა მრავალხრივ საინტერესო ცნობებს სამეგრელოს, იმერეთის, ქართლის და აჭარის შესახებაც, თუმცა აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურისა და წარსულის უცოდინარობამ, ევროპელების მიერ მათთვის უცნობი ერების შესახებ წინასწარ შემუშავებულმა შეხედულებებმა განაპირობებს მთელი რიგი შეცდომები, რაც საერთოდ იყო დამახასიათებელი ევროპელ მოგზაურთა შრომებისათვის. ამავე მიზეზით იყო განპირობებული შარდენის შეცდომები, ზოგჯერ არასწორი და ტენდენციური მონაცემები.

შარდენი საქართველოში ჩამოდის 1672 წლის შემოდგომაზე ზღვის გავლით იგი მიაღვა სამეგრელოს. „მოგზაურობაში“ აღწერილია სამეგრელოს ტრაგიკული ისტორია, რამაც განაპირობა, ის რომ უცხოელებისადმი ვერ გამოიჩინეს გადაჭარბებული ყურადღება, მისდამი ზოგჯერ უტიფარი მოპყრობის გამო ადგილობრივებს იგი ველურებს უწოდებს, თუმცა აწიოკვბული კუთხის მკვიდრო არც მოეთხოვებოდათ მეტისმეტი თავაზიანობა.

შარდენი აღწერს ქართლს, სადაც ამ დროს მეფობს ვახტანგ V (1658-1675 წწ.), ქართლი ამ დროს სპარსეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფება. მოგზაურობაში საუბარია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სიტუაციისა და შინააშლილობის შესახებ, რაც საბოლოო ჯამში ასუსტებდა ქვეყნის შემდგომ განვითარებას.

ცხადია, შარდენის დროინდელი საქართველო ვერ დაუხვდებოდა ეპროპელ მოგზაურს იმ თავაზიანობით, რომელიც პარიზელის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გამო მოსალოდნელი იყო ზოგიერთი გაუგებრობა და უსიამოვნებები. ამას ემთხვეოდა კავკასიელებზე, როგორც ველურებზე წინასწარ შემუშავებული აზრი, რის გამოც მას ექმნებოდა ყალბი წარმოდგენები მკვიდრი მოსახლეობის კულტურული დონისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ. ამასთან, მისი ონბელები კათოლიკე მისიონერები (ზამპის გამოკლებით) ნაკლებად განათლებულნი იყვნენ და მოგზაურს არასწორ ცნობებს აწვდიდნენ.

შარდენი აღფრთოვანებულია მეფის სასახლეში არსებული იშვიათი წესრით, ხაზს უსვამს ქართველების სამეურნეო კულტურის ძირითად საკითხებს, ქართველი კაცის ხასიათს, ქართველი ქალის იშვიათ სილამაზეს: „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შეიძლება ითქვას მთელს ქვეყანაზეც, იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი, ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შევ-

ხვდებით. შეუძლებელია თვალი მოპკრათ აქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ, არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალის სახესა და ტანადობაზე უმშვენი-ერესი სახე და ტანადობა: მშვენიერნი, თვალთანადნი, წერწებნი და კე-ლუცნი. იშვიათად ნახავთ, რომ ქალი უშნოდ იყოს გასუქებული. მხოლოდ ის აუშნოებს ქართველ ქალებს, რომ ფერუმარილს იცხებენ, უმშვენიერესე-ბი სხვებზე უფრო მეტად იცხებენ უმარილსა, ასე პგრნიათ ფერუმარილი სამკაულია და ისე ხმარობენ როგორც მაგალითად ჩვენში თვალ მარგა-ლიტს და კარგ ტანისამოსესა“.

როგორც ვხედავთ მოგზაური აღფრთოვანებულია ქართველი ქალის სილამაზით, თუმცა მათ ბევრ უარყოფით თვისებასაც მიაწერს.

მოგზაური ცნობას გვაწვდის ქართველთა დვინის მოყვარულობაზე და ქართული დვინის ხარიხზე: „არ მოიპოვება სადმე ისეთი ქვეყანა, სადაც იმ-დენს და ისეთ კარგ დვინოს სვავდნენ, როგორც საქართველოშიო, ავტორი გარკვევით საუბრობს ასევე ქართველთა ნიჭიერებაზე, თუმცა მისი შეხედუ-ლება აქაურ მოსახლეობაზე უცვლელი რჩება, მისი თქმით ქართველები „ცუდად იზრდებიან, ამასთანავე ცუდ მაგალითებსაც ხედავენ. ამის გამო მთლად უცოდინარნი და ბიწიერნი არიან. ქართველებში ბევრია მზაკვარი, კერაგი, დაუნდობელი, ცბიერი, ბრიყვი, ამპარტავანი. ქართველებმა საოც-რად ურცხვად იციან უარყოფა იმისი, რაც უთქვამთ და მოუმოქმედებიათ. ტყუილი მართლად გამოჰყავთ. რაც ერგებათ შრომისათვის, იმას არ სჯერ-დებიან და მეტის თხოვნა უყვართ, ძლიერ იციან ჯავრის ჩატანა და თავის დღეში არ აპატიებენ კაცს დანაშაულს. ქართველები ძალიან ანგარიანი და ვერცხლის მოყვარულნი არიან... ქალების ისეთივე ბიწიერები და ავნი არი-ან, როგორც მამაკაცები, ქალებს ძალიან უყვართ არშიყობა და მამაკაცებს ამ უზნებობაში დიდი მონაწილეობა მიუძღვით“ მისი აზრით ქართველებს ზე ჩვეულება მისი მეზობელი ქვეყნებისაგან შეუთვისებიათ.

შარდენი იძლევა ძუნწ, მაგრამ საინტერესო ცნობებს აჭარის შესახე-ბაც. უპირატესად იგი გონიოში, მებაჟეებთან ურთიერთობის ფონზე წარმოა-ჩნის თავის შთაბეჭდილებებს.

შარდენის მიხედვით იგი გონიოს ნაპირებს მიადგა „30-ს, შუა დღის უკან“ (ოქტომბერი) ფრიად კმაკოფილი იმით რომ „ოსმალეთის სამყლობე-ლობი მოვიდნენ წყეული სამეგრელოდან“, მან მებაჟეებს თავი ვაჭრად გა-აცნო, თითქოსდა მისი მიზანი იყო სამეგრელოში ფრინველების შესყიდვა ევროპაში წასაკვანად. მოგზაურობაში საუბარია მებაჟეებთან ურთიერთობის დეტალებსა და იმ გადასახადებზე, რომელიც დააკისრეს საბაჟოზე გასვლი-სას, მისი თქმით მებაჟე მოგზაურს მასთან პატიჟებდა მაგრამ იმის შიშით, რომ ვაითუ არ გამძარცვოსო უარით გაისტუმრა, მოგვიანებით მოგზაური-სათვის მოუთხოვიათ 200 დუკატი, თან უთქვამთ „სხვათა შორის, ქრისტია-ნების ქონება, სიმართლე რომ ვილაპარაკოთ ოსმალებს ეკუთვნისო“. მოვი-ტანო ამონარიდს მისი ნაამბობიდან: „მითხრა ამოიღე თქრო რომელიც ჩან-თაში გაქვსო. მე არ ვქმნი შენი არაფერი მმართებს, არ შემიძლია წინააღ-მდეგობა გაგიწიო, თუ ძალადობას დაიწყებ, შეგიძლია წაიღო ყველაფერი, რაც გსურს, მაგრამ კარგათ ვიცი გზები როგორ უნდა დავიბრუნო ყველი-ვე, რაც ძალადობით წაერთმევა. ამ ავაზაქმა მოატანინა ბორკილები და რეინის საყელო. ამან ცოტა შემაშინა. მქონდა საქმე ჯარის ხალხთან, რომ-ლებსაც ოქრომ და ღვინომ თვალები აუხვია და ისეთ ყოფაში იყვნენ, რომ ყველაფერს იზამდნენ. ერთი მათგანი მომიახლოვდა და მითხრა: ნიორს,

რამდენად უფრო მეტს დანაყავ, იმდენად უფრო მეტად აყროლდება – ე.ი. რამდენსაც უფრო დააგვიანებ, იმდენად უფრო გაძნელდება საქმეო“. მოგზაური იძულებული გახდა გადაეხადა „უსამართლო გადასახადი, მაგრამ ამასთან იძულებული გახდა დაეფიცა, რომ მიცა თავისი ნებით და ამის შესახებ არავის ეტყოდა.

ჩვენი მიზანი არაა შარდენის შემოქმედების დეტალური განხილვა, რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის მიერ ტენდენციურად გაშუქებული ნაშრომის ნაკლიც. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, შარდენის „მოგზაურობა საქართველოში“ უაღრესად საყურადღებო თხზულებაა, რომელშიც წარმოდგენილია უმნიშვნელოვანები ცნობები XVII ს-ის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ვითარების შესახებ.

## თემურ ავალიანი

### ერთიან უთორპულტურულ სიბრცეში არამართული კომუნიკაციურ-ინტერაქციული გელის ჩამოყალიბების ძირითადი ზარტორები

ხულოს რაიონის სოფლები: სკვანა, ბაკო, ზედა თხილვანა და მთისუბანი დღესაც გამოირჩევა უაღრესად საინტერესო თავისებურებით: დასახელებული სოფლები მთლიანად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული. თოთოვეულ მათგანში საკომუნიკაციო სივრცის ყველა სფერო (განათლება, საქმისწარმოება, კულტურა, მედია და ა.შ.) ქართულია და ეს ყველაფერი არის არა თავს მოხვეული, არამედ ბუნებრივი რეალობა, მაგრამ ამ ხელებში საოჯახო კომუნიკაციის ენის ფუნქციას დღემდე თურქული ასრულებს.

ცალკე შეიძლება გამოიყოს ამ სოფლებისაგან ათეულობით კილომეტრით დაშორებული და სულ სხვა ხეობაში მდებარე სოფელი დანისპარაული, სადაც დღეისათვის ეს სპეციფიკური ნიშანი მკვეთრად არ არის გამოხატული, თუმცა მაინც ფიგურირებს. აღნიშნული სპეციფიკა მხოლოდ დასახელებულ სოფლებისათვისაა დამახასიათებელი.

#### როი უნდა იყოს განპირობებული ეს გარემოება?

ვფიქრობთ, ამ ეტაპზე დასმულ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა შეუძლებელია. ამიტომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ვერსიებისა და ვარაუდების დონეზეა შესაძლებელი საუბარი, რადგან ეს საკითხი ამ თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით არც კი დასმულია. საბჭოთა პერიოდის ლინგვისტურ ნაშრომებში, რომლებიც ქართული ენის სემოაქარული კილოს კვლევას ეხება, ამ საკითხებზე უურადღება საერთოდ არსად არ არის გამახვილებული. პრობლემა უაღრესად დელიკატურია და მიღვომასაც შესაბამისს მოითხოვს, იქნებ ამიტომაც არიდებდნენ მკვლევარები მას თავს, თუმცა ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმი უმთავრესად სწორედ მსგავსი პრობლემატიკის სწორ გააზრებასა და ობიექტურ ანალიზს ისახავს მიზნად.

ჩვენის აზრით, აღნიშნული გარემოების მიზეზები ისტორიულ წარსულშია საძიებელი, კერძოდ:

1. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ოსმალოთა ბატონობისაგან გათავისუფლდა სამცხე-ჯავახეთი. აჭარა კი კვლავ მათი მფლობელობის ქვეშ დარჩა. ოსმალებს, ცხადია, გაუჩნდათ აჭარის დაბარგვის შიში, რის გამოც გააძლიერეს მცდელობები ამ საფრთხის თავიდან აცილებისათვის. სწორედ ამან განაპირობა თურქეთის ხელისუფლების მიერ დაწეული სერიოზული რეფორმები, რომლებიც ისტორიაში თანხიმათის სახელით შევიდა. ამ რეფორმების უმთავრესი მიზანი დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობის ისლამიზაციის დაჩქარება იყო.

ოსმალები ხელს უწყობენ სამცხე-ჯავახეთიდან ქართული მოსახლეობის თურქეთში გადასახლების (თუნდაც ოსმალეთის დაცარიელებული ტერიტორიების სამეურნეო ათვისების მიზნით) პროცესს (რითაც დაინტერეგსებული იყო რუსეთიც, რათა დაცარიელებულ ტერიტორიებზე მხარის კოლონიზაციის მიზნით ჩამოესახლებინა უცხოეთნიკური ელემენტები), ამავე დროს აძლიერებენ ანტირუსულ აგიტაცია-პროპაგანდას (რაშიც ეკრანზობიან ადგილობრივ ხოჯა-მოლებს) რუსების მიერ რეგიონში დარჩენილი ქართვე-

ლი (და არა მარტო ქართველი) მუსლიმანების იძულებითი გაქრისტიანების შესახებ. შემინგბული მოსახლეობის ნაწილი ცდილობს თავი დააღწიოს რუსებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს და თავი შეაფაროს თურქეთის პროვინციებს. **აჭარა ამ ოფალსაზრისით მათთვის ყველაზე მოსახლეობების რეგიონი იყო.** უპირველესად იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ რჩებოდა თურქეთის მფლობელობაში. ამავე დროს აქ იყო თითქმის იდენტური სამეურნეო-კულტურული გარემო, რომელიც მიგრანტებს ახალ საცხოვრისში გაუადვილებდა ადაპტაციის როულ პროცესს. **სწორედ ამ ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული გამუსლიმანებული თურქელენოგანი მესხური (შესაძლოა გარკვეულწილად არაქართულიც) ელემენტების დამკვიდრება მთიანი აჭარის ზემოთ დასახლებულ სოფლებში.** ამ მოსახრების აძლიერებს მათი წარმომავლობის შესახებ ხალხში არსებული გადმოცემები. მაგ. სოფელ ბაკოსა დანისპარაულის მცხოვრებთა გარკვეულ ნაწილს დღესაც „მესხების“ სახელით მოიხსენიებენ.

ამ მიმართულებით რუსი და თურქი დამპყრობლების ინტერესები მთლიანად ემთხვევოდა ერთმანეთს. მთელი სიმძლავრით ამუშავდა ისლამისტური იდეოლოგიური მანქანა რუსთა მხრიდან მუსლიმანთა ძალადობრივი გაქრისტიანების და რელიგიური შუდლის გადვივების მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ეს ხელს აძლევდა რუსეთსაც, რომელსაც მხარის კოლონიზაცია პქონდა განზრახული და ამიტომ მაქსიმალურად უწყობდა ხელს მკვიდრი მოსახლეობის აყრის პროცესს, ოღონდ თვითონ სულ სხვა მოდგმის ხალხთა ჩამოსახლებას აწარმოებდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, მაგალითად, მთისუბნელ ცეცხლაძეთა ერთი შტოს მეტგვარი „ქოლაუბი“, რაც „მოსულებს“ ნიშნავს და მათში, გადმოცემის მიხედვით, ერთ-ერთი რუსი მოჯამაგირის შთამომავლები იგულისხმებიან.

მიგრაციული პროცესები საერთოდ მთლიანად იმდროინდელი აჭარისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ იმდენად რამდენადაც დანისპარაულიც, ბაკოც, სკვანაც მთისუბანიცა და ზედა თხილვანაც ზემო აჭარის განაპირა, მაშასადამე, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით პირველი დასახლებული პუნქტებია, **მესხეთიდან და შავშეთიდან** შემოსულთათვის პირველად სწორედ ისინი უნდა ქცეულიყო კომპაქტური დასახლების ადგილებად ანუ თურქელენოგანი საკომუნიკაციო სივრცე ამიტომ უნდა ყოფილიყო ყველაზე ძლიერი სწორედ აქ.

სავარაუდოა, რომ ანალოგიური სიტუაცია შეიძლება ყოფილიყო დღუგანდელ სამცხე-ჯავახეთშიც იმ შემთხვევაში, რომ არ მოხდარიყო თურქელენოგანი მოსახლეობის დეპორტაცია, ანუ სავარაუდოდ მოხდებოდა მათი ინტეგრაცია ერთიან ქართულ საკომუნიკაციო სივრცეში, თუმცა შესაძლებელია, თურქელი ენა რელიქტის სახით ისევე შემორჩენილიყო საოჯახო კომუნიკაციის საშუალებად, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაში მოხდა.

სხვათა შორის, ის ფაქტიც, რომ ე. წ. „თურქმა მესხებმა“ უზბექურენოვან საკომუნიკაციო სივრცეში საოჯახო კომუნიკაციის საშუალებად შეინარჩუნეს არა ქართული, არამედ თურქული ენა, ვფიქრობთ, ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. მართალია, უზბექურ საკომუნიკაციო სივრცეში ქართულისაგან განსხვავებით თურქულს გაცილებით ნოჟიერი ნიადაგი დახვდა (ნათესაობის გამო), მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით, მაგალითად, ბორჩხისა და მურდულის ილჩების (რაიონების), შავშეთისა და ტაოს ზოგიერთ სოფელზე (ზორსი, ხევწრული, წეთილეთი, იფხრევლი, ბაზგირეთი, ხევეკი, ბალხი,

ელიაშმინდა და სხვ.) სადაც თურქულენოვან საკომუნიკაციო სივრცეში საოჯახო კომუნიკაციის ენის ფუნქციას ასრულებს ქართული (ანუ მშობლიური).

2. საგულისხმოა აგრეთვე ხალხში გავრცელებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ამ სოფლებში ძალიან ხშირი იყო ქართულენოვანთან ერთად თურქულენოვან შაგმელ, კლარჯ, მესხ და ჯავახ (შესაძლოა თურქ) ქალებზე ქორწინება. ოჯახის საკომუნიკაციო ენის დამკვიდრებაში კი, როგორც ცნობილია, უმეტესწილად ქალი (მეუღლე, დედა) დომინირებს. ამის ცალკეული ფაქტები დღემდება შემორჩენილი. აქ გამოთხვილ ქალებს დღუსაც მათი წარმომავლობის მიხედვით მოიხსენიებენ, მაგალითად: შავშერაი, მესხურაი, კლარჯულაი და ა. შ.

3. ზოგიერთის აზრით, აღნიშნული თავისებურების მიზეზი რელიგიური ფაქტორიც უნდა იყოს, რაც, ჩვენის აზრით ნაკლებად სავარაუდოა, რადგან რელიგიური ფაქტორი ზემო აჭარის სხვა სოფლებშიც ფიგურირებს, მაგრამ ენის გამოყენების სფეროსთან მას ამ შემთხვევაში კავშირი არ აქვს, რადგან ყურანის ენა არაბულია და არა თურქული.

ამრიგად, ჩვენის აზრით, დასახელებულ სოფლებში თურქულის როგორც საოჯახო კომუნიკაციის ენის გამოყენება შეიძლება განხილულ იქნას როგორც რელიქტი, ისტორიული ნაკვალევი, რომელიც უმეტესწილად 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემგომ გააქტიურებულ მიგრაციულ პროცესებს უნდა უკავშირდებოდეს.

ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დასმის შემდეგ ვერსიები კიდევ განხდება, თუმცა მთავარი ამ შემთხვევაში არის არა იმდენად ამ ვერსიათა გამოთქმა, არამედ სანდო მეცნიერებლი დასკვნების შემუშავება, რისთვისაც პრობლემის დრმა და კომპლექსური შესწავლაა საჭირო. უნდა მოიქმნოს ანალიზიები და მოხდეს მათი ტიპოლოგია, ხოლო მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია დრმად და საფუძვლიანად იქნეს გამოკვლეული მოცემული კონკრეტული სოფლების როგორც ქართული, ისე თურქული მეტყველება, დადგინდეს მათი ურთიერთმიმართება შესაბამისად ქართულ და თურქულ ენებთან, მათ ვარიანტებთან, საკითხი კიდევ უფრო დრმად უნდა იქნეს შესწავლილი ეთნოლიგიზმისტურ, ანთროპოლოგიურ, ისტორიულ, ეთნოლოგიურ და სხვა ასპექტებში, რაც საბოლოოდ აუცილებლად მოგვცემს ობიექტური დასკვნების გაკეთების საფუძველსა და საშუალებას.

## **A BULGARIAN ATTITUDE TO THE EUROPEAN NEIGHBOURHOOD POLICY**

The European Neighbourhood Policy (ENP) is the newest foreign policy tool and the key geo-political project of the European Union (EU) after the enlargement. The ENP aims to develop a privileged partnership with the old Southern and the new Eastern neighbours of the enlarged Union which is based on economic integration and security and political cooperation. Central to this new relationship is the neighbours' commitment to shared liberal values and core European foreign policy and security objectives. Previously, the enlargement process has been one of the EU's most successful tools to promote peace, prosperity and stability in its close neighbourhood; the former socialist countries of Central and Eastern Europe have been fully integrated into the EU's zone of peace and prosperity. However, the lack of political willingness, institutional capacity and public support leave little hope for future enlargement.

However, many are well aware that the value of 'inclusion' rather than 'exclusion' will better help the EU meet the new threats of the 21st century; as the Security Strategy states, the EU cannot simply close its borders. This paper is an attempt to examine some of the biggest ENP issues connected with European identity, common values, lack of long-term vision and weak incentives for the neighbours. With the accession of Bulgaria and Romania there now seems to be a consensus on the case for EU initiatives in the Black Sea region. The paper does not have the ambition to provide an exhaustive analysis of the Black Sea Dimension, but will rather try to look at the newest Black Sea initiative as part of the ENP from Bulgarian perspective.

When it became clear that ten countries (Estonia, Cyprus, Czech Republic, Hungary, Latvia, Lithuania, Malta, Poland, Slovakia and Slovenia) would join the EU in 2004, the focus shifted from internal to external policy issues. Eastern enlargement raised one very important question: how the enlarged Union would interact with its new neighbors? That is why in 2003 the European Commission called upon to develop a new kind of political strategy, combining as much as possible its newly launched ENP with its traditional Common Foreign and Security Policy (CFSP) and even defense policy (ESDP). The *objective* was to secure Europe's borders while projecting security into the neighbouring regions. There was an obvious necessity to develop comprehensive policy towards countries, which cannot join the Union in the nearest future. In the same time it was clear that the EU will not be recognized as a reliable political player in the global scene until it develops an effective strategy for its neighbourhood. There is still great pressure on the Union to act and solve problems beyond its borders.

European Neighbourhood Policy is defined as 'a modern intelligent foreign policy, stepping beyond the traditional diplomacy of the 20<sup>th</sup> century' (Ferrero-Waldner, 2006). Looking at the concepts underlying the ENP, it is clear that the issue of security lies in its core. Two major documents illustrate the *linkage* between ENP and security issues:

- The European Security Strategy Paper (12 December 2003), produced by group of experts headed by Javier Solana;
- European Neighbourhood Policy Strategy Paper (12 May 2004) followed the Communication of the Prodi Commission of March 2003.

In both documents *a new vision* was established – that of enlarged area of peace, stability and prosperity including wider neighbourhood of the EU, a ‘circle of friends’, a shared neighbourhood founded on common values and deeper integration (Wissels, 2006).

The linkage between security, foreign policy and defence, both *inside* and *outside* the Union, is the ENP’s main innovation: a single framework covering all basic aspects of cooperation with neighbouring countries, including security and, to some extent, even defence. The intention of the Commission, as clearly expressed back in 2002 by its former president, Romano Prodi, was to allow countries neighbouring upon the East and South to participate in Union policies, including those relating to foreign and security policy (under the chapter of the political dialogue) on the basis of a single reference framework, the neighbourhood policy (Prodi, 2002). As regards CFSP in particular, this calls for a drastic change in method with respect to the past: the idea is no longer to be such an old instrument of common strategies towards one country or another (for example, Russia or Ukraine) but the ENP will be adopted as the baseline for all. Both the Council and the Commission believed that this can make the ENP and consequently CFSP more effective and credible. Thus, the main advantages of encouraging of regional cooperation on the EU’s borders is on the first place, the fact that it creates more security, and, on the second place, that it retunes to well tested model of Union’s foreign policy called ‘group to group policy’ (Bonvicini, 2006).

Beyond the overall positive assessment of ENP, it should be remembered that it is far from perfect policy. The main disadvantage is the fact that two distinct groups of countries were targeted for this new policy, upon the South and East. The ENP does not deal with a homogeneous neighbourhood, but rather with sets of neighbours which are very different from one another. The Mediterranean countries differ enormously from those in Eastern Europe and there are also significant differences within each group. For Mediterranean partners, accession to the Union is not on the agenda at all. For (at least some of) the EU’s Eastern neighbours, the prospect is more ambiguous. On one hand, the door to entry is not shut, because no European state that complies with the Copenhagen criteria may be denied this prospect. On the other hand, neighbourhood is different from enlargement. The lack and uncertainty about the strategic goal is viewed as the major imperfection of the ENP. Some commentators (Pelczynska – Nalecz, 2003) emphasize also the need to implement different projects and, perhaps, to use different financial instruments for different regions.

One of the reasons why the Wider Europe initiative was not received with much enthusiasm is partly because there were quite many uncertainties. The concept was designed to deal with the consequences of the 2004 enlargement of the EU (Cameron, 2006). The ENP, inspired by a number of policy instruments developed in the context of enlargement, is strongly connected with the practice of close neighbourly relations below the level of membership, such as European Economic Area (Aliboni, 2005). While this approach might be sufficient for the Mediterranean and Middle East countries, it does not match hopes and aspirations of some newly independent states like Ukraine and Moldova (Petrov). On the other hand, the existing aspirations of the East European countries might raise the aspirations of the Mediterranean countries (Smith, 2005). It should not be forgotten that Morocco was the first to apply for membership back in 1987.

Another central challenge is the difficult task to combine various elements that compose the ENP: the multilateralism of the framework; the bilateralism of the Action Plans for each country; the regionalism and finally, the high level of conditionality (democratic governance, respect to human rights, market economy, etc.). Given these

complex tasks, ENP presents itself an essential dimension of the Europe's broader foreign policy (*Bonvicini, 2006*).

The question that arose after the development of the ENP strategy was: what exactly did ENP avoid - new dividing lines (new Iron Curtain) or new members/ship. Ukraine even asks what ENP is about: 'a ring of friends' or a buffer zone. One of the weakest parts of the ENP is that it by definition excludes the incredibly efficient mechanism of membership conditionality, of membership perspective. The ENP's tacit logic was to blur the boundary between being 'in' and 'out' of the EU, but the question still remains: does it live up to outsider's expectations? A number of analysts have already questioned whether the ENP delivers the right incentives. A key question that remains is: will a differentiated conditionality envisaged in the ENP be as effective as the political conditionality present in the enlargement process?

Then, the French and Dutch 'no' to the Constitutional Treaty (respectively May 29, and June 1 2005) were widely perceived as a rejection to any ideas for further EU enlargement. The failed referenda in France and the Netherlands have deprived the Union of some very important new clauses that would strengthen its foreign and security policy: introduction of a figure of Foreign Minister with coordinative and executive powers; a Foreign Service; the solidarity clause; the provision for military missions; structured cooperation in defense field, etc. This situation to some extent has an effect of weakening the ENP. With the new Lisbon Treaty this problem will not probably be of such relevance.

Another imperfection of ENP is the unsolved case of Russia. Relations with Russia, the largest EU's neighbour, are not covered by the ENP, but by the EU-Russia Strategic Partnership. Russia declined to become part of the scheme and opted instead for developing bilateral cooperation with the Union on an allegedly more 'equal' basis. There is an obvious clash between the EU's 'neighbourhood' concept and Russia's 'near abroad' concept. The EU's main 'neighbour' was therefore not included in ENP. Russia definitely was not satisfied to be included into one strategy along with the North African (the Magreb and Mashreq) and Middle East countries.

Another challenge for ENP is the fact that EU has no strategy with regard to those countries which are not willing to comply or cooperate (*Kahraman, 2005*). Countries of concern usually include Belarus and Libya, but several other neighbours (Syria in particular) are also problematic. Recent research done by *Emerson, Noutcheva and Popescu (2007)* distinguishes "passive" (Azerbaijan), "reluctant" (Russia) and "excluded" (Belarus, secessionist entities) states. The EU has to develop some mechanism in regard to these countries.

Next, ENP raises another significant issue connected with the definition of Europe and European identity. The main problem is that in euro-jargon 'Europe' and 'EU' seems to be used interchangeably. If we read the very first sentence of the European Security Strategy (2003): 'Europe has never been so prosperous, so secure or so free', it becomes obvious that 'Europe' here means the EU, not the continental-wide Europe. As Antonio Missiroli noticed rightly, Europe's neighbourhood and the Union's neighbourhood are different things. In this respect, the Ukrainians are right: they belong to Europe, not to its neighbourhood' (*Missiroli, 2007*). Thus, a policy based on its inherent ambiguity may not produce the effects the EU expects. Some skeptical voices put the question whether there is something wrong with the overall design of the policy.

As paradoxical as this may sound, another weak point of the ENP can be found in its strong emphasis on common values. The conditionality of adopting one's own values and way of life appears to some commentators like Lang not very inviting. From his point of

view, to demand shared values and effective implementation of political and economic reforms is far beyond any reasonable neighbourhood concept. He expresses his doubt that ‘common values’ is something the EU can demand from the neighbours (*Lang, 2004*). Furthermore, the Constitutional Treaty states that Union membership ‘shall be open to all European states which respect the values referred to in Article I-2, and are committed to promoting them together’. The logical Cremona’s questions repeated by some other analysts are: Isn’t the Union going too far when it expects the same commitments of membership from both the European and non-European neighbours? Isn’t it too idealistic to expect sharing values in a relationship of partnership rather than a relationship based on candidacy” (*Cremona, 2004; Kahraman, 2005*). The ENP aims to construct a new pan-European space which will be used to make the CFSP/ESDP more successful. The neighbours will benefit from progressive integration only if they develop the capacity and readiness to adhere to the EU foreign policy objectives. The EU has to realize that insisting on a policy of ‘everything but the institutions’ might lead to giving up the values the EU itself is built upon.

The ENP has been criticized for many reasons: it is not well targeted, it is ambiguous, it has no mid-term or long-term vision, it does not address the challenge of new dividing lines in Eastern Europe, it offers a lot of rhetoric and very little incentives (*Primatarova, 2005*). Besides, the initiative has been criticized not only from the perspective of the countries it covered, but also by the countries it left out, namely Armenia, Azerbaijan and Georgia (*Aydin, 2006*). Recognizing this problem, three years later a further development took place - the initiative “Neighbourhood Plus”. The overall goal of the “Neighbourhood Plus” strategy is to guide the transition in countries concerned and avoid a security gap between Europe and Russia. Reassessing relationship between EU and Russia Germany, during its Presidency (the first half of 2007), proposed that these three countries be included into the Neighbourhood Policy. With Bulgaria and Romania as full EU members and Turkey as a candidate country, it would be much more natural to start considering not simply an Eastern ENP dimension, but much broader ‘Black Sea Dimension’, thus including Armenia, Azerbaijan and Georgia (*Popchev, 2005*).

The ENP addresses those countries which share a land or maritime border with the EU. As it has already been mentioned, the accession of Bulgaria and Romania and the ongoing negotiations with Turkey will make the European Union a Black Sea power, with an external border covering about half of the Black Sea coastline (*Celak, 2006*). That is why the importance of the Black Sea region is increasing. The war in Iraq and the ‘colour’ revolutions in Georgia and Ukraine contributed to attract EU’s attention and engage it in solving the Black Sea region’s problems. Turning to its Eastern borders, the EU has to deal with a power like Russia, a newly-independent state as big as France (Ukraine), and five countries all with significant problems (Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia and Moldova). The spectrum of problems in this area is so wide that it can be a subject of a separate research involving important questions like: Does the region itself exist? Why was it neglected until now? Does it belong to Europe at all? Is it a bridge or a frontier between the EU and Russia? Some authors, like *Asmus (2005)*, consider that one of the main characteristics of the Black Sea region is that Russia has traditionally taken a strong interest in this region, although it has been retreating reluctantly in recent years. Both the EU and Russia have an interest in their neighbourhood becoming more stable and prosperous but the current lack of warmth in EU-Russia relations will make it more difficult for them to work together to achieve this objective (*Trenin, 2006*). Compared to the other two neighbour regions – Mediterranean and Western Balkans, despite its

significance, the Black Sea region has but just now become the target of a concrete strategy concerning the EU. The EU has not been engaged in the region for many years. If a similar acting took place, it would seem a rather curious paradox. For example, the main efforts in regard to the so called ‘frozen conflicts’ (Abkhazia, Transnistria, Nagorno-Karabakh, South Ossetia) have been primarily made by the Organization for Security and Cooperation in Europe (*Kempe and Klotzle, 2006*). Broadly speaking, the ENP framework will result in greater involvement of the EU in different crises and conflicts. In order to succeed with ENP, the EU has to reinforce its CFSP and ESDP.

Bulgaria like the EU has gradually developed and changed its evaluation regarding the Black Sea region’s significance. Because of its geographic location and historical destiny Bulgaria felt more deeply connected with the Balkans, while Romania took more active part in the Black Sea cooperation. For a period of time - during the dramatic Yugoslavian wars and till 11<sup>th</sup> September 2001 – it was accepted that Bulgarian security should be analyzed in the narrow frame of South Eastern Europe. The Black Sea region was considered as a periphery which can exercise insignificant influence over the ongoing European process.

Another challenge for the role of Bulgaria in the ENP towards the Black Sea region, will be finding partners inside the EU. For example, Romania and Poland certainly support respectively Moldova and Ukraine. However, in general it is doubtful that the other members would commit more resources or energy to what is already planned by the ENP. From the old members Greece could be a suitable partner as it is member of the Black Sea Economic Cooperation Organization. To a lesser extent and for various reasons, some old members could also indirectly support the Black Sea region. France has ties to Armenia because of its Armenian diaspora, the UK has interests in Azerbaijan because of the oil and Germany has links with Georgia (*Georgiev, 2006*).

Bulgaria is in full support of the ENP. Furthermore, the country is expected together with Romania to create Black Sea dimension like Northern or Southern dimension. A step in this direction was the announced by the European Commission together with the initiative ‘Black Sea Synergy’. Also, an important development represents the fact that the Commission obtained an observer status in the Black Sea Economic Cooperation Organization. EU will no longer be an external third party, but a legitimate Black Sea actor/power.

The inherent openness of the Black Sea Region to the Balkans, the Mediterranean and the Caspian Sea makes it more difficult to define its scope and frontiers. This becomes evident from the newly appeared terms such as ‘Black Sea – Caspian region’, ‘Mediterranean - Black Sea region’ and even ‘Baltic - Black Sea region’. All these terms are based on the idea of creation of transcontinental security area which *de facto* begins to be realized with the second wave of NATO enlargement. As a result of these radical changes the Black Sea region is accepted on one hand, as indivisible part of the Mediterranean; on the other hand - closely tied to the Caspian region, and in this connection as trans-European security space from Baltic to Caspian Sea. (*Mednikarov, 2007*).

Being a neighbour of the ENP target countries, Bulgaria is very concerned about the stability of the Black Sea region and for economical reasons wants the Black Sea region to become prosperous. Consequently, the country fully shares ENP’s aim of avoiding new dividing lines. Bulgaria is aiming to concentrate on the Black Sea region of the ENP, as it considers itself as possessing some positive accession expertise (*BECSA, 2005*). Bulgaria can play an important role in terms of communication and mediation with Russia, which

has problems with some other Black Sea countries. As President Parvanov has announced, the EU's new neighbours are not new for our country and Bulgaria's 'credit of trust' among the Black Sea countries could be useful for the ENP strategy (*Nikolov, 2005*). Bulgaria will not merely focus on the bilateral relationships of the ENP. Bulgaria is assertive in promoting regional cooperation on the Black Sea region level as it did on the Balkans.

### **Conclusions:**

The significance of the European Neighbourhood Policy and its challenges can be summarized in the following conclusions:

- The ENP and the possibility to act beyond its own borders are absolutely necessary for the EU so that it can be recognized as a reliable political actor on the global scene;
- The linkage between the ENP and the development of CFSP and ESDP is obvious and can be found in the main related documents;
- The ENP is far from perfect policy. The main disadvantage is the fact that the ENP does not deal with a homogeneous neighbourhood, but rather with sets of neighbours which are very different from one another. ENP is a combination of various elements: the multilateralism of the framework, the bilateralism of the Action Plans for each country; the regionalism and the high level of conditionality. Other imperfections are the absence of long-term vision, the relations with the EU's biggest partner – Russia, the problems with the definition of European identity and sharing common values.
- Taking into account the fact that the new EU's eastern border (after January 1, 2007) is the Black Sea coastline, the EU is trying to formulate more concrete strategy towards the Black Sea region which itself is full of contradictions. The newest initiative 'Black Sea Synergy' is an evidence for the new EU's approach. Despite the difficulties with the scope and the frontiers of the Black Sea region, it is obvious that the region should be part of the wider pan-/ trans-European security concept.
- Being a neighbour of the ENP target countries, Bulgaria is very concerned about the stability of the Black Sea region. Bulgaria should offer its own accession experience to encourage Europeanization of the neighbouring countries.

### **List of references:**

1. *Aliboni Roberto* "The Geopolitical Implications of the European Neighbourhood Policy", *European Foreign Affairs Review* 10: 1-16, 2005
2. *Asmus Ronald D.*, "Developing a New Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region", in: Istanbul Paper #2, The German Marshall Fund of the United States, p.5
3. *Aydin Mustafa* "The European Union and the Regional Institutions in the Black Sea Area", Paper presented on the International Conference "The European Union and the Black sea Region", 6-7 October 2006, Varna, Bulgaria
4. BECSA, Bulgarian European Community Studies Association, 'CFSP Watch 2005 – Bulgaria', in: *Annual reports on the CFSP by FORNET partners*, FORNET, European Foreign Policy Research Network, 2005

5. *Bekyarova Natalia* “At the Service of Peace and Understanding” (15<sup>th</sup> Anniversary of the Establishing of the Organization of the Black Sea Economic Cooperation), International Policy Journal, Winter 2007, South West University “Neophyte Rilsky” - Blagoevgrad, Bulgaria

6. *Bonvicini, Gianni* “The European Neighbourhood Policy and its linkage with the European Security”, in: [‘Wider Europe: Nordic and Baltic Lessons to Post-Enlargement Europe’](#), Danish Institute for International Studies (DIIS) Publications, Copenhagen, October 2006

7. *Cameron Fraser* “The European Neighbourhood Policy, As a Conflict Prevention Tool”, EPC Issue Paper No.47, June 2006

8. *Celak Sergiu* The European Union and Maritime Issues in the Black Sea Area, Paper presented on the International Conference “The European Union and the Black sea Region”, 6-7 October 2006, Varna, Bulgaria

9. *Cremona Marise* “The European Neighbourhood Policy: Legal and Institutional Issues”, Center on Democracy, Development, and the Rule of Law Stanford Institute for International Studies, Paper 25/2004, website: <http://cddrl.stanford.edu>

10. *Cremona Marise* “Enlargement: A Successful Instrument of Foreign Policy?”, in Takis Tridimas and Paolisa Nebbla,(eds), *European Union Law for the 21st Century, Rethinking the New Legal Order*, Vol I, London, Hart Publishing, 2004, p.409

11. *Emerson Michael, Noutcheva Gergana and Nicu Popescu* European Neighbourhood Policy Two Years on: Time indeed for an ‘ENP plus’, CEPS Policy Brief No.126/March 2007

12. *Ferrero-Waldner Benita* (2006), Die Europäische Nachbarschaftspolitik als Wohlstands- und Sicherheitsanker COSAC-Treffen (Conférence des Organes Spécialisés en Affaires Communautaires), Wien, 22. Mai 2006. SPEECH/06/325

13. *Georgiev Adrian* “The Black Sea Region. EU’s Black Sea Region Policies and Bulgaria’s Potential Contribution” Thesis for Degree of Master of European Studies, College of Europe, Bruges

14. *Kahraman Sevilay* “The European Neighbourhood Policy: The European Union’s New Engagement Towards Wider Europe”, Perceptions, Winter 2005

15. *Kempe Iris and Kurt Klotzle* “The Balkans and the Black Sea Region: Problems, Potentials, and Policy Options”, CAP Policy Analysis, 2/2006

16. *Lang Kai-Olaf* “Regeneration or Degeneration? EU Enlargement and the Future of Transatlantic Relations” in Andreas Maurer, Kai-Olaf Lang & Eugene Whitlock 9eds.), New Stimulus or Integration Backlash? EU Enlargement and Transatlantic Relations, Berlin: German Institute for International and Security Affairs, 2004

17. *Mednikarov Boyan* “Factors forming the Security Environment in the Black Sea Region”, presentation on the 11<sup>th</sup> International Conference “Security and Defence Policy: International and Regional Organizations and the New Security Challenges”, Sofia, 14-15 June 2007

18. *Missiroli Antonio* “The ENP three years on:where from – and where next?”, European Policy Centre, Policy Brief, March 2007.

19. *Nikolov Krassimir Y.*, “The European Neighbourhood Policy and Bulgaria – Challenges and Opportunities”, in: HAYOZ, Nicolas, Leszek JESIEN and Wim VAN MEURS, *Enlarged EU – Enlarged Neighbourhood. Perspectives of the European Neighbourhood Policy*, Interdisciplinary Studies on Central and Eastern Europe, Vol. 2, 2005, p.271.

20. *Pelczynska – Nalecz Katarzyna* “The Enlarged European Union and its Eastern Neighbours: Problems and Solutions”, Centre for Eastern Studies, Warsaw, October 2003

21. *Petrov Roman* “Expectations of the neighbour countries”, available at  
<http://www.iue.it/LAW/Events/ENP/ENPpresentations/Petrov.pdf>

22. *Popchev Petar* “The European Union: Contribution to the Global Security and Stability” Sofia, 2006, p.204

23. *Primatarova Antoinette* “In search of two Distinct Tracks for Non-EU Europe and the European Neighbourhood”, in: HAYOZ, Nicolas, Leszek JESIEN and Wim VAN MEURS, *Enlarged EU – Enlarged Neighbourhood. Perspectives of the European Neighbourhood Policy*, Interdisciplinary Studies on Central and Eastern Europe, Vol. 2, 2005, p.30.

24. *Prodi, Romano* “Wider Europe – A Proximity Policy as Key to Stability”, speech given at the Sixth ECSA World Conference on Peace, Stability and Security, Brussels, 5 December 2002

25. *Smith Karen E.* “The Outsiders: the European Neighbourhood Policy”, International Affairs, 4/2005, p. 757-778

26. *Trenin Dmitri* “Russia, the EU and the common neighbourhood”, in: *CER Essays*, Center for European Reform, September 2005. Available at:  
<http://www.cer.org.uk/pdf/essay%5Frussia%5Ftrenin%5Fsept05.pdf>, 04.05.2006

27. *Wissels Rutger* “The Development of the European Neighbourhood Policy”, Foreign Policy in Dialogue, Volume 7 - Issue 19, 2006, “The New Neighbourhood Policy of the European Union. Perspectives from the European Commission, France, Germany, Poland, Ukraine and Moldova”, Edited by Marco Overhaus, Hanns W. Maull and SebastianHarnisch, <http://www.deutsche-aussenpolitik.de>

**Keywords:** European Neighbourhood Policy, Neighbourhood Plus, transcontinental security concept, European identity, Eastern neighbours, Black Sea dimension

## გაძრიელა ბეჭოვა

### ბულგარეთის დამოკიდებულება ევროპის სამეზობლო პოლიტიკაზე რეზიუმე

ევროკავშირის გეოპოლიტიკური პროექტების გაფართოების შემდეგ განსაკუთრებით აქტუალური გახდა ევროპის ქვეყნებთან ბულგარეთის სამეზობლო პოლიტიკის გააქტიურების საკითხი. ნაშრომში განხილულია ევროპულ სტრუქტურებში ბულგარეთის ეკონომიკური ინტეგრაციის, უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ თანამშრომლობის უმნიშვნელოვანების საკითხები.

## რამაზ სურმანიძე

### უცნობი გმირი (გათშმისათვის პრძოლაში დაცემული აღი ასათიანი)

აჭარაში დამკვიდრებული პირველი ასათიანის კვალი იმერეთისკენ მიდის. ამჟამად ასათიანთა მხოლოდ სამი ოჯახი ცხოვრობს აჭარაში, სოფელ ორთაბათუმში. ისინი აქ ბევრი არასოდეს იყვნენ. თუმცა მხარის განვითარებასა და კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო კვალი მაინც დატოვეს.

პირველი ასათიანის, რომელიც აჭარაში დამკვიდრდა, აგრეთვე მისი შვილის ხასანის შესახებ ოჯახებში არავითარი ცნობა არაა დარჩენილი, ხოლო ხასანის შვილის აღის ცხოვრება და მოღვაწეობა ცალკე განხილვას იმსახურებს.

ამჟამად ორთაბათუმელ ასათიანთა სამ ოჯახში 14 სული ცხოვრობს. ჩვენ საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით გვარის რამდენიმე წარმომადგგნელს.

თეიმურაზ ასათიანი (დ. 1941 წ.) ამბობს, რომ მათი მოდგმა აჭარაში 300 წლის წინ დასახლდა. მამისა და პაპის მონაცემლით ყველაზე შორეული წინაპარი ხასანი ყოფილა, რომელიც დაახლოებით 1855 წლის ახლოს ცხოვრობდა. ხასანის მამა იყო იმერელი კაცი, რომელიც 10 წლის ასაკში გაყიდეს და ბათუმში ჩამოიყანეს ოსმალეთში გასამგზავრებლად. ბიჭი ოსმალებს ხელიდან გაუსხლტათ და გაექცათ. მდეგრები გამოედევნენ, მაგრამ მათ მალე შეწყვიტეს ბიჭის ძებნა, რადგანაც გემი გადიოდა, წასაყვანად კი კიდევ რამდენიმე ტყვე ჰყავდათ.

ბიჭი ბათუმის უახლოესი სოფლის ერთ ოჯახში შეჩრდა, სადაც ის შეიფარეს, გაზარდეს, გვარიც შეუნარჩუნეს და ადგილობრივ ქალზე დააქორწინეს. ასე გაჩნდა ასათიანთა პირველი ოჯახი აჭარაში, რაც დაახლოებით 1835 წელს უნდა მომხდარიყო.

იმავე სოფელში მცხოვრებ თენგიზ ასათიანის (დ. 1953 წ.) წინაპრებისა-გან ახსოვს, რომ ორთაბათუმში დასახლებული პირველი ასათიანი 14 წლის ასაკში ჩამოიყანეს იმერეთიდან ბათუმში, მიჰყიდეს ოსმალოს, რომლისგანც გამოისყიდა ორთაბათუმელმა ქართველმა კაცმა და იქვე დასახლა კიდეც.

ამგვარად, ორივე შემთხვევაში ასათიანთა პირველი წარმომადგენლის ჩამოსვლა ორთაბათუმში მე-19 საუბუნის პირველ მესამედს, დაახლოებით 1830-35 წლებს არ სცილდება. ამიტომ ვთვლით რომ მათი აჭარაში დასახლება დაახლოებით ორასი წლის წინ უნდა მომხდარიყო.

სამწუხაროდ, არ ვიცით იმ მაღლიანი ორთაბათუმელი კაცის ვინაობა, რომელმაც საქართველოს ერთი დეილი შვილი გადაარჩინა შორეულ უცხოეთში მონობას, საკუთარ მიწაზე დაასახლა და დაამკვიდრა, ახალმოსახლის ნამრავლმა კი სიკეთით, გმირობით, კეთილშობილებით და ქველობით გამოიჩინა თავი.

ბათუმელმა ომარ ასათიანმა, რომელიც წარმოშობით წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩიდანაა, გვითხრა, რომ 25-30 წლის წინ მშობლიურ სოფელში ყოფილისას, მას თხოვნით მიმართა ხანდაზმულმა თანასოფლელმა, დიმიტრი ასათიანმა, გაეგო ორთაბათუმელ თანამოგარეუებთან, ხომ არაფერი იცოდნენ მის ბიძაზე, მამის ძმაზე, დერჩელ ასათიანზე, რომელიც დიდი

ხნის წინ რაღაც მიზეზის გამო ოსმალეთში გადავიდა და უკან აღარ მობრუნებულა. ეს თხოვნა შემთხვევითი არ უნდა იყოს. სწორედ მაშინ გაიხსნა საქართველო-თურქეთის გზა. დიმიტრი ასათიანი კი ორთაბათუმელი ასათიანების მეშვეობით ცდილობს დაკარგულის პოვნას. ხომ არ მიანიშნებს ეს მათს ნათესაურ ახლობლობაზე?

ჩვენ შევეცადეთ მოგვეძია დოკუმენტური მასალებიც. მართალია, საკვლევი თემა ბოლომდე მაინც ვერ დავაზუსტეთ, მაგრამ საშუალება მოგვეცა გამოგვეთქვა ზოგიერთი ვარაუდი.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, მე-19 საუკუნის პირველ მესამედში, ფირან ასათიანს ერთ-ერთი არზით თავისი შვილი სამეგრელოს მცხოვრებზე დაუგირავებია (ალბათ მისი ვალი პქონდა), მაგრამ შემდეგ შვილი აღარ გამოუსყიდნია. როგორც ჩანს, ფირანის შვილი მევალემ გაყიდა, რასაც დიდი დავა და ოფიციალური წრების მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. სამეგრელოს მაშინდელმა მფლობელმა დავით დადიანმა (1812-1853), ეკატერინე ჭავჭავაძის (1815-1881) მეუღლემ, საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლითაც სასტიკად აიკრძალა არამარტო ოჯახის წევრების, არამედ ხელქვეითი გლეხის დაგირავებაც, რომელსაც ბრძანების ავტორი „ყოველთა გამოგონეთაგან უცხოს“ უწოდებს.

ეს დოკუმენტი დაგზავნა სუჯუნის, ჯვარის, ზუბის, მურის, ზუგდიდის, ლაილაშის, მარტვირის და საჭილაოს მაზრის დიანბეგებს.

ასეთი საყოველთაო შფოთი, ოფიციალური ბრძანების გამოცემა და ყველა მაზრაში დაგზავნა მარტო დაგირვებას არ მოჰყვებოდა. მამის მხრიდან ეს სამრახისი საქციელი, როგორც ჩანს, მისი შვილის გაყიდვით დასრულდა, რაც არცოუისე იშვიათი იყო მაშინდელ დასავლეთ საქართველოში.

დავით დადიანის ბრძანება 1842 წლის 16 ნოემბრითაა დათარიღებული. შვილის დაგირავების შემდეგ ალბათ წლები გავიდა, ფირანმა კი ვალი ვერ გადაიხადა. ამ პროცესს, ბუნებრივია, თან ახლდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები, რომლებიც უშედეგოდ დასრულდა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა მევალემ დაგირავებული ვაჟის გაყიდვა, რომლსაც თავისთავად კიდევ დრო დასჭირდებოდა ტყვეთა მსყიდველის მოსახახავად.

ჩვენი ვარაუდის ქრონოლოგია უახლოვდება 1835 წელს, როცა ოსმალების ხელიდან თავი დაიხსნა 10 თუ 14 წლის ტყვედმყოფმა ბიჭმა და ორთაბათუმელ მცხოვრებს შეეფარა. იყო თუ არა ეს ბიჭი ფირან ასათიანის ვაჟი, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, ჩვენ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმისა და მკითხველის წინაშე საკითხის დასმის უფლებას ვიტოვებთ.

\*\*\*

**ალი ასათიანის** ბიოგრაფიიდან მწირი მასალები მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ იგი დაიბადა 1889 წელს აჭარის სოფელ ორთაბათუმში (ხელვაჩაურის რაიონი). იგი აქ დამკვიდრებული პირველი იმერელი ასათიანის შვილიშვილი და ასათიანთაგან პირველი გამუსლიმანებული ხასანის შვილია.

ბათუმის სკოლების მოსწავლეთა საარქივო სიებში ალი ასათიანის კვალი არ ჩანს, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მას საოჯახო განათლება პქონდა მიღებული. მისი მამა ხასან ასათიანი შეძლებულად ცხოვრობდა. იგი ორ-

თაბათუმში ვრცელ ტერიტორიებს ფლობდა. უძრავი ქონება ხასანს მამის-გან დარჩა, თუ საკუთარი გარჯით ჰქონდა შეძენილი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. თენგიზ ასათიანი ასახელებს მისი გვარულობის კუთვნილ ხუთ ჰქებარ ფართობს, რომელიც ჩამოართვეს და ახალშენის საბჭოთა მეურნეობის ფონდში ჩარიცხეს. ადრე ეს ვრცელი ტერიტორიები რუსი ვაჭრის კ.ს. პოპოვისათვის მიუყიდნიათ.

ადრე დაობლებული აღი ახალგაზრდობაშივე შეუდგა შრომით საქმიანობას. 12-13 წლის ასაკში იგი მისივე მიწა-წყალზე, ამჯერად უკვე რუსი ვაჭრის პოპოვის კუთვნილებაში მყოფ ტერიტორიებზე ჩაის გაშენებაში მონაწილეობდა. აქ მასთან ერთად იყვნენ ასაკით უფროსი მუშები: აღი კორძაია, ერმილე მესხი, მარკოზ უღენტი, ბარნაბ მგელაძე, შერმადინ დოლიძე, დომენტი უღენტი, ბარნაბ დადუნაიშვილი და სხვ, რომლებიც საქმიანობის გასაგრძელებლად პლანტაციებიდან ახლად აშენებულ ჩაის ფაბრიკაში გადავიდნენ.

ახლო წარსულში გამეფებული წესით საქართველოში ჩამოსული, აქ უძრავ-მოძრავ ქონებას დაუფლებული და აურაცხელი ფასეულობებით გამდიდრებული ყველა პიროვნების ქმედება საქართველოს მიმართ მეგობრობად აღიქმებოდა, ხოლო საიდანდაც ჩამოხეტებული ყველა ჩარჩ-ვაჭარი მოამაგედ იყო მიჩნეული. სამწუხაროდ, ასეთ ანომალიას ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის ნაშრომებშიც შეხვდებით. მე მხედველობაში არ მყავს რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული საქართველოს ჭეშმარიტი მეგობრები, რომლებმაც მართლაც დიდად გაამდიდრეს ქართული კულტურა და მეცნიერება, ასევე აქედან წაიღეს ქვეყნის უმდიდრესი ისტორია და ტრადიციები. მზა ჩაით მოვაჭრე კ.ს. პოპოვი რომელიც საქართველოში პირველად 1892 წლის ოქტომბერში გამოჩნდა, თბილისში ხელისუფლებას ეხლა და ბათუმის შემოგარენში მიწის შეძენის სურვილი გამოთქვა. რამდენიმე თვის შემდეგ მან სალიბაურში ჩაის მოშენება დაიწყო. როგორც ჩანს, კავკასიის მაშინდელმა მთავარმართებლობამ კ. პოპოვს ფართოდ გაუღო კარი, რათა კანონით თუ უკანონოდ ძეირფასი მიწები შეეძინა.

კ.ს. პოპოვი ხშირად არდვევდა კანონს და მიწებს ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე იძნედა, რასაც ქართველი საზოგადოებრიობის, სახელმწიფო ქონებათა უწყებაში მომუშავე ქართველი მოხელეების პროტესტი მოჰყვა. ცნობილი მოღვაწე და პუბლიცისტი დავით მიქელაძე (1843-1919), გაზ. „ივერიაში“ მეველის ფსევდონიმით შეუერთდა ქართველთა პროტესტს.

მიუხედად ამისა, პოპოვი და მისი დამქაშები კვლავ თვითნებობდნენ. არ ერიდებოდნენ მუშათა ფიზიკურ დასჯას. მუშათა მოთმინების ფიალა აიგსო მაშინ, როცა ზედამხედველმა უმიზეზოდ გაროზგა აღი ასათიანის თანამოსაქმე მუშა შერმადინ დოლიძე. ამას გაზეთ „ივერიაში“ მოჰყვა მკაცრი საპროტესტო წერილი. თუმცა კვლავ გაგრძელდა ადგილობრივ მოსახლეობაზე სასტიკი მოპყრობა და იმის ცდა, რომ შავზღვისპირეთში უცხოომელები ჩამოესახლებინათ. ეს კი ხელისუფლების მთავარი მიზანი იყო.

ცარიზმის დამოკიდებულება მკვიდრი მოსახლეობის მიმართ პოპოვამ-დეც უკიდურესად დისკრიმინიციული იყო. ჯერ კიდევ 1886 წელს, როცა ორთაბათუმსა და ყორთლისთავში პირველი ჩაის პლანტაციორი სოლოვევი გამოჩნდა, დაიწყო მოსახლეობის შევიწროება, რითაც დაინტერესდა ბათუმში მყოფი მწერალი უგნატე ნინოშვილი. მას პირადად უსაუბრია ერთ-ერთ

მცხოვრებთან, რომელსაც განუცხადებია, რომ 21 წელია, ე.ი. 1865 წლიდან, უჭირავს მამული, ახლა კი ვიდაც დაუპატიჟებელი სტუმარი ედავება და მისი აყრა დაუპირებია. მიწათმფლობელს ვექილისათვის მიუნდვია ეს საქმე, რომელსაც ეგნატეც ესაუბრა.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, იმპერიიდან ჩამოხეტებული მეწარმეები და პლანტაციონები ჩაქვსა და ორთაბათუმში უფრო მეტ მიწებს აგლეჯდნენ მოსახლეობას, არაადამიანურად ამუშავებდნენ და ჩაგრავდნენ. პოპოვმა სალიბაურიდან ორაბათუმისაკენ მიმავალი გზაც კი ალაყაფის კარგით გადაკეტა (ამ ადგილს ახლაც პოპოვის ჭიშკარს უწოდებენ).

ჩაქვის საუფლისწულო და პოპოვის ჩაის მამულში, აგრეთვე ჩაის ფაბრიკაში დასაქმებულმა მუშებმა აუტანელი პირობების, აბუჩად აგდების, დაბალი ანაზღაურების გამო (თვეში 15 მანეთი), გაფიცვა მოაწყვეს. ჩაის ფაბრიკაში. გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ: ალი ასათიანი, ალი კორძაია, ბერსენაძე (აგიტატორი), ერმილე მესხი, მარკოზ ქლენტი, შერმადინ დოლიძე, ბარნაბ მგელაძე და სხვ. გაფიცვაში აქტიურობდა მამულის მებაღე და უცხო ქნების (რუსული, არაბული, თურქული) მცოდნე, მუსტაფა ხალვაში (1853-1962), რომელიც საკუთარ სახლში ატარებდა ფარულ კრებებს და გაფიცულებს პროკლამაციებს ურიგებდა.

შეშინებულმა მებატრონებმ მუშების მხოლოდ ნაწილს მოუმატა ხელფასი, ხოლო დანარჩენი დაითხოვა და მათ ადგილას ჯარისკაცები დაიქირავა.

დათხოვნილთა შორის აღმოჩნდა ალი ასათიანი, რომელმაც დარაზმა თანამოსაქმეები. ისინი თავს დაესხნენ ჯარისკაცებს, ჩაის ფოთოლი გადაუყარეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ასეთი შეტაკება რამდენჯერმე განმეორდა. ალი ასათიანის რაზმელებმა ჯარისკაცებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება მოახერხეს და დაატოვებინეს პოპოვის მამული.

700-მდე მუშა, რომელთაგან 400 პოპოვის ბინებში ცხოვრობდა, ხოლო 300 ადგილობრივი მცხოვრები იყო, დიდ ძალას წარმოადგენდა, ამიტომ ხელისუფლებამ მამულში შეიარაღებული ასეული ჩააყენა და დაავალა მუშათა მდელგარებისა და გაფიცვების ჩახშობა. არც ამ რეპრესიებმა გამოიღო შედეგი. რის გამო 1906 წელს იძულებული გახდნენ დაეხურათ ჩაქვის საუფლისწულო მამული და პოპოვის ფაბრიკა.

ალი ასათიანი უოველოვის ამ მოვლენების შუაგულში იყო. რეაქციის წლებში მან გაქცევით უშველა თავს (ვინ იცის იქნებ იმერეთს შეაფარათავი), რითაც დაპატიმრებას გადარჩა. ამ დროს ის 17 წლისა იყო და გასაგებია, ასეთი ამბების მონაწილეს არსებული წეს-წყობილების მიმართ როგორი სიძულვილი ამომრავებდა.

ალი ასათიანის ცხოვრების წესს, გარემოცვას, იდეურ მიმართულებასა და მრწამსს თუ გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ ის ყოველოვის იდგა უსამართლობის, ძალმომრეობისა და უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლის ფერხულში. სხვაგვარად იგი ვერ მოხვდებოდა მაზნიაშვილის სამხედრო ნაწილში, რომელმაც თავდადებითა და სიმამაცით თავისი გმრობა ოქროს ასოებით ჩაწერა საქართველოს ისტორიაში.

\*\*\*

როგორ მოხვდა ალი ასათიანი გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მებრძოლთა შორის?

1921 წლის დასაწყისში ბათუმში 3000-მდე ქართველი ჯარისკაცი იმყოფებოდა, მაგრამ საქართველოს მთავრობის უნიათობით ისინი მეთაურების გარეშე დარჩენ და დაიქსაქსნენ. გასაქცევად მომზადებულ მთავრობას ერთად-ერთი გამოსავალი შერჩა - ბოლშევიკებთან მოლაპარაკება, რათა დაქარებინა მათი ჯარების ბათუმში შემოსვლა. მანამდე კი დაფანტული ქართული ნაწილები უნდა შეეკრიბათ და თურქები ქალაქიდან გაეყვანათ.

საქართველოს მთავრობამ ბათუმის ციხეში მყოფი ბოლშევიკები, მათ შორის სერგო ქავთარაძე გაათავისუფლა და მას განუცხადა თავისი განზრახვა - ქართულ ჯარს სათავეში ჩადგომოდა გამოცდილი მხედართმთავარი გენერალი მაზნიაშვილი.

ბოლშევიკებთან თანამშრომლობაზე გიორგიმ უარი განაცხადა, მაგრამ როცა დარწმუნდა, ქალაქ ბათუმს საფრთხეს ემუქრებოდა, პირად პრინციპებზე უარი თქვა და დათანხმდა ამ წინადადებას.

გენერალმა დაფანტული მებრძოლების სასწრაფო მობილიზაცია გამოაცხადა და ჯარი ქართული რეგულარული ნაწილების, ოსმალეთში მოქმედი ქართული ლეგიონის ყოფილი მებრძოლების და ადგილობრივი მოხალისეებით შეავსო.

ადგილობრივთა შორის იყვნენ: ახმედ ქიქავა, აბდულ თხილაიშვილი, ოსმან მიქელაძე, შერიფ ბერიძე, სულეიმან ირემაძე, მემედ ჯინჭარაძე, ალი ასათიანი და სხვ.

დაშლილი და დამარცხებული ქართული არმიის მებრძოლები რუსეთსა და ოსმალეთს შორის გაფორმებული მეგობრობის ხელშეკრულების საშიშროებამ ადანთო და ახალი ბრძოლისათვის განაწყო. გენერალმა მაზნიაშვილმა მათ, როგორც იტყვიან, საომარი სული შთაბერა. ჯარის ნაწილებს შეემატნენ აჭარის სოფლებიდან მოხალისეებად მოსული, პატრიოტიზმისა და თავდადებისათვის მზადმყოფი ახალგაზრდები, აგრეთვე, ადრე არტილერიაში ნამსახურევი ოცი მოხალისე და მაზნიაშვილის რაზმში ჩაირიცხნენ.

18 მარტს გენერალმა მაზნიაშვილმა ქაზიმ-ბეის ულტიმატუმი გაუგზავნა, ერთ საათში დაეტოვებინა ქალაქი და ჯარი გაეყვანა. ვადა უშედეგოდ ამოიწურა, რის გამო მებრძოლებმა ბრძოლის დაწყების ბრძანება მიიღეს.

პირველივე შეტევისთანავე, ქართულმა ჯარმა მოწინააღმდეგეს ისეთი დარტყმა მიაყენა, რომ მხოლოდ მცირეოდენი წინააღმდეგობა შეძლო, შემდეგ თავზარდაცემულმა უკან დაიხია დანაკარგებით თავს უშველა. 18-20 მარტს ბათუმის და მისი მიმდებარე სოფლები მთლიანად გაიწინდა ქაზიმ-ბეის ნაწილებისაგან.

აღი ასათიანი როგორც ჩანს, ქართულ ჯარში ირიცხებოდა, ან ის უნდა მიეცუთვნოს მოხალისეთა კატეგორიას, რომელიც ჩაირიცხა სახელდახელოდ შექმნილ ქართულ საჯარისო ნაწილში, იბრძოლა და საკუთარი სურვილით მიიტანა სიცოცხლე მშობლიური ქალაქის გადარჩენის სამსხვერპლოზე.

აღის 6 შეიძლი დარჩა. მათგან ორი: 1. ხასანი და არიფი მეორე მსოფლიო ომში დაიღუპნენ. ხასანი მოლდავეთში მმათა სასაფლაოზეა დაკრძალული, ხოლო მინსკში დაღუპული არიფის საფლავი უცნობია. ოსმანიც სამამულო ომში მონაწილეობდა, მრავალი ჯილდოც მიიღო და 1946 წელს უვნებლად დაბრუნდა სამშობლოში. აღის უფროსი შეიძლი იყო დურსეუნი. მისი და ოსმანის შთამომავლობა ამჟამადაც ცხოვრობს ორთაბათუმში და სხვა სოფლებსა და ქალაქებში. აღის ქალიშვილთაგან ზექიე თავის სო-

ფელში, პაიდარ კახიძეზე, ხოლო კადრიე გაგრაში აფხაზ ფსარდიაზე გათხოვდა.

ბოლშევიკური რეჟიმი ერთხანს ბათუმის ბრძოლებში დაღუპულებს საბჭოთა მებრძოლებად თვლიდა, მაგრამ სიცრუე მაღე გამომედავნდა, ამიტომ ხელისუფლებამ ქართველ მებრძოლთა საფლავი გააუქმა და ასფალტით დაფარა. ასეთ ვითარებაში აღი ასათიანის და მასთან ერთად სხვა 84 დაღუპული გმირის სახელები დღესაც არავის ეხსომებოდა, რომ არა ბათუმის მოწინავე ინტელიგენციის, ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა წევრების ძალისხმევა, რომელთაც დაღუპულთა დაკარგული საფლავის ადგილმდებარეობის მოკვლევის, გათხრების ჩატარების და სხვა ორგანიზაციული საქმეების მოსაგვარებლად შექმნეს საგანგებო კომისია.

1990 წლის 19-28 მაისს ბათუმის ყოფილი აზიზიეს, შემდგომში ლენინის, აწ უკვე თავისუფლების მოედანზე აღმოჩნდა 50 მებრძოლის, მათ შორის ერთი ქალის ნემტი. დანარჩენი დაღუპულები, თავად გიორგი მაზნიაშვილის თქმით, ნათესავებმა წაასვენეს და მშობლიური სოფლების მიწას მიაბარეს.

საგანგებო კომისიის ერთერთმა აქტიურმა წევრმა, აწ გარდაცვლილმა მეცნიერმა, პროფესორმა, მაღაზაზ სიორიძემ თავისი სიცოცხლის ბოლო 20 წელი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილების, დაღუპული გმირების ვინაობის დადგენას მოახმარა. საქართველოს არქივებსა და მემუარულ ლიტერატურაში არსებული მასალების ანალიზით და რესპონდენტთა მონათხოვბით მან სამმოს საფლავში დაკრძალულთა შორის დაადგინა 24 და მშობლიურ მიწას ჭირისუფალთა მიერ მიბარებული 21 მებრძოლის ვინაობა. მათ შორისაა ორთაბათუმელი აღი ხასანის ძე ასათიანი.

აღი ასათიანის შვილიშვილები გვიამბობენ, რომ მათი ბაბუას ცხედარი ამოიცნო ორთაბათუმელმა პაფიზ სურმანიძემ, რომელიც თავადაც მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში. მან თავი დაღუპულის ბიძაშვილად გამოაცხადა, სოფელში გადაასვენა და დაკრძალა. აღი ცენტრალური გზის მარჯვნივ ძეველ სასაფლაოს მიაბარეს ისე, რომ უკვე დამყარებული საბჭოთა ხელისუფლების შიშით, არავითარი წარწერა არ გაუკეთებიათ. შვილები მცირეწლოვანნი იყვნენ, როცა წამოიზარდნენ გაიგეს, რომ მამა მენშევიკური არმიის მებრძოლად მოუნათლავთ, ამიტომ იმ დროს მასზე გამოპატრონება ვეღარავინ გაბედა. ასე დაიკარგა ერვონული გმირის აღი ასათიანის საფლავიც და სახელიც.

**მინაწერი:** ოჯახი წევრებისა და ხანდაზმული ინფორაგორების დახმარებით, თენგიზ თავდგირიძესთან ერთად, 12 ივნისს, მივაკვლიერ აღი ასათიანის სავარაუდო საფლავს. იგი 1962 წელს კუბაში დაღუპული ჭაბუკის დევანა ქიქავას აპათეონის მეორე მხარეს მდებარეობს. მათს საფლავებს შორის სოფლის გზა გადის. ჩვენი ვალია ამ ადგილას ახლა მაინც დავდგათ სიმბოლური სტელა, რომელზეც ბათუმის შენარჩუნებისათვის დაღუპული მებრძოლის, ეროვნული გმირის აღი ხასანის ძე ასათიანის სახელი იქნება აღბეჭდილი.

*Тамаз Путкарадзе, Нурие Муратова*

## **НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКИХ И НАУЧНО-КУЛЬТУРНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ ВЕНГЕРСКОГО И ГРУЗИНСКОГО НАРОДА**

Грузинская общественность всегда проявляла большой интерес к Венгрии. Наши контакты носили не только политический, но и культурный, экономический и боевой характер.

Такой же интерес проявляли и Венгрии. Они издавна знали грузинскую культуру. В Грузинской и венгерской печати публиковались материалы о грузино-венгерских связях, литературных отношениях, подчеркивалось единство веры, сходство исторических судеб, выразившееся в борьбе общих врагов.

Исторические, эти связи уходят в глубь веков. известний венгерский дипломат Иштвам Кокош (которого послала к Шаху Абасу I с дипломатической миссией) способствовал помагал к Царю Кахети Александру для установления контактов Австрийским императором Рудольфом.

Венгерские дипломаты, находившиеся в Константинополе, довольно часто передавали своем правительству сведения о Грузии.

В XVII веке, венгерски типограф Миклош Киш (тотфалуши) по заказу Грузинского царя Картли Арчилы II, изготовил в Амстердаме первый печатный Грузинский шрифт для первой Грузинской типографии.

В XVIII веке в Тбилисской типографии царя Картли Вахтанг VI работал Венгерский типограф Михай Иштванович, который жил в Грузии (1708-1711гг). Он являлся учеником известного руминского деятеля Антимоза Ивериели (грузина). по просьбе Грузинского царя Вахтанга VI Антимоз Ивериели послал Михая Иштвановича в Тбилиси, который сделал улучшенный Грузинский шрифт и основал новую типографию.

При дворе Грузинского царя Ираклия II (1774-1798) жил венгерский граф Янош Копар. Иракли II через графа пытался установить связь со странами Европы и имел через него тесные контакты с Венгерскими правителями. Янош Купер умер в Тбилиси в 1780 году.

Разные времена в Грузии побывали известные Венгерские деятели. Янош Орлан (1770-1824), Иоклич Гергеи ( в 1815 г. они издали книгу о Грузии на латинской языке), Янош Беш (1838 г . он свои заметки о Грузии издал в Париже на французском языке) и т. д.

В 1836 г. В Венгрии был издан перевод части «Балавариани ». В 1888 г. в Будапеште вышла рецензия на перевод Артура Лайста «Антология Грузинской поэзии».

В 80-х годах XIX века Грузинская интеллигенция задумав осуществить роскошное издание поемы Шота Руставели «Витязь В тигровой шкуре», пригласила писать иллюстрации к поеме известного художника Михая Зичи. Он путешествовал в месте Александром III по Грузии. Грузини попросили императору оставить в Грузию художника до двух месяцев для иллюстрации поеми. Михай Зичи этому работу посвятил 8 лет. Своим дружеским отношении к Грузии и ее культуре Зичи заслужил любовь Грузинского народа и его имя до сих пор живет в Грузии. В Грузии Михая Зичи считают национальным художником, который иллюстрировал первое печатное издание эпоса руставели « Витязь в тигровой

шкуре “. сам художник писал : я не хочу хвастаться, но мне кажется , что там , на кавказе , я оставил хорошую намять о мо м народе („Венгерские новости, №4, 1967), (Валдюлер пригласил один из русских князей в качестве учителя рисования для своих детей, но Валдюлер рекомендовал вместе себя своего ученика М. Зичи итак оказался он в Россию. он был придворным художником Николая I, Александра II, Александра III и Николая II.)

1889 году известный Венгерский деятель белая Викар встретился в финском селе Лахта с Михаэлем Зичи . Зичи познакомил Викара с „Вефхисткаосани”, изданном 1888 году Г. Картвелишивили иллюстрированным самим Зичи и посоветовал молодому переводчику взяться за перевод поэму Шота Руставели на венгерский язык . спустя 20 лет, он приступил к выполнению обещания, даного им Зичи. Одновременно он приступил к изучению грузинского языка , которым овладел в течение десяти лет. ему помогал молодой грузин Георгий Чиксараули, который дословно переводил ему поему на язык есперанто. Заключительную часть поэмы Беля Викар перевел при содействии Григола Церетели и Давида Толораия. Перевод завершен и книга была издана в 1817 году, в Будапеште . Второй перевод поэмы был осуществлен Шандором В решем в 1954 году. В 1965 году поэма была переведена в третий раз Иожефом Райманом.

Большой любовью относился к грузии известный Венгерский деятель, доктор наук Лайош Тарди. Он несколько раз побывал в Грузии. „ Впервые интерес к Грузии-писал он , появился у меня в этот период, когда обычно вступает в свои права первая любовь. но первая любовь давним-давно ушла, а интерес к Грузии длится уже почти 30 лет, по степенно превратившись в пристрастие, нечто вроде „вечного попутчика". мне было 16лет, когда в одном старинном Венгерском журнале я прочел что, с Венгерской , которой в течение столетий грозили польским уничтожением немцы с запада, а турки с юга, может правниться лишь одна страна-Грузия. Это так же пытались завоевать то турки, то персы... В статье много говорилось о любви грузин к свободе, о других замечательных чертах у меня появился какой-то особый интерес ко всему , связанному с вашей страной –писал Л. Тарда (Адж.гое.Архив.л/ф вл. мквервалишивили, л/ф №402, о.1, д №15, стр. 111-112). Он полюбил Грузию и стал коллекционировать все о родине Руставели. Первая работа о Грузии Л. Тарди опубликовал 1959 года (она была посвящена Якубу Рейннеггсу. Он научился говорить по грузински и читать в подлинниках грузинские первоисточники.

В сентябре 1967 года в связи с декадой культуры Венгрии в грузии в Тбилиси прибыла венгерская делегация . Среди гостей был и Л. Тарди. В октябре 1968 года, Тарги вместе супругой находился в Батуми. После этого он несколько раз побывал в Грузию (1969, 1973...)

1966 году он издал книгу о Грузино-Венгерских исторических и культурных связях, которая была переведена и напечатана на грузинском языке 1972 году. Ученый показал, что Грузино-Венгерские связи имеют многовековую историю. Еще в XV веке был подписан союз о дружбе между Грузией и Венгерией.

В архиве Л. Тарди вся история венгерских путешественников. побывавших в Грузии начиная с монаха Юлиана, который ушел в 13-ом в. посетил грузинскую землю. Он собственном доме устроил настоящий музей. Одна из комнат его квартиры является своеобразным музеем Грузии в миниатуре. Там можно увидеть редкое собрание грузинских книг, образцы грузинской национальной одежды, в том

числе чоху с кинжалом, коллекции грузинских монет и вин и т. д. (Аджарский гос. архив, л/ф №402, оп.1. д.3).

1937 году , на заседании уч нного совета Института истории, археологии и Этнографии АН Грузии, Л, Тарги защитил докторскую диссертацию на теме: „грузия общественном мнении им. Атила Иожефа, где он читал лекции по истории Грузинской явилизации, 1980-81 гг. историю Грузии средних веков.

Лайош Тарди – этот только один яркий пртмер в многогранной деятельности грузинских и Венгерских ученых. Научные контакты крепнут год от года. В Будапеште создали сильная школа Картвелологов. Грузинской этнографией плодотворно занимался Мартин Иштванович. Мартина Иштвановича можно назвать воспитанником Тбилисского государственного университета. Он являлся аспирантом кафедры древно-грузинской литературы Тбилисского университета. Под руководством профессора Ксения Сихарулидзе он защитил кандидатскую диссертацию по грузинскому фольклору. Родотворные научные связи сложились у М. Иштвановича (который работал Будапештском университете) с заведующим отделом фольклора Батумского научно-исследовательского института Джемалом Ногайдели. М. Иштванович своих трудах доказал, что без грузинского фольклора нельзя рассматривать основные проблемы мирового фольклора. С одной стороны грузинский фольклор связан с греческим. а с другой стороны – с восточным. Он доказал. что в грузинском фольклоре есть все те признаки, которые присущи западному и восточному фольклорам. Это было всемирным признанием грузинского фольклора.

В 1981 году в Венгрии появилась богатая по содержанию Антология грузинской прозы «Рог для вина» (100 грузинских стихов). В создании книги большую роль сыграло то, что директор издательства «Европа» Янош Домокош побывал в Грузии и познакомился там с Мананой Саладзе, прекрасно знающей венгерский язык и переводящей с него.

Будапештском университете читали курс грузинского языка. При кафедре востоковедения университета создали группа кавказоведов. Интересные материалы из истории, культуры, литературы нашего края собраны в национальном и государственном этнографическом музее Венгрии, музее народов восточной Азии имени Ференца Хоппи, в рукописном отделе Академии наук Венгрии, в доме-музее Михая Зичи, в селе Заала. Грузинские учени обнаружили около трехсот древнегрузинских памятников – этнографических, культурных, археологических, ранее не известных ученым (Аджарский гос. архив, л/ф №402, оп.1. д.3, стр. 115). Найдены, что первый полный перевод «Витязя в тигровой шкуре» на венгерском языке был выполнен Бела Викаром с оригинала, то есть с грузинского языка. Обнаружены новые имена грузин, живших в Венгрии и помогавших Викару в переводе произведения (Аджарский гос. архив, л/ф №402, оп.1. д.3, стр.115), а также. уникальные грузинские национальные костюмы быта, не сохранившиеся уже в Грузии, орудия труда, музыкальные инструменты, чеканные изделия, первый рукописный диалектологический словарь грузино-менгrelско-сванско-осетинского языков.

Большой друг грузинского народа Бела Куппер, известный Венгерский деятель 5 лет жил в Грузии, г. Батуми. Там же нашел свое личное счастье, обрел семью. Находясь в Батуми, он не преставал восхищаться его людьми, природой, морем.

Яркий пример братской дружбы является совместная борба за свободу и мира в период второй мировой войны за освобождению Венгрии. Вместе Венгерскими

народами сражались и мой соотечественники: Амиран Гургенидзе, Георги Сабашвили, Хасан Халваши, Георги Цинцадзе, Георгий Мушкудиани, Капитон Гоголадзе, Герман мжаванадзе, Увтихи Николаишвили, Ражден Хабеишвили, Георгии Чхатараишвили, Федор Ломтатидзе, Зураб Нанеишвили и другие. Много из них пали смертью храбрых за освобождение Венгрии от фашистских захватчиков. Среди них: Мамия Дарчия (из села Капрешуми), Георгий Авджишвили (из села Джочо), Тариел Абуладзе (из Батуми) и т. д.

После второй мировой войны венгеро-Грузинская дружба наполнилось новым содержанием. Яркой страницей этих отношений являлся создание общества грузино-венгерской дружбы. В Батуми было создано региональное отделение этого общества.

Особую значимость приобретают научные и культурные контакты и современном этапе. Продолжается научные контакты между Батумским и Сегедским университетом, которому закладывал фундамент Лаиш Тарди. Соответственно, с целью углубления связей, мы должны обмениваться студентами и профессорами, устроить совместные научные экспедиции, проведет конференции и т. д.

Все это, в конечном счете, благоприятно будут отражаться и способствовать развитию дальнейшему укреплению братской дружбы между нашими народами.

#### **Источники:**

1. Адж.гос.Архив.л/ф. Вл. Мкервалишвили № 402, о. 1, д . № 3, 15

## ელგუჯა ჩაგანაგა

### დიპლომატიური წარმომადგენლობების ისტორიიდან საკრისულოები გათვაზი

ბათუმი კოლხეთის ძლიერების ეპოქაში მნიშვნელოვანი სამხედრო და სავაჭრო ნავსადგური იყო. იგი შავ ზღვაზე გონიოს ციხესთან ერთად, თავდაცვისა და შეტევის ზღუდეს წარმოადგენდა. ბათუმს თავიდანვე დაუკისრა სატრანზიტო ფუნქცია. ევროპის ქვეყნებისაკენ მიმავალი სახმელეთო და საზღვაო გზები ბათუმზე გადიოდა.

მე-16 საუკუნიდან საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა. ამ პერიოდისათვის დიდი ეროვნული განსაცდელის ქამს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია ერთმორწმუნე რუსეთისაკენ გადაიხარა. რუსეთის დამკიდრება საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეუთავსებელი იყო ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებთან. ამიტომ ინგლისი და საფრანგეთი ირან-ოსმალეთის მეშვეობით ცდილობდნენ რუსეთის განდევნას საქართველოდან და მათ სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებას უწევდნენ.

შავ ზღვაზე ბატონობისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის დიდი ხნის განმავლობაში წარმოებდა ბრძოლა. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ხმელეთზე ფეხის მტკიცედ მოკიდება. ამ მხრივ ცარიზმი და რუსეთის კაპიტალიზმი ბათუმს უმიზნებდნენ, როგორც შავ ზღვაზე ყველაზე ხელსაყრელ სანაცხადგურო ქალაქს.

1878 წლიდან დაიწყო ბათუმის განვითარების პერიოდი. 1903 წლისათვის ბათუმში უკვე არსებობდა 29 სამრეწველო დაწესებულება. ბათუმმა მსოფლიო სახელი უმთავრესად ნავთობის პროდუქტების ვაჭრობით მოიხვეჭა, რომელიც აზერბაიჯანიდან შემოდიოდა. ბათუმის მსოფლიო მნიშვნელობის საპორტო ქალაქად გადაქცევას და მის შემდგომ განვითარებას ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმ-სამტრედიის შტოს მშენებლობამ, რომელიც დაიწყო 1880 წელს და ექსპლოაბრაციაში შევიდა 1883 წლის 21 მარტს. ამ პერიოდისათვის ბათუმში მოქმედებდა 9 მსხვილი ფირმა და ნავთობის წარმოების ხუთი ქარხანა: როგორიცაც მანიაშევის (ორი ქარხანა), ხაჩატურიანცის და სიდერედიისის. ნავთობპროდუქტების უზარმაზარი მარაგის არსებობამ ბაქოში დიდად შეუწყო ხელი ბათუმის ნავსადგურის მნიშვნელობის გაზრდას მსოფლიო ქვეყნების თვალში. ამიტომაც იგი მრავალი ქვეყნის დაინტერესების მიზეზი გახდა. ისინი ესწრაფოდნენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების სფეროს გაფართოებას. ქალაქში იხსნებოდა სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოები და დიპლომატიური წარმომადგენლობები. აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით 1902 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა 14 ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობა:

1. ავსტრია-უნგრეთის საკონსულო, კუნინის სახლში, ყოფილ მარინეს და ტიფლისის ქუჩების კვეთაში, კონსული-ჯონ სტივენსი;

2. ბელგიის საკონსულო, მარინე-შიბაევის პროსპექტი, კონსული – ო. დიებელი;

3. დიდი ბრიტანეთის საკონსულო, ჯაიანის სახლში, კონსული – პატრიკ სტივენსი;

4. გერმანიის საკონსულო, ხუნწარიას სახლში, ოლგინსკის ქუჩა – კონსული – ბურგარდტი;

5. საბერძნეთის საკონსულო, დ. ანგელიდისის სახლში, კონსული – ა. პავლიდისი;

6. დანიის საკონსულო, სობორის შესახვევი, კონსული გ. ხ. ვარენსკი;

7. იტალიის საკონსულო, კუბირალა ხერაზის სახლში, მორსკაიას ქუჩა – კონსული – ერნესტ სპონიოლი;

8. ირანის საკონსულო, ხუნწარიას სახლი, ოლგინსკის ქუჩა – კონსული – მირზა აღა ხანი;

9. ჩრდილო ამერიკის გაერთიანებული შტატების, მარინის პროსპექტი (საფოსტო სახლთან), კონსული ჯონ ჩემპერსი;

10. ამერიკავებისათვის ნიდერლანდების საკონსულო, დონდუკოვ კორსაკის ქუჩა – კონსული გენრის ბლეი;

11. თურქეთის გენერალური საკონსულო, თავად მაჩაბლის სახლი, სმეგალოვანის ქუჩა, კონსული – სადინ ბეი;

12. საფრანგეთის საკონსულო, ხუნწარიას სახლი, კორსაპოვსკაიას ქუჩა, კონსული – დელაკრუა;

13. შვედეთ-ნორვეგიის საკონსულო, ბალაშკოვსკის სახლში, ბულგარის ქუჩა, კონსული – გაგოტი;

14. იაპონიის საკონსულო, კასპიისა და შავი ზღვის ნავთობმრეწვის და ვაჭრობის ორგანიზაციის სახლში, სმეკალოვანის ქუჩა, კონსული ა. ხ. ვანცელტი.

1903-1907 წლებში მუშათა კლასის რეოლუციურმა გამოსვლებმა გამოიწვია ბათუმის მრეწველობისა და ნავთობის ექსპორტის დაცემა. 1910 წლიდან დაიწყო მრეწველობის გამოცოცხლება. ბათუმმა, როგორც ამიერკავკასიის პირველხარისხოვანმა სანავსადგურო ქალაქმა, კვლავ დაიბრუნა ძველი ფუნქცია. ნავთობპროდუქტების გარდა ბათუმიდან საზღვარგარეთ გაედინებოდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქტები. იმ დროისათვის ბათუმის პორტის ტვირთბრუნვა შეადგენდა 24.2006. 709 ფუთს.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში ფუნქციონირებდა წამყვანი ევროპული ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები. 1918 წელს: გერმანიის (პასკევის ქ. №14); შვეიცარიის (ბეიბუთიკის ქ. №15); შვეციის (ველკონიაზის ქ.№54); ოსმალეთის (სარტოვედი №2); სპარსეთის (გუდოკის ქ. №7); ლიბერტის (ალექსანდროვის ქ. №7); ესპანეთის (ანასტასიოს ქ. №11); პოლონეთის (დიდი თავად კუიზეს ქ. №11/59); ამერიკის (ვენიამინოვის ქ. №15); ინგლისის (ინგლისაციონალის ქუჩა, სახლი №24) და უკრაინის საელჩოები.

1921 წლისათვის ბათუმში ფუნქციონირებდა: გერმანიის საკონსულო (კონსული - კარლო თეოდორდის-ძე კორნეოზინი), სპარსეთის საკონსულო (8 თანამშრომლით), იტალიის საკონსულო (კონსული ანტონიო გუბი / / ტუბი, 5 თანამშრომლით), შვეციის საკონსულო (კონსული ა. ტეიხლერი, 5 თანამშრომლით), ავსტრიის რწმუნებული (ე.ი. გრანცი), აერბაიჯანის სსრ საკონსულო (კონსული ისახან ბახრამი, 6 თანამშრომლით), ესპანეთის ვიცე საკონსულო (კონსული - ქ. ვარსეგნიანი, 3 თანამშრომლით), ესტონეთ-ლიტვის საკონსულოს წარმომადგენლები (აბრამ იაკობის ქ. გუზაკი), ლატვიის (ი. ბლუნბერგი), დანიის ვიცე კონსული (კანრევე გენრის გენრის ქ. შვეიცარიის საკონსულოს სააგენტო (მდივანი გოსვეირ გუსტავ კარლოვის ქ.;

შემდგომ ალბერტ ალბერტისძე ლორენცი), სპარსეთის საკონსულო (კონსული ისან-ხან ბახრამი), „ისპანის” შტატის ვიცე – საკონსულო (კონსული ა. თ პარსენგიანი), „ისპანის” ვიცე – საკონსულო ფუნქციონირებდა ჯერ კოდვა ევროპის ომამდე. საომარი მოქმედებების გამო საკონსულო ევაკუირებული იქნა თბილისში, ხოლო 1919 წლიდან გადმოვიდა ბათუმში. ხელი-სუფლების ორგანოები ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს უცხო ქვეყნის საკონსულოების და მათი წარმომადგენლობების საქმიანობას. უსაფუძვლო მიზე-ზების გამო (სანიტარული, ასევე სხვა გადასახადების გადაუხედლობა, გადახდის დაგვიანება და ა. შ.) ხშირი იყო დაპატიმრებები.

1921 წლიდან, საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების დამხობის შემდეგ აღნიშნული საკონსულოები ფაქტიურად დაიხურა. თავისი საქმიანობა განაგრძო მხოლოდ თურქეთის გენერალურმა საკონსულომ. 1923 წელს ბათუმში გაიხსნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დიპლომატიური საგენტო, რომლის მთავარი მიზანი იყო თურქეთის გენერალურ საკონსლოსთან მუშაობა.

ბათუმის დიპლომატიური საგენტო, მისი კომპეტენციის ფარგლებში უპირისპირდებოდა გენერალური საკონსულოს საქმიანობას საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში-აჭარაში თურქეთის განსაკუთრებული ინტერესების გასატარებლად, ასრულებდა გარკვეულ ფუნქციებს წამოჭრილი საკიონების ოპერატიულად გადაწევების თვალსაზრისით.

1988 წლის სექტემბერში დიპლომატიური საგენტო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობად გადაკვიდა, თუმცა მისი ფუნქციები უცვლელი დარჩა.

1989 წლამდე წარმომადგენლობას მოსკოვიდან მოვლენილი რუსი ეროვნების დიპლომატები ხელმძღვანელობდნენ. 1989 წლის ბოლოს აქ პირველად დაინიშნა ადგილობრივი კადრი. წარმომადგენლობის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა 1989 წლის 1 სექტემბერიდან, სარფის გამშვები პუნქტის გახსნის შემდეგ. წარმომადგენლობა ფაქტიურად ერთადერთი ორგანო იყო, რომელიც ახორციელებდა პმიერკავკასიის რესპუბლიკების მოქალაქეთა საკონსულო მომსახურებასა და თურქეთის ტერიტორიაზე მათი კანონიერი უფლებების დაცვას.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაისვა აღნიშნული წარმომადგენლობის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის გადაცემის საკიონი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო პრეზენტიას აცხადებდა ქ. ბათუმში არსებულ შენობაზე და მას მომავალში რუსეთის საკონსულო დაწესებულებების ბაზად განიხილავდა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მ. უკლებასა და წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის ძალისხმეული 1994 წელს შეიქმნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა ქ. ბათუმში, დამტკიცდა მისი დებულება, აღირიცხა ქონება, შენობა კი საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალანსზე გადავიდა.

საქმიანობის მთავარი მიმართულება თურქეთის გენერალურ საკონსულოსთან მუშაობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა არაერთხელ განაცხადა საქართველოსთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ, მისი ინტერესები, კერძოდ აჭარის რეგიონის მიმართ, კელავ აქტუალური რჩება. ამ მიმართებით აქტიურ მუშაობას განაგრძობს თურქეთის გენერალური საკონსულო ქ. ბათუმში. წარმომადგენლობა ის ქვედანა-

ყოფი იყო, რომელიც ახერხებდა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ამ საქმიანობის განვიტრალებას და საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას. უშიშროების ორგანოებთან ერთობლივი მუშაობით აღიკვეთა ქვეყნის საზიანოდ მიმართული არა ერთი ქმედება.

ამასთან ერთად, წარმომადგენლობა აქტიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დასაცავად, სათანადო კონტროლი ხორციელდებოდა უცხოელი მოქალაქეების საქმიანობაზე, ჩატარა არა ერთი დონისძიება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

წარმომადგენლობის მიერ მოზიდული სახსრები – საკონსულო და სხვა მოსაკრებლები – რომლებიც ცალკეულ წლებში მიღიონ დოლლარს აჭარბებდა, უკლებლივ ირიცხებოდა ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში, თუმცა ა. აბაშიძის მხრიდან იყო ამ თანხების ნაწილის აჭარის ბიუჯეტში ჩარიცხვის მცდელობა.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წარმომადგენლობის მიერ გარკვეული საკონსულო ფუნქციების შესრულებას. (დაბადების ან ქორწინების მოწმობების, მინდობილობის, ყოველდღიურად აუცილებელი სხვა დოკუმენტების ლეგალიზაციისათვის თბილისში გამგზავრება ეკონომიკურად ისედაც გაჭირვებულ ხალხს დამატებით სიძლელეებს შეუქმნიდა).

საქართველოს საგარეო სამინისტროს დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 2006 წ. საქართველოს საგარეო საქმეთა წარმომადგენლობამ ქ. ბათუმში არსებობა შეწყვიტა.

დღისათვის ქალაქ ბათუმში არა ერთი ევროპული ქვეყანა აპირებს საკონსულოების გახსნას, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლების უცხოეთის წარმომადგენლებთან ყოველდღიურ ურთიერთობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წამოჭრილი პრობლემების ერთობლივ გადაწყვეტას.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ფ.რ--82, აღწ-1, საქ-20, ფ-112,
- ფ.რ-1, აღწ-1, საქ-4, ფ-14,
- ფ.ი-1, აღწ—1, საქ-704, ფ-10
- ფ.რ-1, აღწ-1, საქ-2, ფ-47
- ფ.რ-1, აღწ-1, საქ-4.
- გ. სიჭინავა, „ბათუმის ისტორიიდან“, ბათ. 1958 წ.

*Elguja Chaganava*

### *From history of diplomatic missions – Consulates in Batumi Summary*

Batumi was the most important military and trading port in the Black Sea; this is why it was in other states political interests' field. In article is represented diplomatic missions opened by foreign countries. Particularly, that time in Batumi was functioned 14 consulates.

## თეა ქათამაძე

### აჟარის საბანმანათლებლო ცენტრები და პედაგოგები 1880-1910-იან წლებში

აჭარა საქართველოს უმკელესი და განუყოფელი მხარე ქველთაგანვე გამოირჩეოდა ქრისტიანული კულტურულ-საგანმანათლებლო კერძითა და ადგილობრივი მოსახლეობის განათლებისადმი დაუცხრომელი სურვილით.

თურქთა 300 წლიანი ბატონობამ აღნიშული კერძი მთლიანად მოშალა, საგანმანათლებლო სისტემა დააკნინა. განათლების ძირითადი მიზანი მუსლიმანური რელიგიის შესწავლა გახდა, რომლის მისაღწევად “მედრესები” ტიპის სასწავლებლებიც საკმარისი იყო, მაგრამ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ბათუმი გახდა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი, აუცილებელი გახდა შექმნილიყო სწავლა-განათლების ახალი კერძი. ამ პრობლემის მოგვარებით არამარტო ქართველი საზოგადოება იყო დაინტერესებული, არამედ რუსეთის მმპრიალისტური ძალები, რადგანაც მათ სურდათ სახელისუფლებო სადაცების ხელში ჩაგდება და განათლებული მოხელეების აღზრდა. აჭარის საქართველოსთან დაბრუნების და ჭავჭავაძე ამბობდა: „ეხლა ჩვენ ერთი უდიდესი მოვალეობა გვაწევს, ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ, ყველგან და ყველაფერში, უნდა იმათვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში უმმებთ, ჭირში მივეწველეთ, ჩვენი ერთმანეთის დაურდვევებლის კავშირის გაბმაც უიჭველია, ეს ისმინეთ და გაიგეთ ქართველობაგ”. ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალები. ისინი მოითხოვდნენ აჭარაში განათლებისა და კულტურის აღორძინების მიზნით გახსნილიყო ქართული სკოლები.

იაკობ გოგებაშვილი ამ ფაქტთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცეული ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი დღისა” ჩვენი გმორების ბუდე, ჩვენი უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა”

მესხი დეტალურად აღწერს 1878 წლის ივნისში თბილისში ჩამოსული შერიფ ხიმშიაშვილისა და მ. მეფისოვის (არტაანის ოლქის მფლობელი) სტუმრობას სტეფანე მელიქიშვილის ოჯახში, სადაც განიხილებოდა აჭარის ზოგადი პრობლემები. მ წერილში ხანს შერიფ ბეგის ტკივილი. ის ამბობს: „კაი იქნება ბატონებო, რომ აჭარელებიც ქართველებთან იყვნენ შეერთებული, მაგრამ თუ აგი არ იქნება, საცა უნდა იქნენ ვინატროთ, ერთად იყვნენ.... განათლებაი ეჭირვება ბატონო იმათ, ამდენი ახალგაზრდა კაცები ხართ, განათლებულები გაიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ შკოლა გამართოთ, ასწავლეთ და ასე უნდა, აბა რა ძმა ხართ თუ ისე აბდლურად დატევთ?!” (გაზეთი „დროება”, 1878 №126)

შერიფ ბეგის ეს ტკივილიანი ნათქვამი გულთან მიიჩანა მოწინავე ქართულმა საზოგადოებამ. ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით დაიწყო აქტიური მუშაობა სკოლების დასაარსებლად მხარის ოფიციალურ მმართველობასთან ერთად.

დიდი ილია ჭავჭავაძისა და ხუსეინ აბაშიძის ძალისხმევით 1881 წლის მარტში ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა.

1882 წელს კონსტანტინე ერისთავის თაოსნობით და ინიციატივით ბათუმში გაიხსნა ქალთა ორწლიანი სასწავლებელი, რომელიც მოგვიანებით მარიამის სახელობის ქალთა პროგიმნაზიად გადაკეთდა.

1889 წლის 8 ოქტომბერს გაიხსნა ბათუმის საოსტატო-სახელოსნო სასწავლებელი.

1897 წელს გაიხსნა ბათუმის ვაჟთა გიმნაზია.

1899 წელს ბათუმში გაიხსნა ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი.

1910 წლის მონაცემებით შედგენილ და ბეჭდურად გამოცემულ “ბათუმის ოლქის მიმოხილვაში”, რომელიც დაცულია ქუთაისის ცენტრალური არქივის “ქუთაისის გუბერნიის მმართველობის” ფონდში (ფ.130.ს.258), მოცემულია ყველა ის სასწავლებელი, რომელიც იმდროისათვის ბათუმში არსებობდა. ჩამონათვალი იწყება მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის ვაჟთა გიმნაზიით, რომელიც დაარსებული იყო 1890 წელს, ბათუმის ქალთა გიმნაზია, დაარსებული 1890 წელს, ბათუმის საქალაქო სასწავლებელი, დაარსებული 1881 წელს, ბათუმის საოსტატო-სახელოსნო სასწავლებელი, დაარსებული 1911 წელს. ბათუმის ოლქის სასწავლებელი იყოფოდა სახაზინო და საზოგადოებრივ სასწავლებლებად.

#### **სახაზინო სასწავლებლები:**

ხოლოდნაია-სლობოდას დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, დაარსდა 1895 წელს;

ჩურუკ-სუს ვაჟთა დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი, დაარსდა 1895 წელს.

#### **საზოგადოებრივი სასწავლებლები:**

ბათუმის ბერძნული საქალაქო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1866 წელს;

ბათუმის პუშკინის სახელობის პირველი ერთკლასიანი სასწავლებელი, დაარსდა 1899 წელს;

ბათუმის პუშკინის სახელობის მეორე ერთკლასიანი სასწავლებელი, დაარსდა 1903 წელს;

ბათუმის პუშკინის სახელობის მესამე ერთკლასიანი სასწავლებელი, დაარსდა 1896 წელს;

ბათუმის გოგოლის სახელობის მეოთხე ერთკლასიანი სასწავლებელი, დაარსდა 1903 წელს;

ბათუმის პუშკინის სახელობის მეხუთე ერთკლასიანი სასწავლებელი, დაარსდა 1908 წელს;

ბათუმის სარკინიგზო ნორმალური სასწავლებელი, დაარსდა 1907 წელს;

ქედის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, დაარსდა 1903 წელს;

მურდულის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, დაარსდა 1909 წელს;

ხულოს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, დაარსდა 1897 წელს;

ბარცხანის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1909 წელს;

ბორჩხოს ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1909 წელს;

კვირიგის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1904 წელს;

მარადიდის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1909 წელს;

ორთაბათუმის ერთკლასიანი სოფლის სასწავლებელი, დაარსდა 1907 წელს;

სათლელ-რაბათის ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1898 წელს;

სამწყაროს ერთკლასიანი სოფლის დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1909 წელს;

ჩურუკ-სუს ქალთა ერთკლასიან სოფლის დაწყებითი სასწავლებელი, დაარსდა 1901 წელს;

ერგეჩაქვის ერთკლასიანი დაწყებით სასწავლებელი, დაარსდა 1909 წელს;

ბათუმის სომხური კათოლიკური სასწავლებელი, დაარსდა 1892 წელს; 1910 წელს ბათუმში იყო საეკლესიო-სამრეკლო სკოლა.

ღოკუმენტებში წარმოდგენილია დასახელებულ სკოლებში მოღვაწე პედაგოგთა სიები, არქიტო დაცული ღოკუმენტების მიხედვით.

1. აბაკაროვა ისაბენა აბაკარადა ოდლი, ჩურუკ-სუს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის ზედამხედველი, 53 წლის, მუსლიმანი, აქვს წმ. ანას III ხარისხის და წმ. სერანისლავის III ხარისხის ორდენი, 1884 წელს დაამთავრა კავკასიის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი, 1884 წელს მოეწყო აგდაშის საერობო სასწავლებლის მეორე მასწავლებლად, 1886 წელს ზედამხედველი იყო შოხლინსკის საერო სასწავლებელში, 1895 წელს დაინიშნა ჩურუკ-სუს ნორმალური I სასწავლებლის ზედამხედველად, უცოლო, ხელფასი წლიურად 450 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.37.ფ.1-2);

2. ასტაფეევა ნინა ალექსანდრეს ასული – ბათუმის გოგოლის სახელობის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 26 წლის, მართლმადიდებელი, 1904 წელს მიიღო შვიდი ქლასის განათლება ბათუმის ქალთა გიმნაზიაში, 1910 წელს დაამთავრა რვა კლასი პეტერბურგის ქალთა გიმნაზიაში, 1911 წელს დაიწყო მუშაობა ბათუმის გოგოლის სახელობის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 800 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.37.ფ.3-4);

3. გოლოვჩენკო ანდრია პავლეს ძე – ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის მასწავლებელი, 28 წლის, მართლმადიდებელი, 1901 წელს დაამთავრა ეკატერინოდარის საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებლის პედაგოგიური კურსი სწავლების უფლებით ორკლასიან სასწავლებელში, 1901 წელს დაინიშნა კალბაშის ორკლასიან სასწავლებელში, 1902 წელს დაინიშნა ზედამხედველად ბუკსოგუტლინის ორკლასიან სასწავლებელში, 1904 წელს გადაყვანილ იქნა ზედამხედველად კოლაკინის ერთკლასიან სასწავლებელში, 1905 წელს დაინიშნა ელისავეტოპოლის სარკინიგზო სასწავლებელში, 1911 წელს მასწავლებლად დაინიშნა ბათუმის სარკინიგზო სასწავლებელში, დაოჯახებულია ელენე ივანეს ასულ სემენისინზე, ხელფასი წლიურად 480 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.37.ფ.17-18);

4. გომან ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე - ბათუმის ექვსკლასიანი საქალაქო დაწყებითი სსწავლებლის მასწავლებელი, შეთავსებული აქვს მუზეუმის სელმდგანელის თანამდებობა ამავე სასწავლებელში ხელსაქმეებთან დაკავშირებით, 46 წლის მართმადიდებელი, მიიღო საოჯახო განათლება, ხელსაქმე ისწავლა ოდესაში და მოსკოვში, 1895 წელს მოეწყო ბათუმის ექ-

ვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში ხელსაქმის მასწავლებლად, 1906 წელს მოწყო ბათუმის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, 1909 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ბრძანებით დაინიშნა ხელმძღვანელად ბათუმის ექვსკლასიან სასწავლებელთან არსებულ მუზეუმში და სახელოსნოში, რომელიც ამ მუზეუმთან არსებობდა. დაოჯახებულია სევერინა კონსტანტინეს ახულ მერუევსკიზე, შვილი ნიკოლოზი 23 წლის, მართლმადიდებელი. ხელფასი წლიურად 600 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.37.ფ19-20);

5. ზახაროვა გიორგი სტეფანეს ძე – ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებლის კოლეგიის რეგისტრაციო, 46 წლის, სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების, 1887 წელს დაამთავრა სრული კურსი კავკასიის სამასწავლებლო სემინარის, 1887 წელს დაინიშნა ჯვარცმის ერთკლასიან სასწავლებელში, 1896 წელს გადაყვანილ იქნა ბათუმის ქალაქის სადირექციო სასწავლებელში, 1906 წელს ბათუმის ქალაქის სამმართველოს მიერ დაინიშნა მასწავლებლად ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებით ერთკლასიან სასწავლებელში, ხელფასი წლიურად 600 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.37.ფ.53-54);

6. ივანოვა ანტონინა ილიას ასული – ბათუმის ერთკლასიანი სარკინიგზო სასწავლებლის ხელმძღვანელი, 28 წლის, მართლმადიდებელი, 1904 წელს დაამთავრა დიდი მთავრის თბილისის ოლგა თეოდორეს ასულის ქალთა გიმნაზია, 1904 წელს დაინიშნა მასწავლებლად სამტრედიის სარკინიგზო სასწავლებელში, 1906 წელს გადაყვანილ იქნა ელისავეტოპოლის სარკინიგზო სასწავლებელში 1909 წელს ალექსანდროპოლის სარკინიგზო სასწავლებელში, 1911 წელს დაინიშნა ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის ხელმძღვანელად, გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 700 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.37.ფ.58-59);

7. ლოლუა მარია ელიზბარის ასული – ბათუმის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ხელსაქმის მასწავლებელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, 1902 წელს დაამთავრა თბილისის კერძო პროფესიული სასწავლებელი, აქვს მოწმობა თბილისის სახელოსნო მმართველობის. 1905 წელს დაიწყო მუშაობა ბათუმის საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, გაუთხოვარი.

8. ქარცივაძე სოფიო იოთამის ასული – ბათუმის პირველი ქართული ერთკლასიანი გიმნაზიის მასწავლებელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, 1898 წელს დაამთავრა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელი, 1899 წელს დაიწყო მუშაობა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში, გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 800 მან (ქ.ც.ა.ფ.92.ს.37.ფ.71-72);

9. მაგილნაია მარია გაბრიელის ასული – ჩურუკ-სუს ერთკლასიანი ქალთა სასწავლებლის ხელმძღვანელი, 30 წლის, მართლმადიდებელი, დაამთავრა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის 9 კლასი. 1905 წელს მოწყო მასწავლებლად ბათუმის ქალთა სასწავლებელში, 1906 წლიდან ჩურუკ-სუს ქალთა სასწავლებლის ხელმძღვანელია, გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 400 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.1-2);

10. მესხი ქეთევან ივანეს ასული – ბათუმის მეორე ქართული საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 24 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზიის სრული კურსი და მიეცა აგესტატი, 1908 წელს დაინიშნა ბათუმის საქალაქო მუსლიმანურ სასწავლებელში, 1911 წელს გადაყვანილ იქნა მეორე ქართული საქალაქო დაწყებით სასწავლებელში, ხელფასი წლიურად 800 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.16-17);

11. მურადოვი ივანე ქრისტეფორეს ძე – ჩურუკ-სუს ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელი, 25 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია, ამავე წელსვე დაინიშნა მასწავლებლად ერევნის სახალხო სასწავლებლის დირექციის ბაშნარაშების სასწავლებელში, 1912 წელს გადაყვანილ იქნა მურდულის სკოლაში, 1910 წელს წარმატებული მსახურებისათვის დაჯილდობული იქნა კაგვასიის სასწავლო ოლქის მიერ. 1914 წელს დაინიშნა ჩურუკ-სუს ნორმალურ სასწავლებელში, დაოჯახებულია ელექტ გიორგის ასულ სულიდიზე, პყავს ქალიშვილი ოლდა. ხელფასი წლიურად 400 მან. (ქ.ც.ა.ფ.38.ს.38.ფ. 23);

12. ოლხოვსკი ანტონინა პეტრეს ასული – ბათუმის სარკინიგზო სასწავლებლის მასწავლებელი, 26 წლის, მართლმადიდებელი, დაამთავრა თბილისის ქალთა გიმნაზია დიდი მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის სახელობის, 1908 წელს დაინიშნა მასწავლებლად მიხაილოვის სარკინიგზო სასწავლებელში, 1910 წელს გადაიყვანეს ბათუმის სარკინიგზო სასწავლებელში, ხელფასი წლიურად 480 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.28-29);

13. სტროევა ელენე გიორგის ასული – ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი, 33 წლის, მართლმადიდებელი, 1896 წელს დაამთავრა კავკასიის ქალთა ინსტიტუტი, 1905 წელს მუშაობა დაიწყო ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებელში, გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 600 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.51-52);

14. სურგულაძე მარია მიხეილის ასული – ბათუმის საქალაქო დაწყებითი მუსლიმანური სკოლის მასწავლებელი, 25 წლის, მართლმადიდებელი, 1907 წელს დაამთავრა ბათუმის ქალთა გიმნაზიის სწავლების სრული კურსი. ბათუმის ქალაქის მმართველობის დადგენილებით 1911 წელს არჩეულ იქნა მასწავლებლად ბათუმის დაწყებით მუსლიმანურ სკოლაში და დამტკიცებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლის დირექტორის მიერ. გაუთხოვარი, ხელფასი წლიურად 400 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.53-54);

15. ჩაბლიგინ არსენ მიხეილის ძე - ჩურუკ-სუს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებლის მასწავლებელი, 23 წლის, მართლმადიდებელი, 1911 წელს დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი, ამავე წელსვე დაიწყო მუშაობა ზემოდ ხენებულ სასწავლებელში, დასაოჯახებელი, ხელფასი წლიურად 360 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.76-77);

16. შარაშიძე ტროფიმ დავითის ძე – ბათუმის მეორე ქართული საქალაქო დაწყებითი სასწავლებლის ხელმძღვანელი, კოლეგის რეგისტრატორი, 50 წლის, მართლმადიდებელი, მიღებული აქვს ვერცხლის მედალი ალექსანდრის ლენტით, დაამთავრა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის სამი ქლასი, 1886 წელს დაინიშნული იქნა კორცხელის დაწყებით სასწავლებელში, 1888 წელს დაინიშნა ზედამხედველად წალენჯიის ორკლასიან სასწავლებელში, 1891 წელს გადაყვანილ იქნა ქვათანის ორკლასიან სასწავლებელში, ამავე სასწავლებლის ზედამხედველად, 1892 წელს გადაყვანილ იქნა ბასილეთის ორკლასიან სასწავლებელში, 1899-1903 წლებში იყო ციხის ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველი, 1903 წელს დაინიშნა ბათუმის საქალაქო დაწყებით ექვსლასიან სასწავლებელში, 1905 წლიდან ამ სასწავლებლის ხელმძღვანელია. დაოჯახებულია, პყავს ხუთი შვილი, თინათინ, სამსონ, ზაქარია, მიხეილ, ილია. ხელფასი წლიურად 800 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.105-106);

17. შარაშენიძე ემილია გრაციონის ასული – ჩურუკ-სუს ქალთა სასწავლებლის მასწავლებელი, 37 წლის, მართლმადიდებელი, 1895 წელს დაამთავრა კაზახის ქალთა გიმნაზია, 1896 წელს დაამთავრა სარატოვის მერვე ქალთა გიმნაზია. 1912 წლიდან ჩურუკ-სუს ქალთა სასწავლებლის მასწავლებელია. ქვრივი, ხელფასი წლიურად 300 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.38.ფ.109-110)".

ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექციის ფონდი გვაძლევს საშუალებას გავეცნოთ აგრეთვე 1906 წლისათვის ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლის ფილიპ მგელაძის შესახებ. „მგელაძე ფილიპ ბუჩქის ძის ნამსახურები სია- 31 წლის, მართლმადიდებელი, დაამთავრა კავკასიის სამასწავლებლო სამინისტრის სრული კურსი, დაინიშნა მასწავლებლად დგაბზუის სასოფლო სკოლაში, 1892 წელს გადაიყვანეს სიმონეთის სასოფლო ერთკლასიან სასწავლებელში, 1894 წელს გადაიყვანეს დვაბზუის სასოფლო სასწავლებელში, 1895 წელს ზედამხედველია შემოქმედის ორკლასიანი სასოფლო სასწავლებლის, 1897 წლიდან გადაიყვანეს ბახვის ორკლასიან სასწავლებელში, 1899 წელს გადაიყვანეს ბათუმის პუშკინის სახელობის საქალაქო დაწყებით ერთკლასიან სასწავლებელში. დაოჯახებული- მეუღლე ანნა სტანისლავის ასული სოლმოროვა, უშვილო, ხელფასი წლიურად 800 მან. (ქ.ც.ა.ფ.92.ს.20.ფ.1-2)".

ამრიგად, XIX-XХ საუკუნეების მიჯნაზე აჭარაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ცენტრები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს განათლების დონის ამაღლებისა და რეგიონის შემდგომი კულტურული განვითარების საქმეში.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა**

1. ქუთაისის ცენტრალური არქივი ფ. 23.ს.19.42 ფ. 92.ს. 20.37.38 ფ. 130ს.258.
2. ტ.ბაბილონები "სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში 1921-1957 წლებში" (თბ. 1958 წ.).
3. კომახიძე თემიურაზ "დუდი ხანუმ ბეჟანიძე და მე მისი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი".
4. Личный состав Кавказского учебного округа Тиф 1911,1903,1905г.

**Tea Katamadze**

### ***Adjara education centers and teachers in 1880-1910 Summary***

The very issue presented below is a little historical excursus from the end of the 19<sup>th</sup> century to the beginning of the 20<sup>th</sup> century. Exactly, author tries to supply factually proved information about educational centers in Adjara and teachers who worked there, relied on archives sources.

There are some notes about types of schools, foundation dates and the work list of the teachers who worked in the above mentioned schools.

Such a kind issues, that are relied on archive sources is very fruitful to investigate so important historical, political, religion and cultural facts that plays crucial role in the process of development and maintenance of national memories and are stayed under the shade of the past.

## ნათია მირიანაშვილი

### საქართველო- აზერბაიჯანის პოლიტიკური და ზაქათალის პრობლემა (1918-1921)

საქართველოს აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანი. 1918-21 წლებში დავას იწვევდა ამ სექტორის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ზაქათალის ოლქი.

გეოგრაფიულად ზაქათალის ოლქი შემოჭრილია ერთი წვერით სიღნაღის მაზრაში, თითქმის 80 კერძის მანძილზე, რაც უფრო აახლოვებს მას როგორც კახეთთან, ისე თბილისთან. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ოლქს სამხედრო თვალსაზრისით.

ოლქი ადმინისტრაციულად თბილისის გუბერნიაში შედიოდა. 1917 წლის თებერვლიდან რუსეთში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ზაქათალის ოლქის ცხოვრებაც გაართულდა. რევოლუციით გამოწვეულ არეულობაში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული, ოლქს დაეპატრონა აზერბაიჯანი.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დღის წესრიგში დადგა საზღვრების გამიჯვნის საკითხი. აზერბაიჯანელები საზღვრების საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდნენ რელიგიურ საფუძველზე. ამ პრინციპით აზერბაიჯანის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო საინგილო, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა და ბათუმის ოლქი. გამიჯვნის ეს პრინციპი საქართველოს მთავრობისათვის მიუღებელი იყო. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა საზღვრების საკითხში ეხელმძღვანელა ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სტრატეგიული საკითხების გათვალისწინებით. 1918 წლის 11 ივნისს შეიქმნა კომისია, რომელშიც შევიდნენ ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროვა და ნიკოლოზ ოდიშელიძე.

საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრების გამიჯვნის საკითხი დინამიურად ვითარდებოდა. ამ დროისთვის საქართველო როგორც პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო. ტერიტორიის ნაწილი დაკავებული ჰქონდათ თურქებს, სომხებთან საზღვრის გამიჯვნის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მთავრობას ზაქათალის ოლქში ჯარების შექვანით არ სურდა კიდევ ერთი დაძაბულობის კერა შექმნა. ამიტომ ცდილობდა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა ზაქათალის ოლქის საკითხი, რომელსაც თეორიულად ყოველთვის თავისად აღიარებდა.

1919 წლის 16 ივნისს, ქ. თბილისში, აზერბაიჯანისა და საქართველოს რესპუბლიკების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას (სცსა, ფ. 1833, ან. 1, საქ. 96, გვ. 27). ხელშეკრულებას ჰქონდა უფრო თავდაცვითი ხასიათი და საზღვრების საკითხს არ ეხებოდა. ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე 1919 წლის 22 ივნისს.

1919 წლის მარტში და 1920 წლის აპრილში თბილისში ჩატარდა საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის წარმომადგენლებთა კონფერენციები. განსაკუთ-

რებული კურადღება დაეთმო საზღვრების საკითხს. დაისახა პრობლემების გადაჭრის გზები, განსაკუთრებით უკანასკნელ შეცველრაზე, მაგრამ სანამ თბილისში დელეგაციები საზღვრების საკითხს იხილავდნენ, 1920 წლის 27 აპრილს აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარა.

1920 წლის 28 აპრილს, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომაზე, მთავრობის თავჯდომარებრივ ნ. ქორდანიამ მოახსენა კრებას ბაქოში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შესახებ და შეეხო იმ საფრთხეს, რომელიც უნდა მოჰყოლოდა აზერბაიჯანში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. ამ მიზნით დაარსდა თავდაცვის საბჭო მთავრობის თავჯდომარის მეთაურობით, მთავარსარდლად დაინიშნა გ. კვინიტაძე, საბჭოს დაგენილებით გამოცხადდა სამხედრო წესები აღმოსავლეთ საქართველოში და საერთო მობილიზაცია (სცსა, ფ.1833, ან.1, საქ.713, გვ.105).

მე-11 არმიის ნაწილები სწრაფი ტემპით მოიწევდნენ საქართველოს საზღვრებისკენ. 1920 წლის 30 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა რადიო-ტელეგრამა გაუგზავნა ბაქოს რევოლუციურ კომიტეტს, სადაც საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა მზადყოფნა დაეწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება აზერბაიჯანთან და მშვიდობიანი გზით მოეწესრიგებინათ საზღვრების საკითხი. ამის პასუხად აზერბაიჯანის ჯარის ნაწილები 2 მაისს თავს დაესხნენ საქართველოს სასაზღვრო ჯარს წითელ ხიდთან - მდინარე ხრამზე, თბილისისა და ელიზავეტაპოლის გუბერნიის საზღვრებზე და დაიკავეს რა ხიდი, 5 ვერსით წაიწიქ წინ საქართველოს ტერიტორიაზე. აზერბაიჯანელებთან ერთად ბრძოლაში საბჭოთა არმიის ნაწილებიც მონაწილეობდნენ. ამ დროს მოსკოვში მოლაპარაკება მიმდინარეობდა მშვიდობიან ხელშეკრულებაზე. ჩვენი მთავრობის შეკითხვაზე რა ხდება აზერბაიჯანში – პასუხობდნენ: „ადგილობრივი ინციდენტი“ არისო, ხოლო როცა ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და წინ წაიწიქ, 1920 წლის 16 მაისს, საბჭოთა რუსეთიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის კარახანის გამაფრთხილებელი დეპუტატი მოვიდა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის სახელზე. დეპუტატი გკითხულობთ: „12 მაისს ელიზავეტაპოლის და თბილისის გუბერნიის საზღვარზე საქართველოს ჯარებმა გადალახეს აზერბაიჯანის საზღვარი და თავს დაესხნენ სადარაჯო სადგომებზე განლაგებულ დივიზიას. ამის გარდა დაიკავეს შიხლის რაიონი და დიდი დანაკლისით აიძულებს დაეხიათ ნაიმახნის რაიონში. საბჭოთა მთავრობა გადაჭრით მოითხოვს შეწყვიტოთ საომარი მოქმედებები რუსეთის მოკავშირე აზერბაიჯანის წინააღმდეგ“. (სცსა, ფ.1864, ან.1, საქ.100, გვ.37) რუსები „გადმა შეედავე გამოღმა შეგრჩებათ - პრინციპით მოქმედებდნენ, ხოლო ჩვენი მთავრობა, მოსკოვთან ურთიერთობაში მიამიტი იმედებით იკვებებოდა.

საქართველოს მთავრობა ყველანაირად ცდილობდა საქმე მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა. მთავარსარდალი გ. კვინიტაძე ამტკიცებდა, რომ ბოლშევიკების თავდასხმა საქართველოს დაპყრობის აშკარა დადასტურება იყო და არავთარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტა, მაშინ როცა მტერი უპეე ჩვენს ტერიტორიაზე იყო და იერიშს აგრძელებდა. ნ. ქორდანია ორჭოფობდა. გ. კვინიტაძემ მოსკოვის მოლაპარაკების შესახებ არაფერი

იცოდა. საფიქრებელია, სწორედ ეს იყო ნ. ჟორდანიას ორჭოფობის მიზეზი. ბოლოს ნ. ჟორდანიამ თანხმობა განაცხადა. ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და წარმატებას მიაღწიეს. საქართველოს ჯარი უკვე მტრის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. ყველას გამარჯვების იმედი ჰქონდა. 19 მაისს ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ. 18 მაისს გ. კვინიტაძე სადახლოში იყო. ამ დროს მთავრობის თავჯდომარისაგან მოკლე დეპეშა მიიღო, რომელიც მოითხოვდა საომარი მოქმედებების შეწყვეტას და მოწინააღმდეგესთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებას (გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. I, თბ., 1998, გვ.226).

საომარი მოქმედებების შეწყვეტა დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. გამარჯვება კიდევ ერთხელ დაუთმეს დამარცხებულებს „ისტორიაში შეიძლება პირველად მოხდა ასეთი რამ, კარგად მომზღვეული, ენერგიით სავსე ძლიერი არმია უარს ამბობს ლამაზი გამარჯვების ნაყოფი გამოიყენოს. მას ხომ არაფერი უშლიდა ხელს საბოლოო გამარჯვებაში!.. ისტორიაში ალბათ პირველი შემთხვევა, როცა გამარჯვებული არმია უკან იხევს. მტერი დამარცხდა, გაიქცა, თავად კი უკანდაიხია... ამ უცნაურმა და უგუნურმა ბრძანებამ საქართველოს სასიკვდილო განახენი გამოუტანა“( რ. დიუგა, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ.162).

საქართველოს მთავრობამ ეს გადაწყვეტილება მოსკოვის ძალდატანებით მიიღო. მოსკოვში მყოფი გრ. ურატაძე დაპეშას დაპეშაზე აგზავნიდა და საქართველოს მთავრობას მოსკოვის სურვილს ატყობინებდა, თან დათანხმებისაკენ მოუწოდებდა. აი ერთ-ერთი მათგანი: „ვიყავი ჩიხერინთან, რომელიც გთხოვთ არ აწარმოოთ საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ ზაქათალის მხარეში, იმ შემთხვევაშიც კი თუ რლქში მათი ჯარი შევა. ის პირობას იძლევა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველა დონეს იხმარს, რათა გადაწყვიტოს ეს საკითხი საქართველოს სასარგებლოდ, შეთანხმების თანახმად ის გთხოვთ კავკასიაში მშვიდობის დამყარების მიზნით გააგზავნოთ აზერბაიჯანში შემდგვი შინაარსის ნოტა: საქართველოს გამოყავს თავისი ჯარები ზაქათალის ოლქიდან, იმ შემთხვევაშიც თუ მას დაიჭერს აზერბაიჯანის ჯარი“. (სცსა, ფ.1864, ან.1, საქ.100, გვ.72).

გრ. ურატაძე დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვი ზაქათალის ოლქის საკითხს საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტდა, ამიტომ საქართველოს მთავრობას სთხოვს მიიღოს ჩიხერინის წინადადება. დამარცხებულები გვკარნახობენ პირობებს.

ამ საომარი მოქმედებების დროს 1920 წლის 7 მაისს საიდუმლო პირობებში დაიდო ხელშეკრულება საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის. ( სცსა, ფ.1883, ან.1, საქ.903, გვ.9-12). ხელშრკრულებას ხელს აწერდნენ საქართველოს მხრიდან გრ. ურატაძე და საბჭოთა რუსეთის მხრიდან ლევ მიხეილის ძე კარახანი. ამ შეთანხმებით რუსეთმა ზაქათალის ოლქი საქართველოს ფარგლებში შემავალ ტერიტორიად აღიარა, მაგრამ ამან აზერბაიჯანის უკმაყოფილება გამოიწვია, მათ იმ დღესვე სასწრაფო დეპეშები აფრინეს მოსკოვში. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საკითხის ამგვარად გადაჭრის გამო. ამის შედეგი იყო ის, რომ 12 მაისს საქართველო-რუსეთის დამარტებითი შეთანხმების ძალით ზაქათალის ოლქის საკითხი უნდა გადაჭრა შერეულ კომისიას, თანაბარი რაოდე-

ნობის ქართველი და აზერბაიჯანელი წარმომადგენლების შემადგენლობით. კომისიის თავჯდომარე კი რუსეთიდან იქნებოდა. ოც საქართველოს და არც აზერბაიჯანს კომისიის გადაწყვეტილებამდე უფლება არ ჰქონდათ შეეყვანათ ჯარების ახალი კონტიგენტი, ე.ი. იმაზე მეტი რაც 12 მაისს იქ იმყოფებოდა. (სცსა, ფ.1864, ან.1, საქ.119, გვ.1-3)

დამატებითი შეთანხმების წამგებიანობა საქართველოსთვის აშკარა იყო. რადგანაც 12 მაისის მდგომარეობით ზაქათალაში მხოლოდ მე-11 არმიის ნაწილები იმყოფებოდნენ და ჩვენ აღარ შეგვეძლო ქართული სამხედრო ძალების შეყვანა. როგორც ზემოთ მოყვანილი დეპეშიდან დავინახეთ, რუსებმა „კავკასიაში მშვიდობის“ დამყარების საბაბით თვითონ მოგვთხოვეს ჯარების გაყვანა ზაქათალის ოლქიდან. ყველაფერი წინასწარ გათვლიდი იყო. თუ კომისია საკითხს განიხილავდა და საქმე კენჭისურამდე მივიღოდა რუსეთის წარმომადგენლის პოზიცია გადამწყვეტი იქნებოდა. იგი რა თქმა უნდა ბოლშევიკებს დაუჭერდა მხარს და ამით საქმე საქართველოსთვის საზიანოდ გადაწყდებოდა.

1920 წლის 12 ივნისს სასაზღვრო ქალაქ აღსტაფაში დაიდო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანს შორის. საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ სპირიდონის ძე ლორთქიფანიძემ, საბჭოთა აზერბაიჯანის მხრიდან საგარეო საქმეთა სახლხო კომისარმა მირზა დაუთ ჰუსეინოვმა.(სცსა, ფ.1883, ან.1, საქ.239, გვ.17-19)

ხელშეკრულების რაგიფიკაცია მოხდა საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე 1920 წლის 25 ივნისს.(სცსა, ფ.1883, ან.1, საქ.239, გვ.14)

ზაქათალის ოლქის საკითხი გადასაჭრელად გადაეცა საარბიტრაჟო კომისიას, რომელიც უნდა შექმნილიყო 1920 წლის 12 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის დადებული დამატებითი შეთანხმებით, ე.ი. საკითხი დიად დარჩა და სამომავლოდ გადაიდო.

1921 წლის 15 თებერვალს მე-11 არმიამ საბრძოლო მოქმედება დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ აღსტაფა-ფოილოს მხრიდან, ხოლო 17-18 თებერვალს მათ გადალახეს მდინარე მაზიმ-ჩაი, შემოიჭრნება ლაგოდებში, საერთოდ სიღნაღის მაზრაში... 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარებული იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

როგორც ვხედავთ, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ვერ მოაგვარა ზაქათალის ოლქის საკითხი. 1920 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ აშკარად დათმო მოგებული პოზიციები. თეორიულად საქართველო ზაქათალას ყოველთვის თავის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუხლით გამოცხადდა აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქი) და ზაქათალის ოლქის ავტონომია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილისა.(საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921წ. თბ., 1990, გვ.470) მაგრამ ეს მხოლოდ სურვილი იყო, რეალურად საქართველოს ძალაუფლება ზაქათალის ოლქზე არ ვრცელდებოდა.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების შემდეგ საზღვრების საკითხება დაკარგა სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობა. ფაქტიურად იმ ეტაპზე რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. „საბჭოთა ძალაუფლების ნიადაგზე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს თუ ... კითხვა საზღვრების შესახებ სხვა და სხვა დროს შეიძლება სხვადასხვაგვარად გადაიჭრას რეალური მოსახლეობის ან არსებული ეკონომიკური ხასიათის გარემოებათა მიხედვით.“ ( გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 11 მაისი)

„ჩვენ ვერ მივიღებთ ომის გამომწვევ ბუნებრივ საზღვრებსო“ (გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 11 მაისი) - აცხადებდნენ ბოლშევკები და საზღვრების საკითხს ცუდად გაგებული „ინტერნაციონალური“ ლოზუნგებით სწყვეტდნენ. ცხადი იყო, რომ „რევგომისათვის სამშობლოს სიყვარული ემდს ზევით გამოთქმული დეპლარაცია იყო.“ (გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 25 მარტი) საქართველოს კომუნისტებმა საზღვრების საკითხი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით გადაწყვიტეს. მათ საქართველოს ისტორიული მიწები დაუთმეს „მომძე ხალხს.“

1921 წლის 5 ივლისს თბილისში ჩატარდა საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა საკითხი სასაზღვრო ხაზის შესახებ. კონფერენციის მე-4 მუხლში ზაქათალის ოლქის შესახებ გვითხულოთ: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ყველა თავის პრეზენტაზე ზაქათალის ოლქში სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, რაზედაც საქართველოს რევგომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას.“ (სუიცა, ფ.288, ან.1, საქ.5, გვ.14)

წინასწარ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს სს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების რევგომთა თავჯდომარებებმა: ფილიპე მახარაძემ და ნარიმანოვმა.

ამ ოფიციალური შეთანხმებით ხორცი შეესხა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გადაწყვეტილებას აზერბაიჯანის შემადგენლობაში ზაქათალის ოლქის დატოვების შესახებ.

1921 წლის 15 ნოემბერს კი საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის თაობაზე შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოს რევგომის თავჯდომარებ ბუდუ მდივანმა და აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარებ მუხტარ გაჯიზადემ. (სუიცა, ფ.288, ან.1, საქ.5, გვ.8)

ამ შეთანხმებით საბოლოოდ იურიდიულად დაფიქსირდა ზაქათალის ოლქის აზერბაიჯანისადმი მიკუთვნების საკითხი. საქართველოს ისტორიული კუთხე, ზაქათალის ოლქი - საბოლოოდ მოწყდა დედა-სამშობლოს - საქართველოს.

აქ უცვლელად გთავაზობთ ზაქათალის ოლქის შესახებ საქართველოს უახლესი ისტორიის არქივში დაცული რაფიელ ივანიცკი - ინგილოს წერილს:

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან  
საქმეთა კომისიას  
საქართველო-აზერბაიჯანის შერეული  
კომისიის წევრის რაფიელ ივანიცის**

**მოხსენება**

სხვადასხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო საქართველო-აზერბაიჯანის შერეულმა კომისიამ, რომელსაც დავალებული პქონდა სპეციალური საკითხის გამორკვევა იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც შექმნილია ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა და ქიზიუელებს შორის, ვერ მოახერხა თავმოყრა და თავისი დასკვნის წარდგენა თავთავის მთავრობებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომისიური მუშაობა ვერ მოეწყო, მე მაინც ვალდებულად ჩავთვალე ჩემი თავი პერსონალურად მეწარმოებინა მუშაობა შესაძლებელ ფარგლებში უმცტესად ქიზიუის იმ სოფლებში, რომლებიც ერთი მხრით ასე ვთქვათ დამნაშავენი არიან ოლქის მცხოვრებთა წინაშე, ხოლო მეორეს მხრით თვით არიან ობიექტი შეწუხებისა და ზარალისა დეკმუდანლოების მიერ.

საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მე ზაქათალის ოლქის ინგილო მოსახლეობის ოფიციალი და მრავალგზით განმეორებული დავალებით ვაწარმოებდი სათანადო მუშაობას საქართველოს წინა მთავრობასთან. პოლიტიკურმა მუშაობამ შეძლება მომცა დაწვრილებით გავცნობოდი როგორც ოლქის საერთო ვითარებას, ისევე მისი მცხოვრებლების ყოველდღიურ ურთიერთობას მომიჯნავე ქიზიუელებთან. როგორია მათ შორის განწყობილება? რა ფაქტორი აერთებს მათ? სად უნდა ვიძოოთ უმთავრესი მიზეზი დავისა და ქიშპობისა? რა გარემოება უწყობს ხელს ერთიმერის სისტემაზე დაზარალებას? დაბოლოს პერსონებში უნდა ვეძიოთ დანაშაულის სუბიექტები, თუ მას აქვს ფართო და მასიური მიღრეკილება?

კომისიის წინაშე დასმული იყო კონკრეტული კითხვა: მიზეზები ოთხფეხა საქონლის ხშირი გატაცებისა ერთიერთმანეთში ზაქათალის ოლქისა და სიღნაღის მაზრის მცხოვრებლებისაგან და შესაძლებლობა ამ მდგომარეობის გამოსწორებისა. კი მე ამ შემთხვევაში ვართ არა დამნაშავეთა დასჯით, არამედ მომიჯნავე მოსახლეობათა შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარებაში!

ადსანიშნავია ერთი თვალსაჩინო გარემოება: ასეთს არანორმალურ ურთიერთობას ორ მეზობელ ხალხს შორის არა აქვს ისტორიული ფესვები, არსებული განწყობილება ზაქათალის ოლქის მცხოვრებლებსა და ქიზიუელებს შორის ვერ ჩაითვლება თანმეზრდილ მომენტად მათს ყოფაცხოვრებაში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში წინადროის ვითარებას, როდესაც ჭარ-ბელაქნის ლეკობა

საქართველოს სამეფოს მტერთა შთაგონებით არღვევდა ქიზიფ-კახეთის მყუდროებას და მოღალატური თავდასხმით გაჭირვებაში აყენებდა მთავრობასა და ხალხს, - უკანასკნელი ორმოცდაათი წელი ზაქათალის ოლქის მცხოვრებლები სავსებით იცავდნენ კეთილმეზობლობას ჩვენს ხალხთან, რომელთანაც დაკავშირებული იყვნენ ეკონომიურად. ზაქათალის ოლქის საქონლისა და ჭირნახულის ბაზარს წარმოადგენდა საქართველო და განსაკუთრებით მისი დედაქალაქი თბილისი. კახეთის ხუთი რკინისგზის გაყვანის შემდეგ ეს ეკონომიური კავშირი უმეტესად გაცხოველდა და განმტკიცდა: ქიზიფელებიცა და ზაქათალებუბიც ერთიანად დაინტერესებული იყვნენ იმაში, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლა მათ შორის არ დაბრკოლებულიყო რაიმე გარეშე მიზეზით და ამრიგად მათ უმთავრეს საზრუნოა საგანს შეადგენდა ტრანსპორტის უზრუნველყოფა. ოლქიდან ჩვენსკენ მომავალი ვაჭარი სრულიად დაიმედებული იყო, რომ გამოტანილ საქონელს სწრაფად გაანალებდა საქართველოს ბაზარზე, იქვე შეიძენდა ოლქისათვის საჭირო ფაბრიკატებს და ამ ოპერაციის მატერიალურ შედეგს არ დაურიგებდა შარაგზაზე მდგომ ახირებულ „მებაჟებს“. ასეთი ურთიერთობა სუფევდა ზაქათალის ოლქსა და საქართველოს შორის რევოლუციამდე. შემდეგ დატრიალდა უცნაური ამბავი: ზაქათალის ოლქის პოლიტიკური ბედი და, მაშასადამე, ეკონომიურიც გადასჭრეს ოლქში იმ დროს მოთარეშე ოსმალეთის ასკერებმა და პანისლამისტურ-პანთურქული იდეების მისიონერებმა-ემისრებმა... იმათ აანთეს ფანატიკოსობისა და გაუტანლობის კოცონი, რომელიც პირველყოვლისა გამოიხატა ქრისტიან-ინგილოების აუწერელ შევიწროებასა და დარბევაში, რომელმაც სამის წლის განმავლობაში ერთიანად დახრუკა უმდიდრესი ოლქის კეთილდღეობა და რომლის ალი დღესაც არ ჩამქრალ! ოსმალეთისა და აზერბაიჯანის ემისარებმა პროვოკაციული ლოზუნგი შეაპარეს ზაქათალის ოლქში და მით ლამობდნენ განხორციელებას: საქართველოს მიზნად აქვს ოლქის მცხოვრებლების გაქრისტიანება, - ჩასძახოდნენ ეს ვაჟბატონები უვიც ხალხს, შესწყვიტეთ გიაურ-ქართველებთან ყოველივე კავშირი და შეუდექით თანამორწმუნე აზერბაიჯანს, რომლის მეოხებით თქვენ გახდებით დიდი ოსმალეთის წევრნი!..

ზაქათალას ოლქმა პოლიტიკური გამოცდა დააჭერინა საქართველოს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მის მენშევიკურ მთავრობას და უნდა გამოტეხილად განვაცხადო, რომ ეს მთავრობა სასტიკად ჩაიჭრა ამ გამოცდაში: მან გამოიჩინა სრული უვიცობა დიპლომატიაში და საოცარი სიბეცე პოლიტიკაში; ეს მთავრობა უმაგალითოდ დამარცხდა მუსავატელებისაგანაც კი, ხოლო ეს დამარცხება მეტის-მეტად ძვირად დაუჯდა მთლიანი ხალხოსნური საქართველოს იდეას!

პირველი ლახვარი ზაქათალას ოლქს ჩასცეს ქართველმა მენშევიკებმა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მტერები არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას ზაქათალას ოლქის მცხოვრებლების გადაბირებისათვის, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ოლქელების უზარმაზარი უმრავლესობა მაინც იდგა საქართველოს ორიენტაციაზე: ხალხი სადი გონებით უკეთ ერკვეოდა პოლიტიკურ კომბინაციებში და შორსმჭვრეტად ჰგრძნობდა, რომ აგიტატორების ფუქსავათი დაპირებები მას სიკეთეს არ განუმზადებდნენ, ხოლო მეზობელ და მეგობარ ქართველ ერს კი მოაძულებდნენ და სამუდამოდ ჩამოაშორებდნენ. აი

ეს ნათლად გამოხატული სულისკვეთება შეუმჩნეველი დარჩა უვიცი მენტევიპური მთავრობისაგან, რომელმაც არამც თუ არავითარი ღონისძიება არ იხმარა ოლქის მცხოვრებლებისათვის სინამდვილის გამოაშკარავებისათვის, არამედ უფრო აღრმავებდა უფსკრულს, რომელიც მტერთაგან ითხრებოდა ზაქათალასა და საქართველოს შეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ზაქათალას ოლქი დარჩა დვორის ანაბარად მიტოვებული: ყოველს შემთხვევაში, სრული საბუთები მაქვს კატეგორიულად განვაცხადო, რომ მაშინდელს მთავრობას არ მიუღია არავითარი ზომები ოლქის შემოვრთებისათვის, ანდა მისი საკითხის პირდაპირ დაყენებისათვის. - უმწეოდ მიტოვებული ოლქი იძულებული შეიქმნა დროებით შეერთებოდა აზერბაიჯანს გარკვეული პირობებით და შესაფერი გარანტიების გამოხოვთ. ასე ხელოვნურად მოსწყდა საქართველოს მთლიან ტერიტორიას მასთან ყოველივე მხრით: - პოლიტიკურად, ეკონომიკურად, გეოგრაფიულად, ისტორიულად, სტრატეგიულად - შედუღაბებული ნაწილი; ასე სამწუხაროდ დამთავრდა აღმოსავლეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი ამონაზვა! ასე უეცრად და ხალხისათვის საზარლად გასწყდა ის შემაერთებელი ძაფი ზაქათალის და თბილისს შორის, რომლითაც თვით ხალხის ყოველდღიურმა მოთხოვნილებამ გადაბამ ეს ორი ცენტრი!

ზაქათალის ოლქს ზურგი საქართველოსაკენ შეაქცევინეს ხალხის მტრებმა; ის დაუკავშირეს ბაქოს, რომელთანაც მას არაფერი აერთიანებს, თვინიერ გაფანატიკოსებული პანისლამისტების მანიაქური ზრახვებისა! ოლქის მცხოვრებლებს შეუკრეს სწორი და ყოველივე მხრივ საკეთილო გზა, ხოლო უჩვენეს გზა მიკიბმოკიბული და უმჭერესად მაზარალებელი...

ასეთ პირობებში აუწერელი გაჭირვებით აღწევდნენ თითო-ოროლა გამბედავი ზაქათლელები თავის საყვარელ თბილისამდე: მაზიმჩაის საზღვარი ერთი იმ ბოროტებათაგანია, რომელიც აღვივებს შუღლსა და გაუტანდობას იქ მობინადრე ხალხთა შორის. პირუთვნელი ისტორია, ეჭვი არ არის, გამოააშკარავებს იმ უპასუხისმგებლო პირთ და ორგანიზაციებს, რომელთა ახირებული ცდით დაიდგა საარაკო სულელური საზღვარი ზაქათალა-თბილისს შორის. მაზიმჩაის გამყოფელ ბომს შედეგად მოჰყვა უამრავი ერთი მეორეზე მასინჯი მოვლენანი და მათ შორის მატერიული დაზარალება ორივე მხრისა.

როგორ გნებავთ მოაწყოთ კეთილმეზობლობა იქ, სადაც მტრობის, ძალადობისა და წაქეზების მეტი არაფერი გაკეთებულა! განა ზაქათლელები დაინდობდნენ ქიზიყელებს და ქიზიყელები ასევე ზაქათლელებს, როდესაც ერთსაცა და მეორეებსაც დღემუდამ ჩასხიჩინებდნენ, რომ ისინი ურთიერთის მტრებად დაბადებულან და მტრებადვე უნდა დარჩნენ?! მტერი კი, სადაც დროს იხელთებს, ხომ უნდა დასაჯო და დააზიანო!

ყველამ იცის, რომ დღევანდელი არანორმალური მდგომარეობის მსგავსი ალაზნის მიდამოებს არ ასხოვთ! მართალია წარსულ უამთა სვლაში ამ ადგილებში სისხლი ბლომად დანოხეულა, როგორც ქართველებისა, აგრეთვე ლეგებისა და თათრებისაც, მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათად, შეიარაღებული შეტაკების დროს, როდესაც ორივე მხარე საომარ განწყობილებაში იყვნენ. ომის დამთავრების შემდეგ კი მშვიდობიანობა მყარდებოდა და ეს ხდებოდა იმ „ბარბა-

როსულ“ დროს, რომელსაც ზიზღითა და ჭმუნვით ვიხსენიებთ ჩვენ, თანამედროვე ცივილიზაციის ხანაში.

ზაქათალის ოლქის კომისიას, რომლის წევრად საგარეო საქმეთა კომისარიატმა ჩემი დანიშვნა ინება, დავალებული ჰქონდა გამოკვლევა ოლქის მცხოვრებლებისა და ქიზიერების მიერ ერთმანეთის ოთხფეხი საქონლის გამუდმებითი გატაცების მიზეზისა და ზომების დასახვა ამ აღმაშფოთებელი ყოფაპრევის აღსაკვეთად. მე წინადაც ბევრი მიფიქრია ამ საგანზე, კცდილობდი გამეგო ასეთი ბოროტების მიზეზი გარეშე შექმნილი მდგომარეობისა, ყოველივე პოლიტიკური კომბინაციებისაგან მოუკიდებლივ, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ ასეთმა ცდამ ვერ მომცა საშუალება მოვლენათა ასახსნელად, საგნის რიგიანად გამოსაძიებლად ზაქათალა-ქიზიერის ურთიერთობა მომწყვდეულია ერთგვარ „მოჯადოებულ წრეში“, რომლის სათავე ისევ იმ დამუპველ „პოლიტიკაში“ უნდა ვეძიოთ! მაშასადამე, დღესდღეობით შეუძლებელია არსებული მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებაზე ფიქრიც-კი: ორივე ხალხის „ცხვირწინ“ აღმართული პოლიტიკური ზღუდე - ის ზღუდე, რომელმაც ძირიანფესვიანათ შეაყირავა ტრადიციული ურთიერთობა და კავშირი ზაქათალის ოლქსა და საქართველოს შორის და რომლის მწვავე ეკონომიურ შედეგებს დღეს უკვე ყველანი საკმარისად პერმობენ, - მუდამ გადაედობება კეთილ განზრახვებს, მუდამ იქნება დამაბრკოლებელ ფაქტორად ზაქათალის ოლქთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების საქმეში.

სამართლიანობა ვალად გვხდის ვალიაროთ, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ზოგიერთი წევრები გულწრფელად მოწადინებულნი იყვნენ, რათა ზაქათალის ოლქის საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილიყო ისე, როგორც ამას მოითხოვენ სასიცოცხლო ინტერესები როგორც საქართველოისა, ისევე თვით ზაქათალის ოლქისაც. ამ მოხსენების წარმომდგენს შემთხვევა ჰქონდა უახლოესი მონაწილეობა მიედო მთავრობის იმ წრებში, სადაც ყველაზე მეტად პერმობდნენ შექმნილი მდგომარეობის მავნებელ შედეგებს ორივე მხარისათვის. დაზარალებული მხარენი მაშინაც სშირად მოგვმართავდნენ საჩივრებით და შუამდგომლობდნენ, რათა მიგვედო რადიკალური ზომები დამნაშავეთა აღმოსაჩენად და დასასჯელად ერთის მხრით და მეორეს მხრით მოგვეწყო დაუწყნარებელ რაიონებში ძლიერი და სასტიკი ძალდატანების აპარატი მშვიდობიან მცხოვრებთა უზრუნველსაყოფად საზოგადოთ. ერთხანად განზრახული იყო ალაზნის მიდამოებში შერეული ადმინისტრაციის დაწესება, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზით ეს აზრი განუხორციელებელი დარჩა.

მე აღვნიშნე ყოფილი მთავრობის ზოგიერთი წევრების შეგნებული მოქმედება ზაქათალის საკითხში; ამასვე ვერ ვიტყვი მათ მომეტებულ ნაწილზე, რადგანაც ისინი ჯერ ერთი სრული უვიცნი იყვნენ სახელმწიფოებრივ საქმეებში და გარდა ამისა თავის მოქმედებასა და გეგმებს უფრო ჯგუფურ ინტერესს უქვემდებარებდნენ, ხოლო უყურადღებოდ სტოკებდნენ ქვეყნის ბედსა და ხალხის ყოფაცხოვრებას. ასეთს პირობებში, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ზაქათალის ოლქსა და ქიზიერი შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. პირიქით, მდგომარეობა რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესდებოდა, ვინაიდგან პოლი-

ტიპური ვითარება ფსიქოლოგიურადაც აშორებდა ერთიერთმანეთისაგან ამ მოსაზღვრე პროვინციებს.

დღეს მდგომარეობა კვლავინდებურია. საერთო უკუდმართი პირობები უკლებლივ მოქმედებენ და მაშასადამე თანდათანობით აღრმავებენ მტრულ განწყობილებას.

მაშ სად არის ხსნა, იკითხავთ? გულახდილად მოგახსენებო, როგორც პრაქტიკულად მცოდნე ამ მხარის, რომ საერთო პოლიტიკური პირობების შეუცვლელად ზაქათალის საკითხი ვერ მოწესრიგდება და ალაზნის ნაპირებში ამ-ტყდარი დავიდარაბა ვერ მინელდება ოდნავაც.

საქონლის გატაცება და საზოგადოთ მატერიალური ზიანის მიუენება ერთმანეთისათვის მხოლოდ ეპიზოდია, ერთი რგოლია იმ ჯაჭვში, რომლითაც უმოწყალოდ შემუხრუჭულია ზაქათალის ოლქი...

საქართველოს ეხლანდები ხელისუფლების მიერ აღებული პოლიტიკური სამოქმედო კურსი იმედს არ გვინერგავს ამ საჭიროობო საკითხის წესიერი გადაჭრისათვის, მაგრამ ეს კიდევ არ უნდა გვაძლევდეს ნებას გულზე ხელდაკრეფილნი შევცექროდეთ მოვლენათა მინებებულ სვლას. უნდა ვიფიქროთ მდგომარეობის შემსუბუქებაზე მაინც, რომ გაძვალტყავებული ხალხი სავსებით არ მოჰყვეს სტიქონის ქვეშ. ისტორია არ გვაპატიებს ასეთს უგულებელყოფას ქვეყნის ინტერესებისადმი და მომავალი თაობაც უეჭველად სასტიკად დაპგმობს ჩვენს უსისტემო და ანტიპატრიოტულ პოლიტიკას ეროვნულ- სახელმწიფოებრივ უდიდეს საკითხების გარდაწყვეტაში.

ის, რასაც ამჟამად ადგილი აქვს ქიზიფ-საინგილოს მიდამოებში, მომეტულ ნაწილად განზრას შექმნილია ერთის მხრით უპასუხისმგებლო გამოტვინებული პროპაგანდისტებისაგან, და მეორეს მხრით უკანასკნელი წლების პოლიტიკური მესაჭეთა უნიჭო მოქმედებით. ვიმეორებ, აქ დამნაშავეთა აღმოჩენას პოლიტიკური ზომის მნიშვნელობაც არ ექნება: სადაც საერთო საშუალების გამონახვაა საჭირო, იქ კერძო შემთხვევებზე დაყრდნობა მდგომარეობას ოდნავაც ვერ შეცვლის. ერთი რამის მოთხოვნა კი შეგვიძლიან დღევანდელს პირობებში: დაუყონებლივ უნდა გაჯანსაღდეს ადგილობრივი ადმინისტრაცია როგორც საქართველოს, ისევე ზაქათალის საზღვარზე. შემჩნეულია რომ ბოროტმოქმედნი ძლიერ ხშირად დაუსჯელად ასრულებენ თავის საქმეს იმის გამო, რომ ამოფარებულნი არიან ადგილობრივი რომელიმე ძლიერი პარამზადა ადმინისტრაციონის ზურგს უგან. უფრო მეტი: ყოფილა შემთხვევები, როდესაც საყაჩადო „ექსპედიცია“ გამგზავრებულა კომისარების მეთაურობით და ნადავლის „ლომის წილიც“ სწორედ უკანასკნელებს შეჭხვედრიათ. სოციალ დემოკრატიული მენშევიკური მთავრობის დროს ამ სტრიქონების დამწერს ეწვია განსაკუთრებული დელეგაცია ზაქათალის ოლქიდან, რათა მეშუამდგომლა მართებლობის წინაშე იმ კომისარების პასუხისმგებაში მიცემისა და სამსახურიდან განდევნის შესახებ, რომელნიც ჩამოსულების აზრით მტრულებულა ბრძოებს ხელმძღვანელობდნენ. ვფიქრობ, ამ მხრით მდგომარეობა არც ეხლა უნდა იყოს გაუმჯობესებული. ბნელი სუბიექტები ანთებულ კოცონს მუგუზალებს უმატებენ: ეს უნდა აღიკვეცოს მთელი სისახტით.

და ბოლოს, თუ ზაქათალის ოლქის პოლიტიკური საკითხი გამოვტოვეთ დღის წესრიგიდან, მართლაც დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ დაუნდობლად ვდევნოთ მშვიდობიანი ხალხის ამკლებნი და უმეტესად ძალადობის ინსპირატორები. იქნებ, ამ ზომამ მცირეოდენად მაინც შესცვალოს ახირებული მდგომარეობა...

რაფიელ ივანიშვილი  
3/X 1921

(სუიცა, ფ.285, ან.1, საქ.238, ფურ.86-89)

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სცსა, ფ.1833, ან.1, საქ.96, გვ.27
2. სცსა, ფ.1833, ან.1, საქ.713, გვ.105
3. სცსა, ფ.1864, ან.1, საქ.100, გვ.37
4. გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. I, თბ., 1998, გვ.226
5. რ. დიუგბე, მოსკოვი და წამებული საქართველო, თბ., 1994, გვ.162
6. სცსა, ფ.1864, ან.1, საქ.100, გვ.72
7. სცსა, ფ.1883, ან.1, საქ.903, გვ.9-12
8. სცსა, ფ.1864, ან.1, საქ.119, გვ.1-3
9. სცსა, ფ.1883, ან.1, საქ.239, გვ.17-19
10. სცსა, ფ.1883, ან.1, საქ.239, გვ.14
11. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული  
1918-1921 წლ. თბ., 1990, გვ.470
12. გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 11 მაისი
13. გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 11 მაისი
14. გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წლის 25 მარტი
15. სუიცა, ფ.288, ან.1, საქ.5, გვ.14
16. სუიცა, ფ.288, ან.1, საქ.5, გვ.8

*Natia Mirianashvili*

### *Georgia – Azerbaijan conflict and problem of Zakatali (1918-1921)*

#### **Summary**

Georgia's oldest part Zakatali region became in Azerbaijan political boards because of historical unhappiness. In article is discussed about changes of political boards and also is represented some archival datas.

## მალხაზ სიორიძე ჭ

### საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბურად გამოშვების აღზილი, ღრმ და გარემონდები

1921 წლის 21 ოქტომბერის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ქვეყნის პირველი კონსტიტუცია. ეს იყო ქართველ პოლიტიკოსთა და სამართლისმცოდნეთა თითქმის სამწლიანი შრომის შედეგი.

კონსტიტუცია იქმნებოდა რთულ და არასტაბილურ საგარეო და საშინაო პირობებში. ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტთა შეფასებით, 1921 წლის კონსტიტუციის სახით ქართველმა კანონმდებლებმა მაინც შეძლეს მოქმზადებინათ იმდროინდელი “მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწინავე, პროგრესული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული უზენავსი სასამართლო აქტი”, რომელიც აგრეთვე პასუხობს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის მოთხოვნებსაც [3, გვ.4].

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1920 წლის ნოემბერში დაიწყო კონსტიტუციის პროექტის განხილვა. მის მიღებას 1921 წლის გაზაფხულზე აპირებდნენ, შემოდგომაზე კი, სავარაუდოდ, ამ კონსტიტუციის საფუძველზე საარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო [6, გვ.96], მაგრამ რუსულმა წითელმა იმპერიალიზმა აღარ დააცალა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია 1921 წლის 21 ოქტომბერის მიიღეს ნაჩქარევად, დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომაზე, თბილისის მისადგომებთან რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში.

25 ოქტომბერის მტერმა საქართველოს დედაქალაქი დაიკავა და საბჭოთა ხელისუფლებაც გამოაცხადა. ამის გამო 1921 წლის კონსტიტუციას ფაქტობრივად არც უმოქმედია, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის ისტორიაში. იგი დარჩა როგორც ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის დიდი მონაპოვარი, თავისუფალი საქართველოს სიმბოლო და განსახიერება იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო [იქ-ვე]. ამიტომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახლა აღდგენის შემდეგ, 1992 წლიდან, კვლავ ამოქმედდა 1921 წლის კონსტიტუცია. მისი მირითადი დებულებები გადმოვიდა აგრეთვე საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში და მის შემდეგ განხორციელდებულ საკონსტიტუციო ცვლილებებში.

1921 წლის 21 ოქტომბერის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნება თბილისში ვეღარ მოესწრო, საბჭოთა რუსეთის ვერაგული თავდასხმის გამო.

საქართველოს მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ 24 ოქტომბერის დამით დასტოვა დედაქალაქი. ისინი ჯერ ქუთაისში გადავიდნენ, ხოლო 9-10 მარტიდან ბათუმში, სადაც დარჩნენ 17 მარტამდე, ემიგრაციაში წასვლამდე.

სწორედ დროის ამ მონაკვეთში გამოქვეყნდა ბათუმში საქართველოს პირველი კონსტიტუცია. ამისათვის შეარჩიეს ცნობილი ბათუმელი პოლიგრაფიის ნებსტორ ხვინგიას სტამბა. კონსტიტუცია დაიბეჭდა ცალქე წიგნად [ზომა-19X13, მოცულობა-40 გვ., ტირაჟი უცნობია] სათაურით: “საქართველოს კონსტიტუცია მიღებული საქართველოს დამფუძნებლი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21”. ეს გამოცემა არის ბიბლიოგრაფიული იშვიათობა. მისი ერთი-ერთი, ჩვენამდე მოღწეული, ეგზემპლარი დაცულია თბილისში, საქართველოს წიგნის პალატაში [11, გვ.79]. (ვსარგებლობთ ამ გამოცემის ქსეროასლით).

ჩნდება კითხვა ვინ იყო ნებსტორ ხვინგია, ვისაც საქართველოს ხეოსუფლებამ ანდო ეგზომ საპასუხისმგებლო საქმე, ისიც ისეთ კრიტიკულ ვითარებაში?

უპირველეს ყოვლისა ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ ბათუმი პოლიგრაფიული წარმოებით უაღრესად დაწინაურებული ქალაქი იყო. 1879 წლიდან - 1921 წლამდე პერიოდში აქ დაახლოებით ოცამდე ტიპოგრაფია და სტამბა მუშაობდა. მათგან რამდენიმე იყო ტექნიკურად კარგად აღჭურვილი, გამოირჩეოდა გამოშვებული ბეჭდური პროდუქციის ხარისხით და მრავალფეროვნებით. მათ შორის იყო ნებსტორ ხვინგიას ტიპოგრაფიაც [8, გვ.560-566].

საქართველოს პირველი კონსტიტუციის გამოქვეყნების დროისათვის ნ.ხვინგია უკვე გამოცდილი მესტამბე იყო. ის 1900 წლიდან მუშაობდა ბათუმში, ნ.ურსაგიას ტიპოგრაფიაში. 1908 წელს მან შეიძინა ეს საწარმო, განაახლა მისი ტექნიკური აღჭურვილობა და 1910 წლიდან დაიწყო ინტენსიური საქმიანობა. ძირითადად აქ იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ენებზე გამომავალი გაზეთები: “ბათუმის მოამბე” (1911 წ.), “ბატუმსკი დენ” (1913 წ.), “ხმა” (1914 წ.), “ბათუმის გაზეთი” (1911-1914 წწ.), “ბატუმსკიე ვესტი” (1911-1912 წწ.), “იზვესტია” (1917 წ.), “სვობოდნაია ჟიზნი” (1917-1918 წწ.), “ბურევესტნიკი” (1917-1918 წწ.), “მუშათა პრესის დღე” (1917 წ.), “ბატუმსკიად ჟიზნი” (1920-1921 წწ.), “სამუსლიმანო საქართველო” (1919-1921 წწ.).

ნებსტორ ხვინგიას პოლიგრაფიული საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა და მეპატრონის პროფესიონალიზმი იძლეოდა საშუალებას, რომ გარდა გაზეთებისა გამოქვათ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მხარვრული ლიტერატურა. მაგალითად, 1919 წელს აქ დაიბეჭდა “სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამა და ინსტრუქცია” და სხვ. 1910-1921 წლებში 6. ხვინგიას სტამბაში სულ დაიბეჭდა 26 სხვადასხვა დასახელების წიგნი (მათგან 16 ქართულ და 12 რუსულ ენაზე). ამავე სტამბაში აგრეთვე იბეჭდებოდა თეატრალური აფიშები, სარეკლამო განცხადებები, სავზიტო ბარათები და ა.შ.

ეჭვგარეშეა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ემიგრაციაში წასვლამდე, თავს მოვალედ რაცხდა, რომ ქვეყნის პირველი კონსტიტუცია სტამბური წესით პირველად საქართველოშივე გამოქვეყნებინა. მაგრამ ამ საქმეს ვერ ანდობდა გამოცდებულ და შემთხვევით პიროვნებას. ამიტომ, კონსტიტუციის სტამბურად გამოცემამდე მას უნდა გაეთვალიშონებინა შემდეგი აუცილებელი გარემოებები:

1). სტამბის ტექნიკური მონაცემები, შეკვეთის სწრაფად და ხარისხიად შესრულების შესაძლებლობა.

ამ მხრივ, როგორც უკვე აღვნიშნე, ნესტორ ხვინგიას სტამბა სათანა-დოდ იყო მზად. ეს ეტყობა იქ დაბეჭდილ 1921 წლის კონსტიტუციასაც [1, გვ.1-40]. მისი ტექსტი, 90 წლის სიძეველის მიუხედავად, დღესაც კარგად იკითხება, შესრულებულია ლამაზი შრიფტით, სათანადოდაა გამოყოფილი კონსტიტუციის ცალკეული თავები და მუხლები.. ჩანს ასოთამწყობებსაც გულდაბულ უმუშავიათ. ფორსმაჟორული ვითარების მიუხედავად, კონსტი-ტუციის ტექსტში არ არის დაშვებული არც ერთი არსებითი ხასიათის შეცდომა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ადგილას არსებულ პუნქტუაციურ ხარვეზს და ასონიშანის ამოგარდნას.

2). მთავრობას უნდა გაეთვალიწინებინა სტამბის მფლობელის და მის თანამშრომელთა სანდოობა, რადგან ქვეყნისთვის ამ უმთავრესი პოლიტი-კური დოკუმენტის შემთხვევითი პირების ხელში მოხვედრა დაუშვებელი იყო, ისიც საბჭოთა რუსეთის ფართომასშტაბიანი აგრესის პირობებში.

ჩვენთვის უცნობია პოლიტიკური ნესტორ ხვინგიას პარტიული კუთ-ვნილება ან პოლიტიკური მრწამსი. მაგრამ თუ დავაკვირდებით მის მიერ გამოცემული გაზეობის და ლიტერატურის ძირითადად დემოკრატიულ და ეროვნულ ხასიათს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ახლოს იდგა საქარ-თველოს მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და იზიარებდა მის იდეებს.

ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ კარსმომდგარი ბოლშევი-კური ოკუპაციის პირობებში თვით ხ.ხვინგიასა და მისი სტამბისათვისაც მეტად სარისკო უნდა ყოფილიყო ახალი ხელისუფლების გადამტერება და ემიგრაციაში მიმავალი ხელისუფლების მიერ მიღებული კონსტიტუციის სტამბურად გამოქვეყნებისათვის მოსალოდნელი რეპრესიები.

ეჭვგარეშეა, რომ გამოცდილი მეწარმე ალბათ სათანადოდ აანალი-ზებდა მოსალოდნელ საფრთხეებს მისთვის და მისი საწარმოსათვის, მაგ-რამ ქვეყნის წინაშე მოქალაქეობრივი და პატრიოტული მოვალეობის შეგ-ნება ამ კაცში ჩანს ბევრად უფრო მაღალი იყო. რა თქმა უნდა საქართვე-ლოს ხელისუფლებასაც ასეთი სანდო პირი სჭირდებოდა, რომ საქართვე-ლოშივე მოესწრო ქართველი ხალხისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი დო-კუმენტის ბეჭდურად გამოქვეყნება.

ახლა რაც შეეხება ნესტორ ხვინგიას სტამბის ადგილსამყოფელს.

ნ.ხვინგიას სტამბამ, თავისი არსებობის მანძილზე (1908-1921) რამდე-ნიმეჯერ შეიცვალა მისამართი (ხშირი ადგილმონაცვლეობის მიზეზები უცნობია). სტამბა ნაქირავებ შენობებში იყო განთავსებული: ჯერ მარინეს (დღეს მემედ აბაშიძის) პროსპექტზე №6 სახლში; 1913 წელს ოკლობურის (შემდეგ რ. ლუქსემბურგის, ამჟამად-მერაბ კოსტავას) ქუჩაზე №36; 1914-1915 წლებში კვლავ მარინეს პროსპექტზე №34-ში-პოლიციის სამმართვე-ლოს გეერდით; შემდეგ, ერთხანს, თბილისის (დღეს ბარათაშვილის) ქუჩა-ზე №7-ში; 1916 წლის ოქტომბრიდან კი ისევ ოკლობურის ქუჩაზეა, ჯერ №13-ში, ხოლო 5 ნოემბრიდან -იქვე, №10 სახლში [9, ცტ.44; 4, გვ28; 10, გვ23].

ბოლო მისამართი დღეს მერაბ კოსტავას ქუჩის №18-ს უნდა შეესაბა-მებოდეს (ნუმერაცია შეიცვალა საბჭოთა პერიოდში ამ ქუჩისათვის შემა-ტებული ახალი შენობების გამო), სადაც გასული XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე მოქმედებდა ბათუმის ერთ-ერთი ძველი ტიპოგრაფია. ამავე მისამართზე მცხოვრები ასაკოვანი ადამიანებიც ამბობენ, რომ სტამ-

ბა აქ ძველ დროშიც ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მ.კოსტავას ქუჩის ამ მონაკვეთის რიყის ქვით ნაგებ შენობათა პირველი სართულები და მათ ქვემოთ არსებული სარდაფები სასტამბო საქმისათვის მართლაც შესაფერისი ჩანს.

ვიდრე სხვა მონაცემები არ მოგვეპოვება, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს პირველი კონსტიტუციის დაბეჭდვის დროისათვის, 1921 წლის მარტში, ნესტორ ხვინგიას სტამბა განთავსებული იყო ნავმისადგომთან ახლოს, ძველი ბათუმის ტერიტორიაზე, ოკლობურის (დღეს მერაბ კოსტავას) ქუჩაზე, მისივე გადამკვეთი ერისთავისა (დღეს გენერალ მაზნიაშვილის) და მიხეილის (დღეს ზგიად გამსახურდიას) ქუჩებს შორის არსებულ მონაკვეთში

ბათუმში ნ.ხვინგიას სტამბაში 1921 წელს გამოცემული საქართველოს პირველი კონსტიტუცია, როგორც უკვე აღვნიშნე, მაღვევე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. საბჭოთა პერიოდში მისი ეგზემპლარები ისე განადგურდა, რომ სპეციალიტებისთვისაც ხელმიუწვდომელი იყო და ამ კონსტიტუციის პროექტის ნაბეჭდი ტექსტით სარგებლობდნენ.

საბჭოთა საქართველოში 1921 წლის კონსტიტუცია რა თქმა უნდა აღარ გამოცემულა. მისი რიგით მეორე გამოცემა მოხდა საზღვარგარეთ, ემიგრაციაში, დავით თაბორიძის მიერ, კონსტიტუციის მიღების 60 წლისთვის აღსანიშნავად. ეს იყო ორენვანი (ქართულ-ფრანგული) საიუბილეო გამოცემა (მიუნხენი, ლევილი, 1981) და არის 1921 წელს ბათუმში გამოცემული კონსტიტუციის ასლი [2.გვ-7-8]. უცნობია არსებობს თუ არა საზღვარგარეთ მისი სხვა გამოცემები.

რაც შეეხება საქართველოს, 1921 წლის კონსტიტუციის მეორე გამოცემა აქ განხორციელდა 1990 წელს, გაზ. „სამშობლოს“ რედაქციის მიერ. როგორც მისი რედაქტორი პაატა ზაქარეიშვილი წერს - ეს გამოცემა ეყრდნობა 1981 წელს საზღვარგარეთ (მიუნხენი-ლევილი) განხორციელებულ ორენვანი საიუბილეო გამოცემას.

შესაბამის საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია გამოიცა ისევ ბათუმში 2009 წელს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ეს არის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული გამოცემა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის რედაქციით, შენიშვნებითა და ტევადი წინასიტყვაობით [3]. კონსტიტუციის ტექსტი ამ გამოცემაშიც უცვლელადაა გადატანილი 1921 წელს ბათუმში განხორციელებული პირველი გამოცემიდან.

ამრიგად, 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს პირველი კონსტიტუციის დედაქალაქში გამოქვეყნება ვერ მოესწრო, რუსული აგრესიის და ქვეყნის ოკუპაციის გამო. ამიტომ კონსტიტუცია დაისტამბა ბათუმში, 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში, საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლის წინ, გამოცდილი პოლიგრაფიისტის ნესტორ ხვინგიას კუთვნილ სტამბაში, რომელიც მდებარეობდა ნავმისადგომის მიმდებარედ, ქალაქის ძველ უბანში. ბათუმში გამოცემული 1921 წლის კონსტიტუცია, ფაქტობრივად არის დედანი, რის მიხედვითაც განხორციელდა მისი შემდეგი გამოცემები.

## **გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1) საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის ოქტომბერის 21. ბათომი, სტამბა ნ.ი. ხვინგიასი
- 2) საქართველოს კონსტიტუცია. მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის ოქტომბერის 21. პ. ნაცლიშვილის შესავალი წერილით. გაზ. სამშობლო, თბ., 1990 წლის 26 მაისი.
- 3) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 ოქტომბერის კონსტიტუცია. გამოიცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გ. პაპუაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბათუმი 2009.
- 4) თ.კომახიძე, ქალაქ ბათუმის ქუჩების ისტორია, წ.3, ბათ., 1998.
- 5) მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ., 1996.
- 6) მ. მაცაბერიძე, უზენაესი ბატონი ქვეყნისა. როგორი უნდა ყოფილოვთ საქართველოს პარლამენტი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, პოლიტოლოგიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ. 2008.
- 7) მ. მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება და მიღება. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2008.
- 8) გ. მახარაძე, პრესა და საგამომცემლო საქმე – სამხრეთ-ასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტომი III, ბათუმის ოლქი 1877-1920, ბათ., 2008.
- 9) მახარაძე გ.შ. Становление и развитие книгоиздательского дела в Аджарии, Рукопись докторской на соискание ученой степени кандидата исторических наук, М.1988.
- 10) შ. ცეცხლაძე, აჭარის არ ქალაქების და დაბების ქუჩათა ძველი და ახალი სახელწოდებები, ბათ., 2008.
- 11) ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, პირველი ტომის დამატება, საქართველოს წიგნის პალატის გამოცემა, თბ., 1969.

## მაია რურუა

### ამაბდარი არძიშისტები

არქივი – სიგელ-გურჯების, ქველი წერილობითი ძეგლების, საბუთების საცავია. არქივი ერის ისტორია, მისი აწყვეტილობის ქვეუნის მომავალია. სწორედ ამიტომ ჩვენთან, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში არქივი სახელმწიფო ზედამხედველობისა და ზრუნვის საგანია.

დიდი და განუსაზღვრელია არქივის, როგორც სამეცნიერო დაწესებულების მნიშვნელობა, ამიტომ აქ მომუშავე თითოეული ადამიანი უპირველესად ფაქიზი სულის, ნათელი გონებისა და ღრმა ინტენსიური მქონე უნდა იყოს.

აჭარაში საარქივო დარგის განვითარების თითქმის საუკუნოვან ისტორიაში მრავლად მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული დვაწლი მიუძღვით ამ დარგის განვითარებაში. მათი უბრალოდ ჩამოვლაც შორს წაგვიყვანდა, რომ არაფერი ვთქავთ სასოებით და მზრუნველობით მოვლილ დოკუმენტებზე, პასუხისმგებლობით გადარჩეულ დირექტულ და პრაქტიკულ დირექტულებას მოკლებულ საარქივო საქმეებზე, საცავებში ფაქიზად დალაგებულ საარქივო ფონდებად ქცეულ სხვადასხვა დაწესებულებების მოვაწეობის ამსახველ მასალაზე.

დოკუმენტი დუმს, მაგრამ დოკუმენტი მეტყველებს კიდეც. თითქოს აქ, არქივში ჩანს ყველაზე მეტად დუმილისა და მეტყველების მნიშვნელობა. და თუ დღეს ზოგიერთი ამაგდარი არქივისტის სხეული ძვალობრივი მშვიდად განისვენებს, არქივში დაცული დოკუმენტები, მათი პირადი საქმეები მათივე კეთილსინდისიერებაზე, ზნეობაზე, პასუხისმგებლობასა და საქმის სიყვარულზე გვესაუბრებიან.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი განმარტავს: ამაგდარი - იგივეა, რაც მოამაგე, მოღვაწე ანუ ის ვისაც ამაგი, დვაწლი მიუძღვის.

აჭარის არქივისტთა გალერეაში ბევრი კარგი სახეა, რომელთაც თავისი უანგარო შრომით დიდი დვაწლი დასდეს დარგის განვითარებას. თითქმის 30-40 წელი იღვაწეს არქივში ჩვენმა უფროსმა კოლეგებმა: ვალიკო მკერვალიშვილმა, გრიგოლ ჩაგანაგამ, შოთა გაბრუშიძემ, გუგული ანდღულაძემ, ნუნუ სკამპო-ჩაშვილმა, დოდო ჩაჩუამ, მაყვალა არობელიძემ, ლიანა ვანიძემ, გრიგოლ პინიანციმა. არქივს დღესაც სიყვარულით მოიკითხავენ სერგო ტაბაღუა, თალიკო შეკილაძე, კოლია თოდაძე. ამჯერად ჩვენ შევგებით იმ არქივისტების საქმიანობას, რომელთაც არქივის შექმნის სათავე ებთან და მეორე მსოფლიო ომის დროს მოუწიათ მოვაწეობა.

არქივში დაცული მასალების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ 1921 წლის 15 ივნისს ბათუმისა და მისი ოლქის სამხედრო კომისარის მიერ შექმნილმა სამხედრო ისტორიული დოკუმენტების შემგროვებელმა დროებითმა კომისიამ ხელი მოჰკიდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო და საარქივო დოკუმენტების შეგროვებასა და დაცვას (ფონდი რ-1. საქ.40. ფურც. 104-105).

ეს საქმე დაევალა ბათუმში მთავარ საარქივო სამმართველოს რწმუნებულს გიორგი ფურცელაძეს, რომელიც 1923 წლის 9 მარტს აჭარის სახეობ-საბჭოსადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში მიმოიხილავს რა ბათომში საარქივო საქმეების შემადგენლობას, მათ ადგილსამყოფელს, დაცვის ცედ

პირობებს, ითხოვს დახმარებას, „რომ ეს დიდი განძი და საისტორიო მასალა, რომელიც არის შეუფერებელ ბინაში, გადავარჩინოთ დაღუპვას.“

გიორგი ფურცელაძის მონდომებამ ნაყოფი გამოიღო. აჭარის სახეობ-საბჭოს პრეზიდიუმის 1923 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში შეიქმნა აჭარის საარქივი განყოფილება 4 სამ-ტატო ერთულით: გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი (ფონდი რ-2, აღწ.1, საქ23, ფურც.153-173; 193-194).

შეუფასებელია იმ პირველი არქივისტების შრომა, რომელთაც საქმაოდ მოკლე დროში სრულ ტექნიკურ წესრიგში უნდა მოეყვანათ 1878-1921 წლების ქალაქის საკრებულოს, სათათბიროს, ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოს და ბათუმში განლაგებული მეფისდროინდელი რუსეთის სხვადასხვა დაწესებულებების ქაოსურ მდგომარეობაში მიმოფანტული საარქივო დოკუმენტები. ესენი იყვნენ: 1924-1931 წლებში აჭარის ასსრ ცს არქივის გამგე ნიკოლოზ სპილიოტი, სერგო ყუფარაძე, რომელიც არქივს 1932-1937 წლებში ხელმძღვანელობდა. თავისი პროფესიონალური კვალი დატოვეს ოსმან ხალვაშმა და ვასილ სალომაგრინმა. სწორედ მათი ხელმძღვანელობის პერიოდში მიიღო დოკუმენტებმა საარქივო ფონდების სახე, შეიქმნა აღრიცხვის სექტორი და დაიწყო მუშაობა საცნობარო აარატის ჩამოსაყალიბებლად.

კიდევ ერთი რთული და ძნელი პერიოდი დაუდგათ არქივებს მეორე მსოფლიო ომის დროს. ტიტანური შრომა გასწიეს იმ ადამიანებმა, ვინც ომის წლებში არქივში მუშაობდნენ, ვინც ომის მძიმე წლები თავის მხრებზე გადაიტანა, რადგან სწორედ მათი ერთგულებისა და მამაცობის შედეგია ის, რომ ომის წლებში არ დაკარგულა, არ გაბნეულა არცერთი საარქივო საქმე.

აი ისინი: აჭარის ასსრ შინსახეობის საარქივო განყოფილების უფროსები ომის წლებში: ალექსი პროტოტოპოვი (1941-1942წწ), გალინა ივანოვა (1942; 1943-1946წწ), კასიანე ბაბილონი (1942-1943წწ). ცენტრალური არქივის დირექტორები: შლეიბოვი (1942 წელი), ქეთო ცეცხლაძე (1942-1943წწ; 1944-1949წწ), ელენე დომოპოლოვა (1943-1944წწ), მარია ხარკოვა (1944წ).

როდესაც ამ სიას გადახედავ, თვალს მოხვდება ხელმძღვანელ ქალთა სიმრავლე. ეს ომის გამოძახილია, ომისა, რომელმაც ბრძოლის ველზე მოუხმო ვაჟკაცო, ხოლო ზურგში დარჩენილი ქალებისაგან ვაჟკაცური შემართება მოითხოვა.

ადვილი არ იქნებოდა ქალისათვის ომის წლებში ხელმძღვანელობა გაეწია იმ დარგისათვის, რომელსაც არქივი პქვია, რომელიც ქვეყნის ისტორიას იცავს და ინახავს, რომელიც იმ დოკუმენტთა საცავია დღევანდელ დღეს მომავლად რომ აქცევს.

ამჟამად ორ მათგანზე შეეჩერდებით: გალინა ივანოვა და ქეთო ცეცხლაძე.

გალინა ივანოვა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის გრიგოლ ივანოვის ოჯახში დაიბადა. გრიგოლი მეტად განათლებული პიროვნება იყო. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის და ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში, ხოლო ბათუმის პედინსტიტუტის დაარსების შემდეგ ფიზიკა-მათემატიკის კათედრას ჩაუდგა სათავეში.

გალინა ივანოვამ ქალთა გიმნაზიის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა ინდუსტრიულ ტექნიკურში განაგრძო, ხოლო შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და

ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა. 1941 წელს აჭარის სახელმწიფო არქივის დირექტორად ინიშნება, ხოლო 1942 წელს აჭარის შე სახომის სა-არქივო განყოფილების უფროსად გადაჰყავთ (ფონდი რ-1041; აღწ.4 საქ.22).

ომი კი მძვინვარებდა და თავის მსახვრალ ხელს ახებდა ყველას და ყველა-ფერს. ომმა შეცვალა დრო და ადამიანები. საჭირო იყო გაუსაბლიოსი პირობების გაძლება. ცხოვრებისა და არსებობის განსაკუთრებულ რეესტ-ზე გადასვლა აორმაგებდა იმ ადამიანთა პასუხისმგებლობას, ვინც წარმო-ადგენდა საიდუმლო საქმეთა დამცველს, ვისაც შესანახად ებარა სახელ-მწიფოს მმართველობითი დოკუმენტები, ქვეყნის ისტორია. ამისათვის კი სა-ჭირო იყო ორგანიზაციული ნიჭითა და მაღალი პასუხისმგებლობით და-ჯილდოებული ადამიანი, ვინც შეძლებდა იმ საშინელ და რთულ პერიოდში თავისთვზე აედო საარქივო დოკუმენტების დაცვის და მოვლა-შენახვის პა-სუხისმგებლობა.

ომმა კიდევ ერთი საკითხი წამოჭრა: ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების -ფაბრიკა-ქარხების, ლაბორატორიების, კვლევითი დაწესებუ-ლებების, მუზეუმების, არქივების ეგაპუაცია. ევაკუაციას დაუქვემდებარა აჭარის საარქივო ფონდებიც. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია-ტის 1941 წლის 30 აგვისტოს ბრძანების შესასრულებლად, რომელიც ეხებო-და არქივების ეგაპუაციას და მათ განტვირთვას არადირებული დოკუმენტე-ბისაგან, აჭარის საარქივო სამმართველოში შეიქმნა საექსპერტო-შემმოწმე-ბელი კომისია, რომლის შემად-გენლობაშიც შეუვანილი იქნა აჭარის საარ-ქივო განყოფილების უფროსი ალექსი პროტოტოპოვი და სახელმწიფო არ-ქივის დირექტორი გალინა ივანოვა (ფონდი რ-89; აღწ.4; საქ.16; ფურც.17).

სწორედ გალინა ივანოვა იყო ის ქალბატონი, ვინც პირადად ხელ-მძღვანელობდა პირველი კატეგორიის ფონდების შერჩევას და მათ ევაკუა-ციას ტაშკენზე. ევაკუირებული იქნა 10307 ს/ერთეული. აჭარის ცს არქივის ფონდში დაცულია აქტი, სადაც მითითებულია ევაკუირებული ფონდებისა და საქმეების ჩამონათვალი (ფონდი რ-89; აღწ.1; საქ.65. ფურც. 1-9).

ამ დროს გალინას მეუღლე მურად ნიკარაძე, რომელიც ფრონტზე იბ-რძოდა, ტყვედ ჩავარდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მათ მომავალზე. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დააპატიმრეს და გადაასახლეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. გალინა კი მხოლოდ იმით გადარჩა, რომ ძუძუ-თა ბავშვის დედა იყო. სამაგიეროდ აგრძნობინეს და ნათლად მიახვედრეს, რომ იგი „დამნაშავის“ ცოლია და არ უნდა ხელმძღვანელობდეს ისეთ და-წესებულებას, რომელსაც შეს საარქივო განყოფილება პქვია და ისიც უხ-მოდ, მორიდებით განერიდა თავის საყვარელ საქმეს, დატოვა ქალაქი და შვილებთან ერთად ქედის რაიონში გადასახლდა.

ომის წლებში ხელმძღვანელ ქალთა შორისაა ქეთო ცეცხლაძეც, რო-მელიც 1918 წელს დაიბადა ოზურგეთში. პირად საქმეში მისი განათლების შესახებ მხოლოდ საშუალო სკოლის ატესტატია დაცული. აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1941 წლის №39 ბრძანებით აჭა-რის საარქივო განყოფილებას გამოეყო სახელმწიფო არქივი 5-კაციანი შტა-ტით (ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.22. ფურც. 8). დირექტორი - გ. ივანოვა; მეც-ნიერ მუშაკი - სვირიძევა; უფროსი ტექ. მუშაკი - ფარცხალაძე; უმც. მეც-ნიერ-მუშაკი - კოლეგიუნოვა და ბიბლიოთეკარის გამგე - ქ. ცეცხლაძე, რომე-ლიც შემდეგ გადაჰყავთ არქივსაცავის გამგედ, ხოლო 1942 წელს მას არქი-გის დირექტორად ნიშნავენ (ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.48. ფურც. 1). სამსახუ-

რეობრივ დახასიათებაში, რომელსაც ხელს აწერს საარქივო განყოფილების უფროსი, უმც. ლეიტენანტი - ტატიანა ნეფელოვა, ვკითხულობთ: „აჭარის ასსრ შსს სისტემაში ქეთო ცეცხლაძე მუშაობს 1941 წლის მარტიდან. სამუშაოს ეკიდება სეროოზულად. ხელმძღვანელობის დავალებებს ასრულებს დროულად და კეთილსინდისიერად. ცხოვრებაში მორიდებულია. თანამშრომლებს შორის სარგებლობს ავტორიტეტით“ (ფონდი რ-1041; აღწ4; საქ48; ფურც28).

ასეთები იყვნენ ის ქალბატონები, რომელთაც ცხოვრება და შრომითი საქმიანობა მეტად მძიმე პირობებში მოუწიათ. ეს იყო დრო, როცა გარეშე მტერთან ერთად შინაგან ბანაკშიც ბევრი იყო დამსმენი და სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების მაშენებლი. მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა.

ომი დასრულდა და ომის შემდეგ დანგრეულ ქვეყანას აღდგენა ესაჭიროებოდა. მამაკაცების გვერდით ჩვეული ქალური ერთგულებით იღწვიან ქალბატონები: ტატიანა ნეფელოვა, ელენე ქორიძე, ლენა ზაქარეიშვილი...

რომ არა საქმის სიყვარული და შემართება, პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა, ვერ შეძლებდა შეუძლებელს ტატიანა ნეფელოვა. მის პირად საქმეში დაცულია აჭარის ასსრ შსს ბრძანების ამონაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ უმცროსი ლეიტენანტი ტ. ნეფელოვა აჭარის შინაგან საქმეთა სახეობიდან გადაყვანილია საარქივო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე.

დაუკიდებარია მისი ამაგი და დვაწლი. თ. ნეფელოვას უშუალო ხელმძღვანელობით ჩაეყარა საფუძველი რაიონული სახელმწიფო არქივების სრულ დაკომპლექტებასა და შტატებით უზრუნველყოფას; მისი რედაქტორობით 1959 წელს გამოიცა აჭარის ცს არქივის „მეზური“, ხოლო 1961 წელს საარქივო დოკუმენტების კრებული „ბრძოლა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“ (1917-1922 წწ.). 1961 წლიდან სიკვდილის უკანასკნელ დღემდე ტ. ნეფელოვა მუშაობდა ქ. მოსკოვის ცხა-ში უფროს მეცნიერ მუშაკად (ფონდი რ-1041; აღწ4; საქ70).

კიდევ ერთი ქალბატონის - ელენე ქორიძის ბიოგრაფია დაუკავშირდა არქივს, როდესაც 1946 წელს ბათუმის რაიონმასკომის ინსტრუქტორი ბათუმის (ეხლანდელი ხელვაჩაურის) რაიონის არქივის გამგედ დანიშნეს. მას შემდეგ საარქივო დოკუმენტები იქცა მისი ზრუნვის საგნად. სწორედ დაუდალავი შრომის შედეგი იყო ის, რომ ახლად შექმნილი ბათუმის რაიონული სახელმწიფო არქივი დაკომპლექტდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა დაწესებულების 80 ფონდის 10000 ს/ერთეულით.

დოკუმენტებს, არქივში თავმოყრისა და დაკომპლექტების გარდა, მოვლა და დაცვა სჭირდება. ეს გაყვითლებული, ჟამთასელისაგან გაცრცილი, ფარატინა, მაგრამ დიდი ისტორიის დამტევი ფურცლები დროდადრო რესტავრაციას, ლაბორატორიულ დამუშავებას საჭიროებს. ლაბორატორიას დაარსების დღიდან ელენე ქორიძე ჩაუდგა სათავეში და ვინ იცის რამდენ დასხებოვნებულ და დაზიანებულ საარქივო დოკუმენტს დაუბრუნა სიცოცხლე.

ომის შემდგომი აღდგენითი პერიოდის ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანა კიდევ ერთმა არქივისგმა - ლენა ზაქარეიშვილმა.

ლენა ზაქარეიშვილი დაიბადა 1925 წელს ჩოხატაურის რაიონის ხოფელ საჭამიასერში. ბათუმის საბუღალტრო ტექნიკუმის დამთავრების შემ

დეგ 1943 წელს მუშაობას იწყებს ბათუმის ნავთობბაზაში. 1947 წელს მას ნიშნავენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივის გამგედ. 1963-1977 წლებში ხელმძღვანელობდა ხელვაჩაურის რაიონულ არქივს (ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.166. ფურც. 2-6). არქივის კეთილმოწყობასა და განვითარებაზე ზრუნვა, დოკუმენტების დაცვა და არქივის ახალი დოკუმენტებით დაკომპლექტება, დოკუმენტებისათვის საარქივო საქმის სახის მიცემა გახდა მისი სამსახურებრივი საქმიანობის მირითადი მიმართულება. იგი არქივს სიცოცხლის ბოლომდე არ გაშორებია და დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

საარქივო საქმე მარტო მისი პროფესია როდი იყო, არქივი ოჯახურ პროფესიად იქცა. მან პირადი ცხოვრება ომგადახდილ ქართველ ვაჟკაცს - გრიგოლ ჩაგანავას დაუკავშირა, რომელმაც კეთილსინდისიერად გაიარა ყველა საფეხური მკინძავიდან არქივის დირექტორობამდე. გრიგოლს დამთავრებული პენსია მოსკოვის ისტორიული საარქივო ინსტიტუტი და ხელმძღვანელობდა არქივს 1962-1985 წლებში, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე არც ის გაშორებია საყვარელ საქმეს (ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.265).

1956 წელს საბრძოლო გამოცდილებით მოვიდა არქივში უფროს მეცნიერ-მუშაკად სერგო ტაბაღუა, რომელიც 1985-1997 წლებში ცენტრალური არქივის

დირექტორად მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში რამდენჯერმე დაიხვეწა ცენტრალური არქივის სტრუქტურა. საარქივო ფონდმა 180 000 ს/ერთეულიდან 500 000 ერთეულს გადააჭარბა. რის გამოც 1997 წელს ცენტრალურ არქივს მე-2 კატეგორიის არქივის სტატუსი მიენიჭა და შეიქმნა 9 განყოფილება 45 საშტატო ერთეულით. ასევე მისი ხელმძღვანელობით ორჯერ მოხდა საარქივო დოკუმენტების ახალ შენობაში გადატანის ორგანიზება. ძირფესვიანად იცნობდა სერგო ტაბაღუა თავის ფონდებს. სამსახუროებრივ მოვალეობას კარგად უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია, დაცული აქვს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. დღეს იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და ახალგაზრდებს საარქივო საქმის მნიშვნელობას და წარსულისადმი პატივისცემას ასწავლის.

ეს მხოლოდ მოკლე ექსკურსია ამაგდარ არქივისტთა გალერეაში. ძნელია ყურადღების მიღმა დატოვო ნაზი ნოდაიდელის სახელი, რომელიც 1963-1989 წლებში ხელმძღვანელობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს. მან თავისი შრომისმოყვარეობით და ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული ავტორიტეტი დაიმკვიდრა საზოგადოებაში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გამოიცა „მეგზურის“ განახლებული ვარიანტი, დაიბეჭდა მონოგრაფიები და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შედგენილი კრებულები.

აჭარის არქივისტთა კოლექტივს ამშვენებს ამაგდარი არქივისტის გრიგოლ პინიანცის სახელი, რომელიც 1944 წელს დემობილიზაციის შემდეგ მოვიდა არქივში და გაიარა პროფესიული გზა ინსპექტორიდან სამმართველოს უფროსის მოადგილემდე. აჭარის საარქივო დეპარტამენტის საბჭოს 2001 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით საარქივო ორგანოებში ხანგრძლივი (57 წელი) და ნაყოფიერი მუშაობისათვის „მე-20 საუკუნის საუკუთხესო არქივისტად“ აჭარის ავტორობიურ რესპუბლიკაში აღიარებული იქნა

ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების დაკომპლექტებისა და საუწყებო არქივებთან მუშაობის განვითარების გამგე – გრიგოლ პინიანცი (ფონდი რ-1041; აღწ.1; საქ.1963; ფურც.8).

ეს მხრივ მცირეოდენი მიმოხილვაა უფროსი კოლექციების შრომით განვლილი სახელოვანი გზისა. თითოეული მათგანის უპან დგას ლამაზი შემოქმედებითი ბიოგრაფია, წარმატებები, სახელმწიფო ჯილდოები და რაც ყველაზე მთავარია საარქივო საქმისადმი ერთგულება და სიყვარული.

### **გამოყენებული წყაროები:**

1. ფონდი რ-1. საქ. 40. ფურც. 104-105.
2. ფონდი რ-2. აღწ.1. საქ. 23. ფურც.153-173; 193-194.
3. ფონდი რ-1041, აღწ.4, საქ. 22.
4. ფონდი რ-89, აღწ.4, საქ. 16, ფურც. 17.
5. ფონდი რ-89; აღწ.1; საქ.65. ფურც. 1-9.
6. ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.22. ფურც. 8.
7. ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.48. ფურც. 1.
8. ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.48; ფურც.28.
9. ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.70.
10. ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.166. ფურც. 2-6.
11. ფონდი რ-1041; აღწ.4; საქ.265.
12. ფონდი რ-1041; აღწ.1; საქ.1963; ფურც.8.

**Maia Rurua**

**Honored Archivists  
Summary**

An archive is old documents and papers repository. People who are working there have delicate spirit, clear mind and are intellectual persons. In article are discussed: Valiko Mkervalishvili, Grigol Chaganava, Shota Gabrashidze, Guguli Andguladze, Nunu Skamkochaishvili, Dodo Chachua, Makvala Arobelidze, Sergo Tabagua, Taliko Shekiladze, Lena Vanidze, Grigol Pinianski, Kolia Todadze and others merit for archival de.

## თინათობ ჯაბადარი

### სვანეთი 1921 - 1924 წლების აჯაშებაში (საქართველოს მორგნულ არძიზში დაცული ღობუმნების მიხედვით)

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ახალმა მთავრობამ რუსეთთან საზავო მორიგებისათვის მოლაპარაკება დაიწყო. 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა მთავრობამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და მასთან ხელშეკრულება დადო. საქართველოსათვის მშვიდობიანი პერიოდი საქმაოდ მოკლევადიანი გამოდგა, რადგან 1921 წლის 11 თებერვალს რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია და საქართველოს თავს დაესხა. 1921 წლის მარტის ბოლოს მთელი საქართველო რუსეთის მმართველობის ხელში იყო, დამოუკიდებელი სახელმწიფო აღარ არსებობდა.

საოკუპაციო ხელისუფლებამ დაიწყო ქართველი ხალხის შევიწროვება: იოლვეოდა საქართველოს სახელმწიფო ბრივი სუვერენიტეტი. შეიქმნა კონტრეგოლუციასთან, სპეკულაციასთან, თანამდებობრივ დანაშაულობასა და ბანდიტიზმთან მებრძოლი საგანგებო კომისია “ჩეკა”, რომელიც ერთდროულად საგამომძიებლო ორგანიც იყო, მსჯავრმდებელიც და აღმასრულებელიც.

საქართველოს “ჩეკას” გადაწყვეტილებით 1921 წლის ბოლომდე ასობით ადამიანი დაიხვრიტა. მასობრივი ხასიათი მთილო წერეკებმა, დაპატიმრებებმა, რეკვიზიცია – კონფისკაციებმა, იდევნებოდა რელიგია, ათასობით მოქმედი ეკლესია დაიხურა, საპატიმროებსა და ციხეებში უამრავი უდანაშაულო სამღვდელო პირი მოხვდა. ქვეყანაში გამჟღვეულმა განუკითხაობამ ზოგიერთ კომუნისტშიც კი გამოიწვია უნდობლობა. ბოლშევიკებმა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ძირი მოლიანად გამოუთხარეს.

ქართველი ხალხი იმულებული შეიქმნა აჯანყების გზას დასდგომოდა. 1921 წლის ივლისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილმა ჩამოყალიბა სამხედრო რაზმი - “ საქართველოს შეფიცულები.” უფრო მოგვიანებით, 1921 წლის შემოდგომაზე საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გაერთიანებული ორგანო “დამკომი” (დამოუკიდებლობის კომიტეტი) დაარსდა, რომელშიც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული, საქართველოს სოციალ-ფედერალისტური, საქართველოს სოციალ-რევოლუციური პარტიები. კომიტეტს 1922 წლამდე 6 ქარცივაძე, ხოლო 1924 წლამდე კი, კ. მაყაშვილი ხელმძღვანელობდა.

სვანეთის ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა ნეხტორ გარდაფხაძემ და მოსორსებ დადეშეკელიანმა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან და საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფარული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად მომავალი აჯანყების გეგმა შეიმუშავეს. აჯანყება სვანებს უნდა დაეწყოთ. ეს არ იყო გასაკვირი, რადგან სვანები დასაბამიდან ბრძოლისუნარიანი, თავისუფლებისმოყვარე ხალხი იყო.

XIX საუკუნის ორმოციან წლებში (1844 - 1847წლები) საქართველოში ჩამოსული იყო გერმანელი მწერალი ფრიდრიხი ფონ ბოდენშტენტი. საქართველოს დათვალიერების შემდეგ, მან არაჩეულებრივად დაახასიათა საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობა. შვანების შესახებ კი წერდა: “სვანი ბავშვობიდანვე ეჩვევა სიძნელეებს და გაჭირვებას, თავისი ქვეყნის ქაც-

რი პავით გამოწრობილი, იგი ისეთი ძლიერი და მხნეა, რომლის მსგავსს ჩერქეზებში თუ შეხვდებით, სვანი იძულებულია მუდმივად იბრძოლოს, რათა იცოცხლოს, იგი ებრძეის ბუნებას, მიწას, ადამიანებს, .. სვანს მხოლოდ საკუთარ სახლში შეუძლია უშიშრად იგრძნოს თავი, ამოტომ იქ ყოველი სახლი ციხე - სიმაგრესა ჰგავს, რომელსაც ჩვეულებრივ 5-დან 6 სართულამდე სიმაღლის კოშკები აქვს მოდგმული... ამგვარ სახლებში ზოგჯერ 30 - 40 მეტროლი ხშირად ერთად ცხობრობდა .. ” (ვალერიან ქორიძე, ფრიდრიხ ბოდენშტექნის ცნობები საქართველოს შესახებ.”) ასე ცხოვრობდნენ სვანები XIX საუკუნის შეა წლებში და მათ ბუნებაში ბევრი არაფერი შეცვლილა მომდევნო საუკუნის დასაწყისშიც, ამიტომ დაუვალათ მათ ამ მნიშვნელოვან ბრძოლაში ლიდერობა.

ანტისაბჭოთა აჯანყების დროშა პირველად თავისუფლებისმოყვარე სვანებში უნდა აფრიალებულიყო, მათ სათავეში მათივე შვილები ნესტორ გარდაფხადე, ბიძინა პირველი მოსორსტ დადეშქელიანი ჩაუდგნენ. სვანეთის ყველა თემი მზად იყო საერთო სახალხო აჯანყებისათვის. ზაფხულში ზემო სვანეთის ძირითადი ნაწილი აჯანყებულთა ხელში იყო. ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობა მალე მთელ სვანეთს მოედო. შემოდგომაზე ზემო სვანეთის დიდი ნაწილი აჯანყებულთა ხელში გადავიდა. მათმა წარმატებულმა მსვლელობამ საბჭოთა ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოში სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

1922 წლის გაზაფხულზე აჯანყების ლიკვიდაციისათვის ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები მიიღო. მთაში დათბობის შემდგებ შესაძლებელი გახდა ბარიდან ჯარის დიდი ნაწილის აყვანა, სვანეთის მთებს კომუნისტების მეთაურობით დამატებითი ცოცხალი ძალა და დიდი რაოდენობით იარაღი გამოეყო. ამჯერად წარმატებას მთავრობის ჯარმა მიაღწია.

1922 წლის გაზაფხულზე აჯანყებულები უფრო გაძლიერდნენ. ამ დროს მათ სათავეში ედგნენ: ბიძინა პირველი, თენგიზ დადეშქელიანი, კოწია დადეშქელიანი, ბესარიონ ხერგიანი, ილია ფალიანი... მოსახლეობის დიდი ნაწილი აჯანყებულთა მხარეს იყო, მათი რაზმები მთავრობის წინააღმდეგ საქმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენდა.

1922 წლის გაზაფხულზე უღელტეხილის გადავლით აჯანყებულები ქვემო სვანეთშიც შევიდნენ, ხელში აიღეს ლენტებისა და ლაშეთის საგუშაგოები, მაგრამ ცაგერის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ჯგუფთან შეერთება აღარ მოხერხდა. საოქუპაციო ხელისუფლებამ ყველა მხრიდან შეუტია აჯანყებულებს. ბარში დაწყებული რეპრესიებისა მიუხედავად სახალხო მოძრაობა კვლავ გრძელდებოდა ....

განსაკუთრებული ორგანიზებულობით დაიწყო 1924 წელი, 28-29 აგვისტოს აჯანყების ორგანიზატორები დაბა ბეზოში (იმ დროისათვის ზემო სვანეთის რაიონული ცენტრი), თავს დაესხნენ ადგილობრივ ხელისუფლებას (სულ 35 კაცი იყო), წინააღმდეგობის მიუხედავად განაიარადეს და უმეტესი მათგანი ტყვედ აიყვანეს.. მეორე დღეს 500-მდე შეიარაღებულმა სვანმა წარმატებით გაიარა გზა სვანეთის მთებიდან ქუთაისამდე და ადგილობრივ მთავრობას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ დამხმარე ძალის არ არსებობის გამო ალექსი მოქცეულები სამი კვირის განმავლობაში იგერიებდნენ ოკუპანტების ჯარებს.. სექტემბრის ბოლოს აჯანყება დამარცხდა, თუმცა აჯანყებულთა დიდი ნაწილი ტყეებში იმაღებოდა და ადგილობრივი მთავრობისათვის ჯერ კიდევ საფრთხეს წარმოადგენდა.

1925 წლის 1 თებერვლს სვანეთის მაზრის I ყრილობა ჩატარდა, ახალ-მა მთავრობამ შეძლო მოსახლეობის ნაწილის შემორიგება, აჯანყების აქტი-ურ მონაწილეებს სასტიკად გაუსწორდნენ. გარდა ფიზიკურად განადგურებისა, მოსახლეობამ დიდი მატერიალური და სულიერი ზარალი განიცადა.

აჯანყებულთა მიზანი რუსული ოკუპაციის მიერ დამხობილი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა იყო. ამის მიღწევა მაშინ შეუძლებელი შეიქმნა..

### ***Tinatin Jabadari***

#### ***Svaneti rebellion in 1921-1924s***

##### **Summary**

Georgia's population has never adapted to loss of independence. All part of it has contributed in Country's sovereignty and struggle for freedom. In article based on archival data is discussed Svaneti population active participation issues of 1921-1924 years events.

## მალხაზ სიორიძე ჭ

### სან-რემოს საზამო პოლიტიკური გათუმას შესახებ (1920 წ. აპრილი)

დასავლეთის სახელმწიფო ეპიფანიის დამოკიდებულება ბათუმისადმი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში.

პირველ მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ ანგანტის ქვეყნებს შორის მწვავედ იჩინა თავი წინააღმდეგობებმა გავლენის სფეროების განაწილების საკითხში. ამ წინააღმდეგობათა გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი იყო ამიერკავკასია, ხოლო აქ შემოღწევისა და სრული კონტროლის დამყარებისათვის დიდი იყო ბათუმის მნიშვნელობა. ამიტომ ეს ქალაქი ანგანტის ქვეყნების ყურადღების ორბიტაში მოექცა და მთელი 1919-1920 წწ. მანძილზე წარმოადგინდა ქიშისა და დიპლომატიური ცილინდის ობიექტს.

ანგანტის მოკავშირეთა შორის ყველაზე მეტი ტერიტორიული შენაძენი დიდ ბრიტანეთს ერგო. მათ შორის შავი ზღვის სრუტეები, აზიური თურქეთი, კავკასია და შუა აზია. 1918 წლის დეკემბრის დამლევს დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია, რითაც ერთპიროვნულად დაეფულნენ შუა აზიასა და სპარსეთისაკენ მიმავალ სატრანზიტო გზებს.

ტერიტორიების ასეთი განაწილებით განსაკუთრებით უკმაყოფილო დარჩა იტალია, წინააღმდეგობა იგრძნობოდა საფრანგეთის და აშშ მხრივაც. ამ დაპირისპირებულებათა აღმოსაფხვრელად 1919 წელს, პარიზის საზამო კონფერენციაზე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა იტალიას აღუთქვა მხარდაჭერა საქართველოსა და აზერბაიჯანზე მანდატის მიღებაში. ამით ცდილობდა აელაგმა ამიერკავკასიაში გააქტიურებული აშშ და მისი პრეტენზიები სომხეთის მანდატზე.

ანგანტის უმაღლესი საბჭოს ლონდონის პირველი კონფერენციის [იხ. მ.სიორიძე, 2007:127-132]. დამთავრებიდან ერთი კვირა ძლიერ იქნებოდა გასული, რომ მოკავშირეები ხელახლა შეიკრიბნენ ახალ საზამო კონფერენციაზე, ამჯერად იტალიის საკურორტო ქალაქ სან-რემოში.

სან-რემოს კონფერენცია მიმდინარეობდა 1920 წლის 18-26 აპრილს.

კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო ბათუმის საკითხი. ის განიხილებოდა ამიერკავკასიასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სამხედრო პრობლემებთან კონტექსტში.

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ლონდონის კონფერენციის შემდეგაც, ანგანტის ქვეყნები ბათუმს კვლავ განიხილავდნენ როგორც პორტო-ფრანკოს. და ამას იმით ამართლებდნენ, რომ ეს ქალაქი იყო განხეთქილების წყარო ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას შორის. ამიტომ, ამ უთანხმოებათა აღმოფხვრა თითქოს შეიძლებოდა მხოლოდ მისი თავისუფალ ქალაქ-ნაგ-სადგურად გამოცხადებით.

ლონდონის კონფერენციის პერიოდში ბოლშევკიური რუსეთის და მუსტაფა ქემალის თურქეთის სამხედრო წარმატებებმა, მათი საზღვრების გადმოწევამ კავკასიის მიმართულებით სერიოზულად დააფიქრა ანგანტის პო-

ლიტიკოსები. შექმნილ ვითარებაში, მათ თვალში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ამიერკავკასიის რესპუბლიკების შეთანხმებულ მოქმედებას ანტიბოლშევიკური ბარიერის შესაქმნელად.

ანტანტის მესვეურთა ვარაუდით მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნებოდა აზრი ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის იარაღის მიცემას. ამიტომ ლონდონის კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ვიდრე სან-რემოს კონფერენცია დაიწყებოდა, პარიზში მყოფ ამიერკავკასიის რესპუბლიკების საზავო დელეგაციებითან მოსალაპარაკებლად 12 აპრილს სპეციალურად ჩავიდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის დიპლომატი რობერტ ვანსიტარტი. 13 აპრილს, შეხვედრაზე მან გულახდილად განაცხადა, რომ მოცემულ ეტაპზე და სამომავლოდაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკების მიერ ერთიანი ტაქტიკის შემუშავებას, მათ კეთილმეზობლურ და შეთანხმებულ მოქმედებას. მათ შორის სერიოზული უთანხმოების საფუძველს, რ. ვანსიტარტის ოქმით, ქმნიდა ბათუმის ქალაქი-ნავსადგური. ამიტომ, მან ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შესთავაზა ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება და ამ ”საერთო ტერიტორიაზე” მათი საერთო კონტროლის დაწესება. [აბ.სურგულაძე, მ.სიორიძე, 1996:60-61].

ადსანიშნავია, რომ ლონდონის კონფერენციისაგან განსხვავებით, პარიზის თათბირზე აზერბაიჯანის და სომხეთის საზავო დელეგაციებისა დაადასტურეს, რომ ისინი უკვე სადაოდ აღარ ხდიდნენ ბათუმზე საქართველოს სუვერენობის ცნობას, ამ ნავსადგურში მეზობელი ქვეყნების ინტერესების დაცვის პირობით. თუმცა ამაზე რ. ვანსიტარტს შეუნიშნავს, რომ ”ბათუმზე საქართველოს სუვერენობის ცნობას ძლიერ ცოტა შანსი პქონდა”, რადგან უპე გადაწყვეტილი იყო მისი პორტო-ფრანკოდ გამოცხადება [ზ. ავალიშვილი, 1929:208-209].

ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მასალებზე დაყრდნობით სპეციალურად შეისწავლა პროფ. ილია ტაბაღუამ [ი. ტაბაღუა, 1982:92-95]. ამიტომ, ადნიშნული საკითხის დაწვრილებით განხილვისაგან თავს შევიკავებთ და მის მხოლოდ ცალკეულ მომენტებს შევეხებით.

კონფერენციის პირველსავე სხდომაზე (18 აპრილს) ბათუმის საკითხის განხილვა დაიწყო კონსტანტინოპოლში დიდი ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ ჯორჯ მილნის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების გაცნობით, რომ ბათუმს ემუქრებოდა ბოლშევიკური საფრთხე. სხდომას ეუწყა, რომ „ბოლშევიკებმა გადმოლახეს კავკასიონის ქადი, მოჰყვებიან შავი ზღვის სანაპიროს და წარმატებით მოემართებიან ბათუმისაკენ” [ი.ტაბაღუა, 1982 : 91]. ამის შემდეგ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჯორჯ კერზონმა შეახსენა მოკავშირებს, რომ ბათუმში მხოლოდ მცირერიცხოვანი ინგლისური გარნიზონი იმყოფებოდა, ხოლო საფრანგეთის და იტალიის მიერ ლონდონის კონფერენციაზე დაპირებული თოთო ბატალიონი არ ჩანდა. საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები ბათუმში ჯარების გაგზავნაზე დუმდნენ.

კერზონმა გადაწყვიტა დიპლომატიური ლავირების გზას დადგომოდა, და დაეინტერესებინა მოკავშირეები ბათუმში ჯარების გაგზავნის აუცილებლობით. ამ მიზნით 20 აპრილს სხდომაზე კერზონმა თავისი გამოსვლა კვლავ იმით დაიწყო, რომ ბათუმს ემუქრება „ბოლშევიკური საფრთხე“, რომ

ინგლისს მარტო საკუთარი ძალებით არ შეუძლია უზრუნველყოს ბათუმის უშიშროება. შემდეგ კერზონმა მოახსენა საბჭოს, რომ ბათუმი არის ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკის ცილობის საგანი და იქვე აღნიშნა, რომ ინგლისის მთავრობის აზრია ბათუმი გადაეცეს საქართველოს [DBFP, v.XII, 1962:51].

. სინამდვილეში ინგლისელები არ აპირებდნენ ბათუმის დათმობას. ამაზე მეტყველებს ლონდონიდან ლორდ ჰირდინგის მიერ 21 აპრილს სან-რემოში კერზონისათვის გაგზავნილი ტელეგრამა. მასში კარგად ჩანს, რომ ლონდონში, სამხედრო სამინისტროში, მოკავშირებისაგან ფარულად მუშავდებოდა ბათუმის დაცვისა და გამაგრების გეგმა: „ბათუმის დაცვის საკითხი დღის წესრიგში დგება, –იტერინებოდა ბათუმის დაცვის საკითხი და გამაგრების მინისტრი დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბათუმში ბატალიონი“ [DBFP, XII, 1962:594].

კერზონის ხერხმა გასჭრა 22 აპრილის სხდომაზე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე მილერანმა განაცხადა, რომ „სოხოვს საფრანგეთის სამხედრო მინისტრს დაუყოვნებლივ გაგზავნოს ბათუმში ბატალიონი“ [იქვე, გვ.29].

თავდაპირველად იტალიის მთავრობამ ამჯერადაც ორჯოფული პოზიცია დაიკავა. ცნობილია, რომ ფრანჩესკო ნიტი ყოველთვის თავს იკავებდა აშერა ანტისაბჭოთა ინტერვენციისაგან, რაც ბ. შევინის შეფასებით გამოწვეული იყო იტალიის სამხედრო-ეკონომიკური სისუსტით და იტალიელი ხალხის სოლიდარობით საბჭოთა რუსეთისადმი [Б.Штейн, 1958:233-234]. მართალია მოკავშირეთა ლონდონის კონფერენციაზე ნიტიმ განაცხადა თანხმობა გაეგზავნა ბათუმში ბატალიონი, მაგრამ მას შემდეგ, რაც სან-რემოში კერზონი მოკავშირებს ყოველდღიურად ახალ-ახალ ცნობებს აწვდიდა ბათუმის მიმართულებით „ბოლშევიკების წინსვლის“ შესახებ, ნიტიმ მხარი იცვალა. ის თვლიდა, რომ ბოლშევიკები ძალიან ძლიერნი იყვნენ, რომ ბათუმი რუსების ქალაქია და მას ბოლშევიკები არ დათმობდნენ. ნიტის აზრით ბათუმის დასაცავად საჭირო იყო 3 ან 4 დივიზია, ეს კი მოახსიავებდა რუსეთთან ომს, რისიც ნიტის ძლიერ ეშინოდა. ამიტომ, მან ანტიანტის უმაღლესი საბჭოს 22 აპრილის სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგი არაა გაგზავნოს ბათუმში ერთი ან ორი ბატალიონი წესრიგის დასამყარებლად, მაგრამ ის აცხადებს, რომ „ისინი არ ჩაერევიან რუსეთის მთავრობის არმიებთან ბრძოლაში“ [DBFP, v.VIII, 1958:100-101]. თუმცა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აუცილებლად გაგზავნის სამხედრო ნაწილს ბათუმში. ნიტიმაც გადაწყვიტა, რომ იქ თავისი წილი არ დაეკარგა და თვითონაც დასთანხმდა ბათუმში ბატალიონის გაგზავნას [იქვე, გვ.101].

ბათუმის საკითხის განხილვა გაგრძელდა 23 აპრილს სხდომაზეც. ინიციატივა ამჯერადაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა აიღო და მოკავშირებს მოახსენა ახალი ინფორმაცია, რომლის მიხედვით საბჭოთა არმია თითქოს ბათუმს 120 მილით მიუახლოვდა. „მე, განაცხადა კერზონმა, –ყველაზე დიდი შემფორებით ვუყურებ ბოლშევიკური წყობილების დამყარებას ბაქოსა და ბათუმში. ეს იქნება საშიშროება სპარსეთისათვის და ყველა მეზობელი სახელმწიფოსათვის“ [ი. ტაბადუა, 1982:93-94]. ამიტომ ბათუმში ჯარების გაგზავნა აუცილებელია. შემდეგ კერზონმა აღნიშნა, რომ ადმირალი დე რობერტ კონსტანტინოპოლიდან ბა-

თუმში მიემგზავრებოდა და მალე გამოგზავნიდა მოხსენებით ბარათს იქ შექმნილი კითარების შესახებ. სხდომაზე კვლავ დაიწყეს მსჯელობა ბათუმში გასაგზავნი ჯარების შემადგენლობასა და რაოდენობაზე.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ოკუპაციის გაგრძელების მომხრეთა ლიდერი კერზონი დაუინებით ცდილობდა მიეღწია მოკავშირეთა სამხედრო ნაწილების ბათუმში გაგზავნის გადაწყვეტილების მიღებისათვის. მაგრამ კითარება შეცვალა ლოიდ ჯორჯის გამოსვლამ. მან განაცხადა: „შემომაქვს წინადაღება დეპეშა გაეგზავნოს ადმირალ დე რობერტს, რათა სასწავლოდ გამოგზავნოს მოხსენებითი ბარათი ბათუმში შექმნილი მდგომარეობის შესახებ... ამრიგად, უკეთესი იქნება, თუ საფრანგეთის ბატალიონი, ასევე იტალიის ბატალიონიც არ გაუდგებიან გზას მანამ, სანამ ადმირალ დე რობერტისაგან მოხსენებით ბარათს არ მივიღებთ. სასურველი არ იქნებოდა რომ მოკავშირეთა ჯარები ტყველ ჩავარდნილიყვნენ“ [იქვე, გვ.94].

ლოიდ ჯორჯის ეს წინადაღება მთლიანად პასუხობდა იტალიის მთავრობის მეთაურის პოზიციას. ამიტომაც ნიტიმ განაცხადა, რომ ის თავს იკავებს ბათუმში ბატალიონის გაგზავნისაგან მანამ, სანამ არ მიღებდნენ ადმირალ დე რობერტის მოხსენებით ბარათს.

ამით დამთავრდა სან-რემოს კონფერენციაზე „ბათუმის საკითხების“ განხილვა. მოკავშირეებს ბათუმის მომავალ ბედზე, ან იქ ჯარების გაგზავნაზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

სან-რემოს კონფერენციამ დიად დატოვა, აგრეთვე, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სასიცოცხლო პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო მათი საბრძოლო იარაღით უზრუნველყოფასა და მათგან ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზებასთან (დ.ჯოჯუა, 1997:164).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს სან-რემოს კონფერენციის მსვლელობის მთელს მანძილზე კერზონის პოზიცია იქმოკენ იყო მიმართული, რომ მოეხდინა მოკავშირეთა ჯარების ბათუმში გაგზავნა, რის შესახებ საფრანგეთის და იტალიის თანხმობას პირველ ეტაპზე მიაღწია კიდეც-თუმცა თვითონ კერზონი, გამოხატავდა რა ინგლისის კოლონიური ბურჟუაზიის ინტერესებს, ყოველთვის იყო ბათუმში მოკავშირეთა ამა თუ იმ სახის ყოფნის წინადმდევი. სან-რემოს კონფერენციაზე კი კერზონი უკვე თვითონვე მოითხოვდა დაუინებით ბათუმში მოკავშირეთა ჯარების შეუვანას. იბადება კითხვა – რით უნდა აიხსნას კერზონის პოლიტიკის ასეთნაირი ცვლილება? ჩვენის აზრით აქ ორი მომენტია გათვალისწინებული. პირველი და მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საბჭოთა ჯარებმა განადგურების პირას მიიყვანა სამხერეთ რუსეთის თეთრგვარდიული ძალები, რამაც ამიერკავკასიაშიც გაააქტიურა ბოლშევიკური მოძრაობა. არ იყო გამორიცხული რუსეთის წითელი არმიის შემოქრაც. ინგლისი მარტოდ-მარტო რჩებოდა ახალი ომის საფრთხის წინაშე. ამიტომაც, შეცვლილ კითარებაში, მოკავშირეთა დამატებითი ჯარების ბათუმში შეუვანა იქნებოდა კავკასიაში „ბოლშევიზმის საფრთხის“ გავრცელების თავიდან აცილების საიმედო გარანტი.

მეორე, ამ პერიოდისათვის ანტანტის სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის წინადმდევ ამზადებდნენ მე-3 კომბინირებულ ლაშქრობას, რომელშიც პოლონეთთან და სამხერეთ რუსეთის თეთრგვარდიულებთან ერთად გარკვეული წვლილი ამიერკავკასიასაც შეეძლო შეეტანა. რასაც, კერზონის აზრით, მოკავშირეთა ჯარების აქ ყოფნა უდავოდ წაახალისებდა.

და მესამეც,-კერზონი ეჭვგარეშეა იძულებული იყო გაეთვალისწინებინა მოკავშირეთა პრეტენზიები ბათუმსა და მის ოლქზე.

ეს რაც შეეხება კერზონს.

მაგრამ რით იყო გამოწვეული ლოიდ ჯორჯის საწინააღმდეგო პოზიცია? რატომ იყო ის ბათუმში მოკავშირეთა ჯარების გაგზავნის წინააღმდეგი? მის მიზანს ხომ არ შეადგენდა ბათუმში ინგლისის ერთპიროვნული ბატონობის შენარჩუნება? ვფიქრობთ რომ არა!

ჩვენის აზრით, ლოიდ ჯორჯის ეს პოზიცია გამომდინარეობდა მისი საერთო დამოკიდებულებიდან „რუსეთის საკითხისადმი“. ცნობილია, რომ ლოიდ ჯორჯმა სხვა პოლიტიკოსებზე უფრო აღრე დაინახა რუსეთში ბოლშევიზმის დამარცხების სირთულე. ამასთან გაითვალისწინა ომისშემდგომი ინგლისის მძიმე ეკონომიკური მდგრამარეობა. ის ჯერ კიდევ 1919 წლის ბოლოს გამოთქვამდა აზრს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ხოლო 1920 წლის 16 იანვარს პარიზის კონფერენციაზე გაიტანა საკითხი საბჭოთა რუსეთისათვის ბლოკადის მოხსნისა და მასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ.

დიდი ბრიტანეთის ჯარების ბათუმში დატოვება აშკარა ინგერვენციის გაგრძელებას ნიშნავდა. მოკავშირეთა დამატებითი სამხედრო ძალების ჩასვლა ბათუმში კი ინგლისის მთავრობის კაბინეტში ინგერვენციის მომხსრეთა პოზიციებს კიდევ უფრო განამტკიცებდა. ამიტომ ლოიდ ჯორჯმა იზრუნა გამოეყენებინა მოკავშირეთა შორის ინგერვენციის გაგრძელების საკითხში არსებული „ორი ტაქტიკა“ და ბათუმის გაძლიერებული ოკუპაციის გადავადებისათვის მიეღწია. ამასთან ლოიდ ჯორჯი ვარაუდობდა, რომ თუ იტალიისა და საფრანგეთის ჯარები არ ჩავიდოდნენ ბათუმში, ეს შეასუსტებდა მთავრობაში ოკუპაციის გაგრძელების მომხსრეთა პოზიციებს და საბოლოო ჯამში დააჩქარებდა ბათუმიდან დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების ეპაუზიასაც.

ამრიგად, სან-რემოს კონფერენციაზე ბათუმის საკითხი განიხილებოდა ამიერკავკასიასთან დაკავშირებულ სამხედრო და პოლიტიკურ პრობლემებთან კავშირში. თუმცა, კონფერენცია ისე დამთავრდა, რომ არც ერთ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის შორის არსებულ უთანხმოებათა და მათგან ერთიანი სამხედრო ბლოკის შექმნის შეუძლებლობის გამო. ასევე დიად დარჩა ბათუმის საკითხი, რასაც ანგარიშის უმაღლესი საბჭო კვლავ პორტო-ფრანკოს სტატუსით განიხილავდა.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Documents on British foreign polisi 1919-1939, ser. I (შემოკლ. DBFP)
2. DBFP, v. XII, London, 1962.
3. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, ტფ., 1929.
4. აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ., 1996.
5. მ. სიორიძე, ბათუმის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე (1920 წ.) – ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, V, გამ-ბა „ბათუმის უნივერსიტეტი, 2007.

6. ი. ტაბაღუა, ბათუმის საკითხი სან-რემოს კონფერენციაზე – „მაცნე“, (ისტორიის სერია), №3, 1982.
7. დ. ჯოჯუა, საქართველო-იტალიის ურთიერთიერთობა 1919-1921 წლებში, თბ., 1997.
8. შტეინ ბ. ე. „Русский вопрос“ в 1920-1921 гг., М., 195

*Malkhaz Sioridze*

***San-Remo Peace Conference about Batumi (April 1920)***

**S u m m a r y**

On the San-Remo's peace conference (April 18-26, 1920) political figures of countries of Entente were discussing questions related with the military and the political problems of Batumi with the South Caucasus.(Being in danger of invading by the Soviet Russia and the Kemalian Turkey). In the work is shown debates about these matters.

Besides, in the article is mentioned the fact that before the beginning of the conference, the delegates of Armenia and Azerbaijan had recognized the sovereignty of Georgia on Batumi. In spite of this, politicians of Entente were discussing Batumi as a free city-port again.

Conference didn't have significant results, because none of the aforesaid questions had a definitive decisions.

## **ქეთევან ფუტკარაძე, ქახაბერ ფუტკარაძე**

### **ხალხური სატრანსპორტო საშუალებები ისტორიულ საძართველოში**

საღწეურ საზიდ საშუალებათა შორის იმერხევში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უღრულსა და ხარი არაბას. უღრული ჩვენში გავრცელებული მარხილის სინონიმია. კონსტრუქციულადაც თითქმის იდენტური, რადგან აგებულება-მოხმარების თავისებურებების, რელიეფის, გზების, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების იდენტურობა განაპირობებდა ხალხური სატრანსპორტო საშუალებების აღნიშნული სახეობის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას. შავშეთში ამ საზიდი საშუალებებით ახლაც გადააქვთ თივა, ჩალა, ნაკელი, შეშა, სამშენებლო მასალა და ა. შ. უღრულის//მარხილის კონსტრუქცია, დამზადების ტექნოლოგია, ტერმინოლოგია ისეთივეა, როგორც მთიან აჭარაში. მისი მთავარი ნაწილებია: **საცურავი, კოფო, საყარი, ხელი, კოტა, უღელი.**



**უღრული**

ცალუდელა მარხილში (მარხილის ერთ-ერთ სახეობას „ხიზეკსაც“ ეძახიან) უღელის ფუნქციას ასრულებს „**საქედური**.“



**ცალუდელა უღრული**

საზიდ საშუალებებს შორის ტექნიკური ოვალსაზრისით უფრო გამართულია ხარი არაბა, რომელსაც ჩვენში ურემს ეძახიან (ტერმინი „არაბა“

თურქულში არაბული ენიდან შევიდა. არაბები მოძრავი ხალხია და შესაბამისად მათი აღმნიშვნელი ეთნონიმი „არაბი“ გავრცელდა მოძრავ მექანიზმებზეც). ურემი თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. აგებულების მიხედვით ხარი არაბასა და ორბორბლიან ურემს შორის არაა განსხვავება, თუმცა განსხვავებულია ტერმინოლოგია.



ხარი არაბა

ხარი არაბას ძირითადი ნაწილებია: **თექირი, მაზი, უღელი.** თექირი არის ხის ბორბალი, რომელსაც ირგვლივ რკინის (დემირის) სალტე აქვს შემორტყმული. რკინის სალტეს კარგად გააცხელებენ და თექირს ისე შემოუჭერენ. გაცივების შემდეგ სალტე მჭიდროდ ეკვრის ბორბალს.

ხის ბორბალს მეორენაირად „**მარანს**“, რკინისსალტიან ბორბალს კი „**თექირს**“ უწოდებენ ურმის დერძს იმერსევში „**მაზს**“ ეძახიან. მაზ-თექირზე (დერძ-ბორბალი) იდგმება ხარი არაბას უბე, რომელიც უღელს ემაგრება **პლავებით** (ხელნებით). კლავებს ერთმანეთთან აერთებს „**დანდლები**“ (ოთხეუთხედად გათლილი ხის დერძი). დანდლებზე იდგმება ტვირთის დასაწყობი „**საფენელი**“. დანდლებს გარდა ხარი არაბაზე მაგრდება ოთხეუთხედად გათლილი ხის წვრილი დერძი. დანდლების პარალელურად კეთდება კოფო. დანდლები ემაგრება ხარი არაბაზე პარალელურად მიმაგრებულ, ორივე მხრიდან ამოღარულ ორ ხეს – „**ეგრიჯას**.“ მაზი ჯდება კლავში, რომელსაც უკეთებენ სპეციალურ საბრუნავს შეუფერხებელი მოძრაობისა და გამძლეობის უზრუნველსაყოფად.



მაზ-თექირი



დანდლები და ეგრიჯა

კლავებისა და მაზ-თექირის სიმაგრე განაპირობებს ხარი არაბის გამძლეობას, ამიტომ განსაკუთრებული უურადღება ექცევა მაღალ ოსტატობას და დამზადების ხარისხს.

ხარი არაბის აგებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება უბისა და მაზის გაწონასწორებას. როგორც ცნობილია, წინა ნაწილი უკანაზე მოზრდილია. გამწევი ძალის შებმის შემდეგ უზრუნველყოფილია ხარი არაბის შეუფერხებელი მუშაობა.

დაღმართში მოძრაობისას დაგორების თავიდან ასაცილებლად ხარი არაბის უბეზე მაგრდება გრძელი ხე – „გოთლუდი“. იგი დაგორების შემთხვევაში ხვდება ხარის უკანა ნაწილს და ანელებს ურემის მოძრაობას.

ავტოსატრანსპორტო ტექნიკის განვითარების მიუხედავად იმერხევში კვლავაც აქვს ფართო გამოყენება ხალხური სატრანსპორტო საშუალებების ამ უძველეს სახეს. ჩვენს მიერ წარმოდგენილი აღწერილობითი მასალიდან ირკვევა, რომ კონსტრუქციულად იმერხეული ურემი აჭარულის ანალოგიურია, თუმცა არის ტერმინოლოგიური სხვაობა. ამ თვალსაზრისით ჩვენებურების ხალხური სატრანსპორტო საშუალებების შესწავლას მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება ზოგადად ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიის შესწავლაში.

## სათუნა შერგაშიძე

### საარქივო დაწესებულებათა ისტორიის ზოგიერთი საპითხი

საარქივო დოკუმენტი ერთს ისტორიული მეხსიერებაა. იგი წარსულის სათუთად შენახვასა და შესწავლის საქმეს ემსახურება. არაფერი ისე სარწმუნოდ და დამაჯერებლად არ იძლევა ქამყნის ისტორიული სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას, როგორც საარქივო დოკუმენტები.

არქივებს საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თვით ტერმინი „არქივი“ წყაროებში არ შემონახულა, მაგრამ დოკუმენტების სპეციალურად განკუთვნილი საცავების არსებობა ეჭვს არ იწვევს.

1878 წლიდან ბათუმში და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში შეიქმნა ადმინისტრაციული და სამეურნეო დაწესებულებები, რომელთა დოკუმენტების ძირითადი ნაწილი შესანახად მეფის რუსეთის ადმინისტრაციულ ცენტრში სანქაუტიკურბუგში, ქალაქ თბილისში და ქუთაისში იგზავნებოდა. იქ დღესაცაა დაცული ჩვენი ისტორიული განვითარების ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის უნიკალური მასალები (აჭარის ცხა, ფონდი რ-1, საქ. 40, ფ. 104).

1921 წლის 1 ივნისს, საქართველოს რევკომმა გამოსცა დეკრეტი საქართველოში „საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“. 1921 წლის 15 ივნისს აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატის მიერ შექმნილმა სამხედრო-ისტორიული დოკუმენტების შემგროვებელმა დროებითმა კომისიამ ხელი მოკიდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო საარქივო დოკუმენტების შეგროვებასა და დაცვას (აჭარის არ ცხა, ფ. რ-1, აღწერა 1, ს. 23, ფურც. 91).

აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატის დროებითმა კომისიამ საარქივო დოკუმენტების შეკრებისა და კლასიფიკაციისათვის ჩაატარა დიდი სამუშაოები – განხორციელდა ეფექტური დონისძიებანი საარქივო დოკუმენტების აღრიცხვისა და მათი შემდგომი კონცენტრაციისათვის ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში – არქივში.

1922 წლის ნოემბერში საქართველოს საარქივო სამმართველოს რწმუნებულის გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძის აქტიური მეცადინეობით, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბათუმის საარქივო განყოფილება. გ. ფურცელაძე 1954 წლის აჯანყების და ცხობილი მოვლენების შემდგომ დახვრეტილი იქნა. ამის შემდეგ ქ. კიევიდან საარქივო საქმის ხელმძღვანელად მოწევული იქნა ნიკოლოზ სპილიორი.

1923 წლის 11 აპრილს აჭარის ასსრ სახელმისაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი „არქივის ორგანიზაციისა და ცენტრალური შესახებ“ და მიზაშეწონილად ცნო, რომ შექმნილიყო აჭარის საარქივო სამმართველო თოხი საშტატო ერთეულით: ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი (აჭარის არ ცხა, ფ. №2, აღწერა 1, ს. 14, ფურც. 121)

აჭარის ასსრ მაზრების ტერიტორიაზე არსებული ყოველგვარი საარქივო მასალის აღმოჩენის, შეგროვების, გადარჩევის და დაცვის მიზნით სამაზრო აღმასხომებთან 1926 წლის 19 დეკემბრიდან აჭარისტრანის ცენტრალური არქივის გამგის ნ. სპილიორის აქტიური მეცადინეობით და ხელი-

სუფლების მხარდაჭერით, დაარსდა სამაზრო საარქივო დაწესებულება, რომელიც არსებობდა 1929 წლამდე. 1930-1935 წლებში მშრომელთა დეპატატების საქალაქო და რაიონული აღმასკომებთან შემოღებული იქნა არქივარიუსის თანამდებობები, 1936 წლიდან აღმასკომებთან შეიქმნა საარქივო განყოფილებები, რაიონების სახელმწიფო არქივები. ასევე, ბრძანების წიგნებიდან ირკვევა, რომ წარმოება-დაწესებულებებში უკვე 1937 წლიდან არსებობდა საუწყებო არქივები, ხოლო მოგვიანებით, რაიონებში და მსხვილ უწყებებში გაერთიანებული საუწყებო არქივები.

1929 წლის იანვრიდან განსახულის საარქივო განყოფილების ცენტრალური არქივი დაექვემდებარა აჭარის ასერ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. 1938 წლის ოქტომბიდან საარქივო განყოფილება გადადის აჭარის ასერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგეობაში, რომელიც ხელმძღვანელობს ცენტრალურ საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებს.

პირველ წლებში, საარქივო განყოფილების ქვემდებარეობაში კონცენტრირებულ იქნა ბათუმის ოლქის სამსედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის სათათბიროს, საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოს, ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს უფროსის თანაშემწის, ჩაქვის საუფლისწულო მაზულის სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა მასალები. 1921 წლიდან დღემდე სხვადასხვა პერიოდში აჭარის საარქივო დაწესებულებებს ხელმძღვანელობდნენ: გიორგი ფურცელაძე (1921-1924წწ.), ნიკოლოზ სპილიორი (1924-1931წწ.), სერგო ფუფარაძე (1932-1937წწ.), ოსმან ხალვაში (1937-1939 წწ.), ვასილ სოლომოგინი (1939-1941წწ.), ალექსანდრე პროტოპოვი (1941-1942წწ.), კასიანე ბაბილონე (1942-1943წწ.), გალინა ივანოვა (1943-1946წწ.), ვლადიმერ ოდიშარია (1946-1947წწ.), ტატიანა ნეფელოვა (1947-1961წწ.), ლევან კალანდარიშვილი (1962-1963წწ.), ნაზი ნოდაიდელი (1963-1989წწ.), შალვა აბაშიძე (1989-2003წწ.), ნუგზარ ზოსიძე (2003-2004წწ.), მარიკა ჭელიძე (2004წ.), იმედა ხაჯიშვილი (2004-2007წწ.), ტარიელ აბულაძე (2007-2010წწ.), კახაბერ სურგულაძე (2010-2011წწ.). ამჟამად საარქივო დაწესებულებას ხელმძღვანელობს თენგიზ ცინცქილაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 აპრილის №296 დადგენილებით აჭარის ასერ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილება გარდაიქმნა აჭარის ასერ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო განყოფილებად, ხოლო 1963 წლის 25 აგვისტოდან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №547 დადგენილებით – აჭარის ასერ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოდ.

გარკვეული დროის გახვლის შემდეგ აჭარის საარქივო მმართველობითმა რგოლმა კვლავ განიცადა რეორგანიზაცია. კერძოდ, აჭარის ასერ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 29 ივნისის №109 დადგენილებით მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო გარდაიქმნა სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანედ“ (აჭარის არ ც.ს.ა. ფ. რ-1041, აღწერა 1, ს. 1512, ფურც. 1).

აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1995 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით შეიქმნა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტი, ხოლო 1996 წლის 23 იანვრის ბრძანებულებით იგი გარდაიქმნა სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტად. აჭარის არ მთავრობის 2004 წლის 17 აგვისტოს №18 დადგენილებით შეიქმნა აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება

საარქივო სამმართველო (აჭარის არ ცსა, ფ. რ-1041, აღწერა 1, ს. 1701, ფურც. 1-19)

საარქივო დოკუმენტებმა მრავალჯერ იცვალეს ბინა. აჭარის არქივი 1936-1962 წლებში კათოლიკური ეკლესიის შენობაში იყო განთავსებული. 1963 წელს საარქივო დოკუმენტებმა 200 ათასი საქმის ოდენობით ტიპიურ სამსართულიან შენობაში დაიდეს ბინა, მაგრამ უადგილობის გამო უწყებებში დაგროვილი დოკუმენტების მიღება ვეღარ ხერხდებოდა. ამიტომაც, 1968 წელს გამოიყო მიწის ნაკვეთი ცენტრალური არქივის ახალი შენობის მშენებლობისათვის. 13 წლის შემდეგ, 1981 წელს მოხდა მისი კონსერვაცია. 1986 წელს ხელი ტემპით განახლდა მშენებლობა და 1992 წლის ოქტომბერში ახალ შენობაში ბინა დაიდო 400 000-ზე მეტმა დოკუმენტმა.

დღეისათვის არქივში დაცულია 1648 ფონდის 564870 საქმეთა ერთეული, აქედან მმართველობითია 1607 ფონდის 529924 საქმეთა ერთეული, სამეცნიერო-ტექნიკური - 13272 საქმეთა ერთეული, პირადი წარმოშობის - 33 ფონდის 2186 შესანახი ერთეული, პირადი შემადგენლობის - 387 ფონდის 74206 შესანახი ერთეული, კინო - 9171 შესანახი ერთეული, ფონო - 6689 შესანახი ერთეული და 3628 ფოტოდოკუმენტი. არქივის ფონდსაცავებში დაცული დოკუმენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

### გამოყენებული წყაროები:

- 1/ /აჭარის არ ცსა. ფონდი რ-1, აღწერა 1, საქ. 40, ფ. 104/.
- 2/ /აჭარის არ ცსა. ფონდი რ-1, აღწერა 1, საქმე 23, ფ. 91/
3. /აჭარის არ ცსა. ფონდი №2, აღწერა 1, საქმე 14, ფ. 121/.
4. /აჭარის არ ცსა. ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე 1512, ფ. 1/
5. /აჭარის არ ცსა. ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე 1701, ფ. 1-19/

*Khatuna Shervashidze*

### *Some items of archival institutions history* Summary

Archives in Georgia have century-old history. In article based on archival data is discussed about separate history of Adjara Archival institutions.

## დოკუმენტური წყაროები:

საარქივო დაწესებულებათა ჩამოყალიბების ამსახველი  
დოკუმენტები

**დეკრეტი**  
**საქართ. ს.ს.რ. რევოლ. კომიტეტისა საარქივო საქმის  
რეორგანიზაციის შესახებ**

1. სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა ცალკე საუწყებო არქივები გაუქმდეს და ყველა მათი საქმეები და საბუთები ამიერიდან გადირიცხოს სახელმწიფოს საერთო საარქივო ფონდში.

2. სახელმწიფო საარქივო ფონდის გამგებლობისათვის დაარსდეს სახალხო განათლების კომისარიატთან, როგორც მისი აკადემიური ცენტრის ნაწილი, საარქივო საქმეთა სამმართველო.

3. საარქივო საქმეთა სამმართველოს გამგეს ამტკიცებს სახალხო განათლების კომისარიატის აკადემიური ცენტრი.

4. სახელმწიფო დაწესებულებათ ყვალებათ ყოველგვარი საარქივო საქმეები და მიწერ-მოწერა, რომელიც დასრულებულია 1921 წ. თებერვლის 25-დე და მიმდინარე მუშაობის საჭიროებას არ წარმოადგენს, გადასცენ საარქივო საქმეთა სამმართველოს, ხოლო დანარჩენი დაუსრულებელი საქმეები უნდა დარჩეს მათ ხელში ყოველ უწყებისათვის ცალკე დებულებით განსაზღვრულ დრომდე, რომლის გასვლის შემდეგ ყველა საქმეები და საბუთები უნდა გადაეცეს იმავე საარქივო საქმეთა სამმართველოს.

5. სახელმწიფო დაწესებულებათ ეპრტალებათ ყოველგვარი საქმისა, მიწერ-მოწერისა ან ცალკე ქაღალდის მოსპობა საარქივო საქმეთა სამმართველოს წერილობითი ნებადაურთველად.

6. იმ მიზნით, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის გაადვილდეს არქივებით სარგებლობა და არქივები სათანადოთ შენახულ და დაცულ იქნეს, სახელმწიფო საარქივო ფონდის ცალკე ნაწილები, შეძლებისდაგვარად, შერთებულ იქნეს ცენტრალიზაციის საფუძველზე.

7. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს.ს.რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

განათლების სახ. კომისარი ა. თუმანიშვილი.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივლისის 1.

ტფილისი – სასახლე.

ფონდი №1; საქმე №23; ფურც. 91.

**ოქთი №8**

**ა.ა.ს.ს.რ. სახელმისართა პლენურის სხდომისა  
„7” დეკემბერი 1922 წ.**

**დაგსწრები წევრები:** ს. დიასამიძე (სახელმისაბჭ. თ-რე), გ. რამიშვილი (კომ. მეურნ. განყ),  
პევცოვი (კომ. მეურნ. თ.-რის ამხ-ი), ჩუპრინა (პროფესია), მარჯანი (ს.მ.უ.ს.), ფადავა  
(მიწ. მოქ. სახ.კ.), თუმანოვი (მუშალეხინი), გათენაძე (სასურს.სახ.კ.),  
ლორთქიფანიძე (განათ.სახ.კ.), ბლიუზხავი (შრომ.სახ.კ.), სვანიძე (პარტკომი),  
ქიქავა (ფინ.სახ.კ.), ბზიავა (იუსტ.სახ.კ.), ქოჩიაშვილი (ჯანმრ.სახ.კ.), კაიკაციშ-  
ვილი (შინ.საქ.სახ.კ.), იქევლევიჩი (საგანგ. განყ.) და ბოდიანსკი (ბათ. გამ. რ-ი).

**თავჯდომარე** ს. დიასამიძე  
**მდივანი** ს. უორუოლიანი

**მოისმინეს:** განათლების სახელმის მომართვა, რათა დაარსებულ იქნას  
საარქივო სამმართველო ძველი საქმეების შესანახვათ და შესასწავლათ.  
ფუძე; განათლ. სახ.კ. მომ. 21- ნოემბრიდან 13374 №ით.

**დაადგინეს:** ეცნობოს ცენტრს, რათა მან მოაგვაროს ეს საკითხი:  
მზრუნველობა გასწიოს ბათომში არსებულ სხვადასხვა ისტორიული მნიშ-  
ვნელობის საქმეების შენახვაში, ხოლო ბათომში ამ მიზნისთვის სპეციალუ-  
რი აპარატის შექმნა უარყოფილ იქნას. წინადადება მიეცეს ყველა დაწესე-  
ბულებებს, სადაც ასეთი საქმეები ინახება, ყურადღებით დაიცვან ისინი.

**ფონდი რ-2, ან.1, საქმე 12, ფურც. 4**

**სახალხო კომისართა საბჭოს**

თანახმად თქვენი მოწერილობისა ა/წ. 23 მარტის თარიღით №2334,  
გილგენთ განათლების სახ. კომისარიატის კოლეგის დადგენილებას საარ-  
ქივო აპარატის შტატის შესახებ, დაახლოვებით სმეტას, წარმოდგენილს  
მოქ. ფურცელაძის მიერ მთელ მიმოწერით ამ საკითხის გარშემო და  
გთხოვთ თქვენს განკარგულებას ხსენებულ საარქივო აპარატის ამუშავების  
შესახებ.

**დანართი:** მიმოწერა II ფურცელზე.

განათლების სახალხო კომისარი  
საქმეთა მმართველი

**ფონდი – რ-2, აღწერა-1, საქმე – 23,**  
**ფურცელი – 156**

## ა მ თ ნ ა შ ე რ ი

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმიდან  
№33

§ I. 28 მარტი 1923 წ.

თავმჯდომარე: ს. რეზადი

მდივანი: გურგენიძე

**მოისმინებ:** 1. სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საარქივო

აპარატის და მისი მომავალ მუშაობის გეგმის წარმოდგენის შესახებ განათლების სახ. კომისარიატის მიერ.

ფუძე: სახელმისართა საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის №131-9 ამონაწერი.

**დაადგინებ:** 1. საარქივო აპარატის შექმნა ქ. ბათუმში პრინციპულად მიღებულ იქმნეს აპარატის შტატი შემდგარ იქმნეს ოთხი კაცისაგან 1/გამგე, 2/თანამშრომელი, 3/არქივარიუსი, 4/დარაჯი. დაც შეეხება ხსენებულ საარქივო აპარატის ხარჯთაღრიცხვას, ასეთის შედგენა მიენდოს პრეზიდიუმს და წარმოდგენილ იქმნეს მომავალ კოლეგიის სხდომაზე დასამტკიცებლათ.

დედანი სათანადო ხელის მოწერით

დედანთან სწორია: განკომის მდივანი (გვარი არ იკითხება)

ფონდი – რ-2, ადწერა-1, საქმე – 23, ფურც. – 158

### ო ქ მ ი №133

ა. ა. ს. ს. რ. სახელმისართა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომისა.  
11 აპრილი 1923 წ.

დაესწრები წევრები: თ. ხიმშიაშვილი (სახელმისაბჭოს თ-რე), ო. მოწყობილი (ცაგის თ-რე), ნ. ბახტაძე (შინ. საქ. სახელმი) და ს. ლორთქიფანიძე (მიწად. ოქ. სახელმი); გ. რამიშვილი (რევტრიბ) და ა. ბელოვი (სახელმი).

თავმჯდომარე თ. ხიმშიაშვილი

მდივანი ს. უორჟოლიანი

**მოისმინებ:** განათლების სახელმისარიატის მომართვა საარქივო მმართველობის დაწესებისა და მისი შტატისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ფუძე: მომ. 5/აპრილი №1248

**დაადგინებ:** მოხსენება დამტკიცებულ იქნეს დაუყონებლივ დაწესდეს საარქივო სამმართველო განათლების სახელმისარიატთან, რომლის წამოდგენელი შტატი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნას სახით, როგორი-

თაც წარმოდგენილია განათლების  
საარქივო განყოფილების გამგე მირიცხულ იქნას მეთოთხმეტე კათეგორია-ზე.

სახეომისარიატისაგან, ხოლო

ფონდი №4-2; საქმე №14; ფურც. 120

### ბ ე ბ ბ ა

ბათომში საარქივო აპარატის შექმნის

1) შტატი: გამგე – ერთი, 14 ან 13 კატეგორიის.

თანამშრომელი – ერთი, 12 “\_\_\_\_\_”

არქივარიუსი – ერთი, 12 ან 11 “\_\_\_\_\_”

დარაჯი (იგივე შიკრიკი) – ერთი 4 “\_\_\_\_\_”

2) ბინა: ერთი დიდი ოთახი საწყობისათვის არანაკლები 15X15  
არშ.ერთი პატარა ოთახი 5X5 არშ. კანცელარიისა და სამუშაოებისათვის.

3) მოწყობილება:

4) ა) თაროები, ოთხ იარუსიანი 12 ვერშობ. სიგანისა სულ 100  
არშ.სიგრძე

ბ) მაგიდები: ორი დიდი მაგიდა საწყობში სამუშაო სამი არშ. სიგრძე  
და ორი არშ. სიგანე, ორი პატარა მაგიდა კანცელარიაში სამუშაოთ ორი  
არშ. სიგრძე და ერთი არშ. სიგანე; ოთხი სკამები; კიბე დასაშალი ერთი;  
ტანისამოსის და ხალათების ვეშარგა; ხელის დასაბანი ტასტი, სკამით,  
ვედრით და კრუჟკით; საქმეების და საკანცელარიო ნივთების შესანახად  
ერთი მორჩილი შკაფი დასაკეტით, ცოცხი და ტილო. დასაკიდი გასაღები  
ორი;

5) სამუშაო ტანსაცმელი: ოთხი ბიაზის ხალათი და ოთხი წევილი  
ტუაფის ან რეზინის პერჩატკები.

6) განათება: ერთი ლამპოჩქა კანცელარიაში და სამი კი საწყობში.

7) საკანცელარიო ნივთები: ორი ბეჭედი; ერთი შტამპი; ერთი ბალი-  
ში; შემოსულ გასულ ქაღალდების უურნალი -2, ნივთების წიგნი -1, კატა-  
ლოგის წიგნი -10, არქივების რიცხვის მიხედვით: კარანდაშები, მელანი, სა-  
წები,

8)

9) სხვადასხვა ადგილებში მყოფი არქივები ერთ ადგილში მოგროვე-  
ბა დაახლოვებით ყველა ბათომის დაწესებულებაში მყოფი არქივები იქნება  
წონით: ა) კომუნალურ მეურნეობაში – არანაკლები 600 ფუთი. ბ) ცენტრო-  
სოიუზის სარდაფში – 500 ფუთი; გ) სახალხო ბანკის სარდაფში – 400 ფუ-  
თი; გ) მე-2 ქალ. საავადმყოფოში – 15 ფუთი; დ) ბათომის საბაჟოში – 400  
ფუთი; ე) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში – 50 ფუთი; ჟ) ბურუნტაბიის საწყობში – 100 ფუთი; სულ 2200 ფითამდე; ამის გადატანათ მოუნდება 40-  
45 –მდე ერთი ცხენი დროგი და ოთხი მუშა (7-8 დღე მუშაობა; დღეში ერ-  
თი დღირა თითო მუშას) – სულ არქივების გადატანას დაგვჭირდება – 100  
ლირამდე.

ფონდი №4-2; საქმე №23; ფურც. 163

## ასლი

რესპუბლიკის საარქივოს

მთავარი სამმართველო

აჭარისტანის ს.ს. ავტონომიურ რესპუბლიკის

სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს. —

თებერვალი 1923წ.

№109.

ქ. თბილისი

ს.ს.ს.რ. მთავარი საარქივო სამმართველო ყოველთვის დიდს ყურადღებას აქცევდა საარქივო საქმეს ქ. ბათომში და საზოგადოთ აჭარაში, მაგრამ აქამდის, ცენტრალურ დაწესებულებებში მუშაობის სირთულის გამო, მას არ ჰქონდა საშუალება აქტიურად ჩარეულიყო ბათომისა და აჭარის საარქივო საქმის მოწყობაში. მაინც საარქივო სამმართველოს პევდა ბათომში თავისი რწმუნებული — ამხ. გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე, რომელიც აქამდის თავგამოდებით და უანგაროდ /რადგან ამხ. ფურცელაძეს საარქივო სამმართველო გასამრჯელოსაც ვერ აძლევდა/ ასრულებდა თავის მოვალეობას, ადგვნებდა თვალყურს ადგილობრივ არქივებს და კერძოდ ალაგებდა და აწესრიგებდა კომუნალურ მეურნეობის სამმართველოში მოთავსებულ ყოფილ საგუბერნიო სამმართველოს საქმეებს. აჭარის ავტონომიური მთავრობა აქამდის ალბად ვერ იცლიდა საარქივო საქმისათვის ჯეროვან ყურადღების მისაპყრობად და ამით ალბად აიხსნება, რომ საარქივო მმართველი აპარატიც ბათომში აქამდის ვერ მოეწყო და ბოლოს საქმე მივიდა იქამდის, რომ თვით ის ერთი ოთახიც, სადაც მოთავსებული იყო ყოფ. საგუბერნიო სამმართველოს საქმეები კომუნალურ მეურნეობის გამგემ დააცლევინა ამხ. ფურცელაძეს და საარქივო საქმეები მოთავსებულ იქმნენ სარდაფში, სადაც მუშაობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია.

უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ საარქივო საქმეს ბათომსა და აჭარაში არ ეძლეოდეს ზიანი, რომლის გამოსწორება, თუ მას საქმეების დაღუპვა მომავალში შეუძლებელი იქნება.

ძლიერ სასურველია, რომ აჭარიაშიც საარქივო საქმე ისეთივე ყურადღებით სარგებლობდეს, როგორც ეს რუსეთის არა თუ ცენტრში, არამედ თვით შორეულ პროვინციაშიაც არის, სადაც ადგილობრივ საარქივო სამმართველოებს, როგორც მე ეს პირადად დავრწმუნდი ს.ს.ს.რ. მთავრობის მიერ სამსახურის საქმეების გამო ჩრდ.-კავკასიაში მივლინების დროს, დათმობილი აქვს, მაგ. ქ. კრასხოდარსა, სტავროპოლისა და პიატიგორისში ამ სამსახურ საგუბერნიო ქალაქებში, კარგი შენობები, ქალაქის მთავარ ქუჩებზე და საბჭოთა ხელისუფლება ყველგან ცდილობს საარქივო მმართველ აპარატს კონტროლთან ერთად, ჯეროვანი დახმარებაც აღმოუჩინოს.

ამისა და მიხედვით ვშეამდგომლობთ, გასკეთ განკარგულება, რათა საარქივო სამმართველოს ბათომში მიეცეს შესაფერისი ბინა და თუ ეს ამ მოკლე ხანში შეუძლებელია, საჩაროდ დაბრუნდეს მას წინანდებული კომუნალურ მეურნეობის შენობაში — მომავალში კი მოპოებულ იქნეს უფრო ფართო ბინა; შექმნილ იქნას მცირე მაინც საარქივო აპარატი ადგილობრივ პორობების მიხედვით, მანამდის კიდევ ყოველგარი დახმარება გაეწიოს სამ-

სახურის ვალდებულებათა ასრულების დროს მთავრ საარქივო სამმართველოს რწმუნებულს ქ. ბათომში ამხ. გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძეს.

საარქივო მმართველობის მთავარი გამგე – ს. კაგაბაძე.  
დედანთან სწორია / სახეომსაბჭოს საქმის მწარმოებელი  
ფონდი №-2; საქმე №23; ფურც. 166.

### მთავრ საარქივო

სამმართველოს ავტონომიური აჭარისტანის სახალხო  
რწმუნებული ქ. ბათომში კომისართა საბჭოს თაგვიდომარეს. –  
გიორგი ფურცელაძე.

მ ო ს ს ე ნ ე ბ ა. –

9 მარტი 1923წ.

№8. ქ. ბათომი

თანახმათ თქვენი საქმის მმართველის წინადადებისა მოგახსენებო, რომ ქალ ბათომში საარქივო საქმეები შესდგება შემდეგი: ყოფილი დაწესებულებებიდან:

1. ბათომის სამხედრო გუბერნატორის, საპოლიციო, ქალ. ბათომის თვითმმართველობის, ტრაპეზონის და ბაქოს სამხედრო რკინის გზების, - მოთავსებულია კომუნალურ მეურნეობის შენობაში ქვედა სარდაფში. –

2. სასამართლოს პალატის და ოლქის სასამართლოსი, რომელიც თბილისიდან

აქ არის ჩამოტანილი, მოთავსებულია “ცენტროსოიუზ”-ის შენობაში ქვედა სარდაფში.

3. დანარჩენი ამიერ-კავკასიის, რუსეთ-აზიის და კავკასიის ბანკების მოთავსებულია ეხლანდელი სახალხო ბანკის შენობაში ქვედა სარდაფში.

4. ბათომის საბაჟოს არქივი მოთავსებულია ბათ. საბაჟოს საკუთარ შენობაში პატარა ოთახში.

5. ამის გარდა არის მცირე არქივი სასანიტარო დაწესებულებების, რომელიც მოთავსებულია მე-2 ქალ. საავადმყოფოში.

4. ციხე-სიმაგრის საინჟინერო არქივი – ინახება ფოსტ. “ბურუნტაბიის” საწყობში.

ყველა ზემო ხსენებული არქივები, რომელიც დიდ განძს და საისტორიო მასალას შეადგენს, როგორც თვით აჭარისტანისათვის ისე საქართველოსთვის, ასეთები არ არის შესაფერ ალაგას შენახული, სადაც ქაღალდები დანოტვილი და გამწვანებულია, რომლებიც თუ მალე არ იქმნება შშრალ ალაგას გადატანილი, სრულებით გამოუსადეგი იქნება არქივის მასალათ, რადგან ყველა დაწესებულებების გამგენი არ აფასებენ მათ ღირებულებას ისტორიისთვის და ინახავენ ისეთ ალაგას, სადაც წყალი სდგას სარდაფში.

ამის შესახებ ვრცელი მოხსენება გაუკეთე განათლების კომისარს და მთავარ საარქივო სამმართველოს, მაგრამ საქმის კარგ შედეგამდე დაყენება

დღემდე არ მოხერხდა. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ შეხვიდეთ საარქივო საქმეების ასეთ უმწეო მდგომარეობაში და ამისათვის გამოყოფილ იქმნას შესაფერი შტატები: - ერთი გამგე, ერთი ან ორი თანამშრომელი, და ერთი დარაჯი /იგივე შიკრიკი/, რომელიც დაემორჩილოს ან განათლების კომისარიატს, ან თვით თქვენ საბჭოს, როგორც ეს საბჭოთა რუსეთში ებლა იმყოფება /იხილე “Правда” 1922წ. 25 აგვ/ და მოგვეცეს შესაფერისი ბინა სათანადო მოწყობილობით, სადაც შეიძლებოდეს მუშაობა და მოთავსება ყველა ცალკ-ცალკე დაბნეულ საქმეების. თუ ყოველ შემთხვევაში ასეთის მოწყობა ადგილობრივ არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში დროებით მაინც გადაირჩეს საქმეები და გადაიგზავნოს ცენტრში, რომ ამნაირათ გადავარჩინოთ დაღუპვის გზას მთელი საარქივო მასალა. –

გიორგი ფურცელაძე,  
საქმის მწარმოებელი

დედანთან სწორია / სახეომსაბჭოს  
(გვარი არ იკითხება)

ფონდი №-2; საქმე №23; ფურც. 167.

აჭარისტანის ავტ. სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო ქომისართა საბჭოს პრეზიდიუმის 1923 წლ. „20“, მარტის სხდომის ფქმის №131/9

ა მ ၃ ၆ ა ၄ ၂ ၅ ၀

თავმჯდომარე – ს. ლორთქიფანიძე.  
მდივანი – ს. უორჟოლიანი

რიცხვი	განსახილები საგანი	დადგენილება
10.	<p>მთავარ საარქივო სამმართველოს ბათომის რწმუნებულის მოხსენება ბათომში არსებული არქივის მდგომარეობის შესახებ. ფუძე: მომ. 9/III, №-8.</p> <p>დედანთან სწორია/ განათლების სახეომს ცნობათ შესასრულებლათ 29 მარტი 1923 წ. ქ.ბათომი №2334</p> <p>სახეომ საბჭოს საქმეთა მმართველი საქმის მწარმოებელი</p>	<p>10. ყველა მასალა გადაეცეს განათლების სახეომისარიატს და წინადაღება მიეცეს მას, რათა ათი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დაწერილებითი გეგმა ამა საკითხის მოსაგვარებლათ და მისი ამუშავებისათვის საჭირო აპარატის შექმნის პროექტი.</p> <p>საქმის მწარმოებელი დანართი 5 ფურცელზე</p>

ფონდი №-2; საქმე №23; გვ. 165.

ა მ თ ნ ა შ ე რ ი

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმიდან  
№33

§ 7, 4 აპრილი 1923 წ.

თავმჯდომარე: ს. რეზადი

მდივანი: გურგენიძე

მოისმინეს:

საარქივო აპარატის შექმნა

ფუძე: მიმოწერა

ჭოს დასამტკიცებლათ

დაადგინეს:

საარქივო აპარატის შტატი და ხარჯთაღრიცხვა

გადაეგზავნოს სახკომისართა საბ-

დედანი სათანადო ხელის მოწერით

დედანთან სწორია: განკომის მდივანი

ფონდი – რ-2, აღწერა-1, საქმე – 23, ფურც.- 157

ო ქ ბ ი №1

განათლების სახალხო კომისარიატის გვლევის სხდომისა

“ I I ” დეკემბერი 1924წ. –

სხდომას დაესწრენ:

განსახკომისარიატ მოადგილე	- - - - -	ამ. ქუთა- თელაძე
აჭარკომის საგიტ საპრ. განყოფილების გამგ	- - - - -	" კომა- ნიძე
კომკავშირის მდივანი	- - - - -	" გობუ- ჩია
პოლიტ-განათლების მთ. სამმ. გამგე	- - - - -	" სუ- ლუხია
პროფსაბჭოს კულტგანყ. გამგე	- - - - -	" პირუ- მოვა
განათლ. მუშაქთა პროფავშირის წარმომადგენელი	- - -	" ტორ- ჩინავა
თავმჯდომარე: - ამ. ქუთათელაძე. მდივანი – ამ. ა ს კ რ ა ვ ა . –		

**მ თ ი ს მ ი ნ ე ს** – 1. საარქივო განყოფილების შესახებ.

**დ ა პ დ გ ი ნ ე ს:** აღდგენილი იქნას საარქივო განყოფილების მუშაობა. ეთხოვოს აჭარკომს და აგრეთვე საქ. ცენტრალურ საარქივო სამმართველოს რაც შეიძლება დაჩქარებით წამოაყენონ კანდიდატი განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მომავალი მუშაობა განყოფილებისა იქნეს მჭიდროთ დაკავშირებული ცენტრთან. ამ თავითვე განყოფილების აღდგენისათვის შესდგეს კომისია შემდეგის წარმომადგენლობით: აჭარკომის, აჭარისტანის საგანგებო კომისიის და განსახკომისარიატისა. კომისიას დაევალოს უყოს კონცენტრაცია ყველა აღგილობრივ დაწესებულების არქივებს, რომელთა დასათვალიერებლათ და გასაცნობათ ამჟამად ბათომში წარმოგზავნილ ცენტრის წარმომადგენელს ამს. ჩეეტიას და განათლების სახკომისარიატის პროფგანათლების გამგეს ამს. ბოჭორიშვილს მიეცეთ სათანადო მანდატები, რაც ეთხოვოს სახკომისაბჭოს.

სელს აწერს სხდომის თავმჯდომარე: ამს. ქუთათელაძე მდივანი: ასკურავა.

დედანთან სწორია:

განათლ. კომისარიატის საქმ. წარმოებული.

**ფონდი №5; საქმე №36; ფურც. 4.**

## საერთაშორისო ურთიერთობები

**ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) მთავრობის  
საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოსა და  
სახელმწიფო სააგენტო „არქივებ“-ს (ბულგარეთი) შორის**

ურთიერთთანამშრომლობის წინამდებარე მემორანდუმი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს (საქართველო) და ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) ტერიტორიული არქივის განყოფილებას შორის შესაძლო თანამშრომლობის ჩარჩოებს. მემორანდუმი მხარეებს არ აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას და მას არ აქვს იძულების ძალა. იგი აფიქსირებს ორივე მხარის სურვილს ხელი შეუწყოს ურთიერთთანამშრომლობას.

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო ისტრაფვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის გზით ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიის განვითარებისა და სრულყოფისკენ, რომელიც შესაძლებელს გახდის, უზრუნვლყოფილი იქნას საარქივო ფონ-დების საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

ბლაგოევგრადის სამხარეო სახელმწიფო არქივი წარმოადგენს მაღალ-პროფესიულ და გამოცდილ ორგანიზაციას, რომელიც საარქივო ფონდების მონაცემთა ბაზის „ონლაინ“ რეჟიმში ჩართვისკენ ისტრაფვის.

ბლაგოევგრადის რეგიონის საარქივო და დოკუმენტური მემკვიდრეობის მასალების დაცვა წარმოადგენს ბლაგოევგრადის „ტერიტორიული არქივის“ განყოფილების პრიორიტეტულ მიმართულებას.

ბლაგოევგრადის სამხარეო სახელმწიფო არქივის გამოცდილება ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოსთან ყოველმხრივ თანამშრომლობას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო და ბლაგოევგრადის (ბულგარეთი) სამხარეო არქივი, მომავალში მოხსენიებული, როგორც აღნიშნული მემორანდუმის მხარეები, ითვალისწინებენ რა საერთო ინტერესებს და ურთიერთანამშრომლობისა და პროფესიული ურთიერთობიდან გამომდინარე შედეგებს, თანხმდებიან შემდეგზე:

1. განავითარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა, რაც ასევე ითვალისწინებს ინფორმაციისა და პროფესიული გამოცდილების გაცვლას.

2. მიაწოდონ ერთმანეთს საარქივო დოკუმენტების გამოცემები, პროფესიული გამოცემები, სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ლიტერატურა, მოაწყონ პროფესიული და სამეცნიერო შესვებები (კონფერენციები, სემინარები, სამუშაო ადგილზე ტრენინგები) და საარქივო მასალების გამოფენები.

3. მოიძიონ დოკუმენტები და ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია, ასევე ფონდებისა და კოლექციების გამდიდრების მიზნით ერთმანეთს მიაწოდონ ორივე ქვეყნის ისტორიისთვის მატერიალური ღირებულების მქონე საარქივო დოკუმენტთა ასლები (წერილობითი, კინო და ფოტო დოკუმენტები).

4. გამოიყენონ ასლები და მიკროფილმები მხოლოდ სამეცნიერო და კვლევითი, აგრევე ორი ქვეყნის ისტორიასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. ამ ტიპის ნებისმიერი დოკუმენტი შესაძლებელია გამოქვეყნდეს მხოლოდ მეორე მხარის ნებართვის მიღების შემდეგ.

5. გამოიცეს დოკუმენტების კოლექციები, რომლებიც ასახავენ ორი ქვეყნის თანამშრომლობასთან დაკავშირებულ ისტორიულ პროცესებს.

6. დამყარდეს პირდაპირი კონტაქტი ბათუმისა და ბლაგოევგრადის სახელმწიფო არქივებს შორის, რათა უზრუნველყოფილი იქნას ინფორმაციაზე ფართო ხელმისაწვდომობა.

7. მხარეები სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების შესაბამისად თანხმდებიან საარქივო დოკუმენტებსა და დამხმარე საშუალებების თავისუფალ ხელმისაწვდომობაზე მემორანდუმის პირობების გათვალისწინებით.

8. განახორციელონ მემორანდუმში აღნიშნული ერთობლივი პროექტები და დონისძიებები.

ხელმოწერილია ქ. სოფიაში 2010 წლის 1 ნოემბერს.  
შედგენილია ორ ეგზემპლარად, ბულგარულ და ქართულ ენებზე.

აჭარის არ მთავრობის  
საქვეუწყებო დაწესებულება -  
საარქივო სამმართველოს  
უფროსი  
პროფესორი ქ. სურგულაძე

სახელმწიფო სააგენტო „არქივი“-ს  
თავმჯდომარე პროფესორი  
გეორგ ბაკალოვი  
„ტერიტორიული არქივი - ბლაგოევგრადის“ განყოფილების გამგე  
პეტრე სტანევი

## **МЕМОРАНДУМ**

### **за сътрудничество между Архивно управление при Правителството на Аджарската автономна република, Грузия и Държавна агенция „Архиви“ на Република България**

Меморандумът за сътрудничество между Архивно управление при Правителството на Аджарската автономна република, Грузия и Държавна агенция «Архиви» на Република България очертава рамките на сътрудничеството между Архивното управление в Батуми и отдел Терitoriален държавен архив-Благоевград. Меморандумът не предполага правна отговорност на страните и няма задължителна сила, а отразява желанието на двете страни да съдействат за взаимноизгодното сътрудничество.

Архивното управление при Правителството на Аджарската автономна република, Грузия се стреми да развива и усъвършенства стратегиите за защита на националното наследство с помошта на новите технологии, които осигуряват всеобщ достъп до архивните фондове.

Опазването на архивното и документалното наследство в региона на Благоевградска област и осигуряването на възможности за използване на архивните извори са приоритетни функции на отдел Терitoriален държавен архив-Благоевград. Опитът на отдел Терitoriален държавен архив-Благоевград ще способства за развитието на сътрудничеството с Архивното управление в Батуми.

Като отчитат общите интереси и очаквани резултати от съвместното сътрудничество и професионалните взаимоотношения, страните се договарят да:

- Развиват всестранно сътрудничество в областта на обмяната на информация и професионален опит;
- Си предоставят взаимно документални издания, научни и методически изследвания; организират научни срещи (конференции, семинари, тренинги) и архивни изложби.
- Издирват документи и обмен на информация за обогатяване на фондовете и колекциите и взаимно предоставяне на копия на архивни документи (писмени, кино- и фотодокументи) за историята на Батуми и Благоевград, на Аджарската автономна република и Благоевградска област.
- Използват копия и микрофилми за научноизследователски цели, свързани с историята на двете страни. Всеки документ от подобен тип може да бъде публикуван само при съгласието на двете страни.
- Публикуват колекции на документи, отразяващи историческите процеси, свързани със сътрудничеството между двете страни.
- Поддържат непосредствени връзки между архивите в Благоевград и Батуми за осигуряване на широк достъп до информацията.
- Осигуряват свободен достъп до архивните документи и справочния апарат с оглед на изследователските проучвания и в съответствие с меморандума.
- Осъществяват съвместни проекти и мероприятия, предвидени в меморандума.

Меморандумът е подписан в София на 1 ноември 2010 г., съставен е в два еднообразни екземпляра, всеки на грузински, български и руски език, по един за всяка от страните. В случай на различие в тълкуването, руският текст е меродавен.

**Председател на  
Държавна агенция „Архиви“  
Република България:  
проф. Георги Бакалов  
Началник отдел  
Териториален държавен архив  
гр. Благоевград: Петър Станев**

**Председател на Архивно  
управление на Аджарската АР,  
проф. Кахабер Сургуладзе**

**Меморандум  
о взаимно - сотрудничестве  
Архивного управления подведомственного учреждения  
правительства Аджарской АР /Грузия/  
и Государственного Архива Одесской Области /Украина/**

Представленный меморандум о взаимно - сотрудничестве Архивного управления-подведомственного учреждения правительства Аджарской АР (Грузия) и Государственного Архива Одесской Области /Украина/ очерчивает рамки возможного сотрудничества между Архивным управлением Аджарской АР и Государственного Архива Одесской Области /Украина/. Меморандум не подразумевает правовой ответственности сторон и не имеет обязательной силы, он лишь фиксирует желание обеих сторон способствовать взаимовыгодному сотрудничеству.

Архивное управление подведомственного учреждения правительства Аджарской АР стремится к развитию и совершенствованию стратегий защиты национального наследства с помощью внедрения новых технологий, что позволит обеспечить всеобщую доступность архивных фондов.

В сфере сохранения национального наследства и в обеспечения современного архивного обслуживания Государственный Архив Одесской Области /Украина/ является высокопрофессиональной и опытной организацией, которая стремится к созданию базы данных архивных фондов для включения в онлайн режим.

Изучение опыта Государственного Архива Одесской Области /Украина/ будет способствовать развитию взаимного сотрудничества с Архивным управлением Аджарской АР, Стороны, принимая во внимание общие интересы и возможные результаты обоюдного сотрудничества и профессиональных отношений, заключают договор о следующем:

Развивать всестороннее сотрудничество, что также подразумевает обмен - информацией и профессиональным опытом.

Предоставлять другой стороне публикации архивных документов, профессиональные публикации, научную и методологическую литературу, устраивать профессиональные и научные встречи (конференции, семинары, тренинги на рабочем месте) и выставки архивных материалов.

Изыскивать документы и обмениваться информацией, для взаимного обогащения фондов и коллекций предоставлять друг другу копии архивных

**документов, имеющих материальную ценность для истории Одессы и Батуми (письменные свидетельства, кино-и фото-документация).**

**Использовать копии и микрофильмы в научно – исследовательских целях, а также в целях, связанных с историей обеих стран. Любой документ подобного типа может быть опубликован только с согласия другой стороны.**

**Издавать коллекции документов, отображающих исторические процессы, связанные с сотрудничеством между двумя странами.**

**Поддерживать непосредственный контакт между государственными архивами в Батуми и Одессы для обеспечения широкого доступа к информации.**

**Поддерживать свободный доступ к архивным документам и вспомогательным средствам, как того требуют научные изыскания в соответствии с условиями Меморандума.**

**Осуществлять общие проекты и мероприятия, указанные в Меморандуме.**

**Меморандум подписан в г. Одессе 24 декабря 2010 г. Он составлен в двух экземплярах, на украинском и грузинском.**

**Руководитель Архивного управления -  
Подведомственного учреждения  
Правительства Аджарской АР  
*Проф. Кахабер Сургуладзе***

**Руководитель -  
Государственного  
Архива Одесской Области  
*/Украина/***

***Иван Ниточко***

**სამეცნიერო – პვლევითი საქმიანობა და ჩატარებული ღონისძიებები  
აჭარის არ საარქივო სამმართველოში  
ქრონიკა**

**I. სამეცნიერო საქმიანობა:**

**ა) სამეცნიერო პუბლიკაციები:**

- 1) სამხრეთ – დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათ. 2009.
- 2) ო. ფუტკარაძე, ქორწილი იმერხევში, ბათ. 2009;
- 3) ბათუმი უცხოელ ავტორთა შრომებში, ბათ. 2010;
- 4) რელიგიური დაწესებულებები აჭარაში, დოკუმენტების კრებული, ნაკვ I, ბათ. 2010.

**II. სამეცნიერო კონფერენციები:**

1. 2008 წლის 11-12 ივნისს ჩატარდა აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, ბულგარეთის, რუსეთის, თურქეთის საარქივო და სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები.

× - ×

2. 2009 წლის 3 ივნისს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში“. წაკითხულ იქნა 22 მოხსენება.

× - ×

3. 2010 წლის 29 ივნისს საარქივო სამმართველოში ჩატარდა კონფერენცია - „საარქივო პირველწყაროები მკვლევართა ნაშრომებში“. მოხსენებებით გამოვიდნენ: მათა რუსუა (დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსი) და თამაზ ფუტკარაძე (საზღვარგარეთო, საზოგადოებასთან ურთიერთობების და საინფორმაციო-ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი).

× - ×

4. 2011 წლის 24 თებერვალს ჩატარდა კონფერენცია - „საქართველო საბჭოთა არქივის პირისპირ“. მოხსენებით გამოვიდნენ: პროფ. კახაბერ სურგულაძე, ოთარ გოგოლიშვილი, ჯემალ კარალიძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე თამარ ბელქანია.

× - ×

5. 2011 წლის 2 მარტს ჩატარდა არქივისტის დღისადმი მიძღვნილი მეორე სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებით გამოვიდნენ: პროფ. კახაბერ სურგულაძე, პროფ. თამაზ ფუტკარაძე. არქივის თანამშრომლები: ელგუჯა ჩაგანავა და ფრიდონ ქარდავა. ამაგდარი არქივისტები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

6. 2011 წლის 30-31 მაისს ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბლაგოევგრადის ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტისა და აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ერთობლივი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ საქართველო

და ბულგარეთი (ისტორიული პარალელები)”. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, თბილისის, ბათუმის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლებმა და ბლაგოევგრადის ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის (ბულგარეთი) პროფესორ-მასწავლებლებმა.

x - x

### III. წიგნის განხილვა

1. 2009 წლის 3 ივლისს მოეწყო პროფ. ო. გოგოლიშვილის წიგნის „სოციალური და ეროვნული მოძრაობა საქართველოში” პრეზენტაცია. ნაშრომის მეცნიერული დირებულების შესახებ ისაუბრა პროფ. თამაზ ფუტკარაძემ. სიტყვით გამოვიდნენ: სანდრო ბერიძე, ტარიელ აბულაძე, ფრიდონ ქარდავა.

### IV. საარქივო ფონდის შევსება:

1. 2010 წლის 17 მარტს საარქივო სამმართველოს XVIII ს. მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანების ხელნაწერი შეემატა. პროფ. რამაზ სურმანიძის მიერ შეახვევის რაიონის სოფ. ჭალაში, გულაფერ ჭალალიძის ოჯახში 1987 წელს აღმოჩენილი „ქართული კარაბადინის” აჭარული ვარიანტის „ფემბასეული ნუსხა” გადასცა. აღნიშნული ხელნაწერი ყველაზე ძველია აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულ წერილობით დოკუმენტების შორის.

x - x

2. 2011 წლის 6 იანვარს საარქივო სამმართველოს გადაეცა ცნობილი ფოლკლორისტის ჯემალ ნოდაიდელის პირადი ფონდი. ფონდის გადმოცემას ესწრებოდნენ მეცნიერის შთამომავლები: პროფ. ნანული ნოდაიდელი და პროფ. თამილა ლომთათიძე.

x - x

3. დასრულდა მუშაობა და სახელმწიფო შენახვაზე მიღებული იქნა სამმართველოს შესახებ ბრიტანეთის არქივში დაცული დოკუმენტების (1830-1947 წწ.) ასლები 2334 ს/ერთულის ოდენობით. ფონდს მიენიჭა ბრიტანეთის საარქივო მასალების კოლექციის სტატუსი და ფონდის ნომერი (ი-83).

### V. თემატური ნუსხების შედგენა

1) ქალაქის თავები (1878 – 1921);  
2) განათლების სისტემის განვითარება ქობულეთსა და ხელვაჩაურის რაიონებში (1922 – 1982).

### VI. დოკუმენტების გამოვლენა

საარქივო სამმართველოს პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტის ფრიდონ ქადრავას ძალისხმევით გამოვლენილი იქნა დოკუმენტები შემდეგ თემებზე:

- საკონსულოები ბათუმში 1913 – 1980;
- განათლება ძვ. ბათუმში (1878 – 1921);
- რელიგიური დაწესებულებების აჭარაში.

## **VII. გამოფენები**

1. 2010 წლის 12 თებერვალს მოეწყო რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი დოკუმენტების გამოფენა.

× - ×

2. 2010 წლის 12 აგვისტოს მოეწყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის ამსახველი ფოტო დოკუმენტების გამოფენა.

× - ×

3. 2011 წლის 24 თებერვალს გაიხსნა საბჭოთა ოკუპაციის 90 წლის-თავისადმი მიძღვნილი ფოტო დოკუმენტების გამოფენა.

× - ×

5. 2011 წლის 2 მარტს გაიხსნა აჭარაში საარქივო დაწესებულების ამსახველი წერილობითი დოკუმენტების გამოფენა.

× - ×

6. 2011 წლის 2 ივნისს გაიხსნა საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობების ამსახველი წერილობითი და ფოტოდოკუმენტების გამოფენა

## **VIII. ფილმის პრეზენტაცია**

2010 წლის 18 ნოემბერს საარქივო სამმართველოში მოეწყო ზურაბ ქავთარაძის დოკუმენტური ფილმის „ტაო – კლარჯეთი”-ს პრეზენტაცია. აღინიშნულმა ნამუშევარმა მართმადიდებლური ფილმების ფესტივალზე საპრიზო ადგილი დაიმსახურა.

## **IX. პონტაქტები უცხოეთის არქივებთან და საქართველოს სამუზეუმო დაწესებულებებთან**

1. 2010 წ. 18 მაისს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის საარქივო სამმართველოსა და ხ. ახელედიანის აჭარის მუზეუმს შორის. იგი ითვალისწინებს სამუზეუმო და საარქივო სფეროში მხარეების თანამშრომლობას, ინფორმაციების გაცვლასა და პროგრესული გამოცდილების გაზიარებას.

× - ×

2. 2010 წლის 1 ნოემბერს, ბულგარეთში. სოფიაში ხელი მოეწერა აჭარის არ საარქივო სამმართველოსა და სახელმწიფო სააგენტო „არქივებს” (ბულგარეთი) შორის ურთიერთობანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმს ხელი მოაწერეს: აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსმა კახაბერ სურგულაძემ, სახელმწიფო სააგენტო „არქივები”-ს თავმჯდომარემ - პროფ. გ. ბაკალოვმა და ბლაგოევგრადის ტერიტორიულო არქივის განყოფილების გამგემ - პეტრე სტანევმა.

× - ×

3. 2010 წლის 24 დეკემბერს უკრაინაში, ქ. ოდესაში ხელი მოეწერა აჭარის არ საარქივო სამმართველოს და ოდესის სამსარეო სახელმწიფო არქივებს შორის ურთიერთობანამშრომლობის მემორანდუმს. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: კახაბერ სურგულაძემ (აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსი) და ივანე ნიტოჩომ (ოდესის ოლქის სახელმწიფო არქივის დირექტორი).

× - ×

4. 2011 წ. 23 მარტს, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს სტუმრობდა შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრის წარმომადგენლობითი დელგაცია ალექსანდერ პიუსბაის (სტოკოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის დრექტორი, დელგაციის ხელმძღვანელი), პანის გუსტაფსონის, ტომას ტუდენი (ნობელის შთამომავალი) მეუღლითურთ, პერ დალისა და ვადიმ აზბელის (ცენტრის მკვლევარები) შემადგენლობით.

სტუმრებს მიესალმა და საარქივო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნო აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს უფროსმა ონგიზ ცინცქილაძემ.

სტუმრებმა გამოხატეს აჭარის არ საარქივო სამმართველოსთან თანამშრომლობის სურვილი და წარმოადგინეს მძები ნობელების კომპანია ”ბრანობელის“ საერთაშორისო ვებ-გვერდის შექმნის პროექტი, რომელშიც თავს მოიყრის ბიზნესის ისტორიასთან დაკავშირებული წერილობითი და ფოტოდოკუმენტები, ფილმები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება იმ კომპანიების დოკუმენტურ მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მძები ნობელების საქმიანობასთან, განსაკუთრებით კავკასიაში 1870-1920-იან წლებში. დღეისათვის მათ არქივში ბინა დაიდო XVIII საუკუნის შემდგომი პერიოდის 600 ათასზე მეტმა დოკუმენტმა. ვებ-გვერდზე განთავსდება საზოგადოებრივ-პოპულარული და სამეცნიერო სტატიები, ფილმები, ფოტოები და შეიქმნება ბიზნესის ისტორიასთან დაკავშირებული მონაცემების ერთიანი სამეცნიერო ბაზა.

აღნიშნული ამოცანის განხორციელებისათვის შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრმა გააფორმა სათანადო ხელშეკრულებები აზერბიჯანის და საქართველოს ეროვნულ არქივებთან, მათ გამოხატეს თანასწორუფლებიანობის საწყისებზე პროექტში აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს მონაწილეების სურვილი და მზადყოფნა ანალოგიური ხელშეკრულების გასაფორმებლად. შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან თანამშრომლობა ხელმისაწვდომს გახდის ბათუმელი მკვლევარებისათვის ყველა იმ საარქივო დოკუმენტს, რომლებიც ბიზნესის ისტორიასთან იქნება დაკავშირებული და გზას გაუხსნის აჭარის არ საარქივო დაწესებულებას ევროპულ საარქივო დაწესებულებებთან ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სტუმრებმა აჭარის არ საარქივო სამმართველოს უსახსოვრეს ”ატლას დიზელის“ შვედური კომპანიის ერთ-ერთი წერილობითი დოკუმენტის ასლი.

საარქივო სამმართველოს უფროსმა სტუმრებს გადასცა აჭარის ღირსშესანიშნაობების, ასევე მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესების ამსახველი ბუკლეტები და ფასიანი საჩუქრები.

× - ×

2011 წ. 2 ივნისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ეწვია ბლაგოევგრადის ნეოფიტ-რილსკის უნივერსიტეტის (ბულგარეთი) დელეგაცია პროფესორ მარიანა პისკოვას ხელმძღვანელობით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორები: კრისტინა პოპოვა, ნურიე მურაბოვა და დოქტორანტები: ანასტასია კირილოვა და სერგეი ვუჩკოვი. სტუმრებს მიესალმა და საარქივო სამმართველოს მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ ესაუბრა სამმართველოს უფ-

როსი თენგიზ ცინცქილაძე. სტუმრებმა საარქივო სამმართველოს გადმოსცეს სოფიის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებაში ბათუმისა და ზოგადად საქართველოს შესახებ დაცული 300-მდე დოკუმენტის (არზები, ფირმანები, დეფტერები, არზუპალები, მაზბატები და ა. შ.) ანაწერი, რომლებიც განეკუთვნება XVI-XIX საუკუნეებს. სტუმრებმა დაათვალიერეს საარქივო სამმართველოში დაცული საქართველო-ბულგარეთის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტების გამოფენა.

### X. შეხვედრები, ლექცია – საუბრები

2009 წლის 18 მარტს მოეწყო შეხვედრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. მოხსენება - „საქართველოს ოქუპაცია წითელი არმიის მიერ” წაიკითხა პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ფრიდონ ქარდავამ.

\* - \*

2009 წლის 22 მაისს შედგა შეხვედრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. მოხსენება - „საქართველოს დამოუკიდებლობა საარქივო დოკუმენტებში” გააკეთა პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ფრიდონ ქარდავამ.

\* - \*

2009 წლის 23 მაისს მოეწყო შეხვედრა აჭარაში მოღვაწე ქალბატონებთან: პროფ. შუშანა ფუტკარაძესთან, პროფ. ნაზი მიქელაძესთან, პროფ. თონა შიოშვილთან. ქალბატონებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი ტარიელ აბულაძე. სიტყვით გამოვიდნენ: სანდორ ბერიძე, თამაზ ფუტკარაძე.

\* - \*

2010 წლის 9 თებერვალს ბათუმის ელიტარული სკოლა „გორდა“-ს მოსწავლეებს საარქივო დაწესებულების მნიშვნელობის საკითხებზე ლექცია-გავეთილი ჩაუტარა საარქივო სამმართველოს პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსმა მაღონა ცხადაძემ.

\* - \*

2010 წლის 12 აგვისტოს ჩატარდა რუსეთ – საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამო. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ომში მონაწილე ჯარისკაცები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სამმართველოს უფროსმა პროფ. ქახაბერ სურგულაძემ. სიტყვით გამოვიდნენ: თ.ფუტკარაძე, თემურ ზაქარაძე, ნაზი ფუტკარაძე, აიდა აბუსერიძე, თენგიზ მგელაძე. მოწვეული ჯარისკაცები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

### XI. ქვემოქმედება

1. 2010 წლის 11 თებერვალს სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“-ს ბათუმის ფილიალმა (მმართველი - გიორგი თავართქილაძე) საარქივო სამმართველოს საჩუქრად გადასცა კომპიუტერული ტექნიკა.

× - ×

2. 2010 წლის 1 ივნისს, ბაგშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ფასიანი საჩუქრები გადასცეს ურეხის ბაგშვთა სახლის 60 აღსაზრდელს.

## სარჩევი

1. წინათქმა.....	3
2. თამაზ ფუტკარაძე – საარქივო დოკუმენტური პირველწყაროები მკვლევართა სამეცნიერო შრომებში .....	8
3. მერაბ მეგრელიშვილი – ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ისტორიიდან.....	22
4. ფრიდონ ქარდაგა – საქართველოს ოკუპაციის საკითხისათვის.....	25
5. მერაბ მეგრელიშვილი, შოთა მახარაძე – 1874-1911 წლებში ბათუმისა და ართვინის ოლქების სახელმწიფო მმართველობითი მოწყობის და ბათუმის სავაჭუფო მიწების შესახებ .....	30
6. ოთარ გოგოლიშვილი – საგამომცემლო საქმის განვითარება ბათუმში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.....	33
7. ქეთევან იაკობაძე – სამხრეთ-დასავლეთი საქართველო შარდენის ნააზრევში .....	38
8. თემურ აგალიანი – ერთიან ეთნოკულტურულ სივრცეში არაქართული კომუნიკაციურ-ინტერაქციული ველის ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორები.....	41
9. Gabriela Belova – A Bulgarian attitude to the European neighbourhood policy ...	44
10. რამაზ სურმანიძე – უცნობი გმირი .....	52
11. Тамаз Путкарадзе, Нурие Муратова - Некоторые вопросы исторических и научно-культурных взаимоотношений венгерского и грузинского народа .....	59
12. ელგუჯა ჩაგანაგა – დიპლომატიური წარმომადგენლობების ისტორიიდან. საკონსულოები ბათუმში .....	62
13. თეა ქათამაძე – აჭარის საგანმანათლებლო ცენტრები და პედაგოგები 1880-1910-იან წლებში.....	66
14. ნათია მირიანაშვილი – საქართველო – აზერაიჯანის კონფლიქტი და ზაქათალის პრობლემა (1918-1921).....	72
15. მალხაზ სიორიძე, საქართველოს პირველი კონსტიტუციის სტამბულად გამოქვეყნების ადგილი, დრო და გარემოებები.....	83
16. მაია რურუ – ამაგდარი არქივისტები.....	88
17. თინათინ ჯაბადარი – სვანეთი 1921 – 1924 წლების აჯანყებაში.....	94
18. მალხაზ სიორიძე – სან-რემოს საზაო კონფერენცია ბათუმის შესახებ (1920 წ. აპრილი) .....	97
19. ქეთევან ფუტკარაძე, გახაბერ ფუტკარაძე, – ხალხური სატრანსპორტო საშუალებები ისტორიულ საქართველოში .....	103
20. ხათუნა შერვაშიძე – საარქივო დაწესებულებათა ისტორიის ზოგიერთი საკითხი.....	106
21. დოკუმენტური წყაროები: საარქივო დაწესებულებათა ჩამოყალიბების ამსახველი დოკუმენტები .....	109
22. საერთაშორისო ურთიერთობები: ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (საქართველო) მთვარობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამსართველოსა და სახელმწიფო სააგენტო „არიქვებ“-ს (ბულგარეთი) შორის .....	118

- 23.** ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის (საქართველო) მთვარობის საქვეუწყებო დაწესებულება –  
საარქივო სამმართველოსა და ოდესის სახელმწიფო სამსარეო არქივს  
(უკრაინა) შორის (რუსულ ენაზე) ..... 118
- 24.** სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა და ჩატარებული  
ღონისძიებები აჭარის არ საარქივო სამმართველოში - ქრონიკა ..... 123



### გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტ: 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge